

## ნაწილი პირველი

### რელაციის ტიპნიკის ცნება და დახასიათება

#### 1. შესავალი

წინამდებარე ნაშრომი გამიზნულია როგორც მოქმედი, ისე მომავალი მოსამართლეებისათვის, რომლებიც სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ. წიგნი მათ უნდა დაეხმაროს ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში.

სამოქალაქო საქმეების განმხილველ მოსამართლეს მისი ამოცანებისა და მოვალეობების შესრულება, რაც კონკრეტული სამართლებრივი დავის სწორად გადწყვეტაში მდგომარეობს და რის გამოც მას მხარეებმა მიმართეს, მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ ის პირად და სპეციფიურ პროფესიულ თვისებებთან ერთად, რაც კანონმდებლობის საფუძვლიან ცოდნასა და გარკვეულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, ფლობს საკუთარ **სამუშაო ინსტრუმენტს**, კერძოდ, სამოქალაქო საქმეების განმხილველი მოსამართლის **სამუშაო მეთოდებს**.

---

<sup>1</sup> ცნება წარმოშვა გერმანულმა იურიდიულმა განათლებამ. პირველი სახელმწიფო გამოცდის ჩაბარების შემდეგ ახალგაზრდა იურისტი ხდება ე.წ. რეფერენდარი და გადის განათლების სხვადასხვა, უკვე პრაქტიკულ სტადიებს, მათ შორის, რამდენიმე თვეს ატარებს სამოქალაქო საქმეების განმხილველ მოსამართლესთან. ამ დროს, უნივერსიტეტში მიღებული მხოლოდ თეორიული ცოდნის შემდეგ, იგი ეცნობა მოსამართლის პრაქტიკულ საქმიანობას. რეფერენდარი ამზადებს სამართლებრივ შეფასებებს (დასკვნებს) და გადაწყვეტილების პროექტებს. განათლების ამ სტადიის დასრულებისას იგი აქტუალური მასალების საფუძველზე ამზადებს ნაშრომს, ე.წ. Relation. ამ ნაშრომით ახალგაზრდა იურისტმა უნდა დაამტკიცოს, რომ შესწევს სამოქალაქო კაზუსის მეთოდურად დამუშავების უნარი: სამართლებრივი შეფასებისას განიხილოს შესაბამისი საკითხები და წარმოადგინოს სასამართლო გადაწყვეტილების პროექტი.

რეფერენდარისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, რომლის დროსაც ახალგაზრდა იურისტი უკვე მოხელეა და ხელფასს სახელმწიფოსაგან იღებს, დგება მეორე სახელმწიფო გამოცდის ჩაბარების დროც. თუ იგი შეძლებს ამ გამოცდის ჩაბარებას, მოიპოვებს უფლებას განახორციელოს სამოსამართლო საქმიანობა. თუმცა, აღნიშნული არ გულისხმობს, რომ ყოველი იურისტი, რომელიც მეორე

ამ მეთოდების ერთობლიობას ე.წ. რელაციის ტექნიკა<sup>1</sup> ეწოდება. ამ ცნების მოკლე ფორმულირებას თუ მივმართავთ, იგი გულისხმობს მხარეთა მიერ მოხსენებული და წარმოდგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებების სისტემატურ დალაგებას და მოწესრიგებას, მათ შემცირებასა და მხოლოდ იმ ფაქტობრივ საკითხებამდე დაყვანას, რომელთაც მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების გამოტანისათვის (ყველა უმნიშვნელო გარემოების გამორიცხვით), საქმის ამ ფაქტობრივი გარემოებების სისტემატურად გადმოცემას, სარჩელის დასაშვებობის შემოწმებას, საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას იურიდიული კვალიფიკაციის ფარგლებში, მხარეთა შორის **სადავო**, გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების დამუშავებას და ბოლოს, ამ სადავო საკითხების დადგენის შემდეგ, შეგროვებულ მტკიცებულებათა ფარგლებში, სამოტივაციო ნაწილის ჩამოყალიბებას. საკუთრივ გადაწყვეტილება ფორმულირებული იქნება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში.

რელაციის ტექნიკა კანონით არ არის მოწესრიგებული. თუმცა, ცნება გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო-სამართლებრივი ნორმების, კანონის სისტემიდან და მისი ძირითადი პრინციპებიდან.

ამ ძირითად პრინციპებს მიეკუთვნება დისპოზიციურობის,<sup>2</sup> განსაკუთრებით კი *შეჯიბრობითობის*<sup>3</sup> პრინციპები, ასევე პროცესის ეკონომიის პრინციპი: *მტკიცებულებები უნდა შეგროვდეს მხოლოდ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებზედაც დამოკიდებულია საქმის გადაწყვეტა.*

სწორედ ეს წესი – მტკიცებულებები არ უნდა შეგროვდეს იმ ფაქ-

---

სახელმწიფო გამოცდას აბარებს, მოსამართლე ხდება. ფაქტობრივად იურისტთა მხოლოდ მცირე რაოდენობა შეუდგება სამოსამართლო საქმიანობას.

<sup>2</sup> სსკ-ის მე-3 მუხლით გათვალისწინებულია ე.წ. დისპოზიციურობის პრინციპი: მხოლოდ მხარეები იღებენ გადაწყვეტილებას სამოქალაქო პროცესის დაწყების, დავის საგნისა და პროცესის დასრულების შესახებ.

<sup>3</sup> მხოლოდ მხარეები განსაზღვრავენ სამოქალაქო პროცესის საქმის ფაქტობრივ მასალას: სსკ-ის მე-4 მუხლით დადგენილი შეჯიბრობითობის პრინციპი განსხვავდება, ე.წ. სამძებრო (ინკვიზიციური) პრინციპისაგან.

ტობრივ გარემოებებზე, რომელთაც საქმისათვის სამართლებრივად მნიშვნელობა არა აქვთ, წარმოადგენს რელაციის ტექნიკის ელემენტარულ პრინციპს, რაც ერთმნიშვნელოვნად დადგენილია სსკ-ის 104-ე მუხლით. ამ ნორმის შესაბამისად, დაუშვებელია მტკიცებულებათა შეგროვება იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებსაც მნიშვნელობა არა აქვთ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისათვის. ეს პრინციპი ვრცელდება არა მხოლოდ მტკიცებულებათა შეგროვებაზე, არამედ მხარეთა მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე მთლიანად. იგი მოქმედებს როგორც მხარეთა ინტერესების სასარგებლოდ (იცავს მათ ზედმეტი დროის ხარჯვისა და სასამართლო ხარჯებისაგან), ისე – მართლმსაჯულების ინტერესების სასარგებლოდ, რომელიც მცირე რესურსების გამო ვერ დაუშვებს ზედმეტი პროცესუალური ღონისძიებების განხორციელებას. ამდენად, ქართული მართლმსაჯულებისათვის, რომელიც ამჟამად გარდამავალ პერიოდში იმყოფება, ეს პრინციპი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

რელაციის ტექნიკა არ განვითარებულა თავისთავად. იგი წარმოადგენს სამუშაო ინსტრუმენტს, რომელიც მოსამართლეს სამართლებრივი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების ზედმინევნით დამუშავების, ამ საკითხებზე კონცენტრაციის, მტკიცების ტვირთის გათვალისწინებით საკითხების გამოკვლევის და ამ გზით პროცესის ყველაზე სწორად და სწრაფად დამთავრების შესაძლებლობას აძლევს.

ამ სამუშაო მეთოდების მნიშვნელოვანი, ძირითადი დებულებები შემდეგ თავშია გადმოცემული.

---

<sup>4</sup> დისპოზიციურობის პრინციპის **გათვალისწინებით** (შეად. მე-2 სქოლიოს) მოსამართლე, პირველ რიგში, ზუსტად უნდა გაერკვეს, თუ რა სურთ მხარეებს. გადაწყვეტილებას იგი მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნათა ფარგლებში იღებს (სსკ-ის 248-ე მუხლი). მას უფლება არა აქვს მხარეთა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს გასცდეს ან სხვა საკითხებზე იმსჯელოს (ე.წ. „aliud“), მაგრამ უფლება აქვს განსახილველ საკითხთა წრე შეამციროს (ე.წ. „minus“). სასარჩელო მოთხოვნა, როგორც წესი, გამომდინარეობს მოსარჩელის ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული მოთხოვნიდან (სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის ე) ქვეპუნქტი), რომელიც იმგვარად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ შესაძლებელი იქნეს მოსამართლის მიერ მისი უშუალოდ სარეზოლუციო ნაწილში გადმოტანა, თუკი სარჩელი წარმატებული აღმოჩნდება, ე.ი. იგი **დაკმაყოფილდება**. დაწვრილებით იხ. აქვე, მე-7 სქოლიო.

## 2. saqmis faqtobrivi garemoebbis (aRwerilobiTi nawilis) mniSvneloba

სასარჩელო მოთხოვნის<sup>4</sup> გარკვევის შემდეგ მოსამართლის საქმიანობა მხარეთა მიერ მოხსენებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენით იწყება. მართალია, ეს არის ელემენტარული პრინციპი, მაგრამ აუცილებელია მასზე მუდმივად ყურადღების გამახვილება. პრაქტიკაში მას ყოველთვის სათანადო ყურადღება არ ეთმობა, რადგან ბევრი მიიჩნევს, რომ საკუთრივ იურიდიული საქმიანობა მხოლოდ სამართლებრივი საკითხების შემონმებასა და მათზე პასუხის გაცემაში მდგომარეობს. მოსამართლის საქმიანობის ამგვარი დიფერენცირება, როდესაც სამართლებრივ დამუშავებას ხშირად გაუცნობიერებლად უპირატესობა ენიჭება საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან შედარებით, ეჭვს იწვევს და ზოგჯერ მძიმე შედეგის მქონე შეცდომადაც იქცევა ხოლმე.

უდავოა, რომ მოსამართლის მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას დაშვებული უზუსტობის გამოსწორება სამართლებრივი შეფასების ხარჯზე შეუძლებელია, თუნდაც მოსამართლე სამართლის ღრმა და საფუძვლიანი მცოდნე იყოს: თუ გადაწყვეტილებას საქმის არასწორი ფაქტობრივი გარემოებები უდევს საფუძვლად, მაშინ მოსამართლის მიერ მომზადებული სამართლებრივი შეფასება არ დაემთხვევა მხარეთა მიერ მოხსენებულ შემთხვევას. ამდენად, მოსამართლის სამართლებრივმა შეხედულებებმა შესაძლოა მცდარ ან შემთხვევით სწორ შედეგამდე მიგვიყვანოს. როგორც მედიცინაში მკურნალობის დაწყებამდე ზუსტი დიაგნოზი უნდა დადგინდეს და ამ უკანასკნელს არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საკუთრივ მკურნალობას, ასევე მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა განხორციელდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი.

სამართლისმცოდნეობაში, ისევე როგორც მედიცინაში, მოქმედებს მთელი რიგი შეზღუდვები ზემოთ აღნიშნულ ლოგიკურ რიგითობასთან დაკავშირებით: კეთილსინდისიერი ექიმის მსგავსად, რომელიც ერთხელ დადგენილ დიაგნოზს მიმდინარე მკურნალობის გათვალისწინებით შემდგომშიც მუდმივად ამონმებს და საჭიროებისას ცვლის კიდეც, რათა დიაგ-

ნოზი მკურნალობასთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი, გადასაწყვეტი საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და მის გადაწყვეტასთან დაკავშირებულ სამართლებრივ შეხედულებებს შორის ასევე არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი.

დასაწყისშივე აღინიშნა, რომ მხარეები საქმის ფაქტობრივი გარემოებების მოხსენებით მოსამართლეს წინასწარ ბოჭავენ, თუ საქმის რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე უნდა იქნეს გადაწყვეტილება გამოტანილი.<sup>5</sup> ასევე უდავოა იმ პრინციპის მოქმედება, რომ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს გადაწყვეტილებას და რომლებიც საბოლოოდ გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში აისახება სსკ-ის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილის გაგებით, მიეკუთვნება მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზეც დამოკიდებულია საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა. საქმის ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება მხოლოდ მოსამართლის მოვალეობაა.<sup>6</sup>

ამგვარად, გადაწყვეტილებაში აღწერილობითი ნაწილის ჩამოყალიბებამდე მოსამართლეს უკვე გააზრებული უნდა ჰქონდეს საკუთარი სამართლებრივი შეფასებები. რაც შეეხება იმ საკითხზე დავას, თუ მოსამართლემ გადაწყვეტილების ჩამოყალიბებისას რა რიგითობა უნდა დაიცვას ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, ისევე უშედეგოა, როგორც დავა იმის თაობაზე, თუ რომელი შეიქმნა პირველად, ქათამი თუ კვერცხი: ცხადია, რომ სამოტივაციო ნაწილში ყოველი სამართლებრივი შეფასების წინაპირობას მისი საგანი, კერძოდ, აღწერილობით ნაწილში მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებები წარმოადგენს და პირიქით.

როგორც პრაქტიკაში დამკვიდრდა, გადაწყვეტილების აგება საქმის ფაქტობრივი გარემოებების გადმოცემით იწყება, ხოლო მოსამართლეს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი, დასაბუთება უკვე გააზრებული უნდა ჰქონდეს, რათა შეძლოს გადაწყვეტილების მიღება, თუ აღწერილო-

<sup>5</sup> იხ. ზემოთ, მე-3 სქოლიო.

<sup>6</sup> შეად. გვ.38 6, ბ)

ბით ნაწილში რომელი ფაქტობრივი გარემოებების ჩამოყალიბებაა მიზანშეწონილი და უპირველეს ყოვლისა, რომელი მათგანის გადმოცემას უნდა მოერიდოს.

მოგვიანებით, სამოტივაციო ნაწილის ფორმულირების შემდეგ, მას პარალელურად შეუძლია აღწერილობითი ნაწილის კვლავ გადამუშავება, საჭირო შემთხვევებში – დამატებების შეტანა და პირიქით, ზოგჯერ შემოკლებაც.

ამდენად, სსკ-ის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად სამოტივაციო ნაწილის ფორმულირება უნდა განხორციელდეს სამოსამართლო საქმიანობის ბოლო სტადიაზე. დასაწყისში უნდა დამუშავდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რაც მომდევნო პარაგრაფის განხილვის საგანია.

**3. aRwerilobiTi nawilis momzadeba: masalebis Segroveba, amonaweri saqmidan**

სასამართლოზე წარდგენილი საქმის მასალები, იურიდიული ფაქტობრივების სტრუქტურისათვის მიცემული კაზუსებისაგან განსხვავებით, ყოველთვის არ წარმოადგენს ნათლად ჩამოყალიბებულ და უდავო საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებსაც მოსამართლემ სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს. პირიქით, საქმის მასალები, როგორც წესი, სულ მცირე, ორ ან მეტ ურთიერთგამომრიცხავ ფაქტობრივ ვერსიებს მოიცავს, რომელთა შესახებ მოსამართლეს მხარეებმა მოახსენეს.

საქმეს ისიც ართულებს, რომ ხშირად ეს განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებები მხარეთა მიერ ლოგიკური თანამიმდევრობით არ არის მოხსენებული.

მოსამართლეს, განსაკუთრებით პირველი ინსტანციის მოსამართლეს, ხშირად უწევს წინააღმდეგობრივი, უწესრიგოდ შეგროვებული, განსხვავებული შინაარსის მქონე დოკუმენტების შესწავლა, რომლებიც მხარეებმა საქმეს დაურთეს:

ფაქტობრივი გარემოებები მოხსენებულია სამართლებრივ შეხედულებებთან ერთად, ხოლო პირადი შეფასებები მოცემულია სამეცნიერო

პუბლიკაციებიდან ან პრეცედენტული გადაწყვეტილებებიდან ციტატებთან ერთად, რასაც ემატება თანდართული საბუთები და დანართები, რაც დაკავშირებულია მხარეთა მოხსენებების განმარტებასთან ან მტკიცებასთან. ზოგჯერ მხარეები სამართლებრივი დავის მიმდინარეობისას ცვლიან მიცემულ ახსნა-განმარტებას, ასწორებენ მათ და აღმოჩნდებიან ხოლმე წინააღმდეგობაში.

ყოველივე ეს დაკავშირებულია უკვე მრავალგზის ნახსენებ შეჯიბრებითობის პრინციპთან, რომელიც ორივე მხარეს აძლევს შესაძლებლობას პირველ რიგში საკუთარი, ზოგჯერ ძალიან შემოკლებული ან სუბიექტურად შეფერილი ვერსია აღწერონ, გადმოსცენ, რაც ყოველთვის არ ემთხვევა ობიექტურ გარემოებებს. ზოგჯერ მათზე გავლენა პროცესის ტაქტიკურ შეფასებებსაც აქვთ. როგორც წესი, დროის ამ მონაკვეთში მხარეებისათვის ჯერ კიდევ უცნობია, თუ რა შესაგებელს წარადგენს მოწინააღმდეგე მხარე და როგორ შეფასებას მისცემს სასამართლო მოცემულ სამართლებრივ მდგომარეობას. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ხშირად აუცილებელია, განსაკუთრებით კი ადვოკატისათვის, რომელიც მხარეს წარმოადგენს, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები საკმაოდ ვრცლად იქნეს მოხსენებული, რათა სასამართლოს, განსხვავებული სამართლებრივი შეფასების შემთხვევაში, არ გამოჩნდეს მხედველობიდან საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები. მოწინააღმდეგე მხარის მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებების მოხსენების შემდეგ, არცთუ იშვიათად, დასაშვებია საკუთარი მოხსენების მოდიფიკაცია, რაც ზოგჯერ წინააღმდეგობაში მოდის თავდაპირველად გადმოცემულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან.

მიზანშეწონილია მოსამართლემ მკაცრად დაიცვას სისტემატურობა მუშაობისას, თუ მას სურს, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების ამგვარად მოხსენების შემთხვევაში მთლიანად არ დაკარგოს წარმოდგენა შექმნილ ვითარებაზე, მან უნდა განახორციელოს საქმის ფაქტობრივი გარემოებების და დავასთან დაკავშირებული სხვა მასალების დიფერენცირება, გადარჩევა და შინაარსობრივად სისტემატური სახის მიცემა.



როგორ უნდა გამოარკვიოს მოსამართლემ ორივე მხარის მიერ მოხსენებული განსაკუთრებით წინააღმდეგობრივი საქმის გარემოებები, რაზეც მან გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს?

პირველ რიგში, მან სიცხადე უნდა შეიტანოს საკითხში, თუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებს ორივე მხარე (საქმის უდავო ფაქტობრივი გარემოებები) და რომელ მათგანზე წარმოიშობა მათ შორის დავა (საქმის სადავო ფაქტობრივი გარემოებები).

ზემოთ აღწერილი წესის შესაბამისად საქმის ფაქტობრივი გარემოებების ჩამოყალიბებისა და აგებისათვის მოსამართლემ პრაქტიკაში შემდეგ ხერხს უნდა მიმართოს:

მან უნდა აიღოს ქალაქის ფურცელი, გაყოს შუაზე, მარცხენა მხარეს გააკეთოს აღნიშვნა „მოსარჩელე“, ხოლო მარჯვენა მხარეს „მოპასუხე“ და ჩამოწეროს შესაბამის გრაფაში მხარეთა მოთხოვნები. ერთი მხრივ, შესაძლოა ეს მარტივად გამოიყურებოდეს, მაგრამ, მეორე მხრივ, რთული წარმოების შემთხვევაში საკმაო მნიშვნელობას იძენს, რათა, უპირველეს ყოვლისა, მოსამართლეს ზუსტი წარმოდგენა შეექმნას, თუ სარჩელით რა მოთხოვნების დაკმაყოფილება სურთ მხარეებს განსახილველ შემთხვევაში.<sup>7</sup>

მოსამართლემ ასევე უნდა ჩაინიშნოს მხარეთა მოხსენება საქმის

---

<sup>7</sup> ერთ შემთხვევაში შესაძლოა მოსარჩელე მხოლოდ ნივთის ფასის გადახდას მოითხოვს, თუ იმავდროულად მონინააღმდეგე მხარეს, თავის მხრივ, ნივთის გადაცემა შესთავაზა? სხვა შემთხვევაში მოსარჩელე გადახდილი საზღაურის უკან დაბრუნებას, თუ მხოლოდ საპასუხო შესრულების, ნივთის უკან დაბრუნების ან გაქვითვის შემდეგ მიღებული სარგებლის ანაზღაურებას მოითხოვს? სურს მხარეს იმავდროულად დადგინდეს, რომ მოპასუხემ ნივთის მიღებისას უკან დაბრუნებისას ვალდებულების შესრულებისათვის დადგენილი ვადა დაარღვია? მხარე შესრულებას საკუთარი, თუ მესამე პირის სასარგებლოდ მოითხოვს? მიმართულია მოსარჩელის მოთხოვნა მოსამართლის მიერ მხოლოდ გარემოებათა დადგენისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მონინააღმდეგე მხარისათვის განსაზღვრული შესრულების განხორციელების შესახებ მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობა? შეად. დანვრილებით შემთხვევა №1, II, 1), ა).

ამ საკითხთა გარკვევას შესაძლოა განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდეს, როდესაც საუბარია, მაგალითად, უნდა იქონიოს თუ არა მოსამართლემ გავლენა შესაბამისი მოთხოვნის წარდგენაზე და/თუ გამოიტანოს გადაწყვეტილება მხარისათვის შესრულების შეუზღუდავად, თუ მხოლოდ შეზღუდულად (საპასუხო შესრულების მიღების შემდეგ) განხორციელების დაკისრების თაობაზე? დანვრილებით იხ. შემთხვევა №4.

მსგავსი პრობლემები შეიძლება წარმოიშვას, როდესაც პროცესის მიმდინარეობისას მოთხოვნები იცვლება, ფართოვდება ან მცირდება.



ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, შესაბამისად, ქალაქის მარცხენა ნახევარზე მოსარჩელის მოხსენება, ხოლო მარჯვენაზე – მოპასუხისა. იმ მიზნით, რომ შემდგომში გაადვილდეს ჩანიშნული მასალებისათვის თვალის გადავლება, უმჯობესია მხარეთა მიერ ერთი და იმავე თემაზე მოხსენებული შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების ქალაქზე ერთმანეთის გასწვრივ განთავსება.

დანვრილებით განსახილველი სხვა საკითხები და სიზუსტე, რომლითაც მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს მუშაობისას, გამომდინარეობს იმ ცალკეული სამართლებრივი დავების სპეციფიკიდან, რომლებზედაც უნდა იქნეს გამოტანილი გადაწყვეტილება.

მაგალითად, თუ საქმის მასალების პირველად გადახედვის შემდეგ მოსამართლემ დაადგინა, რომ სადავო პროცესში სამართლებრივი დავა, უპირველეს ყოვლისა, ნივთის ნაკლს შეეხება, ხოლო ხელშეკრულების დადების ფაქტი, როგორც ასეთი, მხარეთა მოხსენების შემდეგ დავის საგანს აღარ წარმოადგენს და ამ საკითხთან დაკავშირებით არც სხვა მოსაზრებები წარმოიშობა,<sup>8</sup> ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით მასალების შეგროვებისას მოსარჩელისათვის განკუთვნილ გრაფაში მას

---

<sup>8</sup> როგორც მოგვიანებით აღვნიშნავთ, მხარეთა მიერ გადმოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მოსაზრებები არ ბოჭავს მოსამართლეს (შეად. ქვემოთ, 6). მიუხედავად იმისა, რომ, მაგალითად, მხარეები მხოლოდ უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემის თაობაზე დავობენ, იგი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს სარჩელი სავალდებულო ფორმის დაუცველად ხელშეკრულების დადების გამო, რაც მის ბათილობას იწვევს, თუმცა, მოსამართლემ გადაწყვეტილების გამოტანამდე მხარეებს უნდა მიუთითოს ამ სამართლებრივ საკითხზე და შესაბამისად, მისცეს უფლების სასამართლო ნუსით დაცვის შესაძლებლობა: სსკ-ის 203-ე, 207-ე, 217-ე, 219-ე მუხლები. თუ მოსამართლის აზრით, მხარეების შეხედულებებისაგან განსხვავებით, საკითხი საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისას მნიშვნელობას ამ ასპექტში იძენს, მაშინ მოსამართლე მასალების შეგროვებისას შესაბამის ფაქტობრივ გარემოებებს უფრო ფართო ადგილს დაუთმობს.

<sup>9</sup> მაგალითად, ორივე მხარე თვლის, რომ დადებულია ნამდვილი ხელშეკრულება კორესპონდენციის გაცვლის შედეგად, დათარიღებული 1 მარტით.../15 მარტით... და დავობს მხოლოდ საკითხზე, ნამდვილია თუ არა მყიდველის მიერ მოგვიანებით განხორციელებული შეცვლა ან ხელშეკრულებაზე უარის თქმა. მოსამართლე, რომელმაც ჩვენს მიერ შემოთავაზებული გზით ზედმინეწიერ მოამზადა მასალები, მივა შედეგამდე, რომ მხარემ გადააცილა შესრულების მიღებისათვის დადგენილ ვადას და შესაბამისად, ხელშეკრულება ამ მიზეზის გამო არ ჩაითვლება დადებულად (სკ-ის 330-ე მუხლის მე-2 ნაწილი). იგივე შეიძლება ითქვას, მაგალითად, ხელშეკრულების პირობებში ცვლილების შეტანაზე, რის გამოც ხელშეკრულება ასევე არ ჩაითვლება დადებულად სკ-ის 333-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

შეუძლია შემდეგი მოკლე ჩანაწერის გაკეთება: „მხარეთა მიერ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, დათარიღებული...“, გასწვრივ კი, მოპასუხისათვის განკუთვნილ მხარეს მიუთითოს ნიშანი „+“, იმის აღსანიშნავად, რომ ეს საკითხი სადავო არ არის.

ამგვარი მოკლე ჩანაწერების გაკეთება ბევრ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რადგან პრაქტიკამ არაერთხელ დაადასტურა, რომ ერთი შეხედვით უკვე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებითაც კი, რომელთა თაობაზე არც ერთ მხარეს ეჭვი არ ეპარება, შესაძლოა წარმოიშვას პრობლემები, რომლებიც მხარეებს და მათთან ერთად მოსამართლესაც მხედველობიდან გამორჩათ, რამდენადაც ეს საკითხები ზედმინვენით არ იქნა შესწავლილი.<sup>9</sup>

თუ შემთხვევის პრობლემატიკა დაკავშირებულია გარემოებასთან – უნდა ჩაითვალოს თუ არა ხელშეკრულება დადებულად – მოსამართლის მიერ მასალების შეგროვება დიფერენცირებულად უნდა განხორციელდეს. მოსარჩელისათვის განკუთვნილ გრაფაში ამოტივიტივდება ისეთი საკითხები, როგორცაა ზუსტი თარიღები და ოფერტის შინაარსი, ხოლო გასწვრივ, მოპასუხისათვის განკუთვნილ გრაფაში – იგივე გარემოებებთან დაკავშირებით მოპასუხის მიერ მიცემული ახსნა-განმარტება.

თუ მხარეების ახსნა-განმარტებები ემთხვევა, მაშინ აქაც საკმარისია შემდეგი აღნიშვნა მოპასუხის გრაფაში: „+“ და პირიქით, თუ მხარეთა მოხსენება განსხვავებულია, მოსამართლემ სინოპტიკურად უნდა გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერები.

თუ მოსამართლე ამ ეტაპზე ჩაინერს მხარეთა მიერ წარსადგენ შესაბამის მტკიცებულებებს, მიზანშეწონილია, ჩანაწერის გაკეთება ფერადი ფანქრებით, რომ ადვილად განვასხვაოთ ჩანიშნული საქმის ფაქტობრივი გარემოებებისაგან. მუშაობას გააადვილებს აგრეთვე, თუ მოსამართლე აქვე მიუთითებს საქმის მასალების შესაბამის გვერდებს.

ამგვარად, ამ დროისათვის მოსამართლის მიერ შეგროვებული მასალები მოსარჩელისათვის განკუთვნილ გრაფაში ასეთ სახეს მიიღებს:

- „(1) მოსარჩელის ოფერტი, დათარიღებული... (საქმის მასალებში გვ...)“
- (2) მოპასუხის მიერ ზეპირად განხორციელებული აქცეპტი, დათა-

რიღებული...“

მოპასუხისათვის განკუთვნილ გრაფაში კი, მოსარჩელის მიერ მოხსენებული გარემოების (1) გასწვრივ განთავსებული იქნება ნიშანი „+“, თუკი ეს გარემოება არ არის სადავო. რაც შეეხება საქმის ფაქტობრივ გარემოებას აღნიშნულს ციფრით (2), მოცემული იქნება მოპასუხის განსხვავებული ვერსია, თუ მან თარიღთან და აქცეპტის განხორციელების თაობაზე გამოვლენილი ნების შინაარსთან დაკავშირებით სხვა მონაცემები წარადგინა: მაგალითად, თუ მან მოახსენა, რომ ოფერტის თაობაზე შემოთავაზება არა საკუთარი სახელით გააკეთა, არამედ, როგორც წარმომადგენელი სხვისი სახელით მოქმედებდა, რასაც, თავის მხრივ, მოსარჩელეც დაეთანხმა. მიზანშეწონილია, რომ მოსამართლემ აქვე ჩაინიშნოს, წარადგენს თუ არა მოპასუხე მტკიცებულების სახით მოწმის ჩვენებას.

შემდგომ, მოპასუხის გრაფაში უნდა ჩაინეროს მოსაზრებები, რომლებსაც მოპასუხე სარჩელს უპირისპირებს და რომელთა ირგვლივ მოსარჩელეს მოხსენებაში საკუთარი აზრი ჯერ კიდევ არ გამოუხატავს, რამდენადაც პროცესში ეს ახლად წამოჭრილი თემაა, მაგალითად, პუნქტი „(3)“, მოპასუხის მიერ შემდგომში განხორციელებული შეცვლა, პუნქტი „(4)“, ხელშეკრულებაზე უარის თქმა, პუნქტი „(5)“, უფლებები, რომლებიც წარმოიშობა გამყიდველის მიერ ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას პასუხისმგებლობის გამორიცხვის მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე და ა.შ.

როგორც წესი, სარჩელის წინააღმდეგ მიმართულ შესაგებლებს მოსარჩელე გამოეხმაურება ხოლმე. თვალსაჩინოებისათვის, მოსამართლე საქმის ფაქტობრივ გარემოებებში ამგვარ დამატებებს შეიტანს შეგროვებული მასალების შესაბამის ნაწილში, ანუ იქ, სადაც შინაარსობრივად მსგავსი ფაქტობრივი გარემოებებია განთავსებული.

თუ მოსარჩელე საქმის ფაქტობრივ გარემოებებს იმგვარად შეავსებს, რომ მოპასუხის მიერ აქცეპტის განხორციელების თავდაპირველად მითითებული დროის მონაკვეთის დადგენას მოწმეთა ჩვენებით აპირებს, მაშინ ეს დამატება შეტანილ უნდა იქნეს პუნქტში „(2)“, ისევე როგორც მოსარჩელის მითითება, რომ მოპასუხემ აქცეპტი

საკუთარი სახელით განახორციელა.

მოსარჩელის მიერ მოწოდებული მონაცემები, რომლებიც შეეხება იმ გარემოებებს, რომელთა დამტკიცებასაც მოპასუხე ცდილობს, კერძოდ, ამ უკანასკნელის მიერ განხორციელებულ შეცილებას, ხელშეკრულებაზე უარის თქმას და ნივთის ნაკლს, თვალსაჩინოებისათვის უნდა მოთავსდეს შეგროვებული მასალების იმ შესაბამისი პუნქტების გასწვრივ, რომლებიც აქამდე მხოლოდ მოპასუხის გრაფაში იყო მოცემული და ამგვარად, შეგროვებული მასალები უკვე სისტემატურ სახეს მიიღებს.

შეგროვებულ მასალას, ასევე, უნდა დაემატოს მოსარჩელის მიერ შემდგომ მოხსენებული ახალი გარემოებები, როგორცაა, მაგალითად, ის გარემოება, რომ მოპასუხემ უარყო უფლებები, რომლებიც შესაძლოა ნაკლის მქონე ნივთის გადაცემის გამო წარმოიშვას ან, რომ მოპასუხემ ნივთის ნაკლის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტშივე იცოდა, ანდა ის, რომ გამყიდველის მიერ ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას პასუხისმგებლობის გამორიცხვის მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე წარმოშობილი უფლებები ხანდაზმულია. ეს თემები უნდა მოთავსდეს შესაბამისი პუნქტების ქვეშ „(6), (7) და (8)“ ამჯერად მოსარჩელის გრაფაში, რასაც მოპასუხის გრაფაში და შესაბამის პუნქტებში დაუპირისპირდება ამ უკანასკნელის მოხსენება იგივე საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. თუ მხარეების მიერ მოხსენებული საქმის ფაქტობრივი გარემოებები შინაარსობრივად და თვალსაჩინოდ ვიზუალურად ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ შეგროვებულ მასალაში ცალკეული შეხედულებების ნუმერაცია, როგორც წესი, არ არის საჭირო.

საბოლოოდ, მხარეთა მიერ მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებები სინოპტიკურად ერთმანეთის გასწვრივ განთავსდა და სისტემატიზაცია თემების მიხედვით განხორციელდა.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლე მასალის შეგროვებისას არ იყოს ორიენტირებული იმ გარემოებაზე, თუ **როდის** მოახსენა მხარემ საქმის ესა თუ ის ფაქტობრივი გარემოება, არამედ – თუ **რას, რომელ პუნქტს** მიეკუთვნება სადავო მოხსენება

**შინაარსობრივად**, ე.ი. მასალების შეგროვება უნდა განხორციელდეს არა ქრონოლოგიური, არამედ **საგნობრივი** კრიტერიუმების მიხედვით.

მოსარჩელის მოხსენება	მოპასუხის მოხსენება
<p>I. მოთხოვნები: გადახდილი საზღაურის უკან დაბრუნება 12.000 ლარის ოდენობით (ფურცელთა რაოდენობა..., საქმეში გვერდი...)<sup>10</sup></p> <p>II. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:</p> <p>მხარეთა მიერ დადებული „ფოლქსვაგენ პასატის“ ნასყიდობის ხელშეკრულება, დათარიღებული... . ფასი: 12.000 ლარი.</p> <p>წერილობით გაფორმებული ხელშეკრულების მხარეები: მოსარჩელე და მოპასუხე.</p> <p>არ არის ნახსენები ხელშეკრულება წინა მფლობელთან.</p> <p>მოპასუხე ავტომანქანებით მოვაჭრეა.</p>	<p>სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს</p> <p>+</p> <p>+,</p> <p>მაგრამ თანამშრომელმა X-მა, სხვა ფორმულარი გამოიყენა, ავტომანქანა მას წინა მფლობელის სახელით უნდა გაეყიდა.</p> <p>+</p>

<sup>10</sup> გვერდები უნდა ჩაინიშნოს მიზნობრივად ყველა მონაცემის შესაბამისად.

<p>ავტომანქანაზე მოთავსებული აბრა: 75.000 კმ.</p>	<p>+</p>
<p>წერილობით გაფორმებული ხელშეკრულების სხვა პირობები: „წინა მფლობელის მიერ მონოდებული მონაცემების მიხედვით ავტომანქანას ავარია არ შემთხვევია.“</p>	<p>+</p>
<p>ნასყიდობა განხორციელდა გამყიდველის მიერ ნაკლის მქონე ნივთის გადაცემის გამო პასუხისმგებლობის გამორიცხვით.“</p>	<p>+</p>
<p>ავტომანქანის გადაცემიდან ექვსი თვის შემდეგ: ავტომანქანა შემომამდა სხვა სახელოსნოში და დადგინდა, რომ მას აქვს ავარიის შედეგად მიყენებული, ცუდად შეკეთებული დაზიანებები.</p>	<p>+,</p>
<p>ავარია არ მომხდარა ავტომანქანის გადაცემის შემდეგ.</p>	<p>მაგრამ ავარია, როგორც ჩანს, ნასყიდობის და ნივთის გადაცემის შემდეგ მოხდა.</p>
<p><i>მტკიცება: ექსპერტის დასკვნა, მოწმის, მოსარჩელის მეუღლის ჩვენება.</i></p>	<p><i>მტკიცება: ექსპერტის დასკვნა.</i></p>
<p>კილომეტრული მაჩვენებელი მცდარია.</p>	<p>კილომეტრული მაჩვენებელი სწორია.</p>
<p><i>მტკიცება: ექსპერტის დასკვნა</i></p>	<p><i>მტკიცება: ექსპერტის დასკვნა.</i></p>





პროცესუალური თვალსაზრისით საუბარია ზეპირი განხილვის ერთიანობის პრინციპზე. მხარეთა მიერ მოხსენებული საქმის ფაქტობრივი გარემოებები ითვლება ზეპირი განხილვის დროს ერთიანად მოხსენებულად და მოსამართლისათვის წარდგენილად, რაზეც მან გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს, მაშინაც კი, თუ საქმის ამ ფაქტობრივ გარემოებებს საქმის მომზადებისას წარმოდგენილი წერილობითი დოკუმენტები შეიცავენ, რომლებზედაც მხარეები ზეპირი განხილვისას მხოლოდ მიუთითებენ.

მოსამართლეს ერთიანად გამოაქვს გადაწყვეტილება მხარეთა მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე და ითვლება, რომ ისინი იმავდროულად მოხსენებულია საქმის ზეპირი განხილვისას.

საქმის უდავო ფაქტობრივი გარემოებები	მოსარჩელის მოხსენება საქმის სადავო ფაქტობრივი გარემოებების შესახებ	მოპასუხის მოხსენება საქმის სადავო ფაქტობრივი გარემოებების შესახებ	შედეგი
<p>მხარეებს შორის დადებული ნარდობის (სამშენებლო) ხელშეკრულება, დათარიღებული... შეეხება ობიექტს... (საქმის მასალებში გვერდი ...).<sup>14</sup></p>			

<sup>13</sup> აღწერილობითი ნაწილის შინაარსის და აგების თაობაზე იხ. ქვემოთ, მე-4 პარაგრაფი.

<sup>14</sup> შეად. ზემოთ, მე-10 სქოლიოს.

<p>წერილობით შეთანხმებული საზღაური, რომელიც შემკვეთმა მენარდეს უნდა გადაუხადოს... .</p>	<p>დამატებითი შეთანხმებები ზეპირად არ დადებულია.</p>	<p>ზეპირად იქნა შეთანხმებული: შემცირებული საზღაური... ოდენობით. მტკიცება: მონშეები <b>A</b> და <b>B</b>.</p>	<p>მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს, რომ არსებობს დამატებითი შეთანხმება. მონვეულ უნდა იქნეს მონშეები.</p>
<p>სამუშაოს მიღების თარიღი... .</p> <p>სამუშაოს მიღების შემდეგ მოპასუხე წარადგენს მოთხოვნებს ნაკეთობის ნაკლის №1,2,3, გამო (ზუსტი აღწერილობა).</p>	<p>ნაკლი №1,2,3 არ არსებობს.</p>	<p>ნაკლი №1,2,3 არსებობს: მტკიცება: ექსპერტის დასკვნა.</p>	<p>გამოთხოვილ უნდა იქნეს ექსპერტის დასკვნა. რადგან მოპასუხემ სამუშაო მიიღო, შესაბამისად, ნაკეთობის ნაკლის მტკიცების ტვირთი მას დაეკისრება.</p>
<p>ნაკლი №4: იატაკი დაზიანებულია.</p>	<p>ნაკლის №4 წარმოშობაში მოპასუხეს თავად მიუძღვის ბრალი, რამდენადაც</p>	<p>ნაკლი №4: იატაკის ნაკლი უვარგისი მასალით არის გამოწვეული</p>	<p>რამდენადაც იატაკის ნაკლი უდავოა, სამუშაოს მიღების/გადაცემის მო-</p>

	<p>მან იატაკის ექსპლუატაცია დროზე ადრე დაიწყო, მოსარჩელის გაფრთხილების მიუხედავად.  <i>მტკიცება: მოწმეები C და D.</i></p>	<p><i>მტკიცება: ექსპერტის დასკვნა</i>          მოპასუხეს იატაკის გამოყენება დროზე ადრე არ დაუწყია.  <i>მტკიცება: მოწმეები A და B.</i></p>	<p>მენტში ნაკლის არსებობის დადგენა შეიძლება მონმეთა დაკითხვით დაიწყოს, თუ <b>A</b> და <b>B</b> პროცესს ესწრებიან.          სამუშაოს მიღების შემდეგ ნაკეთობის ნაკლის მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრება. საპირისპიროს დამტკიცება ეკისრება მოსარჩელეს.          თუ ნაკლის წარმოშობის მიზეზისა და დროის დადგენა მონმეთა ჩვენებით შეუძლებელია, მაშინ საჭიროა ექსპერტის მონვევა.</p>
--	---	---	--

<p>ნაკლი №5.</p>	<p>ნაკლი №5: მოპასუხემ ეს ნაკლი სამუშაოს მიღებისას შეამჩნია და რადგან მან მოსარჩელეს საზღაური გადაუხადა, შესაბამისად, უარი განაცხადა საკუთარ უფლებებზე. <i>მტკიცება: მოწმე C.</i></p>	<p>ნაკლი არ შეუმჩნევია, უფლებებზე უარი არ განუცხადებია.</p>	<p>მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მოპასუხემ იცოდა ნაკეთობის ნაკლის შესახებ და უარყო საკუთარი უფლებები. <i>მონმე C.</i></p>
<p>წარმოდგენილია ქვითრები საზღაურის ... ოდენობით გადახდის შესახებ.</p>	<p>გადახდა განხორციელდა მხოლოდ კვოტირებული თანხის ფარგლებში.</p>	<p>კვოტირებული საზღაურის ზევით გადახდილი იქნა ნალდი ფული ... ოდენობით. <i>მტკიცება: მოწმე E.</i></p>	<p>ნალდი ფულის გადახდის დასადაგენად მონვეულ უნდა იქნეს მონმე . <i>მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს.</i></p>

საქმის მასალებიდან დიფერენცირებულად განხორციელებული ამონაწერი, რაც ზემოთ, მე-4 გრაფაშია მოცემული, მოკლედ უკვე შეიცავს სამართლებრივ შეფასებას და უკვე სცილდება მხოლოდ საქმის მასალების შეგროვების ფარგლებს. ფაქტობრივად, იგი წარმოადგენს ცხრილის ფორმით ჩამოყალიბებულ იურიდიულ შეფასებას<sup>15</sup> და ეხმარება მოსამართლეს საქმის ზეპირი განხილვისათვის მომზადებაში. სირთულის ხარისხის მიხედვით, სამართლებრივი დავის იურიდიული შეფასების ან ცალკეული სადავო საკითხების შესაბამისად, ამონაწერი უნდა შეივსოს.

---

<sup>15</sup> შეად. ქვემოთ, მე-6 პარაგრაფს...

<sup>16</sup> ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გამოცდილი მოსამართლეები პრაქტიკაში აღწერილობით ნაწილს ხშირად უშუალოდ საქმის მასალებიდან აგებენ და არ მიმართავენ საქმიდან სრული ამონაწერის შედგენის ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილ ფორმას. ამგვარ „შემოკლებას“ თან რისკი სდევს და ერთი მხრივ, მოითხოვს უკვე მნიშვნელოვან გამოცდილებას, როდესაც მოსამართლეს უკვე საქმის წაკითხვისთანავე შესწევს უნარი გამოიწინოს საქმის მნიშვნელოვანი შინაარსი ნაკლებად მნიშვნელოვანისაგან. მეორე მხრივ, მოსამართლეს უნდა ჰქონდეს კარგი მეხსიერება, რომ გადანყვეტილების პროექტისათვის წერილობითი ფორმის მიცემამდე მთლიანად დაიმახსოვროს საქმის მნიშვნელოვანი შინაარსი. ყველა შემთხვევაში, აუცილებელია აღწერილობითი ნაწილის და საქმის მასალების კიდევ ერთხელ შემოწმება, რათა დადგინდეს, რომ მოსამართლეს არაფერი გამოეჩინა მხედველობიდან და, განსაკუთრებით კი, დადგენილად არ მიიჩნია ისეთი გარემოებები, რომლებიც მხარეებს შორის სადავოა და პირიქით.

როგორც ჩანს, მასალების შეგროვებაზე უარის თქმა დასაშვებია, როდესაც საქმეს გამოცდილი მოსამართლე იხილავს და სამართლებრივი დავა საგნობრივად ნათლად არის ჩამოყალიბებული. რაც

იმის მიუხედავად, თუ მოსამართლე საბოლოოდ რომელ ვარიანტს მინიჭებს უპირატესობას, მოქმედებს შემდეგი:

ზემოთ ჩამოყალიბებული მაგალითის შესაბამისად შესაძლებელია მხარეთა ერთიანი მოხსენების დაყოფა და მისთვის სტრუქტურული სახის მიცემა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს სამუშაო ერთი შეხედვით ზედმეტად საფუძვლიანად, დანვრილებით შესრულებული ჩანს, რთული საქმეების დროს მხოლოდ ეს ხერხი თუ უზრუნველყოფს, რომ მოსამართლეს საქმისათვის მნიშვნელოვანი არც ერთი გარემოება არ გამოორჩეს მხედველობიდან.

ხშირად ამ მეთოდის გათვალისწინება განაპირობებს სამუშაო პროცესის მნიშვნელოვნად გამარტივებას და პროცესის დაჩქარებას, რადგან ამ გზით შესაძლებელია თავი ავარიდოთ მნიშვნელოვან დამატებით ხარჯებს, რომლებიც წარმოიშობა ზედმეტი, უდავო ან ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად მტკიცებულებათა შეგროვების, უარეს შემთხვევაში არასწორი გადაწყვეტილების გამო, რასაც მოჰყვება გადაწყვეტილების გაუქმება ან სარჩელის უკან დაბრუნება.

ამდენად, ამ მეთოდის გათვალისწინება განსაკუთრებით მიზანშეწონილია დამწყები სპეციალისტებისათვის.<sup>16</sup>

**4. sasamarTlo gadawyvetilebis aRwerilobiTi nawili ssk-is 249-e muxlis pirveli da me-3 nawilebis Sesabamisd**

ზემოთ აღწერილი მასალების შეგროვების მიზანია ხელი შეუწყოს მოსამართლეს სასამართლო გადაწყვეტილების მომზადებაში, განსაკუთრებით, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გადმოცემაში, რაც სამოსამართლო საქმიანობის საბოლოო, წერილობით ჩამოყალიბებულ გადაწყვეტილებაში უკვე აღარ გვხვდება. მასალების შეგროვება შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მნიშვნელოვან დამხმარე საშუალებად გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის აგებისას, რომელიც, თავის მხრივ, იძლევა ზუსტ და ერთმნიშვნელოვან ინფორმაციას, თუ რომელი

---

შეეხება ნაკლებად გამოცდილ მოსამართლეს, და ასევე მათ, ვისაც სურთ მეთოდურად და საფუძვლიანად გაეცნონ ჩვენს მიერ აღწერილ სამოსამართლო საქმიანობის ამ ხერხს, ვურჩევთ მის გამოყენებას, განსაკუთრებით რთული საქმეების განხილვისას.

ფაქტობრივი გარემოებებით იხელმძღვანელა სასამართლომ საქმეზე გადანყვეტილების გამოტანისას.

გარდა ამისა, კანონი მწირ ინფორმაციას იძლევა, თუ ზედმინწევით როგორ უნდა ჩამოყალიბდეს გადანყვეტილების აღწერილობითი ნაწილი სსკ-ის 249-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად. სსკ-ის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილი მოითხოვს, რომ იგი უნდა შეიცავდეს მითითებას მოსარჩელის მოთხოვნასა და მოპასუხის შესაგებელზე, რაც მოსამართლეს საკმაოდ ფართო სამოქმედო ასპარეზს აძლევს, რითიც სასამართლო პრაქტიკაში მან უნდა ისარგებლოს კიდევ. თუმცა, შესაძლოა პრობლემებიც წარმოიშვას. არა მხოლოდ მხარეებს უნდა შესწევდეთ უნარი კვლავ ზუსტად შეიცნონ და შეამოწმონ მათ მიერვე მოხსენებული, მოსამართლის მიერ აღწერილობით ნაწილში ასახული საქმის ფაქტობრივი გარემოებანი, არამედ იმ ინსტანციებსაც, რომლებშიც საქმე გასაჩივრდება, სადაც არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, თუ საქმის რომელი ფაქტობრივი გარემოებებით იხელმძღვანელა ქვედა ინსტანციამ და მათ საფუძველზე რა სამართლებრივი დასკვნები გამოიტანა.

პროცესუალური თვალსაზრისით ზემოთ აღნიშნული მნიშვნელოვანია იმ საკითხის გასარკვევად, წარადგენს თუ არა მხარე სააპელაციო სასამართლოში ახალ ფაქტებს, რაც მხოლოდ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას არის დასაშვები<sup>17</sup> და საერთოდ საქმის რომელი ფაქტობრივი გარემოებების შემოწმებაა შესაძლებელი საკასაციო სასამართლოს მიერ.<sup>18</sup> საპროცესო კოდექსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რამდენადაც მხარეებს გადანყვეტილების გამოტანის შემდეგაც აძლევს მასში დამატებებისა და შესწორების შეტანის შესაძლებლობას, რაც იმავე სასამართლოში ხორციელდება იმ მიზნით, ზემდგომ

<sup>17</sup> შეად. სსკ-ის 380-ე მუხლს.

<sup>18</sup> შეად. სსკ-ის 407-ე მუხლს.

<sup>19</sup> საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწორების თაობაზე ნათლად ფორმულირებულ დებულებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს. ამდენად, უნდა ვიფიქროთ სსკ-ის 260-ე, 261-ე მუხლების ანალოგიის წესით გამოყენებაზე, თუკი აღწერილობით ნაწილში მხარეთა მიერ მოხსენებული საქმის ფაქტობრივი გარემოებები არასწორად ან არასრულად არის გადმოცემული.



სასამართლო ინსტანციებში თავიდან იქნეს აცილებული სამართლებრივი ზიანი.<sup>19</sup>

რაც უფრო მნიშვნელოვანია აღწერილობითი ნაწილი საქმეზე შესაბამისი გადაწყვეტილების გამოსატანად, მით უფრო მკვეთრად განსხვავდება მისი გარეგნული სახე პრაქტიკაში. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხისადმი ერთიანი მიდგომა ჯერ კიდევ სრულად არაა დამკვიდრებული.

აღწერილობითი ნაწილი და მოტივაცია ყოველთვის ერთმანეთისაგან არ არის გამიჯნული და ინფორმაცია საქმის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ პირველად მხოლოდ სამოტივაციო ნაწილში გვხვდება, ისე, რომ ბუნდოვანია, თუ საიდან იცოდა სასამართლომ, რომ საქმე გვაქვს უდავო ან სადავო ფაქტობრივ გარემოებებთან, დამტკიცებულია თუ არა აღნიშნული გარემოებები, რომელმა მხარემ მოახსენა მათ შესახებ, თუ დასკვნები სასამართლომ თავად გამოიტანა.

---

<sup>20</sup> იგულისხმება შეგებებული სარჩელი ტექნიკური გაგებით სსკ-ის 188-ე მუხლის შესაბამისად და არა პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე სსკ-ის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის ბ) პუნქტის და მე-2 ნაწილის შესაბამისად.

ტერმინოლოგიის ერთიანობა კანონში ყოველთვის არ არის დაცული: ასე მაგალითად, სსკ-ის 189-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტი შეეხება არა შეგებებულ სარჩელს, არამედ წარმოადგენს მატერიალურ-სამართლებრივ ნების გამოვლენას (სსკ-ის 442-ე მუხლი), რაც ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ნების გამოვლენის შემდეგ საპირისპირო მოთხოვნის გაუქმებას განაპირობებს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. აღმჭურველი უფლების განხორციელებას უშუალოდ ეს სამართლებრივი შედეგი მოჰყვება ისე, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა საჭირო არ არის. აღნიშნული უშუალოდ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის მესამე თავის 443-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებიდან. შეცდომებისას მსგავსი მდგომარეობის შედარებისათვის იხ. ქვემოთ, შემთხვევა №4, B), II, 1), d), 1).

სსკ-ის 381-ე მუხლის მე-2 ნაწილადებით გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა გაქვითვისა და შეგებებული სარჩელის მიმართ.

მატერიალური სამართლის ნორმასთან, სსკ-ის 442-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 ნაწილადებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გაქვითვის მექანიზმი, რომელიც სპეციალურად და მხოლოდ იმ მოთხოვნისათვის არის გათვალისწინებული, რომლის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მოქმედებს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ურთიერთმოთხოვნათა შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, არამედ **ზოგადად** გაქვითვის ყველა შემთხვევაში.

ამდენად, სსკ-ის 442-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 ნაწილადება უნდა გავიგოთ როგორც ნორმის დამოუკიდებელი მე-3 ნაწილი ან ცალკე მუხლი, რომელიც წარმოადგენს გაქვითვის, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი ნების გამოვლენის შემთხვევას და შესაბამისად არის აღმჭურველი უფლების განხორციელების ერთ-ერთი მაგალითი.

ამ შედეგის მიღწევა კანონის განმარტების გზით არის შესაძლებელი.

ქვემოთ მოცემული მითითებანი დაეხმარება მოსამართლეს გადაწყვეტილებისათვის სტრუქტურული, ნათლად ჩამოყალიბებული სახის მიცემაში. უპირველეს ყოვლისა, მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები, ანუ, დადგინდეს განსხვავება გადაწყვეტილების მოტივაციასა და მის საგანს, კერძოდ, საქმის ფაქტობრივ გარემოებებს შორის, რომლებზედაც სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს.

როგორ ხდება აღწერილობითი ნაწილის აგება? მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ ითვალისწინებს აღწერილობითი ნაწილის აგების სავალდებულო წესს, სასამართლო პრაქტიკამ მიზანშეწონილია დაამკვიდროს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მისი აგების შემდეგი წესი:

- (1). საქმის უდავო ფაქტობრივი გარემოებანი
- (2). საქმის სადავო ფაქტობრივი გარემოებანი (ე.წ. მოსარჩელის სტადია)
- (3). მოსარჩელის მოთხოვნა
- (4). მოპასუხის მოთხოვნა
- (5). მოპასუხის მიერ მოხსენებული საქმის სადავო ფაქტობრივი გარემოებანი (ე.წ. მოპასუხის სტადია)
- (6). მითითება სასამართლოს მიერ შეგროვებულ მტკიცებულებებზე და შესაძლო, სასამართლოს მიერ დამატებით დადგენილ გარემოებებზე, როგორცაა გარემოებები დადგენილი საქმეზე თანდართული მასალებიდან, საბუთებიდან და ა.შ. (ე.წ. პროცესის სტადია).

თუ შეტანილია შეგებებული სარჩელი,<sup>20</sup> მაშინ აღწერილობითი ნაწილის აგებისას პუნქტს (5) დაემატება ორი ქვეპუნქტი: (5ა) მოპასუხის პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და (5ბ) შეგებებული სარჩელის

<sup>20</sup> მაგალითად, მოსარჩელე მოპასუხისაგან მიწოდებული საქონლისათვის ფასის გადახდას, ხოლო მოპასუხე მოსარჩელისგან ვალის უკან დაბრუნებას მოითხოვს, რის საფუძველსაც მათ შორის დადებული გარიგება წარმოადგენს.

<sup>21</sup> საუბარია სსკ-ის 189-ე მუხლის მე-2 ნაწილის გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებზე. გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის ამგვარად აგება ასევე შესაძლებელია კაზუსების №1 და №2ა შემთხვევებში, შინაარსობრივი მჭიდრო ურთიერთკავშირის გამო. საბოლოოდ, მოსამართლემ უნდა შეარჩიოს აგების ის ხერხი, რომელიც მკითხველს ყველაზე მეტად შეუმსუბუქებს გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის გაგებას.

ფარგლებში მოპასუხის მოხსენება საქმის ახალი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. (5ბ) პუნქტს უნდა მოჰყვეს პუნქტი (6), რომელიც შეეხება მოპასუხის შეგებებულ სარჩელში ჩამოყალიბებულ მოთხოვნას და შემდეგ – პუნქტი (7), მოსარჩელის მოთხოვნა შეგებებულ სარჩელზე უარის თქმის შესახებ. ბოლოს კი ჩამოყალიბდება პუნქტი (8) მოსარჩელის მიერ მოპასუხის შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების საპირისპირო საგნობრივი მოხსენება. ამ ვარიანტში ზემოთ მითითებული პუნქტი (6), რომელიც სასამართლოს მიერ შეგროვებულ მტკიცებულებებს შეეხება..., გარდაიქმნება პუნქტად (9).

ყოველივე ერთი შეხედვით შესაძლოა რთულად მოგვეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში საკმაოდ მარტივია. შეგებებული სარჩელის აგების მაგალითი მკითხველს შეუძლია იხილოს ქვემოთ - შემთხვევაში №2ბ, პუნქტი 5).

შეგებებული სარჩელის ამგვარად აგება შესაძლებელია, თუ სარჩელსა და შეგებებულ სარჩელს შორის უშუალო საგნობრივი ურთიერთკავშირი არ არსებობს, ანუ, ორივე სარჩელი მთლიანად ერთი და იმავე თემატიკას არ შეეხება.<sup>21</sup>

გადაწყვეტილების აგების ზემოთ აღწერილ სქემას აქვს ალტერნატივა, როდესაც სარჩელი და შეგებებული სარჩელი შინაარსობრივად მთლიანად ან მეტწილად ერთი და იგივე თემატიკას მოიცავენ, რასაც სსკ-ის 189-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) ქვეპუნქტი ითვალისწინებს.<sup>22</sup>

ამ შემთხვევაში მოპასუხის მოთხოვნას - უარი ეთქვას სარჩელს დაკმაყოფილებაზე, პუნქტი (4), მოჰყვება შეგებებულ სარჩელში ჩამოყალიბებული მოთხოვნა, პუნქტი (4ა) და შემდგომ პუნქტი (4ბ), მოსარჩელის მოთხოვნა უარი ეთქვას შეგებებულ სარჩელს. (5) პუნქტის ქვეშ ჩამო-

<sup>23</sup> შეგებებული სარჩელის აღძვრის შემთხვევაში ნუმერაცია გადაინევს წინამდებარე სქემის შესაბამისად.

<sup>24</sup> შესაძლოა, რომ აპელანტი ან, ან – მოსარჩელე, პირველი ინსტანციის მოსარჩელე ან მოპასუხე იყოს.

<sup>25</sup> იგივე, რაც აღნიშნულია წინამ.სქოლიოში.

<sup>26</sup> შეგებებული სარჩელის დასაშვებობის თაობაზე შეად. სსკ-ის 381-ე მუხლის მე-2 ნაწილადებას.

ყალიბდება მოპასუხის მოხსენება, რომელიც თავის მხრივ დაიყოფა ორ პუნქტად: (5ა), რომელიც შეეხება სარჩელთან დაკავშირებით გამოხატულ მოსაზრებებს და (5ბ), რომელიც შეეხება შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს.

ასეთი შემთხვევებისათვის მოსარჩელის მიერ დავის საგანთან დაკავშირებით მოსაზრებების გამოთქმისათვის შემდგომი სტადიის დათმობა, როგორც წესი, არ არის მიზანშეწონილი, რადგან მჭიდრო შინაარსობრივი ურთიერთკავშირის გამო საქმის უდავო ფაქტობრივ გარემოებებში, პუნქტი (1) ან მოსარჩელის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებში, პუნქტი (2) უკვე გადმოცემულია ყოველივე, რის მოხსენებასაც მოსარჩელე აპირებს.

აღწერილობითი ნაწილის აგების სქემაში მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისას შეტანილ უნდა იქნეს დამატებანი და სამუშაო შესაბამისად გაგრძელდეს. ამასთან, ძირითადად უნდა იხელმძღვანელონ არა შეგებებული სარჩელით, არამედ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით.<sup>23</sup>

(7). პირველი ინსტანციის სასამართლოს სამოტივაციო ნაწილის შეჯამებული გადმოცემა

(8). აპელანტი-მოსარჩელის სააპელაციო მოხსენება<sup>24</sup>

(9). აპელანტი-მოსარჩელის სააპელაციო მოთხოვნა<sup>25</sup>

(10). აპელანტი-მოპასუხის საპასუხო მოთხოვნა უარი ეთქვას სააპელაციო საჩივარს

(11). აპელანტი-მოპასუხის მოხსენება

(12). პროცესის სტადია (იგივე ზემოთ მოცემული პუნქტი (6)).

შესაძლებელია წინამდებარე სქემებში დამატებების შეტანა და

---

<sup>27</sup> უნდა აღინიშნოს საქმის შემადგენლობის გადმოცემის თავისებურებების შესახებ წმინდა სასამართლებრივ ინსტანციაში, კასაციაში. როგორც წესი, აქ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ხელახლა გადმოცემით და მის წინააღმდეგ მიმართული ან სასამართლოს ინიციატივით გასათვალისწინებელი კასაციის საფუძვლებით უნდა შემოვიფარგლოთ, რადგან მოწინააღმდეგე მხარის მიერ მიცემული ახსნა-განმარტების საწინააღმდეგო მოსაზრებების გადმოცემა მხოლოდ მოკლედ არის დასაშვები, რამდენადაც გამორიცხულია ფაქტობრივ საკითხებზე დავა და მოსამართლე შებოჭილია შეცვლად გადაწყვეტილებაში ასახული, დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებებით სსკ-ის 407-ე მუხლის შესაბამისად.

ვარიაცია, თუ **ორივე** მხარე ასაჩივრებს გადაწყვეტილებას ან როდესაც მხოლოდ სააპელაციო ინსტანციაშია შეგებებული სარჩელი შეტანილი.

<sup>26</sup> აგების სხვადასხვა ვარიანტის შერჩევისას პირველ რიგში იმ გარემოებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომ მკითხველი არ დავაბნოთ მრავალი ალტერნატივის შეთავაზებით. შემთხვევის ასეთი რთული აგებულებისას (კონსტელაციისას) მიზანშეწონილია, რომ შემოთავაზებული დაყოფის კრიტერიუმებს მივმართოთ და შესაბამისად მოხდეს აგების სხვადასხვა სტადიისათვის სისტემატური სახის მიცემა.

ზემოთ აღწერილი პრინციპების გამოყენების მაგალითებს მკითხველი იხილავს ამ ნიგნის მეორე ნაწილში ცალკეულ შემთხვევებში ჩამოყალიბებული აღწერილობითი ნაწილის მაგალითზე.

დაყოფის ამ სტრუქტურის გამოყენებისას მოსამართლეს, უწინარეს ყოვლისა, მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს, რომ გადმოცემის ეს მეთოდები კანონით არ არის დადგენილი და გერმანიაშიც მხოლოდ სასამართლო პრაქტიკის შედეგად განვითარდა, რათა აღწერილობითი ნაწილი გადაწყვეტილებაში ნათლად და ერთიანად იქნეს ფორმულირებული.

თუმცა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს სქემები, როგორც **დამხმარე საშუალება**, პრაქტიკაში შეუზღუდავად დაცულია და მათ ერთმნიშვნელოვნად ყველა სასამართლო იყენებს. ამგვარად, პრაქტიკულად პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებების აგება ამ სქემების შესაბამისად ხორციელდება,<sup>27</sup> რაც შესაძლებლობას აძლევს მკითხველს და უპირველეს ყოვლისა მხარეებს და მათ წარმომადგენლებს, ასევე შემდგომი ინსტანციის მოსამართლეებსაც, რომ გადაწყვეტილებისათვის თვალის გადავლებით ნათელი წარმოდგენა შეექმნათ შესაბამისი პროცესის საგანზე და სამართლებრივ დავაზე მთლიანად.

იგივე შეიძლება ითქვას იმ პირებზეც, რომლებიც, მართალია, არ არიან პროცესის მონაწილენი, მაგრამ გარკვეული ინტერესი აქვთ, მაგალითად, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო კუთხით. ზემოთ აღნიშნულს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, თუ მხედველობაში მივიღებთ

<sup>28</sup> იხ. ზემოთ, აგების წესი, პუნქტი (1).

იმას, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები ქვეყნდება.

თუმცა, რადგან მხოლოდ **დამხმარე საშუალებაზეა** საუბარია, ყველაზე მკაცრი სქემაც კი **გასაგები** უნდა იყოს: სწორედ ამაზე უნდა იყოს ორიენტირებული გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი. ამ საფუძველით ყოველთვის დასაშვებია მოდიფიკაციებიც, თუ ეს აუცილებელია და შეამსუბუქებს მკითხველის მიერ მის გაგებას.

როგორც წესი, აღწერილობითი ნაწილისათვის წინამდებარე მაგალითის შესაბამისად სტრუქტურული სახის მიცემა მთელ რიგ უპირატესობებს ითვალისწინებს მისი გაგების თვალსაზრისით.

ამდენად, ვფიქრობთ ამ მეთოდის გათვალისწინება მოსამართლისათვის მიზანშეწონილი უნდა იყოს.

ამ თავს დავასრულებთ ორი სპეციალური საკითხის განხილვით, რომელიც შესაძლოა აღწერილობითი ნაწილის აგებისას წამოიჭრას:

პირველი საკითხი შეეხება აღწერილობითი ნაწილის შესავალს, უკვე პირველივე სტადიაზე, კერძოდ, საქმის უდავო შემადგენლობას<sup>29</sup>. ხშირ შემთხვევაში შესავალი ეხმარება მკითხველს ადვილად გააგრძელოს აღწერილობითი ნაწილის კითხვა და ერთი შეხედვით შეექმნას წარმოდგენა მხარეთა დავის საკვანძო საკითხებზე. მაგალითად: „ნასყიდობის საფუძველზე მოსარჩელე მოპასუხისაგან ავტომანქანის, მარკა..., დარჩენილი თანხის გადახდას მოითხოვს ... ოდენობით...“, რასაც მოჰყვება მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობის ამსახველი უდავო ფაქტები და შემდეგ – დანარჩენი სტადიები ზემოთ მოყვანილი მაგალითის შესაბამისად.

ან: „მოსარჩელე მოპასუხისაგან ვალის უკან დაბრუნებას მოითხოვს“.

ან: „აღძრულ სარჩელსა და შეგებებულ სარჩელში მხარეები დავობენ ბანკის, X-ის მიერ მის სასარგებლოდ გახსნილი ანგარიშიდან გადახდას...“

ყველა ეს შემთხვევა მიმართულებას აძლევს მკითხველს უშუალოდ დავის საგნისა და სამართლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით და

<sup>29</sup> იხ. ზემოთ, აგების წესი, პუნქტი (2).

<sup>30</sup> იხ. ზემოთ, აგების წესი, პუნქტი (5).

<sup>31</sup> ძირითადი დებულება ზეპირი განხილვის ერთიანობის შესახებ.

უადვილებს მას კონკრეტული სამართლებრივი დავის აღქმას.

ამდენად, შესავლის სახით რამდენიმე წინადადების გადმოცემა მიზანშეწონილი უნდა იყოს.

სხვა შემთხვევებში საქმე ზოგჯერ უფრო რთულად არის, როდესაც ადვილად გასაგები შესავლის ფორმულირება ძნელი ან საერთოდ შეუძლებელია, მაგალითად, მემკვიდრეობის თაობაზე წამოჭრილი სამართლებრივი დავები, რომლებშიც მრავალი მონაწილე ან სამენარმეო დავები სხვადასხვა პირებთან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობებით. ამ დროს უმჯობესია, რომ მივუთითოთ მონაწილეებზე და მათ შორის არსებულ პერსონალურ ან სამართლებრივ ურთიერთობებზე, ასევე ისტორიულად უნდა აღვწეროთ საქმის მნიშვნელოვანი გარემოებები და მხოლოდ საქმის უდავო ფაქტების გადმოცემის შემდეგ შევუდგეთ მოსარჩელის სტადიისა<sup>29</sup> და სასარჩელო მოთხოვნების ჩამოყალიბებას.

აქაც მოქმედებს ზემოთ აღნიშნული ძირითადი პრინციპი, რომლის შესაბამისად მკაცრ სქემატურ დებულებებს ყოველთვის უპირისპირდება მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, რომ ტექსტი გასაგებად უნდა იყოს გადმოცემული.

ხშირად ეჭვს იწვევს ე.წ. რეპლიკასთან დაკავშირებული საკითხი: იგულისხმება სიტუაცია, როდესაც ახალი ფაქტების მოხსენება პირველად მხოლოდ მოპასუხის სტადიაზე<sup>30</sup> ხდება, რაზეც მოსარჩელეს შემდგომში წერილობითი პასუხის (შესაგებლის) წარდგენა შეუძლია. ზემოთ არა ერთხელ აღინიშნა, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების გადმოცემისას ნაკლებად მნიშვნელოვანია გარემოება, თუ დროის რომელ მონაკვეთში მოახსენეს მხარეებმა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. მათ მიერ გაკეთებული მოხსენება ჩაითვლება საქმის ზეპირ განხილვაზე გადმოცემულ ერთიან მოხსენებად.<sup>31</sup>

ამგვარად, მოსარჩელის საქმის ფაქტობრივი გარემოებების

<sup>29</sup> იხ. ზემოთ, აგების წესი, პუნქტი (5).

<sup>30</sup> იხ. პუნქტი (5ა).

<sup>31</sup> სსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეჯიბრობითობის პრინციპი განსხვავებით სამძებრო (ინკვიზიციური) პრინციპისაგან.



მოხსენება მოსარჩელის სტადიაზე ერთიანად უნდა შეჯამდეს და გადმოიციეს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელის მოხსენება, რომელიც მხოლოდ მოპასუხის შესაგებებელზე წარდგენილ პასუხს წარმოადგენს, ხშირად მხოლოდ ამ ასპექტში ხდება გასაგები. ამდენად, მოპასუხის მოხსენება შესაძლოა ერთგვარ წინაპირობად ჩავთვალოთ, რომელიც ხელს უწყობს მოსარჩელის მიერ გადმოცემულ მოსაზრებათა გაგებას.

სწორედ ასეთ შემთხვევებშია მიზანშეწონილი ე.წ. **რეპლიკის** შესაძლებლობის გამოყენება, ანუ, მოპასუხის სტადიას<sup>32</sup> უნდა მოჰყვეს დამატებით მოსარჩელის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმა.<sup>33</sup> პროცესი ამგვარად მიმდინარეობს, როდესაც, მაგალითად, მოპასუხის მიერ წარდგენილია რთული შესაგებებლები, დაწვრილებით არის გადმოცემული უფლებები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას უნაკლო ნივთის გადაცემის მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე, რაზეც მოსარჩელემ პასუხი უნდა წარადგინოს და მიუთითოს, რომ სადავო თვისებები სამოქალაქო ბრუნვაში მიღებული ხარისხისაა, მოპასუხემ თავიდანვე იცოდა მათ შესახებ, მოგვიანებით კი მისაღებად მიიჩნია. პასუხისმგებლობის გამორიცხვის მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე წარმოშობილი უფლებები კი ხანდაზმულია.

მოსარჩელის ამ მოსაზრებათა გაგება, როგორც წესი, მხოლოდ მოპასუხის შესაგებებლების გაცნობის შემდეგ არის შესაძლებელი.

## 5. faqtebis miTiTebis tvirTi

წინა პარაგრაფში ბევრი ვისაუბრეთ მხარეთა მიერ მოხსენებულ საქმის უდავო და სადავო ფაქტობრივ გარემოებებზე და თუ როგორ უნდა დაამუშაოს ისინი მოსამართლემ. უდავოა, რომ, როგორც წესი, მხოლოდ

---

<sup>35</sup> შეად. სსკ-ის 127-ე მუხლის პირველის ნაწილის ბოლო წინადადების მეორე ნახევარს.

<sup>36</sup> შეად. სსკ-ის მე-3 მუხლს.

<sup>37</sup> სსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი.

მხარეების მიერ მოხსენებული ფაქტები შეადგენს მტკიცების საგანს, ე.ი. მათი დადგენის მიზნით წარმოებს მტკიცებულებათა შეგროვება.<sup>34</sup> გამო-  
ნაკლისთან გვაქვს საქმე, როდესაც საუბარია ფაქტებზე, რომლებიც  
სასამართლომ თავად გამოარკვია სხვა საქმის განხილვისას ან თუ საქმის  
შინაარსი საყოველთაოდ არის ცნობილი. სასამართლო უფლებამოსილია,  
რომ ამ გზით დადგენილი ფაქტები ასევე დაუდოს საფუძვლად გადანყე-  
ვტილებას, რაც სსკ-ის 106-ე მუხლის შესაბამისი გამოყენებიდან  
გამომდინარეობს, რომელიც უშუალოდ შეეხება ფაქტებს, რომლებიც **არ  
საჭიროებენ მტკიცებას**. იგივე შეიძლება ითქვას **ფაქტების  
მოხსენებაზე**.

სასამართლომ მხარეებს, პირველ რიგში, ამ გარემოებებზე უნდა  
მიუთითოს და მისცეს მათ ამ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი  
მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. შესაბამისად, ეს ფაქტებიც  
მხარეთა მოხსენების შემადგენელ ნაწილად იქცევიან.

თუ მხარეები განსაზღვრავენ სამართლებრივი დავის ფაქტობრივ ში-  
ნაარსს, მაშინ საქმის მასალების წარმოდგენის **უფლებასთან** ერთად მხა-  
რეებს **მოვალეობა** დაეკისრებათ, რომ გამოთქვან საკუთარი აზრი საქ-  
მისათვის მნიშვნელოვან ყველა ფაქტობრივ საკითხზე. საუბარია ე.წ.  
მხარეთა ტვირთზე მიუთითონ ფაქტებზე ანუ *ფაქტების მითითების  
ტვირთზე*.<sup>35</sup> ამასთან, ბუნებრივია, რომ არც ერთი მხარე არ არის  
**ვალდებული**, აუცილებლად გამოხატოს თავისი მოსაზრება  
განსაზღვრულ ფაქტებთან დაკავშირებით. არც სასამართლოს აქვს  
უფლება **აიძულოს** მხარე განახორციელოს აღნიშნული მოქმედება. ასეთი

---

\* გერმანულ სამართალში ამგვარ მოვალეობებს *Obliegenheiten* ეწოდება, რომლის ზუსტი ქარ-  
თული თარგმანი არ არსებობს. ამიტომ გადავწყვიტეთ გამოგვეყენებინა ცნება ფაკულტატური მოვა-  
ლეობები.

<sup>38</sup> ცნების ტიპური მაგალითი გვხვდება სადაზღვევო ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებში:  
სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მზღვეველი მოვალეა განახორციელოს მთელი რიგი ღო-  
ნისძიებები, პირველ რიგში, მიაწოდოს მზღვეველს შესაბამისი შეტყობინება, ხოლო ქურდობის შემთ-  
ხვევაში მიყენებული ზიანის თაობაზე მონაცემები – პოლიციას და ა.შ. თუმცა, ამ მოვალეობის გან-  
ხორციელება სავალდებულო არ არის. თუ იგი არ ისარგებლებს ამ ფაკულტატური მოვალეობით  
(*Obliegenheiten*), მას ზიანი მიაღება და შესაძლოა მთლიანად დაკარგოს მის სასარგებლოდ დაზღვევით  
გათვალისწინებული დაცვის მექანიზმები.

იძულება წინააღმდეგობაში მოვა შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის ძირითად პრინციპებთან,<sup>36</sup> რომელთა შესაბამისად, თითოეულმა მხარემ თავად უნდა განსაზღვროს, მიიღოს თუ არა პროცესში მონაწილეობა და რა მოცულობით. მაგალითად, მხარეს უფლება აქვს უარი განაცხადოს ნებისმიერი უფლების დაცვასა და ახსნა-განმარტების მიცემაზე და ცნოს მონაწილეობა მხარის მოთხოვნა.<sup>37</sup> ასევე მას შეუძლია თავი შეიკავოს დავის ნებისმიერ საგანთან დაკავშირებით მოსაზრების გამოთქმისაგან.

ფაქტების მითითების ტვირთი სამოქალაქო პროცესში გულისხმობს, რომ პროცესუალური თვალსაზრისით მხარე უფლებამოსილია გამოხატოს მოსაზრება განსაზღვრულ ფაქტებთან დაკავშირებით, თუ მას სურს თავისი უფლებების დაცვა. საპირისპირო შემთხვევაში მის მიმართ იძულება არ იქნება გამოყენებული, თუმცა, პროცესუალური თვალსაზრისით ის წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდება. ამ მოვალეობებს\*, რომელთა შესრულება იძულებით არ ხდება, ე.ი. სავალდებულო არ არის, მაგრამ მათი უგულებელყოფა ხშირად ამ მოვალეობის სუბიექტს არახელსაყრელ პირობებში აყენებს, უწოდებენ ფაკულტატურ მოვალეობებს. ამ ცნებას ვხვდებით როგორც საპროცესო, ისე მატერიალურ სამართალში.<sup>38</sup>

საპროცესო სამართალში ამგვარ **ფაკულტატურ მოვალეობებს განეკუთვნება მითითების ტვირთი**. თუ მხარე ხელიდან გაუშვებს ამ მოვალეობის გამოყენების შესაძლებლობას და არ მისცემს ახსნა-განმარტებას განსაზღვრულ ფაქტთან დაკავშირებით, რომელზედაც მას უნდა გამოეხატა საკუთარი მოსაზრება, მაშინ პროცესუალური თვალსაზრისით ის წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდება და ხელშეკრულება მონაწილეობა მხარესთან დადებულად, ხოლო შესაბამისი ფაქტი უდავოდ ჩაითვლება და მისი შემდგომში მტკიცების შესაძლებლობა მხარეს აღარ მიეცემა. სასამართლო ამ გარემოებას დადგენილად მიიჩნევს და საფუძვლად დაუდებს გადაწყვეტილებას.

ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ საკუთარი მოსაზრება პროცესისათვის მნიშვნელოვან საკითხთაგან მხოლოდ ერთ-ერთზე, ზოგადად გამოთქვას, მაგალითად განაცხადოს, რომ მთლიანად უარყოფს

მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. გამოსატული მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა იყოს ჩამოყალიბებული და მოიცავდეს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ყველა გარემოებას. კონკრეტულ ფაქტებზე მითითება და ამ ფაქტებზე განმარტებების წარდგენის მოვალეობა განეკუთვნება მხარეთა მიერ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითების ტვირთს.

თუ მხარეების მოხსენება არ აკმაყოფილებს ფაქტობრივ მოვალეობისათვის დადგენილ მოთხოვნებს, ჩაითვლება, რომ მოხსენება არ არის დეტალურად და კონკრეტულად ჩამოყალიბებული, არ წარმოადგენს მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოხსენებული ფაქტობრივი გარემოების **ნამდვილ უარყოფას** და სასამართლო მას არ გაითვალისწინებს.

თუ რამდენად კონკრეტული და დეტალური უნდა იყოს მხარის მიერ მიცემული განმარტება, ამაზე პასუხის ზოგადად გაცემა მეტად რთულია. საკითხი ცალკეული შემთხვევების განხილვისას უნდა გადაწყდეს და მოითხოვს სამოსამართლო საქმიანობის საკმაო გამოცდილებას. ერთი კი ნათელია, მოსამართლემ მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ, მართალია, მას საქმე მხოლოდ ფაქტების დადგენასთან აქვს, მაგრამ უკვე სამართლებრივი შეფასებაც იძენს თავის მნიშვნელობას: კერძოდ, **საპროცესო-სამართლებრივი** საკითხი, თუ რა ფარგლებშია მოსალოდნელი მხარეთა მიერ საქმის სპეციფიური ფაქტობრივი გარემოებების მოხსენება. ამ შემთხვევაში წამოიჭრება მოთხოვნის დასაშვებობის კრიტერიუმების და შესაბამისად, საბოლოოდ – სამართლებრივი შეფასების საკითხი.

ძირითადად უნდა აღინიშნოს, რომ, რაც უფრო მეტად მოითხოვენ მხარეებისაგან ახსნა-განმარტებას საქმის არსთან ახლოს და საკუთარ სფეროში სადავო ფაქტებზე მითითებას, მით უფრო ნაკლები სადავო საკითხი აისახება საქმეში. ზოგადი ხასიათის მტკიცება ან ზოგადი ხასიათის უარყოფა დასაშვებია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც მნიშვნელოვანი ფაქტები მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის სფეროში იქნა მოხსენებული, ხოლო მხარეს არა აქვს შესაძლებლობა ცნოს ესა თუ ის გარემოება.

მაგალითად, თუ მხარე აღწერს როგორი გულისხმიერებით შეფუთა გასაგზავნი საქონელი და ამტკიცებს, რომ გადამზიდველს შესაბამისი მითითებები მისცა, თუ როგორ უნდა განხორციელდეს საქონლის ტრანსპორტირება, დაზიანებული საქონლის მიმღები უფლებამოსილია ზოგადად უარყოს მტკიცების პირველი პუნქტი და მიუთითოს, რომ საქონლის მიღებისას მან თავად ნახა, თუ როგორ იყო იგი შეფუთული, თუმცა, შემდეგ დეტალურად უნდა აღწეროს შეფუთვის მდგომარეობა. რაც შეეხება გამგზავნისა და გადამზიდველს შორის შემდგარ საუბრებს, მას ასევე შეუძლია ამ გარემოების ზოგადი უარყოფით შემოიფარგლოს, რომ მას ამ გარემოების შესახებ არც უნდა სცოდნოდა.

ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია მხარეებს მოსთხოვოს, რომ მოახსენონ მათთვის ცნობილი ყველა გარემოების შესახებ და საჭიროებისას წარადგინონ შესაბამისი ცნობებიც. თუ სადავოა საკითხი, თუ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში სად განხორციელდა გადახდა: ბანკში, სადაც მას ანგარიში აქვს გახსნილი, თუ მოთხოვნისთანავე საკუთარ ფირმაში და ამის შესახებ მხარეს პირადად არც უნდა სცოდნოდა, მან თანამშრომლები უნდა გამოჰკითხოს და მეორე მხარის მტკიცების მხოლოდ ზოგადი უარყოფით არ შემოიფარგლოს. სხვა შემთხვევაში მხარის მოხსენების ამ პუნქტს სასამართლო მხედველობაში არ მიიღებს და ფაქტებს დადგენილად მხოლოდ მეორე მხარის მიერ მიცემული ახსნა-განმარტების საფუძველზე მიიჩნევს და გადანყვეტილებას საფუძველად დაუდებს.

იგივე შეიძლება ითქვას შრომითი დავების შესახებ, როდესაც მუშა-მოსამსახურე სამუშაოს მიმცემის მიერ მისი სამსახურიდან დათხოვნის შესახებ და ამ უკანასკნელის მიერ მიცემულ სპეციფიურ ახსნა-განმარტებაზე, რომ მუშა-მოსამსახურემ მრავალი დაუდევარი საქციელი ჩაიდინა, მხოლოდ ზოგადი განცხადებით გასცემს პასუხს, რომ სამუშაოს ყოველთვის კეთილსინდისიერად ასრულებდა. ფაქტების მითითების ტვირთის და მხოლოდ საქმის არსის ირგვლივ მოხსენების მოვალეობა შესრულებულად ასევე არ ჩაითვლება, როდესაც მოვალე ყოველგვარი დაზუსტების გარეშე მხოლოდ განაცხადებს, რომ „პერიოდულად“ და „მცირე ოდენობით“ აბრუნებდა ვალს.

ვფიქრობთ, მაგალითები საკმარისად მოვიყვანეთ. მათ საერთო დამახასიათებელი ნიშანი აქვთ, რომ, თუ საქმის ფაქტობრივი გარემოებები საკმარისად არ არის შეგროვებული, ეს ხარვეზი მტკიცებულებათა გამოთხოვის საშუალებით ველარ გამოსწორდება. მხარის საქმის არსს მოკლებულ მოხსენებას სამართლებრივი შემონმებისას სასამართლო მხედველობაში არ მიიღებს და იგი იურიდიულად ვერ ამართლებს მონმეთა დაკითხვას ან მტკიცებულებათა გამოთხოვას.

მონმის ჩვენების მოსმენა ან სხვა სახის მტკიცებულებები, რომელთათვისაც მხარეებს კონკრეტული მტკიცების საგანი არ დაუსახელებიათ, წარმოადგენს ე.წ. სამძებრო (ინკვიზიციურ) მტკიცებულებას, რადგანაც მხოლოდ მონმემ, პირველმა დაასახელა ფაქტები და მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ფაქტების მტკიცება, რაც მხარეებს თვითონ უნდა გაეკეთებინათ.

ამგვარი მტკიცებულების შეგროვება, როგორც წესი, დაუშვებელია. საქმის ფაქტობრივი გარემოებები მხარეებმა უნდა გადმოსცენ, რაც შემდგომში მტკიცებულების საშუალებებით უნდა დამტკიცდეს.

სასამართლოს არა აქვს უფლება თვითონ დაინყოს იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, რომლებსაც მოთხოვნა ან მონინაალმდეგე მხარის უფლებები ემყარებიან: ამგვარი სამართალწარმოება წინაალმდეგობაში მოდის შეჯიბრებითობის პრინციპთან სსკ-ის მე-4 მუხლის შესაბამისად.

---

<sup>39</sup> გამონაკლის შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც ექიმი არღვევს მკურნალობასთან, განსაკუთრებით კი ოპერაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოების მოვალეობას. თუ სამედიცინო საბუთები საერთოდ არ არსებობს, მაშინ მტკიცების ტვირთი, რომ პაციენტს მკურნალობა სწორად ჩაუტარდა, ექიმზე გადავა.

იგივე შეიძლება ითქვას შემთხვევაზე, როდესაც მკურნალობისას დაშვებული მძიმე შეცდომა დადგინდება: როგორც წესი, პაციენტმა უნდა დაამტკიცოს მიზეზობრივი კავშირის არსებობა ექიმის მიერ მკურნალობისას დაშვებულ შეცდომასა და აქედან გამომდინარე ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანს შორის. თუმცა, ამგვარ შემთხვევებში მტკიცების ტვირთი შესაძლოა ერთი მხარიდან მეორეზე გადავიდეს და ამჯერად ექიმმა ამტკიცოს, რომ პაციენტის მიერ მითითებული ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი არავითარ კავშირში არ არის პაციენტის მიერვე მითითებულ ვითომდა მკურნალობის დროს დაშვებულ მძიმე შეცდომასთან.

ამ სპეციფიური პრობლემების შესახებ, რომლებიც ახასიათებს ექიმის პასუხისმგებლობის მონესრიგებელ ნორმებს, მხოლოდ მოკლედ აღვნიშნეთ.

აქ ამჟამად სხვა პრობლემაც წამოიჭრება: მჭიდრო ურთიერთკავშირი ფაქტების **მითითების ტვირთსა და მტკიცების ტვირთს** შორის.

თუ მხარის მიერ მოხსენების კონკრეტულად და დეტალურად **გაკეთების მოვალეობის მოცულობა** მეტწილად ცალკეულ შემთხვევაზეა დამოკიდებული და მისი გარკვევა არც ისე ადვილია, მითითების ტვირთთან მიმართებაში, თუ **ვინ** უნდა იკისროს მითითების ტვირთი, მოქმედებს შემდეგი ცალსახა წესი:

უნდა აღინიშნოს, რომ **მითითების ტვირთი და მტკიცების ტვირთი**, როგორც წესი, ერთმანეთს ფარავენ, თითოეულმა მხარემ უნდა მიუთითოს მის სასარგებლოდ მოქმედ გარემოებაზე და, თუ იგი სადავო გახდება, დაამტკიცოს კიდევ, რაც სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარეობს, რომელიც ადგენს მტკიცების ტვირთის განაწილების წესს და ანალოგიის წესით შესაძლოა მისი მოქმედება მითითების ტვირთზეც გავავრცელოთ.

ამგვარად, ვინც ამტკიცებს, რომ დადებულია ხელშეკრულება ან სავარაუდოა, რომ მონინალმდეგე მხარემ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, რაც უფლებების წარმოშობის საფუძველია, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ფაქტები დანვრილებით, კონკრეტულად და საჭიროებისას დაამტკიცოს ისინი. იგივე გავრცელდება შემთხვევაზე, როდესაც მხარე საკუთარი ვალდებულების შესრულებას მონინალმდეგე მხარის მიერ ვალდებულების შესრულების მოთხოვნით აღძრულ სარჩელს უპირისპირებს.

გამონაკლისთან გვაქვს საქმე, როდესაც სამართალწარმოება ძირითადად მონინალმდეგე მხარის სფეროში მიმდინარეობს. სამაგალითო კლასიკური სფეროებია დავები, რომლებიც შეეხება მკურნალობის დროს ექიმის მიერ დაშვებულ შეცდომებს: თუ ოპერაციას მნიშვნელოვანი გართულებები მოჰყვა და პაციენტის ჯანმრთელობას შემდგომში მძიმე

---

<sup>40</sup> ზემოთ გადმოცემული შეხედულება სადავოა. გერმანიაში არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ შემკვეთმა უნდა მიუთითოს გარემოებაზე და დაამტკიცოს, რომ იცოდა ხელშეკრულების შუამავლობის შედეგად დადების შესახებ. ამ შემთხვევაში მითითების ტვირთი და მტკიცების ტვირთი კვლავ დაფარავს ერთმანეთს.



ზიანი მიადგა, ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვით, ბრალი სპეციალისტს მიუძღვის და მას პროფესიული მომზადება აკლდა, თუ ამგვარი შედეგი ნარკოზმა გამოიწვია. როგორც წესი, მოთხოვნის წარმომშობ ფაქტთან დაკავშირებით მითითების ტვირთი პაციენტს აწევს. აღნიშნული თავისებურებების და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის მხედველობაში მიღებით მას უფლება აქვს ზოგადად ამტკიცოს, რომ მკურნალობა შეცდომით ჩატარდა. ამ შემთხვევაში ექიმი მოვალეა დაწვრილებით აღწეროს ჩატარებული მკურნალობა, რასაც პაციენტმა შესაძლოა კვლავ ისეთი ზოგადი არგუმენტი დაუპირისპიროს, რომ ამ საკითხებში ვერ ერკვევა. რამდენადაც ცალკეული ფაქტები სადავო რჩება, მტკიცების ტვირთი, როგორც წესი, პაციენტს ეკისრება სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.<sup>39</sup>

ამგვარად, ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი და მითითების ტვირთი გამონაკლის შემთხვევაში ერთმანეთს არ ფარავს.

შემდეგი გამონაკლისი შეეხება ე.წ. ნეგატიურ ფაქტებს. კანონი სამართლებრივ შედეგს უკავშირებს შემდეგ გარემოებას: რაღაც არ მომხდარა ან არ არსებობს, რაზეც მითითება საკმაოდ რთულია. თეორიულად შესაძლებელია მრავალი საპირისპირო პოზიტიური შესაძლებლობის დაუსრულებლად მოფიქრება. არც ერთ მხარეს არ მოეთხოვება, რომ ყველა სავარაუდო შესაძლებლობა უარყოს და მათ შესახებ ახსნა-განმარტება მისცეს. ამ შემთხვევაშიც ახსნა-განმარტების ტვირთი, რომელიც ფაქტის პოზიტიურ შესაძლებლობებს შეეხება და მოსარჩელის მოთხოვნებს გამორიცხავს, მონინააღმდეგე მხარეს ეკისრება, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მითითებული არარსებული შესაძლებლობის მტკიცების ტვირთი – მოსარჩელეს. აღნიშნული, ქვემოთ მოყვანილი ორი მაგალითით შესაძლოა უფრო გასაგები გახდეს: მოსარჩელე შუამავლობისათვის განეული გასამრჯელოს გადახდის მოთხოვნას სკ-ის 744-ე მუხლით გათვალისწინებულ საშუამავლო ხელშეკრულებაზე ამყარებს და ამტკიცებს, რომ ხელშეკრულება მოპასუხესა და მესამე პირს შორის მისი შუამავლობით დაიდო, მაგრამ მოპასუხემ ამ გარემოების შესახებ არაფერი იცოდა. თუ მოპასუხეს სურვილი აქვს შესაგებლის წარდგენით (რომ მან იცოდა ამ გარემოების შესახებ)



უარყოს ხელშეკრულების დადება ამ შუამავლობის შედეგად, მან დაწვრილებით უნდა მიუთითოს, რომ იცოდა სადავო გარემოების შესახებ. ეს ერთ-ერთი შესაძლებლობა მოსარჩელემ შესაძლოა დასაშვები საშუალებებით კვლავ უარყოს. ამდენად, მტკიცების ტვირთი ამ უკანასკნელს ეკისრება.<sup>40</sup>

იმ შემთხვევაში კი, თუ მოსარჩელე მოპასუხეს უყენებს მოთხოვნას უსაფუძვლო გამდიდრების, სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის ა) ქვეპუნქტის, საფუძველზე, რომ გადახდა შემთხვევით განხორციელდა, რადგან სინამდვილეში არ არსებობდა მოპასუხის ნამდვილი მოთხოვნა, მაშინ მოპასუხემ სავარაუდო სამართლებრივი საფუძველი ზუსტად უნდა დაასახელოს და არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ პასუხის (შესაგებლის) წარდგენით, რომ შესრულების განხორციელებისათვის საფუძველი უნდა არსებობდეს. ამის შემდეგ მოსარჩელეს შეუძლია დაამტკიცოს, რომ ეს მითითებული სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს და სხვა თეორიულ, შესაძლო სამართლებრივ საფუძველებზე ფიქრით აღარ უნდა დაკავდეს.

ამ შემთხვევაშიც ფაქტებზე მითითების ტვირთი და მტკიცების ტვირთი ერთმანეთს ემიჯნება.

**6. samarTlebrivi daskvna: sarCelis dasaSveboba da dasabuTebuloba, moTxovnis safuZveli da iuridiuli kvalifikacia (subsumcia)**

მას შემდეგ, რაც მოსამართლე ზემოთ აღწერილი წესის შესაბამისად მხარეთა მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს დაალაგებს და მოამზადებს, იწყება მისი საკუთრივ იურიდიული საქმიანობა: **სამართლებრივი დასკვნის** შედგენა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავაიგივოთ ექსპერტის დასკვნასთან სსკ-ის 162-176-ე მუხლების გაგებით.

ექპერტი, როგორც წესი, ეხმარება მოსამართლეს გაერკვეს საქმესთან დაკავშირებულ სადავო სპეციალურ სფეროებში, რომლებსაც მოსამართლე არ იცნობს.

---

<sup>41</sup> მოთხოვნის საფუძვლის დეფინიციის მაგალითი იხ. სკ-ის 316-ე მუხლის პირველ ნაწილში.

სამართლებრივი დასკვნა, რომელსაც მხოლოდ მოსამართლე ადგენს, შეეხება სულ სხვა რამეს: იგი შეისწავლის გადასაწყვეტი დავის სამართლებრივ მდგომარეობას იმ ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, რომელთაც მხარეები წარადგენენ. კონკრეტულად ეს იმას ნიშნავს, რომ მოსამართლემ, მოსარჩელის შესაბამისი სასარჩელო მოთხოვნებიდან გამომდინარე, უნდა შეამოწმოს სარჩელის დასაშვებობა და დასაბუთებულობა.

ა) პირველ რიგში უნდა გადაწყდეს სარჩელის დასაშვებობის საკითხი. მასთან დაკავშირებულ ცალკეულ პრობლემებს აქ მხოლოდ მოკლედ მიმოვიხილავთ. შესამოწმებელი წინაპირობები გათვალისწინებულია სსკ-ის 186-ე მუხლით, თუმცა, ამ ნორმაში მოცემული წინაპირობების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული **აღიარებითი სარჩელის** შემთხვევაში სასამართლომ, მაგალითად სსკ-ის 180-ე მუხლის შესაბამისად, უნდა შეამოწმოს, აქვს თუ არა მოსარჩელეს იურიდიული ინტერესი, რომ უფლება სარჩელის ამ კონკრეტული სახით დაიცვას. მოსამართლემ, წესით, აღიარებით სარჩელზე უარი უნდა უთხრას, თუკი მოსარჩელე უფლებამოსილია სამართლებრივი ურთიერთობის დადგენის ნაცვლად მოითხოვოს შესრულება, ე.ი. გამოიყენოს **მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელი**. ამ საკითხან დაკავშირებით დანვრილებით იხ. პირველი შემთხვევის, II პუნქტი, ნაწილი 1.

თუ სარჩელი დაუშვებელია, სსკ-ის 187-ე მუხლის შესაბამისად სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ, საქმის განხილვის გარეშე.

სხვა შემთხვევაში სასამართლო ამომწმებს სარჩელის დასაბუთებუ-

<sup>42</sup> შეად., მაგალითად, სკ-ის 319-ე მუხლს, რომელიც ვალდებულებით-სამართლებრივ ხელშეკრულების შინაარსს შეეხება.

<sup>43</sup> შეად. სკ-ის 103-ე მუხლს, რომელიც წარმომადგენლობას შეეხება.

<sup>44</sup> შეად. სკ-ის 323-ე მუხლს, რომელიც შეეხება უძრავი ნივთების გასხვისების თაობაზე დადებული გარიგების ფორმას.

<sup>45</sup> შეად. სკ-ის მე-20 მუხლის პირველ ნაწილს: პირის საცხოვრებელი ადგილის სამართლებრივ დეფინიციას.

ლობას.

ბ) სარჩელი დასაბუთებულია, თუ იგი აკმაყოფილებს კანონით დადგენილ იმ წინაპირობებს, რომლებიც აუცილებელია მოსარჩელის მიერ წარსადგენი მოთხოვნების ცნობისათვის და არ არსებობს ისეთი შესაგებლები, წარდგენას რომელთა წარდგენის შემთხვევაში შეუძლებელი იქნეს მოთხოვნის განხორციელება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს **მოთხოვნის საფუძვლისათვის** აუცილებელი წინაპირობები.

აქვე უნდა განიმარტოს **იურიდიული კვალიფიკაციის** ცნება, რომელიც გულისხმობს საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობის შემონმებას კანონით დადგენილი ნორმის **შემადგენლობის ნიშნებთან**. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: იმ მიზნით, რომ კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული **სამართლებრივი შედეგები** სასამართლო გადაწყვეტილებით დადგეს, მოსამართლემ იურიდიული კვალიფიკაციის გზით უნდა დაადგინოს, რომ ამ ნორმის, მოთხოვნის საფუძვლის ფაქტობრივი წინაპირობები ამ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს. ამგვარად, მოსამართლე ამონმებს, თუ რამდენად შეესაბამებიან კონკრეტული, მისთვის გადანყვეტილების გამოსატანად მოხსენებული საქმის ფაქტობრივი გარემოებები გასათვალისწინებელი ნორმის შემადგენლობის აბსტრაქტულ აღწერას.

მოთხოვნის საფუძველში იგულისხმება კანონის ნორმა, რომელიც განსაზღვრული შემადგენლობის ნიშნების არსებობისას ერთ მხარეს ანიჭებს უფლებას მეორე მხარისაგან მოითხოვოს შესრულება, მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება.<sup>41</sup>

მოთხოვნის საფუძველი, როგორც წესი, ორი ნაწილისაგან შედგება: განსაზღვრული ფაქტობრივი გარემოებების, შემადგენლობის, აბსტრაქ-

---

<sup>46</sup> შეად. მოპასუხის მიმართ გამოტანილ დაუსრუებელ გადანყვეტილებას სსკ-ის 230-ე მუხლის შესაბამისად.

მოპასუხის მიმართ დაუსრუებელი გადანყვეტილების გამოტანის წინაპირობას სარჩელის **საფუძვლიანობის შემონმება (Schlüssigkeitsprüfung)** წარმოადგენს, ე.ი., მიიჩნევა თუ არა მოსამართლე სამართლებრივ **დასკვნაში** მოსარჩელის მიერ მოხსენებულ ფაქტობრივ გარემოებებს დამტკიცებულად და შესრულებულია თუ არა იმ მოთხოვნის წარდგენის წინაპირობები, რომელზეც მოსარჩელე თავის მოთხოვნას ამყარებს (სსკ-ის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება).

ტული, ზოგადი ფორმით აღწერისაგან და სამართლებრივი შედეგისაგან, რომელსაც კანონი ამ შემადგენლობის შემთხვევაში ადგენს.

კანონისათვის თვალის ერთი გადავლებით ნათელი ხდება, რომ სამოქალაქო კოდექსი მოთხოვნის მრავალ საფუძველს შეიცავს, თუმცა, ბუნებრივია, რომ კანონი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. იგი იცნობს მრავალ დებულებას, რომელიც სხვა საკითხებს აწესრიგებს, მაგალითად, განსაზღვრულ შეთანხმებათა დასაშვებობას<sup>42</sup>, განსაზღვრულ სამართლებრივ ინსტიტუტთა წინაპირობების და შედეგების აღწერას<sup>43</sup>, ნამდვილობის წინაპირობების დადგენას<sup>44</sup> ან სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების დეფინიციას<sup>45</sup> და ა.შ.

მოსამართლის საქმიანობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი სწორედ მოთხოვნის საფუძველებს უკავია, რადგანაც მოსამართლეს საქმეზე გადაწყვეტილება ამ საფუძველების და მხარეთა მიერ მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების მეშვეობით მომზადებული სამართლებრივი დასკვნის ფარგლებში გამოაქვს.

მოთხოვნის კლასიკური საფუძველი ფორმულირებულია სკ-ის 477-ე მუხლში, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე... და მიანოდოს საქონელი. ეს ფორმულირება შეიცავს როგორც შემადგენლობას, ასევე ადგენს სამართლებრივ შედეგს. შემადგენლობა კანონში ძალიან მოკლედ აღინიშნება სიტყვებით „ნასყიდობის ხელშეკრულებით...“, ხოლო სამართლებრივი შედეგი – ხელშეკრულების მხარეთა მოვალეობების დასახელებით, ანუ, უკვე აღნიშნული ერთი მხარის მოვალეობა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ნივთზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და თავად საქონელი და მეორე მხარის მოვალეობა გადაიხადოს შეთანხმებული ფასი (სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ფორმულირება „ნასყიდობის ხელშეკრულებით ...“ მოიცავს შესამონ-მებელ მთელ რიგ ფაქტობრივ გარემოებებს, რაც უაღრესად ლაკონურად არის გადმოცემული: ამ წინაპირობის არსებობა ზოგიერთ შემთხვევაში

<sup>47</sup> შეად. ქვემოთ, შემთხვევა №6.

<sup>48</sup> შეად. სკ-ის მე-3 და მე-4 მუხლებს.

ერთმნიშვნელოვანია, მაგალითად, როდესაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის უდავოა ხელშეკრულების ნამდვილობა და დავის საგანი სხვა საკითხს, საქონლის ნაკლს უკავშირდება და პირიქით, ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობის თაობაზე შესაძლოა მრავალი პრობლემა წამოიჭრას, როდესაც სადავოა, უნდა ჩაითვალოს თუ არა ხელშეკრულება დადებულიად, სადავოა მხარეთა ქმედუნარიანობა, შეთანხმების ფორმა ან წარმომადგენლობა.

უკანასკნელ შემთხვევაში მოსამართლემ თავის დასკვნაში ყველა აღნიშნული პრობლემა შემადგენლობის ნიშნის „ნასყიდობის ხელშეკრულებით ...“ ფარგლებში უნდა შეამოწმოს, სანამ, მაგალითად, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის თაობაზე მოსაზრებას გამოთქვამს და მყიდველს ფასის გადახდას დააკისრებს.

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე განხილვისას ყურადღება დავუთმეთ სამართლებრივი დასკვნის წამყვან როლს სამოსამართლო საქმიანობაში და ხაზი გავუსვით მის მნიშვნელობას, იგი არ არის ამ საქმიანობის ერთადერთი შემადგენელი ნაწილი.

მხოლოდ სამართლებრივი დასკვნის მომზადებით მოსამართლე იშვიათ შემთხვევებში თუ ამოწურავს თავის საქმიანობას: მაგალითად, როდესაც მხარე, როგორც წესი, მოპასუხე, პროცესს არ ესწრება, არ ახსენებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხოლოდ მოსარჩელის მოხსენებას ეფუძნება<sup>46</sup> ან

---

<sup>49</sup> შეად. სკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის ე) და ვ) პუნქტებს.

<sup>50</sup> ქართული საპროცესო სამართალიც იცნობს მხარეებსა და მოსამართლეს შორის არსებულ ურთიერთობაზე რომის სამართალში მოქმედ პრინციპს: „da mihi facta, dabo tibi ius“ - „მომეცი ფაქტები, მოგცემ უფლებებს“.

<sup>51</sup> იხ. სკ-ის 81-ე მუხლი. სხვა წესი მოქმედებს, როდესაც მოთხოვნის სხვადასხვა საფუძვლის გამო განსხვავებული სამართლებრივი შედეგი დგება, რაზეც მხარეები კონკრეტულ პროცესში ასევე დავობენ, მაგალითად, სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად შეცილების უფლების მქონე პირის მიერ ზიანის ანაზღაურების მოვალეობის თაობაზე. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა მხოლოდ გარეგნის შეცდომით და არა მოტყუებით დადების გამო განხორციელებული შეცილების შემთხვევაში წარმოიშობა. რამდენადაც აქ მოტყუებაზეა საუბარი, მოსამართლემ საკითხი მოთხოვნის შესაბამისი საფუძვლის თანახმად უნდა გაარკვიოს.

როდესაც მხარეები არა ფაქტობრივ, არამედ **მხოლოდ** სამართლებრივ საკითხებზე დავობენ: ფორმასავალდებულო გარიგებაზე, რომელიც მათ შორის ფორმის დაუცველად დაიდო და გარიგების ფორმის დაუცველად დადების ფაქტი მათ შორის სადავო არ არის.<sup>47</sup> იგივე შეიძლება ითქვას, როდესაც საუბარია გარიგების, ნების გამოვლენის ან კანონის მნიშვნელობასა და განმარტებაზე, ხოლო საქმის ფაქტობრივი გარემოებები კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს არ წარმოადგენენ.

სხვა შემთხვევებში მოსამართლე, როგორც წესი, **ორ** სამართლებრივ შეფასებას ამზადებს: მან სამართლებრივი საკითხები, ერთი მხრივ, მოსარჩელის, ხოლო, მეორე მხრივ, მოპასუხის მიერ მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე უნდა შეაფასოს.

დავის **სამართლებრივი** შეფასებისას მოსამართლე სრულიად დამოუკიდებელია, განსხვავებით პროცესის **ფაქტობრივ** საფუძველებზე მუშაობისაგან და არ არის შეზღუდული დისპოზიციურობის ან შეჯიბრებითობის<sup>48</sup> პრინციპებით.

თუ მხარეებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ, აღძრან თუ არა პროცესი და რა საშუალებებით, როგორ წარმართონ ან როგორ დაასრულონ იგი, მათ ასევე შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ საქმის რომელი ფაქტობრივი გარემოებები მოახსენონ სასამართლოს. მხარეთა მიერ წარდგენილი მოთხოვნებისა და მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების **სამართლებრივი შეფასება** კი მხოლოდ მოსამართლის პრეროგატივაა.

სსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების შესრულებასთან ერთად მხარეებმა მოსამართლეს უნდა მოახსენონ: საქმის **ფაქტობრივი გარემოებები**, რომლებზეც მხარე თავის სამართლებრივ

---

<sup>47</sup> შეად. გარიგების ფორმის თაობაზე სკ-ის 525-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 323-ე მუხლს, 59-ე მუხლს: განსაზღვრულ საგანთა ჩუქებისას აუცილებელია დადგენილი ფორმის დაცვა, მაგალითად, უძრავი ნივთების ჩუქებისას (სკ-ის 525-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 323-ე მუხლი). კანონით დადგენილი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილია და შესაძლებელია შესრულების უკან დაბრუნების მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების, სკ-ის 976-ე მუხლის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად.

<sup>48</sup> შეად. სკ-ის 529-ე მუხლის პირველ ნაწილს.

<sup>49</sup> შეად. სსკ-ის 218-ე მუხლის პირველ ნაწილს.

მოთხოვნას ამყარებს და მოთხოვნის შინაარსი, რასაც, როგორც ნესი, გასაგებად და ერთმნიშვნელოვნად ფორმულირებული მოთხოვნის სახე აქვს. მოთხოვნა შინაარსობრივად ემთხვევა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ჩამოყალიბებულ მოთხოვნას, რომელზედაც სასამართლოს, პროცესში გამარჯვებული მხარის სურვილის შესაბამისი გადაწყვეტილება გამოაქვს.<sup>49</sup>

არაა აუცილებელი, მაგრამ მეტად სასარგებლო და მიზანშეწონილია, თუ მხარეები მოთხოვნის იმ საფუძველზეც მიუთითებენ, რომელსაც მათი მოთხოვნა ემყარება ან შესაბამისად – ნორმაზე, რომელსაც შესაგებელი ემყარება და რომლითაც მხარე ცდილობს სასარჩელო მოთხოვნებისაგან თავის დაცვას. როგორც ითქვა, ეს არც აუცილებელია და არც მბოჭავი მოსამართლისათვის<sup>50</sup>: ცხადია, რომ მხარეთა მოსაზრებები, თუ მოთხოვნის რა საფუძველი უნდა იქნეს გამოყენებული მოსამართლისათვის არ არის სავალდებულო და არც მხარეთა მიერ მითითებული მოთხოვნის საფუძველს უნდა ემყარებოდეს გამოტანილი გადაწყვეტილება. მაშინაც კი, თუ გარკვეული მიზეზების გამო მხარეებმა განსაზღვრულ საკითხთა გარკვევას ბევრი დრო დაუთმეს, მოსამართლეს სხვა გზის არჩევის უფლება აქვს, თუ სხვაგვარი დასაბუთებით საქმის მასალებზე, ე.ი. ამ შემთხვევაში სარჩელში ჩამოყალიბებულ მოთხოვნაზე, გადაწყვეტილების გამოტანა უფრო სწრაფად და ადვილად არის შესაძლებელი.

თუ მოსამართლემ დაადგინა, რომ მხარის მიერ გარიგების, მისი შეცდომით დადების გამო, განხორციელებული შეცდობა ნამდვილია, მაშინ ნაკლებად მნიშვნელოვანია გარემოება, მოხდა თუ არა მხარის მიერ ნების გამოვლენა მოტყუების შედეგად სკ-ის 72-ე მუხლის საფუძველზე.<sup>51</sup>

თუ მოსარჩელეს აუცილებლად სურს, რომ სარჩელი შეიტანოს გარიგების მოტყუებით დადების გამო, ხოლო მოპასუხეს სურს შელახული პატივის აღდგენა და თავი დაიცვას მოსარჩელის მითითებისაგან, რომ ეს

---

<sup>50</sup> მაგალითად, თუ დადგენილია, რომ მოპასუხე მოსარჩელის წინაშე პასუხს დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე აგებს (სკ-ის 992-ე მუხლი), ხანგრძლივ მსჯელობას არ საჭიროებს საკითხი, არსებობს თუ არა მხერვებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობაც, რაც ასევე წარმოადგენს პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძველს (სკ-ის 405-ე მუხლი).



უკანასკნელი მოატყუა, მოსამართლემ სამართლებრივი შემონმებისას უნდა დაადგინოს, მიზანშეწონილია თუ არა გარიგების შეცილება შეცდომის გამო, რამდენადაც გარიგების მოტყუებით დადების ფაქტის დადგენა არათანაზომიერად დიდ ხარჯებს გამოიწვევს.

მოვიშველიოთ სხვა მაგალითიც: თუ მოსამართლე დაადგენს, რომ ჩუქების თაობაზე შეთანხმება ფორმის დაუცველად დაიდო, არ არის ნამდვილი და შესაბამისად, შესაძლებელია ჩუქების საგნის ამ საფუძვლით უკან გამოთხოვა,<sup>52</sup> მოსამართლე უფლებამოსილია აღარ გაარკვიოს საკითხი, ხომ არ გამოუჩინია დასაჩუქრებულს მჩუქებლის მიმართ დიდი უმადურობა,<sup>53</sup> თუ აშკარად არ არის მოცემული ამ დებულების წინაპირობები. განსაკუთრებით არ არის მიზანშეწონილი მხარეებს შორის ამ სადავო საკითხის გასარკვევად მტკიცებულებების გამოთხოვა, რასაც დამატებითი ხარჯი მოჰყვება, მაშინაც კი, თუ გარკვეული მიზეზების გამო სწორედ ამ საკითხს აქვს მხარეთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა.

თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით მოსამართლემ ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს მხარეთა მიერ გადმოცემულ სამართლებრივ მოსაზრებათა და მითითებელი მოთხოვნის საფუძვლების მნიშვნელობა, მიუხედავად იმისა, რომ მათ სავალდებულო ხასიათი არა აქვთ. თუნდაც უფლების სასამართლო წესით დაცვის პრინციპი (სასამართლო მოსმენის პრინციპი)<sup>54</sup> და საქმის სამართლიანად განხილვის პრინციპი, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შემადგენელი ნაწილი, უკვე საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ მოსამართლემ, უკიდურეს შემთხვევაში საქმის ზეპირ განხილვაზე, მოისმინოს მხარეთა სამართლებრივი მოსაზრებები და შემდეგ განმარტოს, თუ რატომ არ იზიარებს მათ. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი მხარეთა მიერ სამართლებრივი დავის ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით ახსნა-განმარტების მიცემის უზრუნველყოფა, რომ, პირველ რიგში, მოსამართლეს მხედველობიდან არ გამოორჩეს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები!

დაუშვებელია ე.წ. მოულოდნელი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც ისეთ სამართლებრივ შეხედულებებს ეფუძნებიან, რომელთათვის



მხარეებს არ უნდა გაეწიათ ანგარიში და რაზეც სასამართლოს არ მიუთითებია. ამგვარი გადაწყვეტილება წარმოადგენს ზემოთ მოხსენებული პრინციპების დარღვევით დაშვებულ უხეშ საპროცესო შეცდომას და განაპირობებს გადაწყვეტილების გაუქმებას და შესაბამისად, საქმის წარმოებაში უკან დაბრუნებას, თუ სასამართლოს, რომელსაც წარედგინება გასაჩივრებული გადაწყვეტილება, არ შეუძლია ამ შეცდომის გამოსწორება დამატებითი მითითებების მიცემის ან მხარეთა მოსმენის გზით. სასამართლო უნდა შეეცადოს აღნიშნული შესაძლებლობის გამოყენებას, რათა მხარეს არ მიადგეს ორმაგი ზიანი და თავი აარიდოს, ერთი მხრივ, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომის გამო სამართალწარმოების გაჭიანურებას და მეორე მხრივ – გაზრდილ სასამართლო ხარჯებს.

ამდენად, მოსამართლემ ყოველთვის უნდა შეამოწმოს, თუ მოთხოვნის რომელი საფუძველი წარმოადგენს უმოკლეს და პროცესის ეკონომიის თვალსაზრისით უკეთეს გზას მხარეთა მიზნის მისაღწევად. სამართლებრივ დასკვნაში მან უნდა შეამოწმოს მხედველობაში მისაღები მოთხოვნის ყველა საფუძველი, რომ მოპასუხის მოხსენების გათვალისწინებით დაადგინოს, თუ სასარჩელო მოთხოვნაზე გადაწყვეტილების გამოტანისას მათგან რომლის გამოყენება გამოიწვევს ყველაზე მცირე საპროცესო ხარჯებს.

თუ მოთხოვნის რამდენიმე საფუძვლის გამოყენებაა შესაძლებელი, მაშინ მოსამართლემ უპირატესობა უნდა მიანიჭოს და შემოიფარგლოს მოთხოვნის იმ საფუძვლით, რომლის წინაპირობების დადგენა ყველაზე იოლად და სწრაფად არის შესაძლებელი.<sup>55</sup> ეს წესი ძირითადად, მოქმედებს მაშინ, როდესაც სასამართლო მთლიანად აკმაყოფილებს სარჩელს. რაც შეეხება მოთხოვნის საფუძველს, რომელიც უფრო მეტ ხარჯებთან არის დაკავშირებული, მისი განხილვა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც სასარჩელო მოთხოვნის გათვალისწინებით შეუძლებელია სარჩელის მთლიანად დაკმაყოფილება.

თუ სარჩელი მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ან მხარეს უარი ეთქვა მის დაკმაყოფილებაზე, მოსამართლემ უნდა იმსჯელოს კონკრეტულ შემთხვევაში გასათვალისწინებელი მოთხოვნის წარდგენის

**ყველა** საფუძველზე და დაადგინოს, რომ არც ერთი მათგანის გამოყენების შემთხვევაში არ არის შესაძლებელი მოსარჩელის მიერ დასახული მიზნის მიღწევა.

რეალურად როგორ აისახება ყოველივე ზემოთ აღნიშნული მოსამართლის საქმიანობაში?

უპირველეს ყოვლისა, მოსამართლემ უნდა გაარკვიოს, კონკრეტულად რა მოთხოვნის დაკმაყოფილება სურს, ერთი მხრივ, მოსარჩელეს, ხოლო, მეორე მხრივ, – მოპასუხეს.

თუ მოსარჩელე, მაგალითად, ნივთის ფასის გადახდას მოითხოვს, მაშინ გასაგებია, თუ რა სურს მას და მოსამართლე მარტივად იღებს გადაწყვეტილებას: სარჩელი დასაშვებია, თუ ნასყიდობის ხელშეკრულება მხარეებს შორის დადებულად ითვლება, მოსარჩელემ საქონელი გადასცა ან ყოველ შემთხვევაში, შესთავაზა და მოპასუხეს კი თანხა ჯერ არ გადაუხდია.

იურიდიული კვალიფიკაციის გაკეთება ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, არ არის რთული: მოახსენა მოსარჩელემ ფაქტობრივი გარემოება, რომლითაც დასტურდება მხარეებს შორის ხელშეკრულების დადება და შეიცავს სხვა დასახელებულ წინაპირობებს?

შემთხვევა გართულდება, თუ გავითვალისწინებთ ასევე მოსაპუხის პოზიციასაც: რატომ უარყოფს იგი გადახდას და/ან საქონლის მიღებას?

თეორიული თვალსაზრისით აქ იხსნება სამოქალაქო კოდექსი მთელი სპექტრით, საპროცესო საკითხების გათვალისწინების გარეშე: მოპასუხეს შეუძლია საერთოდ უარყოს, რომ მოსარჩელემ, ყოველ შემთხვევაში მასთან, მოპასუხესთან, დადო ნასყიდობის ხელშეკრულება (საკითხები დაკავშირებული აქტიურ-/პასიურ ლეგიტიმაციასთან, მაგალითად, წარმომადგენლობასთან), მიუთითოს გარიგების ფორმის ხარვეზზე, უარყოს ხელშეკრულების შინაარსი, თუ იგი ზეპირად დაიდო ან მიუთითოს დამატებით არსებულ შეთანხმებაზე, თუ საუბარია წერილობით გაფორმებულ ხელშეკრულებაზე. მოპასუხეს შეუძლია მოახსენოს შეცდომების საფუძვლების ან ხელშეკრულების მოგვიანებით გაუქმების თაობაზე, მოსარჩელის მოხსენებას დაუპირისპიროს ფაქტობრივი გარემოება დაკავშირებული ნივთის ნაკლთან, ამტკიცოს,

რომ გადახდა განახორციელდა და ა.შ.

ზემოთ მოხსენებულის გათვალისწინებით ნათელია და ჩვენს მიერ უკვე აღინიშნა, რომ მოსამართლე მხოლოდ **ერთი** სამართლებრივი დასკვნის მომზადებას ვერ დასჯერდება. როგორც წესი, იგი **ორ** სამართლებრივ დასკვნას ამზადებს სწორი გადაწყვეტილების გამოტანის უზრუნველსაყოფად: **ერთი** სამართლებრივი დასკვნა მზადდება მოსარჩელის, **მეორე** კი მოპასუხის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე. ამასთან, ე.წ. მოსარჩელის სტადიაზე თავს იყრის მთლიანად საქმის უდავო ფაქტობრივი გარემოებები და მოსარჩელის მიერ მოხსენებულ სადავო ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო მოპასუხის სტადიაზე – ასევე საქმის უდავო შემადგენლობა და დამატებით, მოპასუხის მიერ მოხსენებულ საქმის სადავო ფაქტობრივი გარემოებანი. მოსამართლე თავდაპირველად ამონიშნავს, არის თუ არა სარჩელი დასაბუთებული **მხოლოდ** საქმის უდავო ფაქტობრივი გარემოებებისა და მოსარჩელის მიერ მოხსენებულ საქმის სადავო ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. თუ ის გამოიტანს დასკვნას, რომ ასეთ შემთხვევაში **არა** აქვს საქმე, მოსარჩელის მოხსენება უსაფუძვლოა. მოსამართლის საქმიანობის ნაწილი, დაკავშირებული სამართლებრივ შემოწმებასთან, ამით დასრულდება. მოსამართლემ აღარ უნდა იმსჯელოს მოპასუხის მოხსენებაზე, თუკი მას გავლენა არ ექნება გადაწყვეტილების გამოტანაზე. სარჩელი უკვე მოსარჩელის მოხსენების საფუძველზევეა დაუსაბუთებელი და აქედან გამომდინარე, მხარეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო.

ასევე, ასეთ შემთხვევაში დაუშვებელია მოპასუხის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სსკ-ის 230-ე მუხლის შესაბამისად, თუ ეს უკანასკნელი უარს განაცხადებს თავისი უფლებების დაცვაზე და/ან დროულად არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე. სსკ-ის 230-ე მუხლის პირველ ნაწილში ერთმნიშვნელოვნად არის ფორმულირებული, რომ თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, მაშინ მხოლოდ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება, ე.ი., ფაქტობრივი გარემოებები აღარ არის

სადავო. თუ ეს უდავო ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებენ მოსარჩელის მოთხოვნას, სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს. სხვა შემთხვევაში მხარეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე (სსკ-ის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

*ეს ნიშნავს, რომ კანონი ამ ადგილას ზემოთ აღწერილი სამუშაოს შესრულებას თვითონვე ავალებს მოსამართლეს და შესაბამისად, თავის მხრივ, დუმილით მიუთითებს ჩვენს მიერ აღწერილი სამართლებრივი დასკვნის მომზადებისა და შეფარდების ტექნიკაზე, როგორც სამოსამართლო მუშაობის მეთოდზე!*

თუ მოსარჩელის სტადიაზე განხორციელებული სამართლებრივი შემონმებიდან გამომდინარეობს, რომ სარჩელი დასაბუთებულია საქმის უდავო ფაქტობრივი გარემოებებისა და მოსარჩელის მიერ მოხსენებული საქმის სადავო ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, მაშინ მოსამართლე უნდა შეუდგეს მეორე სამართლებრივ დასკვნაზე მუშაობას: არის სარჩელი ასევე დასაბუთებული, თუ სამართლებრივ შემონმებას საფუძვლად საქმის უდავო ფაქტობრივი გარემოებები და მოპასუხის მიერ მოხსენებული საქმის სადავო ფაქტობრივი გარემოებები უნდა დაედოს?

თუ ამ შემთხვევაშიც სარჩელი დასაბუთებულია, მაშინ მოპასუხის მოხსენება **უმნიშვნელოა** და სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს. ამგვარი შემთხვევებია, მაგალითად, როდესაც მოპასუხე არ უარყოფს მოსარჩელის მიერ მოხსენებულ მნიშვნელოვან ფაქტებს, მოთხოვნის საფუძვლებს და იგი მხარეს მხოლოდ გადაწყვეტილებისათვის უმნიშვნელო საკითხებზე ედავება: მოსარჩელე მოითხოვს ბინის ქირის გადახდას, ხოლო მოპასუხე ამ მოთხოვნისაგან თავს იცავს იმ მოტივით, რომ აღარ შეუძლია ქირის გადახდა, რადგან სამუშაოდან დაითხოვეს, ხოლო მოსარჩელე, თავის მხრივ, უარყოფს მოპასუხის მითითებას

---

<sup>56</sup> აუცილებელი წინაპირობაა, რომ მხარემ, რომელსაც მტკიცების მოვალეობა აქვს დაკისრებული, წარადგინოს დასაშვები მტკიცებულებები, მაგალითად, მოიწვიოს მონმე (სსკ-ის 140-ე მუხლი) ან მტკიცებულება სასამართლომ საკუთარი ინიციატივით უნდა გამოითხოვოს, რაც გათვალისწინებულია მთელ რიგ მტკიცებულებათა მიმართ, მაგალითად, სსკ-ის 162-ე მუხლის შესაბამისად ექსპერტიზის დანიშვნის შემთხვევაში (დანვრილებით შეად. ქვემოთ, მე-8 პუნქტს).

სამუშაო ადგილის დაკარგვის თაობაზე.

სასამართლომ არ უნდა შეამოწმოს მოპასუხის ახსნა-განმარტება, თუკი საქმისათვის მის მიერ მოხსენებული გარემოებები **უმნიშვნელოა**: სამუშაოს დაკარგვა არ წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს ბინის ქირის გადაუხდელობისათვის. ამდენად, მოპასუხის ახსნა-განმარტება უმნიშვნელოა და იურიდიულად არ ამართლებს მტკიცებულებების შეგროვებას.

საფუძვლიანი და დასაბუთებული სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

მოპასუხის ახსნა-განმარტება ასევე უსაფუძვლოა, როდესაც მოპასუხე არ დავობს მოსარჩელის საფუძვლიანი ახსნა-განმარტების თაობაზე, არამედ წარმოადგენს სამართლებრივ შეხედულებებს, რასაც სასამართლო არ შეისწავლის. მაგალითად, მოპასუხე ფიქრობს, რომ განსაზღვრული, ზეპირად დადებული ხელშეკრულება წერილობით უნდა გაფორმებულიყო. სასამართლო ამ შეხედულებას არ გაიზიარებს და შესაბამისად, სარჩელს დააკმაყოფილებს.

სხვაგვარად განვითარდება მოვლენები, თუ მოპასუხე **მნიშვნელოვნად** უარყოფს მოსარჩელის ახსნა-განმარტებას, ანუ, მნიშვნელოვან ფაქტებს დაუპირისპირებს, რომლებიც მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენენ, მაგალითად, იმ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ერთ-ერთ მოთხოვნას, რომლის დადების ფაქტის დამტკიცებასაც მოსარჩელე ცდილობს.

შესაძლებელია, რომ მოპასუხემ შესაგებელი წარადგინოს, რომელიც სახელშეკრულებო მოთხოვნას დაუპირისპირდება, მაგალითად, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულდა, მოთხოვნა შეცილების შედეგად გაქარწყლდა და სხვ. დასაშვებია კომბინირებული, რამდენიმე შესაგებლის წარდგენაც, რომ მან უარი განაცხადა ხელშეკრულებაზე და ვალდებულება შეწყდა ვალის პატივით და ა.შ. თუ მოსარჩელე არ უარყოფს მოპასუხის მიერ წარდგენილ შესაგებელთაგან ერთ-ერთს მაინც, მაშინ მისი საკუთარი ახსნა-განმარტება ჩაითვლება

---

<sup>57</sup> შეად. სსკ-ის 243-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-6 წინადადებას. ამ წესიდან გამონაკლისის შესახებ იხ. სსკ-ის 243-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-5 წინადადებაში.

უსაფუძვლოდ და მას უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე. თუკი მოსარჩელე უარყოფს შესაგებელს, მაშინ მოსარჩელის მოხსენება დამაჯერებლად, ხოლო მოპასუხის მოხსენება მნიშვნელოვნად ჩაითვლება: სასამართლომ უნდა შეაგროვოს მტკიცებულებები საქმისათვის მნიშვნელოვანი იმ ფაქტების შესახებ, რომლებთან დაკავშირებით მხარეებმა განსხვავებული ახსნა-განმარტებები მისცეს.

ამგვარად, მოსამართლის მიერ მომზადებული სამართლებრივი დასკვნა შემდეგ სახეს მიიღებს:

– მოსარჩელის ახსნა-განმარტება უსაფუძვლოა: სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს;

ან

– მოსარჩელის ახსნა-განმარტება საფუძვლიანია, ხოლო მოპასუხის ახსნა-განმარტება უსაფუძვლოა (უმნიშვნელოა): სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს;

ანდა

– მოსარჩელის ახსნა-განმარტება საფუძვლიანია, ხოლო მოპასუხის მიერ მითითებულ ფაქტებს აქვს მნიშვნელობა საქმის სწორად გადანყვეტისათვის: გადანყვეტილებისათვის მნიშვნელოვან ფაქტებზე უნდა შეგროვდეს მტკიცებულებები.<sup>56</sup>

მოსამართლემ შეფარდების ტექნიკის სწორი მეთოდოლოგიური გამოყენების შედეგად ამ სამი შესაძლებლობიდან მხოლოდ ერთზე უნდა გააკეთოს არჩევანი. თუმცა, არსებობს მეოთხე შესაძლებლობაც, მაგრამ იგი პროცესის შედარებით ადრეულ სტადიას შეეხება: თუ მოსამართლე სამართლებრივ დასკვნაში დაადგენს, რომ მხარეებს მხედველობიდან გამორჩათ მნიშვნელოვანი სამართლებრივი მოსაზრება ან არ გამოხატეს საკუთარი აზრი ყველა მნიშვნელოვან ასპექტთან დაკავშირებით, მან შესაბამისი **მითითება** უნდა მისცეს სსკ-ის 203-ე, 207-ე, 217-ე, 219-ე მუხლების შესაბამისად. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი საქმეზე გადანყვეტილების გამოტანა. მხოლოდ ზემოაღნიშნულ მითითებაზე

<sup>56</sup> შეად. ზემოთ, მე-6 პუნქტს.

მხარეების მიერ მოსაზრებების გამოთქმის შემდეგ წარმოიშობა სამართალწარმოებაში ზემოთ აღწერილი ვითარება.

### 7. samarTlebrivi daskvna da gadawyvetilebis proeqti

ქვემოთ კვლავ გავამახვილებთ ყურადღებას მოსამართლის მიერ მომზადებულ სამართლებრივ დასკვნასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე, მის შინაარსსა და აგების მეთოდებზე. კვლავ რჩება შეკითხვა: საერთოდ რისთვის სჭირდება მოსამართლეს სამართლებრივი დასკვნა? რა მიზნებს ემსახურება იგი?

ამ შეკითხვაზე პასუხს ყურადღებიანი მკითხველი ნაწილობრივ უკვე წინა თავის ნაკითხვისას მიაგნებდა. მოკლედ თუ ვიტყვით, სამართლებრივი დასკვნის მიზანს წარმოადგენს მხარეთა მიერ წარმოდგენილი საქმის მასალებიდან გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვან ფაქტებზე ყურადღების გამახვილება და საბოლოოდ, სასამართლო გადაწყვეტილების პროექტის მომზადება. დასკვნამ, მკითხველს, შესაბამისად, მსმენელს ამ მიმართულებაზე უნდა მიუთითოს, ხოლო დასაბუთება მათთვის გასაგებად გადმოსცეს.

მაშასადამე, სამართლებრივი დასკვნა მკითხველისათვის, შესაბამისად, მსმენელისათვის არის განკუთვნილი?

დასკვნის მომზადება სასამართლოს შიდა საქმიანობაა, მის ფარგლებში განხორციელებული შემონიშნა და ნაკლებად არის გამიზნული გარეშე პირთათვის. იგი უფრო მეტად განეკუთვნება თათბირის დროს გამართულ მსჯელობას, რომელიც არ უნდა გახმაურდეს.<sup>57</sup> თუ გადაწყვეტილება გამოაქვს კოლეგიურ სასამართლოს, მაშინ ზემოთ აღნიშნული ასევე ვრცელდება დანარჩენ მოსამართლეებზეც, ანუ, შესაბამისი პალატის სხვა წევრებზეც. დასკვნას ამზადებს **სასამართლოს წევრი, რომელიც ახსენებს საქმეს**, კერძოდ ის მოსამართლე, რომელსაც პალატაში დადგენილი წესის შესაბამისად გადაეცა შესაბამისი სამართლებრივი დავა დასამუშავებლად. დასკვნა ე.წ. გადაწყვეტილების პროექტის სახით, წერილობითი ფორმით გადაეცემა თავმჯდომარეს ან კოლეგიის ყველა მოსამართლეს და/ან მას ზეპირი ფორმა აქვს და



მოსამართლე კოლეგიის დანარჩენ წევრებს **მოახსენებს საქმის მასალებს**, რაც უპირველეს ყოვლისა, ხელს უწყობს მოსამართლეებს საქმის ზეპირი განხილვისათვის მომზადებაში, განსაკუთრებით კი იმ მოსამართლეს, რომელიც პირადად არ გაცნობია საქმის მასალებს, თუნდაც იმის გამო, რომ თავად არ ახსენებს კონკრეტულ სამართლებრივ დავას.

ზემოთ აღნიშნული მიუთითებს სამართლებრივი დასკვნის, **გადაწყვეტილების პროექტის** შედგენისას მომხსენებელი მოსამართლის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობაზე: როგორც წესი, საქმის მასალებს დეტალურად, მხოლოდ ეს უკანასკნელი და თავმჯდომარე იცნობენ. პალატის სხვა წევრები ფაქტებს, რომლებსაც ეს მოსამართლე არ ახსენებს, შეიტყობენ მაშინ, თუ მათ შესახებ საქმის ზეპირი განხილვის დროს შემთხვევით ჩამოვარდება საუბარი. იმ გარემოებებზე, რომელთაც მოსამართლე მხედველობაში არ მიიღებს, მხოლოდ მაშინ გაიმართება დისკუსია, როცა სხვა მოსამართლეები თავად გაამახვილებენ მათზე ყურადღებას, ხოლო სამართლებრივი პრობლემები, რომლებიც მას არ წამოუჭრია, განიხილება, თუ სხვა მოსამართლეები მიაქცევენ მათ ყურადღებას და საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამენ მათ თაობაზე. ყოველივე მიაჩნებს გადაწყვეტილების პროექტის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე პროცესში, რომელსაც საქმის მომხსენებელი მოსამართლე ამზადებს და რაც საკმარისად ზედმინევნიტ უნდა იყოს დამუშავებული.

საქმის მომხსენებელი მოსამართლის გადაწყვეტილების პროექტი წარმოადგენს შესაბამისი სამართლებრივი დავის იურიდიულ შეფასებას და ითვალისწინებს **დავის გადაწყვეტასთან დაკავშირებულ წინადადებებს**: მაგალითად, წინადადებებს მტკიცებულებათა შეგროვების შესახებ განჩინების, საქმის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების ან ხარვეზის შესახებ განჩინების გამოტანის, ასევე სხვა პროცესუალური ღონისძიებების შესახებ, რომლებიც აუცილებელია საქმის

<sup>59</sup> შეად. ზემოთ, მე-2 პარაგრაფს.

<sup>60</sup> შეად. შემთხვევა №4-ს.



ზეპირი განხილვის მომზადებისათვის ან წინადადებებს გადანყვეტილების შესახებ, თუ სამართლებრივ დავაზე უკვე შესაძლებელია გადანყვეტილების გამოტანა.

გადაწყვეტილების პროექტი მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სამართლებრივი დასკვნის ორივე სახეს, რომელიც შედგენილია შესაბამისად მოსარჩელისა და მოპასუხის სტადიებზე<sup>61</sup> და საბოლოოდ შეჯამებულია ერთ სამართლებრივ დასკვნაში. რამდენადაც სამართლებრივი დასკვნა აღსაქმელად მარტივი უნდა იყოს, მხარეთა მიერ მოხსენებულ საქმის განსხვავებულ ფაქტობრივ გარემოებებზე მხოლოდ ცალკეულ პუნქტებად დაყოფისას უნდა იქნეს მითითებული. სამართლებრივ დასკვნაში ასევე უნდა ჩამოყალიბდეს, თუ როგორ გადაწყდება საქმე, როდესაც მას საფუძვლად მოსარჩელისა და მოპასუხის მიერ მოხსენებული ურთიერთგამომრიცხავი ფაქტობრივი გარემოებები უდევს. თუ როგორი სახით უნდა იქნეს ფორმულირებული შესაბამისი სამართლებრივი დასკვნა, შეგიძლიათ დანვრილებით იხილოთ წიგნის მეორე ნაწილში ცელკეული შემთხვევების მაგალითზე, სადაც იგი, ძირითადად, გადაწყვეტილების პროექტის ფორმით არის მოცემული.

იმ შემთხვევაში, თუ ორივე მხარის მიერ მოხსენებული საქმის **ფაქტობრივი გარემოებები** ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს. სხვადასხვა **სამართლებრივი მოსაზრება** არ განაპირობებს საქმის გადაწყვეტაზე განსხვავებული პასუხების არსებობას: მოსამართლემ უნდა განიხილოს სამართლებრივი საკითხები და განსაზღვროს, თუ რომელ მოსაზრებას გაიზიარებს, დაასაბუთებს და შემდეგ წარადგენს.

თუმცა, აუცილებელი არ არის სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობა, თუ ორივე სამართლებრივი მოსაზრება კონკრეტულ შემთხვევაში ერთი და იგივე შედეგამდე მიგვიყვანს ან თუ სხვა ფაქტობრივი გარემოებების გამო ამ შედეგს ვერ მივიღებთ. მაგალითად, მხარეები დავობენ ზეპირად დადებული ხელშეკრულების ნამდვილობის

---

<sup>61</sup> ე.წ. გადაწყვეტილების სტილთან დაკავშირებით საპირისპირო მოსაზრების შესახებ იხ. ქვემოთ, მე-9 პარაგრაფი.

თაობაზე, რამდენადაც იგი განსაზღვრული ფორმით უნდა გაფორმებულიყო. მოსამართლემ ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება არ უნდა დაუთმოს, თუ დადგენილია, რომ შემდგომ ხელშეკრულების მოშლანამდვილია ან თუ მოპასუხეს ჰქონდა საფუძველი უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე.

თუმცა, ეს წესი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტები უეჭველად დადგენილია, რადგანაც ისინი უდავოა. თუ ფაქტები დასადგენია, ხოლო მტკიცებულებები – შესაგროვებელი, მაშინ მოსამართლემ აუცილებლად უნდა იმსჯელოს პრიორიტეტულ სამართლებრივ საკითხებზე. სხვა შემთხვევაში არსებობს საფრთხე, რომ მტკიცებულებები შეგროვდება ისეთ საკითხებზე, რომლებიც სამართლებრივი თვალსაზრისით ნაკლებად მნიშვნელოვანია, შედეგად კი მძიმე მეთოდურ შეცდომას მივიღებთ!

ზოგ შემთხვევაში, ცალკეულ სადავო სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობა მიზანშეწონილია მაშინაც კი, როდესაც მოსამართლეს საქმეზე გადაწყვეტილება სხვა საფუძველით გამოაქვს, თუ ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა ადვილად და ერთმნიშვნელოვნად არის შესაძლებელი: „ხელშეკრულება არ არის ნამდვილი, რადგან არ არის გაფორმებული კანონით დადგენილი წესის შესაბამისად... გარდა ამისა, ორივე მხარე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ... ამა და ამ დღეს ხელშეკრულება კვლავ მოშალეს...“

გადაწყვეტილების პროექტის შედგენა, ისევე როგორც საქმის შემადგენლობასა და სამართლებრივ შეფასებას შორის არსებული ურთიერთკავშირი, დინამიურ პროცესს წარმოადგენს, რაზეც მონაცვლეობით გავლენას ახდენს სამართლებრივი და ფაქტობრივი შეხედულებები, მიუხედავად მათი ლოგიკური რიგითობისა. ისევე როგორც გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის შედგენისას, მოსამართლემ უკვე უნდა იცოდეს საკუთარი სამართლებრივი შეფასების

---

<sup>62</sup> ეს ძირითადი დებულებები ასევე ვრცელდება gadawyvetilebaze, თუმცა, აქ კიდევ სხვა საფუძველები არსებობს, რომელთა გამო არ არის მართებული იმ სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტა, რომლებსაც კონკრეტული შემთხვევისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. შეად. ქვემოთ, მე-9 პარაგრაფს.

შედეგი, რადგან მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი დაზუსტდეს, თუ რომელი ფაქტობრივი გარემოებებია მნიშვნელოვანი საქმისათვის და რომელი მათგანი უნდა აისახოს გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში,<sup>59</sup> ასევე გადაწყვეტილების პროექტის შედგენისას მან უკვე უნდა იცოდეს მისი საბოლოო სახე, შედეგი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია მოსამართლეს სწორი გადაწყვეტილების მიღება, თუ საბოლოოდ რომელ სამართლებრივ და ფაქტობრივ საკითხებზე იმსჯელოს და გამოთქვას საკუთარი მოსაზრება და რომელი მათგანი დატოვოს განხილვის მიღმა, რადგან სხვა სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების გამო ამ გარემოებებს საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.

სამართლებრივი შეფასების შემდეგ მოსამართლემ უნდა გადაამუშაოს გადაწყვეტილების პროექტი და მისცეს მას საბოლოო ფორმულირება. აღნიშნულის ნათელი მაგალითია მეოთხე შემთხვევა, სადაც განხილულია გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი მთელი რიგი საკითხები, რომლებსაც მხარეთა განსხვავებული ახსნა-განმარტების გამო შესაძლოა სხვადასხვა შედეგამდე მივეყვანეთ, რომ არა სხვა, მოგვიანებით განხილული შეხედულება, რის გამოც ამ განსხვავებებზე ყურადღება აღარ გამახვილდა.<sup>60</sup>

**გადაწყვეტილების პროექტის** შედგენისას მოსამართლე ირჩევს ე.წ. **სამართლებრივი დასკვნის სტილს**,<sup>61</sup> დედუქციურ ფორმას, რომელსაც მკითხველი ცალკეული შემთხვევის (რომელზედაც უნდა იქნეს გადაწყვეტილება გამოტანილი) ზოგადი პრინციპებიდან განსაზღვრულ შედეგამდე მიჰყავს.

შესაძლოა მოვიყვანოთ ტიპიური მაგალითი:

„მოსარჩელე მოპასუხეს უყენებს ნივთის ღირებულების გადახდის მოთხოვნას. მოსარჩელეს შესაძლოა წარმოეშვას თანხის გადახდის მოთხოვნა სკ-ის 447-ე მუხლის საფუძველზე. ამისათვის მხარეებს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულად უნდა ჩაითვალოს. ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება, თუ ოფერტი გაკეთდა და აქცეპტი განხორციელდა. უდავოა, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს შესთავაზა ოფერტი, ოფერტი გაკეთდა ... ამა და ამ დღეს. აქცეპტი განხორციელდა ... ამა და

ამ დღეს წერილობით, მოპასუხის მიერ. იყო თუ არა აქცეპტი დროული, განისაზღვრება სკ-ის 330-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად: არათანმყოფი პირისათვის გაკეთებული ოფერტი შეიძლება მხოლოდ იმ დრომდე იქნეს მიღებული, რა დროშიც ოფერტის მიმცემს, ჩვეულებრივ, შეუძლია დაელოდოს პასუხს. თუ რა ვადები მოქმედებს, გადანყდება ცალკეული შემთხვევის შესაბამისად. განსახილველ შემთხვევაში მოქმედებს ... აქედან გამომდინარე, აქცეპტი დროულად განხორციელდა. ხელშეკრულება დადებულად ითვლება და ნამდვილია.“

სამართლებრივი დასკვნის სტილის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ განხილვა იწყება საკითხის დასმით და მასზე პასუხის გაცემით, შესაბამისი დასკვნებით ზოგადი წესებიდან, კერძოდ, კანონებიდან. როგორც წესი, გამოიყენება ისეთი ტერმინები, როგორიცაა „ამდენად, ამიტომ, ამ საფუძვლით“ და ა.შ.

როგორც აღინიშნა, მოსამართლემ სამართლებრივ დასკვნასა და გადაწყვეტილების პროექტში მხოლოდ იმ სამართლებრივ საკითხებზე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ კონკრეტული სამართლებრივი დავის გადაწყვეტისათვის. სხვა სამართლებრივი საკითხები მან შესაძლოა განუხილველად დატოვოს, განასაკუთრებით კი, თუ ეს საკითხები საკამათო სასამართლო სისტემის უმაღლესი ორგანოების მიერ განვითარებულ სასამართლო პრაქტიკასა და სამეცნიერო ლიტერატურაში. ერთ-ერთი მიზეზი სხვა მიზეზთა შორის, დროის სიმწირეში მდგომარეობს.

მოსამართლეს, რომელსაც სურს დაწვრილებით გასცეს პასუხი სამართლებრივ დავასთან დაკავშირებით წარმომოხილ ყველა სადავო საკითხზე, სამუშაოს დროულად დასრულება გაუჭირდება, თანაც ეს პროცესი დაღლის მკითხველს, მსმენელს და მათ იმ პრობლემებით დატვირთავს, რომლებსაც კონკრეტული დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. გარდა ამისა, ზოგადად, ყურადღება გადატანილ იქნება ისეთ საკითხებზე, რომლებიც საქმისათვის ნაკლებად

---

<sup>63</sup> გერმანულ სამართალში ასეთი მტკიცებულება აღინიშნება ტერმინით *Ausforschungsbeweis*. დაწვრილებით იხ. ზემოთ, მე-5 პუნქტი.

მნიშვნელოვანია. რამდენადაც, ნებისმიერი მკითხველისა და მსმენელის ყურადღებაც არ არის უსაზღვრო, არსებობს საფრთხე, რომ ადრესატებმა შესაძლოა ვეღარ გამიჯნონ მნიშვნელოვანი გარემოებები უმნიშვნელო გარემოებებისაგან და არსებითი ინფორმაცია ყურადღების მიღმა დარჩეთ. აღნიშნული განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რთული შემთხვევების დროს: მათი დანვრილებით გადმოცემა მხოლოდ იმ მიზნით, რომ მხარეებს შეატყობინონ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ისინი სხვადასხვა შედეგებს განაპირობებენ, მართლმსაჯულების მწირი რესურსების გათვალისწინებით გამართლებული არ უნდა იყოს, რადგან მონაწილეთაგან დროსა და ენერგიას მოითხოვს.<sup>62</sup>

განსხვავებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც **სამართლებრივ საკითხთან** დაკავშირებით გარკვეული მოსაზრების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ გადანყვეტილების მიღებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სამართლებრივი დავის შედეგზე, რადგან გადანყვეტილება, პირველ რიგში, დამოკიდებულია მოსაზრებაზე და შემდეგ სხვა **ფაქტობრივ** საკითხებზე, განსაკუთრებით კი მტკიცებულებების შეგროვებაზე.

განსახილველ შემთხვევაში შესაძლოა ასევე აუცილებელი გახდეს რთულ სამართლებრივ საკითხთა საფუძვლიანი, სისტემატური გადმოცემა. მხოლოდ საკითხთა ამ წრის გარკვევის შემდეგ შეუძლია მოსამართლეს გადანყვეტილების მიღება, თუ რამდენად მიზანშეწონილია მთელი რიგი სხვა საკითხების დასადგენად მტკიცებულებების შეგროვება, რაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და თუ განხორციელებული მოქმედების შედეგის პროგნოზირება ჯერ კიდევ შეუძლებელია.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ერთი გარემოება: როგორც აღინიშნა, სამოსამართლო საქმიანობის მეთოდები კანონმდებლობაში არსად არ არის მონესრიგებული და მას სავალდებულო ხასიათი არა აქვს. იგი სასამართლო პრაქტიკის შედეგად განვითარდა, როგორც ინსტრუმენტი, რომელიც მინიმალური დანახარჯით მაქსიმალურად უზრუნველყოფს სწორი გადანყვეტილების გამოტანას. აღნიშნულს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **სამართლებრივი დასკვნის სტილთან**

მიმართებაში. გამოცდილება ადასტურებს, რომ სამართლებრივი დასკვნის მომზადება განსაკუთრებით მიზანშეწონილია საფუძვლიანი შემონმების აუცილებლობის დროს და ამგვარი წარმოების განხორციელება, რაც ემყარება საკითხის დასმასა და შემდეგ მის შემონმებას, ყველაზე კარგად გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ყურადღების მიღმა დარჩეს მნიშვნელოვანი საკითხები.

თუმცა, ეს სტილი დოგმა არ არის. იმ შემთხვევებში, როდესაც პასუხი ნათელია, შესაძლებელია, რომ მტკიცების თაობაზე მხოლოდ რამდენიმე წინადადებით აღინიშნოს და ჩვენება მოკლედ გადმოიცეს, თუ საერთოდ აუცილებელია მათი გადმოცემა და შესაბამისად, **გადაწყვეტილების სტილის** დაცვა.

აქაც, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში მოქმედებს წესი, რომ გადმოცემის ფორმის არჩევასა და გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ტექსტი მკითხველისა და მსმენელისათვის გასაგებად უნდა იყოს შედგენილი.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, წინამდებარე მოსაზრებები, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია გადაწყვეტილების პროექტის მომზადებაზე საქმის მომხსენებელი მოსამართლის, როგორც კოლეგიური სასამართლოს წევრის, მიერ. რაც შეეხება მოსამართლებს, რომლებიც ინდივიდუალურად განიხილავენ საქმეებს, პრინციპში, მათთვის განსხვავებული წესი არ არის დადგენილი: რამდენადაც ჩანანერებს ისინი მხოლოდ საკუთარი თავისათვის აკეთებებენ, შესაძლებელია, რომ უფრო მოკლედ ჩაინიშნონ საკითხები და ცალკეულ შემთხვევებში საკვანძო სიტყვებითაც შემოიფარგლონ. თუმცა ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ, ისევე როგორც საქმის მასალების შეგროვებისას, ამ შემთხვევაშიც მოსამართლის მიერ მოსაზრებების მკაფიოდ ჩამოყალი-

---

<sup>64</sup> არსებობს გამონაკლისი წესიდან, რომ **სამართლებრივი საკითხები** არ უნდა გაირკვეს მტკიცებულებათა შეგროვების შედეგად, არამედ მათზე პასუხი მხოლოდ სასამართლომ უნდა გასცეს: თუმცა, რადგან საუბარია უცხო ქვეყნის სამართალზე, ქართული სასამართლო ამ წესს არც უნდა იცნობდეს. ამდენად, ამ საკითხის გასარკვევად უნდა მიმართონ ექსპერტს ან სამართლის შესაბამის დარგში მომუშავე მეცნიერს.

<sup>65</sup> შეად. სკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ძირითად წესს.

ბება მათთვის წერილობითი ფორმის მიცემამდე ყოველთვის მისა-სალმებელია.

როდესაც მოსამართლე საკვანძო სიტყვების სახით შეჯამებულ, სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს გონებაში კიდევ ერთხელ შეაჯერებს და დასვამს შეკითხვას, სწორია თუ არა მისი ეს შეხედულება და არის თუ არა ამ გარემოებაზე დამოკიდებული გადაწყვეტილების მიღება, ამ გზით თავს აარიდებს ამგვარი ეჭვის მხოლოდ და ხშირად გვიან, გადაწყვეტილების შედგენისას წარმოშობის შესაძლებლობას ან – კიდევ უარეს შემთხვევას, – როდესაც ეჭვი მას საერთოდ აღარ შეეპარება და მნიშვნელოვანი, სამართლებრივი დავის გადაწყვეტისათვის არსებითი შეხედულება გამორჩევა მხედველობიდან.

## 8. mtkicebis stadia

მხარეთა მიერ გაკეთებული მოხსენებები უნდა გაიმიჯნოს ცალკეული ფაქტების მიხედვით, თუკი გადაწყვეტილების პროექტში მოსამართლე მივა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელის მოხსენება საფუძვლიანია, მოპასუხის შესაგებელი კი მნიშვნელოვანი. სხვა შემთხვევაში გადაწყვეტილების პროექტი არასწორია. ამ სადავო ფაქტებზე აუცილებელია მტკიცებულებების შეგროვება.

ამ მოქმედების განხორციელების წინაპირობაა, რომ მხარეებმა სადავო ფაქტობრივი გარემოებები საკმარისი სიზუსტით მოახსენონ სასამართლოს. მხარეთა გაურკვეველ მტკიცებებზე მტკიცებულებები

---

<sup>66</sup> შეად. ზემოთ, მე-5 პუნქტს, „ნეგატიური ფაქტების“ შესახებ: მაკლერმა უნდა დაამტკიცოს, რომ ხელშეკრულება მისი შუამავლობის შედეგად დაიდო და შესაბამისად უარყოს კლიენტის მტკიცება, რომ მან წინასწარ იცოდა ამ ობიექტის შესახებ. საპირისპირო შეხედულებების თაობაზე იხ. მე-40 სქოლიო.

<sup>67</sup> შეად. ზემოთ მე-40 სქოლიოს: მაკლერს კლიენტმა უნდა დაუმტკიცოს, რომ წინასწარ იცოდა ობიექტის შესახებ სკ-ის 744-ე მუხლის საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნის გასაქარწყლებლად.

<sup>68</sup> „მიღება“ გულისხმობს არა ხელშეკრულით მიღების თაობაზე შეთანხმებას, არამედ სამუშაოს ფაქტობრივ გადაცემას, რაც პრაქტიკაში ხშირად კონკლუდენტურად ხდება, მიღების ფორმალური ოქმით, განსაკუთრებით სამშენებლო სამუშაოების დროს. როგორც წესი, სამუშაოს დუმილით მიღებაზე საუბარია მაშინ, როდესაც კლიენტი სამუშაოს, ნაკეთობას ყოველგვარი პროტესტის ან დათქმის გარეშე მოხმარების მიზნით მიიღებს.



არ უნდა შეგროვდეს. საუბარია ე.წ. სამძებრო (ინკვიზიციურ) მტკიცებულებებზე.<sup>69</sup> თუმცა ეს საკითხი არის არა მტკიცებულების შეგროვებასთან, არამედ სამართლებრივ დასკვნასთან დაკავშირებული პრობლემა. დასკვნაში უნდა შემონმდეს, თუ რამდენად დაზუსტებით გადმოსცა მხარემ საქმის ფაქტობრივი გარემოებები. თუ მოსამართლეს ეს საკითხები არ დაუზუსტებია, მან დაუდევრობა გამოიჩინა, რადგან მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოხსენებული საქმის ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ჩაითვლება. საქმის უდავო ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას კი მტკიცებულებების შეგროვება არ არის სავალდებულო და რჩება მხოლოდ სამართლებრივი შეფასების შესაძლებლობა.

თუ ორივე მხარის მოხსენება საკმარისად იძლევა იურიდიული კვალიფიკაციის შესაძლებლობას, მაშინ მოსამართლემ ის ფაქტობრივი საკითხები შეძლებისდაგვარად ზუსტად უნდა დაამუშაოს, რომლებზედაც დამოკიდებულია სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანა. ამასთან, მუდმივად გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ ფაქტების და არა სამართლებრივი საკითხების დამტკიცებაა შესაძლებელი და აუცილებელი. მათ შორის განსხვავების დადგენა კი ყოველთვის არ არის ადვილი და ძირითადად, ცალკეულ შემთხვევაზეა დამოკიდებული. თუ მხარეთა მითითება ფაქტობრივ გარემოებას ემთხვევა, რომ მათ ნასყიდობის ხელშეკრულება განსაზღვრულ საგანზე დადეს, მხარეები ცნებით „ნასყიდობა“ სამართლებრივ ტერმინს იყენებენ, მაგრამ ამავე დროს ეს ტერმინი მოიცავს სასაუბრო ენაში ყველასათვის გასაგებ მნიშვნელობას და ამგვარად, ნათლად ფორმულირებულ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს. თუ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეები არ დავობენ ფაქტობრივ გარემოებაზე და ნასყიდობის ხელშეკრულებას დადებულად თვლიან და ამ საკითხთან დაკავშირებით არც მოსამართლეს უჩნდება ეჭვი, მაშინ საკითხის დაზუსტება აღარ არის საჭირო. მაგალითად, მოსამართლეს შეუძლია შეაგროვოს მტკიცებულებები

<sup>69</sup> შეად. სსკ-ის 162-ე მუხლს.

<sup>70</sup> შეად. სსკ-ის 120-ე მუხლს.



საკითხზე: „ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეთა შორის დადებასთან დაკავშირებით, ხელშეკრულება დათარიღებულია ... მოპასუხემ გამოკითხა მოსარჩელე, ჰქონდა თუ არა ავტომანქანას ... ავარიის შედეგად მიყენებული დაზიანებები, რაც მოსარჩელემ ამკარად უარყო“. ამ შემთხვევაში ნასყიდობის ცნება გამოიყენება, როგორც სასაუბრო ენაში დამკვიდრებული ცნება და არა როგორც სამართლებრივი ცნება, იურიდიული ტერმინი, რათა გაიმიჯნოს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები დროის თვალსაზრისით. ამ ტერმინის სამართლებრივი ცნების გამოყენების შემთხვევაში საერთოდ დაუშვებელი იქნებოდა მტკიცებულებათა შეგროვება, განსაკუთრებით კი მოწმის დაკითხვა.<sup>64</sup>

სხვაგვარად გადაწყდება საკითხი, როდესაც მხარეებს შორის სადავოა, უნდა ჩაითვალოს თუ არა ხელშეკრულება დადებულიად. ამ შემთხვევაში დაუშვებელია, რომ მოწმეთა დაკითხვის გზით შეგროვდეს მტკიცებულებები საკითხზე, „ჩაითვალოს თუ არა მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულიად“, რაც უკვე სამართლებრივი საკითხია და მასზე პასუხი მხოლოდ სასამართლომ უნდა გასცეს.

ამდენად, მართებული იქნებოდა, თუ ამგვარ შემთხვევებში მტკიცების საგანი უფრო ზუსტად იქნება ფორმულირებული, მაგალითად, დაეთანხმა თუ არა მოპასუხე მოსარჩელის შემოთავაზებას, რომ მოპასუხეს ავტომანქანის ... შესყიდვა .... ფასად შეეძლო, თუ განაცხადა, რომ მოსაფიქრებლად დრო ჭირდებოდა, მაგრამ სავარაუდოდ აპირებდა ავტომანქანის შეძენას.

როგორც წინამდებარე მაგალითმა გვიჩვენა, მტკიცებასთან დაკავშირებული საკითხების ფორმულირებისას უკვე წამოიჭრება მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი. საკითხის დასმის არჩევისას, სასამართლო შესაძლოა გაუცნობიერებლად, მაგრამ უკვე ნათლად გამოხატავს საკუთარ მოსაზრებას მტკიცების ტვირთის განაწილების შესახებ.

ზემოთ მოცემულ მაგალითში საკითხის გადაწყვეტა მარტივია:

---

<sup>71</sup> შეად. სსკ-ის 140-ე მუხლის მე-3 ნაწილს.

<sup>72</sup> შეად. სსკ-ის 140-ე მუხლის მე-3 ნაწილს.

მოსარჩელემ, სავარაუდო გამყიდველმა, უნდა დაამტკიცოს, დაიდო თუ არა მხარეებს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის საფუძველს.<sup>65</sup>

თუ სასამართლო მტკიცებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობისას მიმართავს შემდეგ ფორმულირებას, რომ „მტკიცებულებები უნდა შეგროვდეს მოსარჩელის მითითებებთან დაკავშირებით, რომ მან მოპასუხეს მიუთითა სახლზე, რომელიც მდებარეობს ... ქუჩაზე, რომლის შესახებაც ამ უკანასკნელმა მანამდე არაფერი იცოდა...“, იგი უკვე გამოხატავს საკუთარ პოზიციას ზემოთ მოყვანილ ფორმულირებაში ჩამოყალიბებული მოსაზრებებიდან გამომდინარე, თუ ვინ უნდა დაამტკიცოს გარემოება, რომ ხელშეკრულება სკ-ის 744-ე მუხლის შესაბამისად მაკლერის შუამავლობის შედეგად დაიდო.<sup>66</sup>

თუ სასამართლო მტკიცებულებათა შეგროვების შესახებ განჩინებას შემდეგნაირად ჩამოაყალიბებს, რომ „შეგროვდეს მტკიცებულებები მოპასუხის მტკიცებასთან დაკავშირებით, რომ მან სახლის შესახებ, რომელიც მდებარეობს ... ქუჩაზე, წინასწარ იცოდა, მაკლერისაგან შესაბამისი მითითების მიღებამდე...“, მაშინ გასაგებია, რომ სასამართლოს ეჭვი ეპარება კლიენტის მტკიცებასთან დაკავშირებით, რომ მან წინასწარ იცოდა ამ გარემოების შესახებ.<sup>67</sup>

მტკიცებულებათა შეგროვების შესახებ განჩინების ფორმულირება, რომ „შეგროვდეს მტკიცებულებები, კერძოდ გამოთხოვილ იქნეს ესქ-

<sup>73</sup> მიღების მნიშვნელობის თაობაზე მტკიცების ტვირთის თვალსაზრისით შეად. ზემოთ, 68-ე სქოლიოს.

<sup>74</sup> თუ როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო, აქაც, ცალკეული შემთხვევის საქმეა: თუ ექსპერტის მონვევის გზით მტკიცებულების შეგროვება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და მიღების და მასთან ერთად მტკიცების ტვირთის საკითხის გარკვევა შედარებით იოლია მონწივების A და B დაკითხვის გზით, მაშინ სასამართლომ ურთიერთშეჯერების შედეგად უნდა განსაზღვროს, თუ როგორ გაარკვიოს ეს საკითხი, რადგან არსებობს საფრთხე, რომ ხარჯების წინასწარ გადახდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელიც არ არის ვალდებული წარმართოს მტკიცება. ეს ხარჯები მას მოგვიანებით აღარ აუნაზღაურდება მაშინაც კი, თუ ის პროცესს მოიგებს, თუ მოწინააღმდეგე მხარე გადახდისუუნარო აღმოჩნდა. გარდა ამისა, მხარეს, რომელსაც დაეკისრა მტკიცების მოვალეობა, მტკიცებულებების შეგროვებამდე შესაძლებლობა ეძლევა კიდევ ერთხელ შეაფასოს საკუთარი საწყისი მდგომარეობა, როდესაც შეიტყობს, თუ რა რისკთან (სასამართლო ხარჯების წინასწარ გადახდის რისკთან) არის დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება და როგორ შეაფასებს სასამართლო მტკიცების ტვირთს და შესაბამისად, პროცესთან დაკავშირებულ რისკს.

პერტის დასკვნა, მოსარჩელის მტკიცებასთან დაკავშირებით, რომ მის მიერ დამზადებული ფანჯრები შეთანხმებისამებრ იქნა მიწოდებული და ჩაშენებული“, ცხადყოფს, რომ სასამართლომ არ იხელმძღვანელა იმ გარემოებით, რომ შემკვეთმა, მოპასუხემ მენარდისაგან ნაკეთობა მიიღო, რადგან სკ-ის 629-ე, 639-ე მუხლების შესაბამისად ნაკეთობის მიღებამდე<sup>68</sup> უნაკლო ნაკეთობის მიწოდების თაობაზე მტკიცების ტვირთი მენარდეს ეკისრება.

თუმცა, თუ სასამართლოს სურვილი გაუჩნდება შეაგროვოს მტკიცებულებები „მოპასუხეს მტკიცებასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის მიერ მიწოდებული ფანჯრები ნაკლის მქონე იყო და კარგად არ იკეტებოდა“, ნათლად გამოხატავს საკუთარ პოზიციას, რომ მან დაუშვა, რომ შემკვეთის მიერ სამუშაოს მიღება და შესაბამისად ნაკეთობის ნაკლის გამო მტკიცების ტვირთი ამჯერად კლიენტს დაეკისრება.

რა გავლენა აქვთ ამ განსხვავებებს, რომლებიც ერთი შეხედვით მხოლოდ ფორმულირების ნიუანსებია?

ფაქტობრივად ამ დეტალებს მნიშვნელობა აქვთ, მაგალითად, როდესაც ზემოთ მოყვანილ მაგალითში ექსპერტი დაადგენს, რომ ფანჯრები მართლაც არ იკეტება, სულერთია, თუ ვის დაეკისრება მტკიცების ტვირთი. მოპასუხის მიერ ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოსათვის გასამრჯელოს მიღების გამო შესაგებლების წარდგენა ყველა შემთხვევაში შესაძლებელია.

მიუხედავად ამისა, არსებობს, სულ მცირე, სამი მნიშვნელოვანი საფუძველი, რის გამოც მტკიცებულებათა შეგროვების თაობაზე განჩინების ჩამოყალიბებისას მტკიცების ტვირთის ზუსტად განაწილების საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

პირველ რიგში მნიშვნელოვანია, თუ რომელმა მხარემ უნდა იტვირთოს სადავო ფაქტის დამტკიცება, ანუ, რომელმა მხარემ უნდა წარადგინოს მტკიცებულება. ეს პრობლემატიკა კიდევ უფრო მძაფრდება

<sup>75</sup> შეად, უპირველეს ყოვლისა, შემთხვევა №1-ს.

<sup>76</sup> ე.წ. ნეგატიური ფაქტების მტკიცების შესახებ შეად. ზემოთ, მე-5 პუნქტის, ბოლო ნაწილს.

იმით, რომ სხვადასხვა ფაქტების დამტკიცების აუცილებლობის შემთხვევაში სასამართლომ არა მხოლოდ მხარეებს უნდა მიუთითოს მტკიცებულებათა წარდგენის შესაძლებლობაზე, არამედ უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს მტკიცებულებები, მაგალითად, გამოითხოვოს ექსპერტის დასკვნა<sup>69</sup> ან აწარმოოს ადგილზე დათვალიერება.<sup>70</sup>

მტკიცებულებათა წარდგენა მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, მოწმეთა ჩვენებისათვის. ამ შემთხვევაში მტკიცების მოვალეობის მქონე მხარის მიერ წარდგენილი შესაბამისი შუამდგომლობის გარეშე სასამართლო არ არის უფლებამოსილი საკუთარი ინიციატივით მოითხოვოს მოწმის დაკითხვა.<sup>71</sup> თუ მხარე არ დაასახელებს მოწმეებს, მაგალითად, რადგან მას არ შეუძლია მოწმის მისამართის დადგენა,<sup>72</sup> მაშინ მან თავად უნდა იტვირთოს ის შედეგები, რომლებიც დადგება მის მიერ მტკიცების წარმართვის შეუძლებლობის გამო. ყველაზე უარეს შემთხვევაში, აღნიშნულის გამო ის პროცესს წააგებს.

ასევე, მტკიცების ტვირთი მნიშვნელოვანია სასამართლო ხარჯების წინასწარ გადახდის მოვალეობის თვალსაზრისით. სსკ-ის 146-ე მუხლის მე-2 პუნქტი ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ სასამართლო უფლებამოსილია მხარეს, რომლის შუამდგომლობითაც გამოძახებულია მოწმე, დაავალოს მოწმის სასამართლოში გამოძახებისა და დაკითხვასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდა. ამასთან, შესაძლოა საუბარი იყოს საკმაოდ მნიშვნელოვან თანხებზე, როდესაც, მაგალითად, მოწმეს საზღვარგარეთიდან უნდა ჩამოსვლა, მაგრამ მისი სხდომაზე გამოცხადება დამოკიდებულია სატრანსპორტო ხარჯების წინასწარ გადახდაზე.

მხარეს, რომელიც წარადგენს შუამდგომლობას ექსპერტის მოწვევის თაობაზე, ასევე ეკისრება ხარჯების წინასწარ გადახდის მოვალეობა სსკ-ის 42-ე, 44-ე, და 52-ე მუხლების შესაბამისად.

<sup>77</sup> შეად. ზემოთ, 66-ე სქოლიოს.

<sup>78</sup> შეად. ზემოთ, 68-ე სქოლიოს.

რამდენადაც მტკიცებულებების გამოთხოვა ასევე შესაძლებელია სასამართლოს ინიციატივით, სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად წინასწარი სასამართლო ხარჯები „ორივე მხარეს შეაქვს თანაბარწილად“, რაც ყოველთვის არ გულისხმობს თანხის ნახევრად გაყოფას. მხარეს, რომელსაც ერთმნიშვნელოვნად აქვს დაკისრებული მტკიცების ტვირთი, არც ისე ადვილად შეუძლია მტკიცებულების თაობაზე შუამდგომლობის წარდგენაზე უარის თქმა, რათა სასამართლო იძულებული გახდეს საკუთარი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები და სასამართლო ხარჯების წინასწარ შეტანა ორივე მხარისაგან მოითხოვოს.

ცნების „თანაბარწილად“ სსკ-ის 52-ე მუხლის გაგებით განმარტებისას უნდა შემოვიფარგლოთ შემდეგით, რომ ასეთად ჩაითვლება იმ მხარის მიერ ხარჯების მხოლოდ ერთმხრივად გადახდა, რომლის მტკიცების ტვირთი ერთმნიშვნელოვნად არის დადგენილი. ხარჯების თანაბრად განაწილება, პირველ რიგში, მხედველობაშია მისაღები, როდესაც მტკიცების ტვირთის საკითხის გარკვევა არც ისე ადვილია და შესაძლოა ამ გარემოების დასადგენად აუცილებელი იყოს მტკიცებულებათა შეგროვება, რაც საკმაოდ ხარჯებთან არის დაკავშირებული: მაგალითად, არ არის დადგენილი, განხორციელდა თუ არა სავარაუდო ნაკლის მქონე ნაკეთობის მიღება.<sup>73</sup> ამ შემთხვევაში მართებულია, თუ სასამართლო საკუთარი ინიციატივით და მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების მიუხედავად გამოითხოვს ექსპერტის დასკვნას და დაადგენს, რომ თითოეულმა მხარემ წინასწარ გადაიხადოს ხარჯების ნახევარი. თუ ექსპერტი დაადგენს, რომ ნაკეთობას ნაკლი ჰქონდა, მაშინ შემკვეთი სანარმო წააგებს პროცესს და დაეკისრება სასამართლო ხარჯების გადახდა სსკ-ის 53-ე, 55-ე მუხლების შესაბამისად. თუ ექსპერტი დაადასტურებს, რომ ნივთი უნაკლოა, მაშინ სასამართლო ხარჯების გადახდა დაეკისრება შემკვეთს. სამუშაოს მიღებისა და მტკიცების ტვირთს ორივე შემთხვევაში მნიშვნელობა აღარ აქვთ.<sup>74</sup>

მტკიცების ტვირთის საკითხი მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმ შემთხვევაში, როდესაც მტკიცებულებათა შეგროვების მიუხედავად სადავო ფაქტები ვერ დადასტურდება, სასამართლო ვერ დარწმუნდა მათ

არსებობა-არარსებობაში. ამდენად, მტკიცების საკითხი არ გაირკვა და მოცემულია ე.წ. **“non-liquet”**. სწორედ აქ იძენს მტკიცების ტვირთის განაწილების წესი და სასამართლოს მიერ მისი ზუსტად განსაზღვრა განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ამოსავალი წერტილი მარტივია. ძირითადად, მოქმედებს სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესი, რომლის შესაბამისად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. აღნიშნული გულისხმობს, რომ მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის შეჩერების ან გაქარწყლების საფუძველს.

ზოგიერთ შემთხვევაში მოქმედებს საპროცესო ან მატერიალური სამართლით გათვალისწინებული გამონაკლისი ამ წესიდან.<sup>75</sup>

ზოგადად, სასამართლო უფლებამოსილია ორიენტაცია ძირითად პრინციპებზე აიღოს.

თუკი სასამართლომ განსაზღვრა, ვინ უნდა წარმართოს მტკიცება, მაშინ ასევე დადგენილია, თუ რომელ შეხედულებებს უნდა მიანიჭოს უპირატესობა სამართლებრივ დავაზე გადაწყვეტილების გამოტანისას: თუ მტკიცება წარმართა მხარემ, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა მტკიცების მოვალეობა, მაშინ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა ამ გაგებით მომნიშვნეულია. ეს მხარე მოიგებს პროცესს, თუ სამართლებრივი დავის გადაწყვეტა მხოლოდ ამ საკითხზეა დამოკიდებული.

თუ მხარემ არ წარმართა მტკიცება, მაშინ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა ყველა შემთხვევაში მომნიშვნეულია, თუმცა დადგება საპირისპირო შედეგი.

ზემოთ მოყვანილ მაგალითზე აღნიშნული შემდეგნაირად აისახება: მაკლერის შემთხვევაში მაკლერი ნააგებს პროცესს, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ კლიენტმა მითითებული ობიექტის შესახებ არაფერი

---

<sup>75</sup> ზოგადი წესი იხ. სსკ-ის 102-ე მუხლის პირველ ნაწილში; მოწმის ჩვენების შესახებ იხ. 140-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

იცოდა,<sup>76</sup> რადგან შესაბამისად ის ველარ დაამტკიცებს, რომ ხელშეკრულება მისი შუამავლობის შედეგად დაიდო.

თუ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ მტკიცება კლიენტმა უნდა წარმართოს, რომ მან ობიექტის შესახებ მაკლერის მითითებამდე იცოდა,<sup>77</sup> მაშინ შეიცვლება მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი და შესაბამისად პროცესის შედეგიც. თუ კლიენტი ვერ დაამტკიცებს, რომ მან წინასწარ იცოდა ამ ობიექტის შესახებ, მაშინ მან უნდა გადაიხადოს სასამართლო ხარჯები.

მეორე მაგალითის შემთხვევაში, რომელიც შეეხებოდა ნაკლის მქონე ნაკეთობის მიწოდებას, „non-liquet“ რთული წარმოსადგენია. როგორც წესი, იშვიათია, რომ ექსპერტმა ვერ შეძლოს ნაკეთობის ნაკლის დადგენა. თუმცა, ამგვარ გამონაკლისებზეც უნდა ვიფიქროთ. შესაძლებელია, რომ ნივთი, რომელზეც უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა აღარ არსებობს, მაგალითად, სახლი ჩაშენებულ ფანჯრებთან ერთად დაინვა ან, მართალია, ექსპერტი დაადგენს, რომ ფანჯრები მართლაც არ იკეტება, რადგან სახელურის მექანიკა არ ფუნქციონირებს, მაგრამ მას არ შეუძლია ზუსტად განსაზღვროს, რომ ეს ნაკლი ნაკეთობის მიწოდებისას არსებობდა, თუ არასწორი გამოყენების შედეგად წარმოიშვა. საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია შემდეგ გარემოებებზე, უნაკლო ნივთის მიწოდების ფაქტი მენარდემ, საწარმომ, უნდა დაამტკიცოს, რისი დამტკიცებაც მას არ შეუძლია ან ნაკლის მქონე ნაკეთობის მიწოდების ფაქტი შემკვეთმა უნდა დაამტკიცოს, თუმცა ამ გარემოების დამტკიცება არც შემკვეთს შეუძლია.

ამდენად, მნიშვნელოვანია სამუშაოს (ნაკეთობის) მიღების<sup>78</sup> საკითხი. თუ ნაკეთობის მიწოდებელი დაამტკიცებს, რომ მისმა კლიენტმა ნივთი მიიღო, მაშინ ეს ფაქტი იმოქმედებს მენარდის სასარგებლოდ და არ დამტკიცდება გარემოება, რომ ფანჯრებს ნაკლი მიწოდებისას უკვე ჰქონდათ. თუ იგი ვერ დაამტკიცებს მიღების ფაქტს (ამ მოთხოვნის წარმომშობი გარემოების მტკიცების ტვირთიც მას ეკისრება) და რომ ნაკეთობას მიწოდებისას ნაკლი არ ჰქონია, მაშინ ვერ წარადგენს და ვერ განახორციელებს გასამრჯელოს მიღების მოთხოვნას.



მტკიცების ტვირთის დაკისრების საკითხი უკვე მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ განჩინების ფორმულირებისას უნდა აისახოს: მოსამართლე აშკარად გამოხატავს საკუთარ პოზიციას, რომ გაარკვია მტკიცების ტვირთის დაკისრების საკითხი და როგორ შეფასებას აძლევს მას.

კონკრეტულ მაგალითზე განჩინება შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს:

გამოთხოვილ იქნეს მტკიცებულებები მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტზე, რომ მის მიერ მიწოდებული ნაკეთობა უნაკლო იყო და არ არსებობდა შემდეგი სახის ნაკლი .. (ფორმულირება მიღებამდე),

ან

მოპოვებულ იქნეს მტკიცებულებები მოპასუხის მიერ მითითებულ ფაქტზე, რომ მოსარჩელის მიერ მიწოდებულ ნაკეთობას ნაკლი ჰქონდა, არსებობდა შემდეგი სახის ნაკლი .. (ფორმულირება მიღების შემდეგ),

– გამოთხოვილ იქნეს ექსპერტის დასკვნა.

ამ მაგალითებიდან ნათელია, რომ მტკიცების ტვირთს ხშირად პროცესისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და გავლენას ახდენს მასზე ჯერ კიდევ მტკიცებულებების შეგროვებამდე.

თუმცა, მისი მნიშვნელობა არც მტკიცებულებათა შეგროვების ან მის შემდგომ სტადიაზე მცირდება.

თუ ფაქტები, რომელთა დამტკიცებასაც მხარეები ცდილობენ, მოსამართლისათვის საკმარისად დამაჯერებელი არ აღმოჩნდა, არ არის აუცილებელი, რომ გაგრძელდეს მტკიცებულებების შეგროვება, რათა დასამტკიცებელ ფაქტთან მიმართებაში საბოლოოდ პოზიტიური შედეგი დადგეს.

თუ სასამართლო დაადგენს, რომ მხარემ, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა მტკიცების ტვირთი, არ წარმოადგინა საჭირო და საკმარისი მტკიცებულებები, მაშინ მათი შეგროვება დასრულებულად უნდა ჩაითვალოს, თუკი მხარე, რომელსაც **დაეკისრა მტკიცების მოვალეობა**, არ წარადგენს ახალ შუამდგომლობას მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ. პროცესში მოწინააღმდეგე მხარის საპირისპირო მტკიცება ამ

<sup>80</sup> შეად. ქვემოთ, შემთხვევა №6.

შემთხვევაში არ არის საინტერესო და საჭირო.

თუ მტკიცებულებათა შეგროვების შემდეგ, მოსამართლეს არ ჩამოუყალიბდა შინაგანი რწმენა იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ხელშეკრულება მხარეებს შორის დადებულია ჩაითვალოს, სარჩელს უარი უნდა ეთქვას იმ დასაბუთებით, რომ ხელშეკრულების დადების ფაქტი ვერ დადგინდა. ამდენად, მტკიცებულებების შეგროვება “non-liquet” დასრულდება. არ იქნება მართებული, თუკი მოსამართლე კვლავაც გააგრძელებს მტკიცებულებების შეგროვებას, რათა პოზიტიურად დაადგინოს, რომ ხელშეკრულება არ დადებულია, რასაც პროცესისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, საკითხის გარკვევისათვის კი დაიხარჯება დრო და ფული. ამდენად, მხარეების მიერ წარდგენილი შესაბამისი შუამდგომლობა მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ არ უნდა იქნეს გათვალისწინებული.<sup>79</sup>

თუმცა, ზემოთ აღნიშნული სულაც არ ნიშნავს, რომ გამონაკლის შემთხვევაში მოსამართლეს უფლება აქვს დასამტკიცებელ ფაქტებს საპირისპირო შეფასება მისცეს, თუკი ეს შედეგი ერთმნიშვნელოვნად გამომდინარეობს შეგროვებული მტკიცებულებებიდან და თუ მათი მხედველობაში მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს.

თუ ექსპერტმა ერთმნიშვნელოვნად და გასაგებად უარყო მოპასუხის მითითება ნაკეთობის ნაკლის შესახებ, მოსამართლეს ასევე შეუძლია ეს გარემოება დამტკიცებულად მიიჩნიოს და საფუძვლად დაუდოს გადწყვეტილებას, რის შესახებაც საწინააღმდეგო მოსაზრებები არ არსებობს.

მტკიცების ტვირთან დაკავშირებული საკითხი მოსამართლემ მაინც უნდა გაარკვიოს და შემდეგნაირად ჩამოაყალიბოს: „მოპასუხემ ვერ დაამტკიცა ნაკეთობის ნაკლის არსებობა. პირიქით, ექსპერტმა დამაჯერებლად დაადასტურა, რომ ნივთს მიწოდებისას ნაკლი არ ჰქონია და შესაძლო დაზიანებები მხოლოდ მოგვიანებით, მოპასუხის მიერ მისი არასწორად გამოყენების შედეგად წარმოიშვა...“ ამ შემთხვევაში მხოლოდ მტკიცების ტვირთზე ყურადღების გამახვილება ხელოვნური

---

<sup>81</sup> შეად. ქვემოთ, მე-10 პარაგრაფს.

და უცხო იქნება.

სხვა შემთხვევაში მოქმედებს წესი, რომ მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი სამოტივაციო ნაწილშიც უნდა აისახოს: მისი ფორმულირება მტკიცების ტვირთზე უნდა იყოს ორიენტირებული.

თუ ვერ დამტკიცდა ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც გადაწყვეტილებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაშინ მოსამართლე ამ დასაბუთებით უნდა შემოიფარგლოს და არ შეეცადოს არგუმენტების მოყვანას, რომ შესაძლებელია საპირისპიროს დამტკიცებაც. თუ მოსამართლე წინააღმდეგობაში მოვა ამ ძირითად დებულებასთან, არა მხოლოდ პროცესის მონაწილეებსა და სასამართლო ინსტანციას, რომელშიც საჩივრდება გადაწყვეტილება, შესაძლოა შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ მტკიცების ტვირთის საკითხის თაობაზე მცდარი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ეს გავლენას იქონიებს განსაკუთრებით მხარეზე და იგი არასწორად შეაფასებს გასაჩივრების შანსებს.

მაგალითად, მოპასუხემ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დაამტკიცოს, რომ ნაკეთობას ნაკლი აქვს. იგი პროცესს უკვე წააგებს, თუ არ წარმართავს მტკიცებას ამ მიმართულებით. თუ მოსამართლე გადაწყვეტილებაში დადგენილად მიიჩნევს, რომ ნაკეთობას ნაკლი არა აქვს, აუცილებელი არ არის ამ გადაწყვეტილების დასაბუთება. მოპასუხის შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს მიღების ფაქტს. საკმარისია მან ეჭვი შეიტანოს მოსამართლის რწმენაში, რომ ნაკეთობა უნაკლოა, რომ ის პროცესს მოიგებს. ფაქტობრივად მან მთლიანად უნდა წარმართოს მტკიცება ნაკეთობის ნაკლთან დაკავშირებით.

მოსამართლის მიერ დამტკიცებულმა შეცდომამ შეიძლება განაპირობოს

---

<sup>82</sup> ეს წესი მსგავსი ფორმით მოქმედებს გადაწყვეტილების პროექტის შედგენისას, საქმის მასალების მოხსენებისას კოლეგიური სასამართლოსათვის და კოლეგიის თათბირობისას. საკუთარი მოსაზრებების ზეპირად ან წერილობით გადმოცემა მომხსენებელი მოსამართლის მიერ საკუთარი თავის კონტროლის ეფექტური საშუალებაა, აღარაფერს ვამბობთ მსმენელზე და იმ სარგებელზე, რასაც ამგვარი მიდგომა აღნიშნულ საკითხებზე გამართული დისკუსია მოუტანს!

მოსამართლემ, რომელიც ერთპიროვნულად განიხილავს საქმეს, ასევე არ უნდა თქვას უარი, თუ მას აქვს შესაძლებლობა და დრო, რომ პრობლემურ საქმეებზე კოლეგებთან ერთად იმსჯელოს ან მოუსმინოს იმ კოლეგებს, რომლებიც რჩევას ითხოვენ!

გადანყვეტილების გასაჩივრება, რაც აუცილებელი არ არის და, როგორც ჩანს, არც წარმატებულ შედეგს მოიტანს. აღნიშნული კიდეც ერთხელ მიუთითებს იმის აუცილებლობაზე, რომ გადანყვეტილების ფორმულირებისას მტკიცების ტვირთის საკითხი ზუსტად უნდა განისაზღვროს.

დასახელებული შემთხვევის გათვალისწინებით, რომ მხარემ, რომელსაც დაეკისრა მტკიცების ტვირთი, არ წარმართა მტკიცება, აქედან გამომდინარე კი, მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობამ მტკიცებულებების შეგროვების თაობაზე მნიშვნელობა დაკარგა და სსკ-ის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შუამდგომლობა მხარეს უნდა დაუბრუნდეს, კანონი მხოლოდ ცალკეულ მითითებებს შეიცავს იმის თაობაზე, თუ მხარეს როდის უნდა ეთქვას უარი მტკიცებულებების გამოთხოვის თაობაზე წარდგენილ შუამდგომლობაზე.

გვინდა ჩამოვაცალიბოთ შემდეგი მნიშვნელოვანი საფუძვლები:

კანონი განსაზღვრული ფაქტების დამტკიცებას მხოლოდ მტკიცებულების განსაზღვრული სახის გამოყენებით უშვებს. სსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და სკ-ის 624-ე მუხლის მე-2 წინადადების შესაბამისად ასეთი შემთხვევაა სესხის ხელშეკრულება.<sup>80</sup>

კანონით აკრძალული მტკიცებულებები, მაგალითად, სატელეფონო საუბრების მოსმენა, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, ხოლო მსგავსი მტკიცებულებები არ უნდა იქნეს მიღებული სსკ-ის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

წარდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც სასამართლოსათვის უკვე ცნობილია ან ძალაში შესული გადანყვეტილებით დამტკიცებულად არის მიჩნეული, შესაძლებელია არ იქნეს მიღებული სსკ-ის 106-ე მუხლის შესაბამისად.

---

<sup>83</sup> სკ-ის 262-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების შემდგომ განხილვას მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში უნდა მივმართოთ. დიდია საფრთხე, რომ მოხდეს გადანყვეტილებაში დაუშვებელი, შინაარსობრივი ცვლილების შეტანა, თუ საერთოდ ეს შესაძლებლობა მხოლოდ აშკარად არასწორი ფორმულირების გამოსწორებით უნდა შემოიფარგლოს.

ბუნებრივია, გადანყვეტილება ყველა შემთხვევაში უნდა აღსრულდეს, რაც განხილვას აღარ ექვემდებარება.

თუ სადავო ფაქტობრივი გარემოებები მოსამართლის რწმენის ჩამოსაყალიბებლად საკმარისად გაირკვა, მაგალითად მონმის ჩვენების შედეგად, მაშინ სხვა მონმეების მონვევის შესახებ შუამდგომლობა **ამ ფაქტის დასამტკიცებლად არ უნდა დაკმაყოფილდეს**. აღნიშნული ასევე გამომდინარეობს სსკ-ის 104-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, ყოველ შემთხვევაში ამ დებულებაში გადმოცემული სამართლებრივი იდეიდან.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ იმ დასაბუთებით, რომ მოსამართლეს უკვე ჩამოუყალიბდა შინაგანი რწმენა, დასაშვებია უარი მხოლოდ **მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობაზე** და არა **მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ მონინაალმდევე მხარის მიერ წარდგენილ შუამდგომლობაზე**: თუ მონმის ჩვენება საკმარისად დამაჯერებელი აღმოჩნდა მოსამართლის რწმენის ჩამოსაყალიბებლად, ამ უკანასკნელს უფლება არა აქვს ამ მოტივით თქვას უარი სხვა მონმეთა ჩვენების მოსმენაზე, რომლებიც **საპირისპირო** ვერსიას აღწერენ. სსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ **სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა**. გამოცდილებამ აჩვენა, რომ შეგროვებული ერთმნიშვნელოვანი მტკიცებულებები, მონინაალმდევე მხარის მიერ სხვა მტკიცებულებათა წარმოდგენამ შესაძლოა მეტნაკლებად შეცვალოს და ეს აისახოს შედეგზე.

ამდენად, მონინაალმდევე მხარის შუამდგომლობა ყველა შემთხვევაში უნდა დაკმაყოფილდეს.

**9. samotivacio nawili**

**ა) ზოგადი შენიშვნები:**

---

<sup>84</sup> მოსამართლემ, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, თავად არც ერთ შემთხვევაში არ უნდა განიხილოს, კომენტარი გაუკეთოს ან გაამართლოს საკუთარი გადაწყვეტილება. მართებულია, თუ სასამართლოს სხვა წევრებიც შეიკავებენ თავს ყოველივე ზემოთ თქმულისაგან და შემოიფარგლებიან საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და გადაწყვეტილების გამოტანის საფუძვლების ზუსტად გადმოცემით. ამგვარი შეზღუდული მოქმედება უკვე წარმოადგენს საქმის შინაარსთან დაკავშირებით მცდარი თავდასხმებისაგან დაცვის ეფექტურ მექანიზმს.

რას ნიშნავს სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება? მარტივად რომ ვთქვათ, იგი წარმოადგენს უფლების სასამართლო წესით განხორციელებას, სამართლიანობის აღდგენას მოსარჩელის მიერ წარდგენილი კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილების და შესაბამისად, იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გზით, რომლებიც სამართლებრივ საფუძვლებს არ ემყარება, თუმცა, ამ მიზნის მისაღწევად საკმარისია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილიც, გათვალისწინებული სსკ-ის 249-ე მუხლის მე-5 პუნქტით.<sup>81</sup>

სსკ-ის 247-ე მუხლის შესაბამისად სასამართლომ გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით უნდა დაასაბუთოს, რაც ერთი შეხედვით ბუნებრივია, თუმცა, თუ სამართლის ისტორიას გადავხედავთ, შესაძლოა ეს მოვლენა არც ისე ბუნებრივი აღმოჩნდეს. ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ საუბარია სამართლებრივი სახელმწიფოს შესაბამისი მართლმსაჯულების და, მათ შორის, ქართული მართლმსაჯულების ელემენტარულ პრინციპზე. არსებობდა მრავალი მნიშვნელოვანი საფუძველი, რომლებმაც განაპირობეს ამ პრინციპის საკანონმდებლო წესით რეგულირების აუცილებლობა.

გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობას შემთხვევით არ მიუჩინეს პირველი ადგილი დროში და, ბუნებრივია, არც საგნობრივი თვალსაზრისით აქვს ამ გარემოებას ნაკლები მნიშვნელობა. დასაბუთება აუცილებელია, რათა მოსამართლემ თავად გაუწიოს კონტროლი საკუთარ გადაწყვეტილებას. გონებაში ჩამოყალიბებული გადაწყვეტილებისათვის წერილობითი ფორმის მიცემა განაპირობებს სისტემურობას და შესაძლებელს ხდის მის სისწორეზე კონტროლის განხორციელებას. ყოველი მოსამართლისათვის ცნობილია ფენომენი, რომ ხშირად გონებაში ჩამოყალიბებული გადაწყვეტილებისათვის წერილობითი ფორმის მიცემისას ყველაფერი სწორად და უპრობლემოდ აღარ გამოიყურება, როგორც ეს თავდაპირველად ჩანდა. როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, ძალის თავი აქაც, წვრილმანებში, დეტალებშია დამარ-

<sup>81</sup> საკუთარი თავის კონტროლი, ორიენტირება გადაწყვეტილების შესაძლო მიმღებზე: მხარეებსა და ზემდგომ ინსტანციების სასამართლოებზე, თუ გადაწყვეტილება გასაჩივრდება.

ხული. იშვიათი არ არის, რომ გადაწყვეტილების შედგენისას წარმორჩინდება ხოლმე საკუთარი დასაბუთების, მსჯელობის და შეფასების სუსტი მხარეები და ხარვეზები, რომლებიც ამ გზით შესაძლოა გამოსწორდეს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.<sup>82</sup>

სამოტივაციო ნაწილი, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება სამართლებრივი დავის მხარეების ინტერესებს. მათ უნდა იცოდნენ, თუ მოსამართლემ მათი შემთხვევა (და ეს მათი შემთხვევაა, სსკ-ის მე-3 მუხლი!) რატომ გადაწყვიტა ასე და არა სხვაგვარად. ამ საკითხს ჩვენ კიდევ უნდა დავუბრუნდეთ.

დასაბუთება ასევე მნიშვნელოვანია შემდგომში გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში და მეორე ინსტანციის სასამართლოს გათვალისწინებით, რომელსაც ასევე უნდა შეექმნას წარმოდგენა იმის თაობაზე, თუ რამ განაპირობა საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების გამოტანა. მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი, რომ მხარეებმა კვლავ იდავონ გასაჩივრებული გადაწყვეტილების თაობაზე, ხოლო მოსამართლემ იმსჯელოს საქმეზე. გამოცდილებამ აჩვენა, რომ სასამართლოს ინსტანცია, რომელსაც წარედგინება გასაჩივრებული გადაწყვეტილება, მისი ყველაზე ყურადღებიანი მკითხველია. წერილობით გადაწყვეტილების ჩამოყალიბებისას მიზანშეწონილია, რომ მოსამართლემ, რომელიც დარწმუნებულია საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში, მაინც გაითვალისწინოს შემდგომი ინსტანცია, როგორც გადაწყვეტილების შესაძლო მიმღები და იფიქროს იმაზე, რომ ამ ინსტანციის მოსამართლეს მხოლოდ წერილობით ჩამოყალიბებულმა ამ მოსაზრებებმა უნდა შეუქმნას წარმოდგენა გამოტანილ გადაწყვეტილებაზე და გაუადვილოს მისი გაგება.

რაც შეეხება სხვა სახის განმარტებებს, მოსაზრებებს, რომლებიც ზეპირი განხილვის დროს იქნა მოსმენილი, ისინი სხდომის მონაწილეთათვის არის ცნობილი, მაგრამ ზემდგომი ინსტანციის

<sup>86</sup> შეად. ზემოთ, მე-7 პარაგრაფს.

<sup>87</sup> შეად. სსკ-ის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილს.



მოსამართლემ მათ შესახებ არაფერი იცის.<sup>88</sup>

სსკ-ის მე-8 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს სახელით გამოაქვს.

მიუხედავად იმისა, თუ რამდენად დიდია საჯარო ინტერესი სამოქალაქო-სამართლებრივი დავის ცალკეულ შემთხვევებში (როგორც წესი ეს ინტერესი უშუალო მონაწილეთა წრით შემოიფარგლება), საზოგადოებას აქვს უფლება იცოდეს, თუ რა გადაწყვეტილებები გამოაქვთ მისი სახელით და რა არის მათი საფუძველი.

ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც დავას განსაკუთრებული პოლიტიკური ელფერი აქვს და უკანასკნელ წლებში სასამართლომ არა ერთი ამგვარი დავა განიხილა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ზედმინევენით ჩამოყალიბებული დასაბუთება, რაც სცილდება ცალკეული შემთხვევის ფარგლებს. ამგვარ კონფლიქტებზე გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოები თავის თავზე იღებენ მნიშვნელოვანი საჯარო ამოცანების შესრულებას, რასაც მათ სსკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად თავი არ უნდა აარიდონ და არც ამის სურვილი უნდა ჰქონდეთ.

ყველა ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მისი სარეზოლუციო ნაწილი. საზოგადოებრიობა მასზე დიდი ინტერესით მსჯელობს და აანალიზებს. ამ ინტერესს, უპირველეს ყოვლისა, მასმედია და როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინსტიტუციები ავლენენ. მხოლოდ ანონ-დანონილ და დამაჯერებლად დასაბუთებულ გადაწყვეტილებას აქვს შანსი მიღებულ იქნეს საზოგადოების მიერ, მიუხედავად მასში ჩამოყალიბებული განსხვავებული აზრისა.

გადაწყვეტილების დასაბუთების მიზანი კიდევ უფრო ფართო მნიშვნელობისაა, თუმცა, ზემოთ აღნიშნულთან ნაკლებად დაკავშირებული

---

<sup>88</sup> შეად. სკ-ის 153-ე მუხლის პირველ ნაწილს, 267-ე მუხლის მე-3 ნაწილს.

<sup>89</sup> შეად. სკ-ის 247-ე მუხლს.

<sup>90</sup> შეად. სკ-ის 155-ე, 170-ე მუხლებს.

თვალსაზრისით: დასაბუთების ვალდებულება არა მხოლოდ მოსამართლის მოვალეობაა, არამედ მისი უფლება. სწორედ იმ საქმეების განხილვისას, რომელთა მიმართ განსაკუთრებული ზოგადი ინტერესი წარმოიშობა ხოლმე, მოსამართლესა და მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ხშირად ძლიერ აკრიტიკებენ, ყოველ შემთხვევაში მოდავე ერთი მხარე მაინც. კრიტიკა ყოველთვის საქმის არსს, დავის საგანს არ შეეხება. ზოგჯერ გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ხდება სასამართლო გადაწყვეტილებების არასწორი ციტირება ან შესაბამისად გამოქვეყნება, ნაწილობრივ სასამართლოს დაუპირისპირებენ ხოლმე ისეთ მოტივებს, რომლებიც უცხოა დავის საგნის თვალსაზრისით.

მოსამართლის მიმართ ამგვარი გალაშქრებისაგან თავის დასაცავად საუკეთესო, ქმედითი საშუალებაა წერილობით ჩამოყალიბებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი, რომლითაც სასამართლოს შეუძლია წარსდგეს საზოგადოებრიობის წინაშე, პრეს-სამსახურის მეშვეობით ან გადაწყვეტილების მედიაში გამოქვეყნების გზით და შესთავაზოს გადაწყვეტილების საგნობრივი კრიტიკა.<sup>84</sup>

ამდენად, დასაბუთებული გადაწყვეტილება ემსახურება არა ცალკეული მოსამართლის გამართლებას, არამედ ზოგადად ქმნის წარმოდგენას მართლმსაჯულებაზე. საქართველოში, სადაც მართლმსაჯულება აღმშენებლობის და გარდატეხის პროცესშია, ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რაც მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს ამ სახის საქმეებზე გადაწყვეტილების გამოტანისას, განსაკუთრებით სამოტივაციო ნაწილის ჩამოყალიბებისას.

შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების გათვალისწინებით სასამართლო გადაწყვეტილება გამომდინარეობს მხოლოდ თავად სამართლებრივ დავაში მონაწილე მხარეთაგან, მიუხედავად სსკ-ის მე-10 მუხლის მოქმედების გავლენისაგან. თუმცა, აღნიშნული არ გამოორიცხავს იმ გარემოებას, რომ სასამართლოს უმაღლესი ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების მნიშვნელობა ხშირად სცილდება ცალკეული შემთხვევის მასშტაბებს, რაზეც კვლავ უნდა შევჩერდეთ.

ბევრ შემთხვევაში ამგვარი გადაწყვეტილებები მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაზეა მიმართული, მაგრამ კანონთა განმარტებისა და სადავო

სამართლებრივი საკითხების გარკვევის საშუალებით ემსახურება სამართლის განვითარებას. გადანყვეტილებები ქვეყნდება გადანყვეტილებათა კრებულებსა და იურიდიულ ჟურნალ-გაზეთებში, მათზე მსჯელობენ სამეცნიერო წრეებში. ამდენად, გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი ასრულებს ფართო მნიშვნელობის მქონე ამოცანას.

წინამდებარე ნაშრომში მოკლედ მოხსენებული განსხვავებული მიზნები და მოლოდინი, რაც დაკავშირებულია გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილთან, ხშირად არა თუ შესაბამისობაში, არამედ ზოგჯერ ერთმანეთთან წინააღმდეგობაშიც კი მოდიან. საბედნიეროდ, პრაქტიკოსი მოსამართლეები, განსაკუთრებით ქვედა ინსტანციებში, ხშირად არ აწყდებიან დასახელებულ პრობლემებს ყოველი საქმის განხილვისას, არამედ მათ უფრო გამონაკლისის სახე აქვთ, რაც ზემოთ აღნიშნულ ასპექტზე ვრცელდება.

პრაქტიკულ საქმიანობაში ძირითადად მოქმედებს სამი შეხედულება.<sup>85</sup> მათი მხედველობაში მიღებით, როგორც წესი, მიზანთა კონფლიქტი არ წარმოიშობა.

სსკ-ის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილი ადგენს, თუ რას უნდა შეიცავდეს გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი. ამ ნორმის შესაბამისად, გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მოცემულ უნდა იქნეს ფაქტობრივი გარემოებები, რომლებითაც სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს, მტკიცებულებები, რასაც ემყარება ფაქტობრივი გარემოებები, საფუძვლები, რომლებიც სასამართლოს საშუალებას აძლევს უარყოს განსაზღვრული მტკიცებულებები, ხოლო კანონები, რომლებსაც მოსამართლე იყენებს საქმეზე გადანყვეტილების გამოტანისას, სამოტივაციო ნაწილში ასახოს.

გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსის შესახებ მნიშვნელოვან დებულებას ასევე ითვალისწინებს სსკ-ის 105-ე მუხლის მე-3 ნაწილი: მოსამართლემ გადანყვეტილებაში უნდა ასახოს შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საფუძვლები.

თუ სასამართლო იმოქმედებს კანონით დადგენილი ამ წესის შესაბა-

---

<sup>85</sup> შეად. ზემოთ, მე-7 პარაგრაფს.

მისად, მაშინ ფაქტობრივად სამოტივაციო ნაწილში აისახება ის მნიშვნელოვანი არგუმენტები, რომლებმაც განაპირობეს სასამართლოს მიერ მოცემული გადაწყვეტილების გამოტანა.

კანონი არ განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს სამოტივაციო ნაწილი. თუმცა ნათელია, რომ არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ შინაარსს, არამედ გადმოცემის ფორმასაც, განსაკუთრებით გადაწყვეტილების სტილს.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები: გადაწყვეტილების პროექტისაგან განსხვავებით, რომელიც კოლეგებისათვის არის გამიზნული,<sup>86</sup> სამოტივაციო ნაწილი პირველ რიგში მიმართულია სამართლებრივი დავის მხარეებზე. სამოტივაციო ნაწილი, უპირველეს ყოვლისა, მათთვის გასაგებად უნდა იყოს გადმოცემული, რაზეც გადაწყვეტილების აგებისას მოსამართლემ ყოველთვის უნდა იფიქროს. ამდენად, ფორმულირება უნდა იყოს ნათელი და საყოველთაოდ გასაგები ენით გადმოცემული. რთული კონსტრუქციები მოკლე წინადადებებით უნდა ჩამოყალიბდეს. უცხო სიტყვების გამოყენებისაგან მოსამართლემ მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი.<sup>87</sup>

თანამედროვე სასამართლო პრაქტიკაში სამართლებრივი საკითხები და სამართლებრივი ცნებები ისე რთულად არის ხოლმე გადმოცემული, რომ მათი გაგება არაიურისტებისათვის საკმაოდ ძნელია. ამგვარი პრობლემებისათვის თავის არიდება არც სამოტივაციო ნაწილის აგებისას არის ადვილი, თუმცა მოსამართლემ ეს სირთულეც უნდა გადალახოს. რთულ სამართლებრივ საკითხებზე, რომლებზედაც დამოკიდებულია საქმის გადაწყვეტა, მან დასაბუთებული გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს. მან უნდა გამოიყენოს ნათლად ჩამოყალიბებული იურიდიული ტერმინები და არ შეუდგეს მათ აღწერას. გირავნობის აქცესორული ხასიათი,<sup>88</sup> სერვიტუტის არსი,<sup>89</sup> განსხვავება მფლობელობასა და საკუთრებას<sup>90</sup> შორის და ა.შ. ეს იმ ტერმინთა მაგალითებია, რომელთა

<sup>86</sup> შეად. ზემოთ, მე-7 პარაგრაფს.

<sup>87</sup> შეად. ზემოთ, მე-7 პარაგრაფს.

გადმოცემა ჩვეულებრივი სასაუბრო ენით შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, მოსამართლე ამ შემთხვევაშიც უნდა შეეცადოს, რომ გამოიყენოს ისეთი ფორმულირება, რომელიც გასაგები იქნება არაიურისტებისათვის ან საჭიროების შემთხვევაში ადვოკატის დახმარებით მიუთითებს იმ საფუძვლებზე, რომლებზე დაყრდნობითაც სასამართლომ გამოიტანა მოცემული და არა სხვა გადაწყვეტილება. მხოლოდ ამ შემთხვევაში არსებობს შანსი, რომ გადაწყვეტილება იმ მხარემაც მიიღოს, რომელმაც პროცესი წააგო, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საჯარო წესრიგის აღდგენისათვის. საბოლოოდ, მოსამართლის გადაწყვეტილებას შეიძლება მხოლოდ ის მხარე დაეთანხმოს, რომელსაც ესმის, თუ რატომ გამოიტანა მოსამართლემ ამგვარი გადაწყვეტილება, მაშინაც კი, თუ ფიქრობს, რომ „პრინციპში“ შესაძლებელი იყო გადაწყვეტილების მის სასარგებლოდ გამოტანა.

და ბოლოს, მხარისათვის შესაძლოა მისაღები გახდეს, თუ რატომ არ გაიზიარა მოსამართლემ მის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები ან რატომ არ აღმოჩნდა შეთავაზებული მტკიცებულებები საკმარისად დამაჯერებელი მოსამართლის რწმენის ჩამოსაყალიბებლად.

მოდავე მხარეთა შორის სამართლიანობის აღდგენის შანსის გარდა, დამაჯერებლად დასაბუთებული გადაწყვეტილება ასევე ემსახურება როგორც საქმეზე გადაწყვეტილების გამომტან მოსამართლეზე შესაბამისი შეხედულების ჩამოყალიბებას, ისე ზოგადად მართლმსაჯულებას. ყოველივე შესაძლებელს გახდის მსგავსი პროცესების დროს, თავი ავარიდოთ ვინრო წრეებში გაუმართლებელ და დავის საგანთან კავშირში არარსებულ გაკიცხვას და არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ განტვირთავს მხარეებსა და მთლიანად სასამართლო პრაქტიკას ხარჯიანი და, უპირველეს ყოვლისა, უშედეგო გასაჩივრებასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისაგან. ამდენად, შესრულდება მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანა.

ბუნებრივია, რომ იდეალური, ყოველმხრივ დამაჯერებელი გადაწყვეტილების გამოტანა ყოველთვის არ არის შესაძლებელი. პროცესები

---

<sup>94</sup> შეად. შემთხვევა №4-ს.

მხოლოდ რაციონალურად არ წარიმართება. ხშირად მათ მიმდინარეობასა და დამდგარ შედეგს თან სდევს ემოციური განცდა. საქმეები, რომლებსაც სასამართლო განიხილავს, ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად შავი ან თეთრი ელფერის მატარებელი არ არიან, ბევრი მათგანის გამიჯვნა შეუძლებელია. სამართლებრივი საკითხები შესაძლოა განსხვავებულად შეფასდეს, ხელშეკრულებები ან კანონები სხვადასხვაგვარად განიმარტოს, შეგროვებული მტკიცებულებები პოზიტიურად ან ნეგატიურად შეფასდეს, ისე რომ სულაც არ გამოირიცხის საპირისპირო შეხედულება. შეუძლებელია მხარეებისაგან მოვითხოვოთ, რომ მათ გაიზიარონ მოსამართლის ობიექტური შეხედულებები მათ მიერ წარმოდგენილ სუბიექტურ სურვილებთან დაკავშირებით. აღნიშნული განსაკუთრებით ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც მხარეს გადანყვეტილებით არა გადანყვეტილების გამოტანისაკენ მიმავალ რთულ, ეჭვებით და საპირისპირო არგუმენტებით დატვირთულ გზას, არამედ მხოლოდ მოსამართლის მსჯელობის, მოსაზრებების შედეგს გააცნობენ, რასაც განსაკუთრებით ვხვდებით კოლეგიური სასამართლოს მიერ გადანყვეტილების გამოტანისას, თუმცა აღნიშნულს ადგილი აქვს მოსამართლის მიერ გადანყვეტილების ერთპიროვნულად მიღების შემთხვევაშიც.

შეუძლებელია ყველა მოსაზრების და საპირისპირო არგუმენტის წერილობით ჩამოყალიბებულ სამოტივაციო ნაწილში ასახვა. ბევრი მათგანის გადმოცემა არც არის აუცილებელი. სასამართლომ, რომელსაც სურს, რომ მისი გადანყვეტილება მხარეებმა მიიღონ, განსაკუთრებით კი ის მოსაზრებები, რომლებსაც ემყარება გადანყვეტილება, ეს სიტუაცია უნდა გაითვითცნობიეროს და სამოტივაციო ნაწილის აგებისას გაითვალისწინოს.

### **ბ) გადანყვეტილების სტილი**

გადანყვეტილების სტილი ერთმნიშვნელოვნად განსხვავდება სამართლებრივი დასკვნის სტილისაგან.<sup>91</sup> ამ უკანასკნელს ახასიათებს

---

<sup>95</sup> შეად. ზემოთ, მე-7 პარაგრაფს.

შეკითხვების, საკითხის დასმა და მათი შემონმება, გადაწყვეტილების სტილს – შესავალი, რასაც უშუალოდ სამოტივაციო ნაწილი მოსდევს.

სამართლებრივი დასკვნის სტილის მაგალითი ზემოთ, მე-7 პუნქტში, აღვწერეთ, საპირისპირო სურათის წარმოჩენის მიზნით კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: „*მოსარჩელეს შეეძლო მოპასუხის მიმართ ნივთის ფასის გადახდის მოთხოვნის წარდგენა სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე. მხარეებს დადებული უნდა ჰქონდეთ ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების დადებულად ჩათვლის წინაპირობას წარმოადგენს... სადავოა... მოსარჩელე ამტკიცებს..., მოპასუხე პირიქით უარყოფს... მოწმემ, X-მა დაადასტურა...*“

ზემოთ მოყვანილი მაგალითი გადაწყვეტილების სტილის დაცვით ასე უნდა ჩამოყალიბდეს:

„*მოსარჩელეს აქვს მოთხოვნა მოპასუხის მიმართ ნივთის ფასის ...ოდენობით გადახდის თაობაზე სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად. მხარეებს შორის დადებულია ნამდვილი ხელშეკრულება დათარიღებული... გაკეთებული ოფერტის, დათარიღებული... და განხორციელებული აქცეპტის, დათარიღებული... შედეგად. მართალია მოპასუხემ უარყო... მაგრამ სასამართლო დადგენილად მიიჩნევს... მოწმემ, X-მა, დაადასტურა... სასამართლომ ჩვენება დამაჯერებლად მიიჩნია, რადგან...*“

გადაწყვეტილების მრავალი მაგალითი შეგიძლიათ იხილოთ შემთხვევათა (კაზუსთა) კრებულში, ამ წიგნის მეორე ნაწილში, ძირითადად „ა“ პუნქტის ქვეშ მოთავსებულ გადაწყვეტილების პროექტში.

სამართლებრივი დასკვნის სტილში შედგენილ შემთხვევათა ამოხსნასთან შედარებამ ცხადყო, თუ რამდენად მოკლედ და მკაცრად არის გადმოცემული ყოველივე გადაწყვეტილების სტილის დაცვისას. თუმცა არ იქნებოდა მართებული, თუ სამართლებრივი დასკვნის სტილში დიდი მოცულობით განხილულ საკითხებს გვერდს ავუვლიდით და ყურადღებას

---

<sup>96</sup> შეად. გადაწყვეტილების პროექტებს სამართლებრივი დასკვნის ბოლოს, ამ წიგნის მეორე ნაწილში.

<sup>97</sup> იხ. ზემოთ, მე-7 პარაგრაფი.



მხოლოდ მის სტილზე გავამახვილებდით. ბევრად მნიშვნელოვანია გარემოება, რომ სამართლებრივი დასკვნის შემთხვევაში შედეგი ჯერ კიდევ ღიად არის დატოვებული და გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

ამდენად, აუცილებელია საფუძვლიანი შემოწმება, განხილული უნდა იქნეს სხვადასხვა გზა.

გადაწყვეტილებაში შედეგი დადგენილია და იგი მხოლოდ მოკლედ უნდა იქნეს დასაბუთებული. ამდენად, სამოტივაციო ნაწილის აგებისას გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ გადაწყვეტილების სტილი.

თუმცა, თუ განსახილველ საკითხს უფრო ჩავუღრმავდებით, ნათელი ხდება, რომ გადმოცემის ამ ორ სტილს შორის უფრო მეტი მსგავსებაა ვიდრე განსხვავება. მათი შედარება ცხადყოფს, რომ მხოლოდ წინადადებათა წყობის გადაადგილება, როგორც წესი, შესაძლებელს ხდის სამართლებრივი დასკვნის სტილიდან გადაწყვეტილების სტილზე გადავიდეთ და პირიქით. ამდენად, გადაწყვეტილების პროექტი და სამართლებრივი დასკვნა წარმოადგენენ გადაწყვეტილების მნიშვნელოვან საფუძველს. წინადადებათა წყობის გადაადგილებითა და ფორმულირების მცირედ შეცვლით შესაძლებელია გადაწყვეტილების პროექტის მთელი რიგი მონაკვეთები გადაწყვეტილებაში იქნეს გადატანილი, რაც კომპიუტერის საშუალებით მომუშავე მოსამართლისათვის დიდი შეღავათია. ბუნებრივია, რომ ეს წესი მოქმედებს, როდესაც გადაწყვეტილების პროექტი ისედაც გადაწყვეტილების სტილშია შედგენილი, რაც ერთმნიშვნელოვანი და მარტივი საკითხების გადაწყვეტისას ყოველ მიზეზს გარეშე დასაშვებია.<sup>92</sup>

გადმოცემის ორივე სტილისათვის, როგორც სამართლებრივი დასკვნის, ისე გადაწყვეტილებისათვის, საერთოა, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივ საკითხებზე პასუხების გაცემა იურიდიული კვალიფიკაციის (სუბსუმირების) გზით:<sup>93</sup> სამოტივაციო ნაწილშიც, როგორც წინამდებარე მოკლედ მოთხრობილმა მაგალითმა გვიჩვენა, უნდა მოხდეს განსახილველი საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების შესაბამისობაში მოყვანა მოთხოვნის საფუძვლის აბსტრაქტულ შემადგენლობასთან – სუბსუმირება. თუ კანონით გათვალისწინებულ შემადგენლობის ნიშანს შეესაბამება წინაპირობა,

უდავო თუ სადავო, მაშინ ნორმის შემადგენლობა შესრულებულია და სასამართლოს შეუძლია გამოთქვას საკუთარი მოსაზრება კანონით დადგენილ სამართლებრივ შედეგზე, თუ მოპასუხე არ წარადგენს საპირისპირო უფლებებს. ამ უკანასკნელთა შემადგენლობის ნიშნების შემოწმება ამ წარმოების შესაბამისად უნდა განხორციელდეს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. თუ ნორმის ყველა შემადგენლობის ნიშანი, რომლის საფუძველზეც მოპასუხე წარადგენს შესაგებელს, ემთხვევა განსახილველი საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, მაშინ ისინი შეაჩერებენ ან გააქარწყლებენ მოსარჩელის მოთხოვნებს. სასამართლომ, თავის დასაბუთებაში, როგორც წესი, უნდა დაასახელოს კანონით განსაზღვრული შემადგენლობის ნიშნები და მიუთითოს განსახილველი საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების რეალურ წინაპირობებზე, რომლებიც ამ ნიშნებს შეესაბამებიან. რაც უფრო ნაკლებად პრობლემატურია ნორმისა და ცხოვრებისეული ფაქტობრივი გარემოებების თანხვედრა, მით უფრო მოკლედ არის შესაძლებელი დასაბუთების ჩამოყალიბება. დამპალი ვაშლის შემთხვევაში, რომელიც კლიენტმა მაღაზიაში შეიძინა და რაც წარმოადგებს ნაკლს სკ-ის 487-ე მუხლის გაგებით, არ არის საჭირო დასაბუთება და პირიქით, თუ საუბარია ნახმარ ავტომანქანაზე, რომელსაც ავარიის შედეგად მიყენებული მძიმე დაზიანებები ჰქონდა, მაგრამ შემდგომ კარგად შეაკეთეს, მაშინ საკითხი – უნდა ჩაითვალოს თუ არა ამგვარი ავტომანქანა ნაკლის მქონედ, საფუძვლიანი დისკუსიის საგანი უნდა გახდეს.<sup>94</sup>

გადანყვეტილება, როგორც წესი, მარტივად და მოკლედ უნდა ჩამოყალიბდეს, როდესაც მოსარჩელის მოთხოვნა დასაბუთებულია: სასამართლოს უფლება აქვს მხოლოდ ნორმის გადმოცემით შემოიფარგლოს, რომელიც მოთხოვნას იურიდიულად მთლიანად ამართლებს. არის თუ არა სარჩელი სხვა სამართლებრივი საფუძვლების გამო დასაბუთებული, ინტერესს მოკლებულია.

თუ მოსარჩელეს წარმოეშობა, მაგალითად, ზიანის ანაზღაურების კანონისმიერი მოთხოვნა დელიქტური ვალდებულებებიდან

<sup>94</sup> სახელწოდება მომდინარეობს ლათინური ტერმინიდან და უკავშირდება იმ დროს, როდესაც გადანყვეტილების ეს ნაწილი წითელი კალმით იწერებოდა.

გამომდინარე სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე, მაშინ ნაკლებად მნიშვნელოვანია შეუძლია თუ არა მას თავისი მოთხოვნის დასაბუთება სახელშეკრულებო ურთიერთობის დარღვევიდან. ამდენად, აღარ არის რთული საკითხების განხილვის აუცილებლობა როგორცაა, მაგალითად, უნდა ჩაითვალოს თუ არა ხელშეკრულება დადებულად, ბუნდოვანი წარმომადგენლობითი ურთიერთობები, გაურკვეველი სახელშეკრულებო ურთიერთობები და ა.შ.

იგივე შეიძლება ითქვას მოპასუხის საპირისპირო უფლებებზე: თუ სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოთხოვნის საფუძველი შეიძლება იყოს როგორც ხელშეკრულება, ისე კანონი, მაგრამ ამ შემთხვევაში წამოიჭრება მოთხოვნის ხანდაზმულობის სხვადასხვა ვადებთან დაკავშირებული საკითხი, მაშინ მოსამართლეს უფლება აქვს გადაწყვეტილებაში მხოლოდ კანონის საფუძველზე წარმოშობილ მოთხოვნაზე მიუთითოს, რომლის ათწლიანი ვადა, გათვალისწინებული სკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ჯერ არ გასულა. რაც შეეხება მოსაზრებებს იმის თაობაზე, გავიდა თუ არა სახელშეკრულებო მოთხოვნისათვის სკ-ის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ვადა, რაც შესაძლოა ცალკეულ შემთხვევებში პრობლემატური გახდეს, მათზე მსჯელობა არ არის აუცილებელი.

სამართლებრივი დასკვნის თაობაზე ზემოთ მოხსენებული,<sup>95</sup> ამ შემთხვევაზეც გავრცელდება: სასამართლოს უფლება აქვს მხოლოდ მოთხოვნის იმ საფუძველებით შემოიფარგლოს, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ყველაზე ადვილად და სრულად იქნეს დასაბუთებული.

მეორე მხრივ გასათვალისწინებელია, რომ, თუ მხარეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, მაშინ აუცილებელია ყველა იმ მოთხოვნის საფუძველზე მსჯელობა და მითითება, რომელიც ამ შემთხვევაში მხედ-

<sup>99</sup> აქ უნდა შესრულდეს სკ-ის 260-ე მუხლის მოთხოვნები.

<sup>100</sup> ავტომანქანა ზუსტად უნდა იქნეს აღწერილი მწარმოებლის, მოდელის, ტიპის, ფერის, გამოშვების წლის, ძრავის ნომრის და ა.შ. მიხედვით, მინის ნაკვეთი – ადგილმდებარეობისა და რეგისტრაციის ნომრის მიხედვით, დანარჩენი საგნები – შეძლებისდაგვარად ნათლად, არსებითი ნიშნების დახასიათებით.

ველობაშია მისაღები, ასევე უნდა მიეთითოს, თუ კონკრეტულ შემთხვევაში რატომ არ მოხდა მათი განხორციელება. ამ დროს, როგორც წესი, საკმარისია შემადგენლობის იმ ნიშნის დასახელება, რომლის არარსებობის გამო მოთხოვნის განხორციელების შესაძლებლობა გამოირიცხა.

მოპასუხის შესაგებელთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ თუ იგი წარადგენს საპირისპირო მოთხოვნას, რაც გააქარწყლებს მოსარჩელის ყველა მოთხოვნას, მაშინ მოსამართლე გადაწყვეტილებაში შეიძლება შემოიფარგლოს მათზე მსჯელობით და არ არის აუცილებელი თანმიმდევრობით ყველა შესაძლებელი მოთხოვნის საფუძვლის განხილვა.

გადაწყვეტილების სტილში მხოლოდ აუცილებელ საკითხებზე მსჯელობით შემოფარგვლა განაპირობებს იმას, რომ სამოტივაციო ნაწილის ჩამოყალიბება, ძირითადად, მნიშვნელოვნად მოკლედ ხდება, ვიდრე სამართლებრივი დასკვნისა.<sup>96</sup> მიუხედავად ამისა, სამართლებრივ დასკვნაში საკითხების საფუძვლიანი შემოწმება არ არის ზედმეტი, რაც დიდად არის დაკავშირებული დასკვნის შედგენის მომენტთან: მოსამართლე სამართლებრივ დასკვნას საქმის ზეპირ განხილვამდე ადგენს, რომლის მიმდინარეობა საქმის განმხილველი მოსამართლისათვის ჯერ კიდევ უცნობია. არსებობს სხვადასხვა ალტერნატივა, რომელიც ჯერ კიდევ გასარკვევია და არ არის ცნობილი. იმ სამართლებრივ საკითხებზე, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ საქმის გადაწყვეტაზე, კოლეგიურ სასამართლოს ჯერ საბოლოოდ არ უმსჯელია და გადაწყვეტილება არ მიუღია. სასამართლომ ამ საკითხებზე უნდა გამართოს დასაბუთებული მსჯელობა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმის განმხილველმა მოსამართლემ უკვე გამოხატა თავისი მოსაზრებები, არ არის გამორიცხული, რომ კოლეგიურმა სასამართლომ საკითხი სხვაგვარად გადაწყვიტოს: შესაბამისი შედეგების გადმოცემა საჭიროებს მეტ სივრცეს, ასპარეზს.

თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,<sup>97</sup> ერთი რამ თანაბრად შეიძლება ითქვას როგორც სამართლებრივ დასკვნაზე, ისე სამოტივაციო ნაწილზე: სასამართლომ არ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება იმ

სამართლებრივ საკითხებზე, რომლებსაც კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვთ, როდესაც ყველა მოსაზრებას ერთი და იმავე შედეგამდე მივყავართ. გადაწყვეტილებაში ამგვარი საკითხები სასამართლომ, როგორც წესი, ღიად უნდა დატოვოს.

ამ გზით სასამართლო თავს აარიდებს ზოგადი დებულებების გამოცემას, რაც ამ შემთხვევაში საჭირო არ არის. გამორიცხული არ არის, რომ მომავალში იგივე სამართლებრივი საკითხი კვლავ წამოიჭრას, მაგრამ საქმეში ახალი ასპექტები გაჩნდება, რაც განაპირობებს იმავე პრობლემატიკის სხვაგვარად შეფასებას. აღნიშნულს, ერთგვარად საფრთხეც ახლავს თან: სასამართლომ საკუთარი მოსაზრებები ხშირად უნდა შეცვალოს, რომ სამართლიან შედეგამდე მივიდეს – ამგვარი მართლმსაჯულება კი, როდესაც შეუძლებელია გადაწყვეტილების წინასწარ განსაზღვრა, პროგნოზირება არ ემსახურება არც მხარეთა და არც მართლმსაჯულების ინტერესებს. თუმცა, კიდევ უფრო მძიმე სურათს მივიღებთ, თუ სასამართლო შეეცდება არ შეცვალოს ერთხელ და ზოგჯერ საჭიროების გარეშე ჩამოყალიბებული შეხედულება მხოლოდ იმის გამო, რომ არ სურს საკუთარი შეცდომის გამოსწორება.

იმ ზოგადი წესიდან, რომ სასამართლომ ღიად უნდა დატოვოს ყველა სამართლებრივი საკითხი, რომელსაც მნიშვნელობა არა აქვს გადაწყვეტილების გამოსატანად, არსებობს გამონაკლისი. იგი ვრცელდება სასამართლოს ზემდგომ ინსტანციაზე, ზოგჯერ სააპელაციო სასამართლოზეც: თუ არსებობს ისეთი სამართლებრივი საკითხები, რომლებიც განსახილველ დავაზე გავლენას არ ახდენენ და სასამართლო მიიჩნევს, რომ მათ მრავალი პარალელური ან შემდგომი პროცესისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებათ, მიზანშეწონილია რომ ამ სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილება სასამართლომ ე.წ. *obiter dictum* მიიღოს: სასამართლო იმ სამართლებრივ საკითხზე გამოხატავს საკუთარ მოსაზრებას, რომელიც კონკრეტული საქმისათვის გადამწყვეტი არ არის, მაგრამ განსაკუთრებული, ძირითადი მნიშვნელობის გამო იგი საბოლოოდ უნდა გაირკვეს.

ზემოთ აღნიშნულის სასარგებლოდ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი არგუმენტი, როდესაც განსაზღვრულ სამართლებრივ საკითხთა

გარკვევას სასწრაფოდ ელის როგორც მთლიანად სასამართლო პრაქტიკა, უპირველეს ყოვლისა სასამართლოს ქვედა ინსტანციები და მხარეები, ასევე ადვოკატები და ნოტარიუსები. თუმცა, სასამართლოს ზემდგომ ინსტანციებსაც შეიძლება დაემუქროს საფრთხე, რომელზედაც ზემოთ ვისაუბრეთ. ამიტომ *obiter dictum*-ის წესით გადაწყვეტილების მიღებისას უნდა შეფასდეს ძირითადი რისკი და სარგებელი.

### 10. *gadawyvetilebis sarezolucio nawili*

მხარეთათვის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი სკ-ის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად წარმოადგენს გადაწყვეტილების უმნიშვნელოვანეს ნაწილს, რის გამოც გერმანულ გადაწყვეტილებაში იგი გადაწყვეტილების **დასაწყისშია** მოცემული, სასამართლოს, მხარეების, მათი წარმომადგენლების დასახელების, ე.წ. **შესავალი ნაწილის (Rubrum)**<sup>98</sup> შემდეგ. რამდენადაც საქართველოში სარეზოლუციო ნაწილი რიგითობის მიხედვით, სსკ-ის 249-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყოველთვის გადაწყვეტილების ბოლო ნაწილშია მოთავსებული, ამ დამკვიდრებული მდგომარეობის საწინააღმდეგოდ აღარაფერს ვიტყვით.

გადაწყვეტილებაში სარეზოლუციო ნაწილის ადგილზე უფრო მნიშვნელოვანია მისი შინაარსი.

განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე იგი მუდამ ზედმინევნით უნდა იყოს ფორმულირებული. თუმცა, კანონით დადგენილი დებულებანი, განსაკუთრებით კი სსკ-ის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილი, ნაკლებად მოიცავს იმ მოსაზრებებს, რომლებიც ზუსტ წარმოდგენას შეგვიქმნიან, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს სარეზოლუციო ნაწილი.

ამდენად, მისი აუცილებელი შინაარსი გადაწყვეტილების არსისა და მიზნიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს.

სარეზოლუციო ნაწილს, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელობა აქვს მხარეთათვის, რომელთა სურვილები სამართლებრივი დავის წარმართვისას მიმართულია სწორედ იმ გადაწყვეტილების განხორციელებაზე, რომლის გამოსატანადაც მათ აღძრეს სარჩელი. მხარეებს სურთ შეიტყონ, თუ რა გადაწყვეტილებას გამოიტანს სასამართლო მათ მიერ

წარდგენილ მოთხოვნაზე. შესაბამისად, ძირითადი ფარგლები უკვე დადგენილია: სსკ-ის 248-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს უფლება არა აქვს მხარეს მიაკუთვნოს ის, რაც მას არ მოუთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეს ეკუთვნის მეტი, ვიდრე მან მოითხოვა, იგი შეზღუდულია ამ დებულებითა და სსკ-ის მე-3 მუხლით გათვალისწინებული დისპოზიციურობის პრინციპით და მხარეს ვერ მიაკუთვნებს მეტს, ვიდრე მან მოითხოვა.

მეორე მხრივ, სასამართლო ვალდებულია **მთელი მოცულობით** გამოიტანოს გადაწყვეტილება წარდგენილ მოთხოვნებზე. თუ მან მხოლოდ ნაწილობრივი გადაწყვეტილება გამოიტანა, განზრახ ან გაუფრთხილებლობით, მაშინ საქმე გვაქვს **ნაწილობრივ გადაწყვეტილებასთან** სსკ-ის 245-ე მუხლის გაგებით და მას ასეთი კვალიფიკაცია უნდა მიეცეთ<sup>99</sup> ან სასამართლოს სურდა **საბოლოოდ**, მთლიანად მიეღო გადაწყვეტილება საქმეზე, მაგრამ მხედველობიდან გამორჩა სასარჩელო მოთხოვნის ნაწილი. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება სსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის ა) ქვეპუნქტის გაგებით. შესაბამისი მოთხოვნები მხარეებმა სსკ-ის 261-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადებში უნდა წარადგინონ.

რამდენადაც გადაწყვეტილების ადრესატები პირველ რიგში მხარეები არიან, ნათელია, რომ სარეზოლუციო ნაწილი შეძლებისდაგვარად ზუსტად უნდა იყოს ჩამოყალიბებული და გადაწყვეტილება განსაზღვრულ მოთხოვნებზე უნდა იყოს გამოტანილი. მოთხოვნებსა და სარეზოლუციო ნაწილს შორის ერთმნიშვნელოვნად უნდა არსებობდეს მჭიდრო ურთიერთკავშირი: სასარჩელო მოთხოვნა ისე ნათლად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ მხარის მიერ პროცესის მოგების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მისი სარეზოლუციო ნაწილში პირდაპირ გადმოტანა. თუ სასარჩელო მოთხოვნა არ დააკმაყოფილებს ამ წინაპირობებს, რადგან რთულია მისი ზუსტად განსაზღვრა და განმარტების გზით<sup>100</sup> საკმარისად გარკვევა, მაშინ არ შესრულდება სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის ე) ქვეპუნქტით გათვალისწინებული



მოთხოვნები, რაც აუცილებელია სარჩელის დასაშვებად მიჩნევისათვის და განაპირობებს სარჩელზე უარის თქმას სსკ-ის 187-ე მუხლის შესაბამისად.

იგივე მოთხოვნები ვრცელდება სასამართლოზეც, გადაწყვეტილების ფორმულირებისას:

მხარეებმა და საჭიროების შემთხვევაში მესამე პირებმა უნდა იცოდნენ, თუ რა მოქმედება განახორციელონ და რა მოქმედებისაგან შეიკავონ თავი.

თუ რამდენად ზუსტად უნდა იქნეს დაცული ეს მოთხოვნა, უნდა გადაწყდეს ცალკეულ შემთხვევაში. მოქმედებს ზოგადი წესი, რომ სარეზოლუციო ნაწილი იმდენად ზუსტად უნდა იქნეს ფორმულირებული, რომ მხოლოდ მისი გაცნობა იყოს საკმარისი გადაწყვეტილების გასაგებად და აღარ იყოს საჭირო გადაწყვეტილების დანარჩენი ნაწილების ან საქმის სხვა მასალების ნაკითხვა. ეს მოთხოვნები პირდაპირ გამომდინარეობს კანონიდან: სსკ-ის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილი ითვალისწინებს, რომ სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ. თუმცა, სსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის გ) ქვეპუნქტით დადგენილია, რომ სასამართლომ უნდა გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ მას საკმარისი სიზუსტით არ მიუთითებია იმ მოქმედებაზე, რომელიც მხარემ უნდა შეასრულოს. ამ დებულებით კანონი ფაქტობრივად ადგენს ზუსტ წესს. გადახდის ვალდებულება ოდენობის მიხედვით ერთმნიშვნელოვნად უნდა განისაზღვროს.

ნივთები, რომლებიც მხარემ უკან უნდა დააბრუნოს, შეძლებისდაგვარად ზუსტად უნდა აღინეროს, რომ განსაკუთრებით მესამე პირისათვის იყოს ნათელი, თუ სასამართლო რომელ ნივთებს გულისხმობს. აღნიშნული ასევე მნიშვნელოვანია სასამართლო აღმასრულებლისათვის, რომელიც დარწმუნებული უნდა იყოს, თუ იძულებითი აღსრულების შემთხვევაში რომელ ნივთებზე აწარმოოს აღსრულება.

გარდა ამისა, უნდა განვასხვაოთ გადაწყვეტილების ისეთი ფორმები, რომლებიც სარჩელს მთლიანად ან ნაწილობრივ აკმაყოფილებენ ან მასზე

უარს ამბობენ: პირველ ჯგუფზე ვრცელდება ე.წ. მკაცრი მოთხოვნები, მეორე ჯგუფისათვის საკმარისია ფორმულირება, რომ სარჩელს უარი ეთქვას.

ასეთ შემთხვევებშიც შესაძლოა, ასევე, მნიშვნელოვანი იყოს მოგვიანებით იმის დადგენა, თუ სასამართლომ ფაქტობრივად რაზე გამოიტანა გადაწყვეტილება. მაგალითად, მხედველობაშია მისაღები, როდესაც შემდგომში ახალი პროცესი აღიძვრება და სასამართლომ უნდა დაადგინოს, გამოტანილი და შესულია თუ არა ძალაში გადაწყვეტილება სადავო მოთხოვნაზე: ამ შემთხვევაში ახალი სარჩელის წარდგენა სსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის ბ) ქვეპუნქტის დაუშვებელია.

მხოლოდ გადაწყვეტილების გამოტანა სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში ყოველთვის არ იძლევა პასუხს ამ კითხვაზე. ამ შემთხვევაში საქმის განმხილველი მოსამართლე უნდა დაუბრუნდეს საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და სამოტივაციო ნაწილს. იგივე წესი მოქმედებს გადაწყვეტილებებზე ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებისას: განსაზღვრული თანხის გადახდის ვალდებულების დაკისრების დროს, როგორც წესი, არ ჩანს, თუ რას ეფუძნება გადაწყვეტილება. აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილებისათვის ერთი თვალის გადავლებით ცხადია, რომ, მაგალითად, საუბარია ქირავნობის ურთიერთობის საფუძველზე წარმოშობილ მოთხოვნაზე, კერძოდ, ერთი თვის – იანვრიდან მარტამდე ქირის გადახდაზე. ახალ პროცესთან მიმართებით მოსაზრებები სსკ-ს 249-ე მუხლის პირველი ნაწილის ბ) ქვეპუნქტის გაგებით არ წარმოიშობა. გადახდის შესახებ დანვრილებით ჩამოყალიბებული განკარგულება არაფერს არ ცვლის იმ თვალსაზრისით, რომ გადაწყვეტილებაში მხოლოდ ეს საკითხი არ არის საბოლოოდ გარკვეული.

სარეზოლუციო ნაწილი შეიცავს გადაწყვეტილებას არა მხოლოდ

---

<sup>101</sup> შეად. დანვრილებით ჰ. ბოელინგი: „მოსამართლის დამოუკიდებლობა და მოსამართლის გადაწყვეტილების მხარეების მიერ მიღება – საქმის განხილვის წარმართვა, მორიგების თაობაზე გამართული საუბრები და დავის მშვიდობიანად გადაწყვეტა“, საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის მოსამართლეთა კონფერენციებზე ნაკითხული მოხსენება, 2002 წლის დეკემბერი, თბილისი.

მოსარჩელის ძირითად მოთხოვნაზე, არამედ შესაძლო დამატებით მოთხოვნებზე, როგორცაა პროცენტები და ა.შ. ამგვარი დამატებითი მოთხოვნები არ არიან დავის საგნის თვალსაზრისით მეორეხარისხოვანი და მოსამართლისაგან მოითხოვენ შესაბამის და ძირითად მოთხოვნაზე არანაკლებ ყურადღებას. გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ზოგჯერ მოსამართლეს მხედველობიდან გამორჩება ხოლმე ეს საკითხები, რაც განაპირობებს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებლობას.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში დამატებით გადაწყვეტილებად, როგორც წესი, აისახება გადაწყვეტილება მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების შესახებ სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად. პროცესისათვის არც ამ წესს აქვს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა. განსაკუთრებით არასწორია გადაწყვეტილება, რომელიც საქმის მთავარ სხდომაზე მხარის დასაბუთების მიუხედავად სასამართლო ხარჯების შესახებ გამოტანილი არასწორი გადაწყვეტილების გამო მას კვლავ ართმევს იმ უფლებებს, რომლებიც მას ეკუთვნის საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის შედეგების მხედველობაში მიღებით.

კანონი ყოველთვის არ ითვალისწინებს, რომ დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ გადაწყვეტილება სავალდებულო წესით აისახოს გადაწყვეტილების მესამე ნაწილში. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია სსკ-ის 268-ე მუხლის შესაბამად მხარეთა მიერ წარდგენილ შუამდგომლობებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები, რომლებითაც სასამართლო ხშირად აყენებს საკითხს, აქვს თუ არა დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარისათვის ეკონომიკური თვალსაზრისით ღირებულება, თუ გადაწყვეტილება კარგავს თავის მნიშვნელობას, რადგან აღსრულება მოგვიანებით წარმოებს, მონინააღმდეგე მხარე კი ამასობაში გადახდისუუნარო ხდება. ამ საკითხებს, რომელთა სირთულეს მათ პროგნოზირებასთან დაკავშირებული რისკი განაპირობებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ როგორც სასამართლოს მიერ დადგენილ უზრუნველყოფის ღონისძიებას სსკ-ის 268-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად.

## 11. saqmis mSvidobianad gadawyveta \_ saqmis damTavreba morigebiT

სამოქალაქო საქმეების განმხილველი მოსამართლის სამუშაო მეთოდების შესახებ მსჯელობას ისე ვერ დავასრულებთ, რომ მოკლედ არ მიმოვიხილოთ მოსამართლის მიერ სხდომის წარმართვასთან დაკავშირებული საკითხები და მისი ამოცანა, რომ ხელი შეუწყოს მხარეთა მორიგებას სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე. ამ ამოცანის შესრულებას ემსახურება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

საქმის დამთავრება მორიგებით სამართალწარმოების დასრულების არანაკლებ მნიშვნელოვანი ფორმაა, ვიდრე საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა. პირიქით, მათ თანაბარი დატვირთვა აქვთ, ზოგჯერ კი მორიგება უკეთესი ალტერნატივაა, თუმცა მხოლოდ ერთი პირობით, თუ მორიგების შეთავაზება მიზნად ისახავს არა მხოლოდ მოსამართლის განტვირთვას, მისი მუშაობის შემსუბუქებას, არამედ მხარეთა შორის დავის საგანზე წარმოშობილი კონფლიქტის სამართლიანად მოგვარებას. ამ დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს როგორც დავის საგანსა და სამართლებრივ მდგომარეობაზე გადაწყვეტილების მიღებაზე სამართალწარმოების შესაბამის სტადიაზე, ისე სამართლებრივი დავის შემდგომ განვითარებაზე.

რაც შეეხება სხვა ასპექტებს, დავის საგანზე სამართლიანი მორიგების კრიტერიუმებსა და ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებას, უნდა აღინიშნოს, რომ მორიგების დროს, როგორც წესი, უფრო მეტად ვიდრე გადანყვეტილების გამოტანისას, შესაძლებელია ყურადღება გამახვილდეს იმ შეხედულებებზე, რომლებიც პროცესის ფარგლებს სცილდება. უპირველეს ყოვლისა, აქ იგულისხმება მხარეთა ეკონომიკური ურთიერთობები, რასაც შესაძლოა მხარეებმა ანგარიში გაუწიონ მოთხოვნის დათმობის, გადახდის განვადების თაობაზე შეთანხმების და პროცენტების თაობაზე შეთანხმების გზით.

მნიშვნელოვანი მოსაზრებები შეეხება ხარჯების შემცირებას, რაც შესაძლებელია იმ მტკიცებულებათა შეგროვებისათვის თავის არიდების გზით, რომლებიც სწორად დიდ ხარჯებს წარმოშობენ, მაგალითად, შედარებით იაფი დასკვნის გამოთხოვა; რისკის შემცირებას რთულად პროგნოზირებადი პროცესების შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს ბუნდოვან ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან; სამართალწარ-

**nawili meore**

**SemTxveva # 1**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის\* მე-300, 289-ე, 312-ე მუხლები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის\* 102-ე, 137-ე მუხლები, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 61-77-ე მუხლები.

**Tematika:**

იპოთეკის საფუძველზე წარმოშობილი პასუხისმგებლობა. იპოთეკის წარმოშობა. იპოთეკის საფუძველზე წარმოებული აღსრულება. წარმომადგენლობა. საბუთის მტკიცებულებითი ძალა. მტკიცების ტვირთი. კანონისმიერი პრეზუმფცია. სარჩელი და შეგებებული სარჩელი. აღიარებითი სარჩელის დასაშვებობა და სუბსიდიურობა. სარჩელის საგნისა და საფუძვლის შეცვლა.

**A. აღწერილობითი ნაწილი:**

მოსარჩელე, ბანკი, წარადგენს მოთხოვნას, რომ მოპასუხეს (უძრავი ქონების მესაკუთრეს) დაეკისროს იძულებითი აღსრულება მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, რომელიც ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით არის დატვირთული.

იპოთეკის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში განხორციელდა სანოტარო წესით დამოწმებული საბუთის საფუძველზე, რომელიც წარმოადგინეს მოსარჩელემ და მოპასუხის ძმამ (A-მ).

იპოთეკის დადგენისათვის აუცილებელი საბუთების ხელმოწერისას

---

\* შემდგომში – სკ.

\* შემდგომში – სსკ.

მოპასუხის ძმა (A) მოქმედებდა სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობის საფუძველზე. მინდობილობა სავარაუდოდ მოპასუხის მიერ უნდა ყოფილიყო ხელმოწერილი.

იპოთეკა დადგინდა სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, რომელიც მოპასუხის ძმამ (A-მ) საკუთარი სახელით დადო ბანკთან. ფული ბანკმა გადაუხადა მოპასუხის ძმას (A-ს), რომელიც ამასობაში გაუჩინარდა. მოსარჩელის მიერ ხელშეკრულების მოშლის შემდეგ და ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომისას მოპასუხის ძმამ (A-მ) სესხი უკან აღარ დააბრუნა.

მოსარჩელემ იპოთეკა დადგენილ ვადაში მოშალა (სკ-ის 291-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით).

მოსარჩელე ამტკიცებს, რომ იპოთეკა დადგინდა კანონით გათვალისწინებული წესების შესაბამისად. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მოპასუხის ძმა (A), მასზე გაცემული ნამდვილი მინდობილობის საფუძველზე, უფლებამოსილი იყო ყოფილიყო მოპასუხის წარმომადგენელი.

მოსარჩელე მოითხოვს, რომ მოპასუხეს დაეკისროს იპოთეკით დატვირთული, საჯარო რეესტრში №-ით რეგისტრირებული, მიწის ნაკვეთის იძულებითი რეალიზაცია აუქციონზე.

მოპასუხე მოითხოვს, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

მოპასუხე სადავოდ ხდის მინდობილობის ნამდვილობას და ამტკიცებს, რომ მისი ხელმოწერა სანოტარო წესით დამონმებულ საბუთზე გაყალბებულია. აქედან გამომდინარე, იპოთეკა არ არის ნამდვილი.

შეგებებული სარჩელით მოპასუხე მოითხოვს დადგინდეს, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იპოთეკა ფაქტობრივად არ არსებობს.

მოსარჩელე მოითხოვს, რომ მხარეს უარი ეთქვას შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

მოსარჩელე უარყოფს მინდობილობის გაყალბების შესაძლებლობას; ყოველ შემთხვევაში იგი აცხადებს, რომ გაყალბების შესახებ არაფერი

იცოდა.<sup>1</sup>

## **B. სამართლებრივი დასკვნა:**

### **I. სარჩელი:**

1) მოსარჩელეს შეეძლო მოპასუხის წინააღმდეგ მოთხოვნა სკ-ის მე-300 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე წარედგინა, რომლის შესაბამისად იპოთეკარი უფლებამოსილია მესაკუთრისაგან მოითხოვოს იპოთეკით დატვირთული მიწის ნაკვეთის რეალიზაცია.

სკ-ის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიწის ნაკვეთის რეალიზაცია უნდა მოხდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებათა<sup>2</sup> და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის<sup>3</sup> ნორმათა შესაბამისად. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის ნორმები გამოიყენება როგორც სპეციალური ნორმები.

ამგვარად, მოსარჩელემ თავისი მოთხოვნა და ამ მოთხოვნის საფუძველები სწორად ჩამოაყალიბა და თანხის გადახდა უშუალოდ მასზე არ მოუთხოვია. იპოთეკარი არ არის უფლებამოსილი მესაკუთრისაგან თანხის უშუალოდ მასზე გადახდა მოითხოვოს, თუმცა, სკ-ის 292-ე მუხლის პირველი ნაწილი ამგვარ უფლებამოსილებას იპოთეკით დატვირთული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს ანიჭებს: მიწის ნაკვეთის რეალიზაციის თავიდან აცილების მიზნით მას შეუძლია თანხა გადაუხადოს კრედიტორს.

2) სარჩელის საფუძველიანობის წინაპირობას წარმოადგენს მოპასუხის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მოსარჩელის სასარგებლოდ იპოთეკის არსებობის ფაქტი.

---

<sup>1</sup> შეგებებული სარჩელის შემთხვევაში აღწერილობითი ნაწილის ჩამოყალიბების თაობაზე დაწერილებით იხ. წიგნის პირველი ნაწილის მე-4 პარაგრაფში.

აქ შესაძლებელია სხვაგვარი დაყოფაც: თუ საქმის უდავო ფაქტობრივი გარემოებების მოხსენებისთანავე აღინიშნება, რომ მოპასუხე დავობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობის თაობაზე, შესაძლებელია, რომ მოპასუხის შესაბამისი მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნეს პროცესის იმ სტადიაზე, როდესაც მოპასუხე მოახსენებს ჯერ კიდევ დაუდგენელ ფაქტობრივ გარემოებებს. სარჩელისა და შეგებებული სარჩელის წარდგენა შესაძლებელია ერთმანეთის მიყოლებით და აღწერილობით ნაწილს დაასრულებს მოპასუხის მიერ სადავო ფაქტობრივი გარემოებების მოხსენება.

<sup>2</sup> სკ-ის 300-309-ე მუხლები.

<sup>3</sup> 16.04.99-ის კანონი, განსაკუთრებით 61-77-ე მუხლები, XI და XIII თავები.



ა) სკ-ის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, იპოთეკა წარმოიშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შედეგად. აქედან გამომდინარე, საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ იპოთეკა ნამდვილად უნდა ჩაითვალოს.

ასეთმა მსჯელობამ შესაძლოა შეცდომაში შეგვიყვანოს.

იპოთეკის წარმოშობისათვის, საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გარდა, აუცილებელია მიწის ნაკვეთის მესაკუთრისა და იპოთეკარის მიერ სანოტარო წესით დამოწმებული საბუთის წარდგენა, რომლის შინაარსიც უნდა აკმაყოფილებდეს სკ-ის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-3 წინადადებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (შეადარეთ სკ-ის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებასთან).

ამგვარი დასკვნა ასევე გამომდინარეობს შემდეგი გარემოებებიდან: სანივთო უფლების წარმოშობა მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველზე, მონაწილე მხარეთა შესაბამისი ნების გამოვლენის გარეშე, უცხოა სამოქალაქო კოდექსისათვის (საუბარია რეგისტრაციის კონსტიტუციურ მნიშვნელობაზე). ამასვე ადასტურებს სკ-ის 183-ე მუხლის პირველი ნაწილის უფრო მკაფიო ფორმულირება, რომელიც განსაზღვრავს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის წესებს: ამ შემთხვევაშიც უძრავ ნივთზე უფლების გადაცემის ნამდვილობის წინაპირობას წარმოადგენს სანოტარი წესით დამოწმებული საბუთის წარდგენა და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

უძრავი ნივთის უფლებრივად დატვირთვისას გამოიყენება უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის გათვალისწინებული წესები.

უძრავი ნივთის სანივთო უფლებით დატვირთვა და უძრავ ნივთებზე სანივთო უფლების გადაცემა ძირითადად ერთნაირად წესრიგდება.<sup>4</sup>

---

<sup>4</sup> შეად. აღნაგობის უფლებას, სკ-ის 234-ე მუხლის პირველი ნაწილს, ასევე უზუფრუქტის დადგენისას – სკ-ის 243-ე მუხლს. რაც შეეხება შესაბამისი დებულებების არარსებობას სერვიტუტთან დაკავშირებით, აღნიშნული გარემოება შინაარსობრივად არაფერს ცვლის. უფრო მეტიც, დასახელებული მუხლები, სკ-ის 234-ე მუხლის პირველი ნაწილი და 243-ე მუხლი, გამოყენებული უნდა იქნეს ანალოგიის წესით (სკ-ის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი). დაწვრილებით იხ. შემთხვევა №2), **B**), 6).

ეს დებულება, რომელიც შეეხება ნივთზე უფლების გადაცემის და ნივთის უფლებრივად დატვირთვის სამართლებრივი რეგულირების ერთი და იგივე რეჟიმში მოქცევას, შეიძლება გავავრცელოთ მოძრავ ნივთებზეც: მოძრავი ნივთების დაგირავების შესახებ იხ. სკ-ის 255-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ბ) სანოტარო წესით დამონმებული, სკ-ის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისი შინაარსის მქონე საბუთი წარმოდგენილია. თუმცა, იგი წარადგინა არა მესაკუთრემ (მოპასუხემ), რასაც მოითხოვს სკ-ის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება და რაც გამომდინარეობს ამ ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან, არამედ – მესაკუთრის ძმამ (A-მ). თუმცა, მუხლის მხოლოდ სიტყვასიტყვითი განმარტებით არ უნდა ვიხელმძღვანელოთ.

წარმომადგენლის მიერ გარიგების დადების უფლებამოსილება სკ-ის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარეობს. წარმომადგენლობის შესაძლებლობას არ გამორიცხავს არც თავად გარიგების ხასიათი და არც კანონი. უფრო მეტიც, 183-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება იძლევა საფუძველს, რომ უძრავ ნივთზე უფლების გადაცემა წარმომადგენლის მეშვეობით განხორციელდეს.

გ) სავარაუდოა, რომ მოპასუხის ძმა (A) მოქმედებდა მოპასუხის მიერ მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში. თუმცა, სწორედ ეს გარემოება წარმოადგენს მხარეებს შორის დავის საგანს.

აა) სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობა წარმოდგენილია, რომელიც გარეგნული ნიშნების მიხედვით სავარაუდოდ მოპასუხის მიერ უნდა იყოს გაცემული, ე.ი. მის მიერ უნდა იყოს ხელმოწერილი. შესაძლოა, რომ საბუთის ნამდვილობის საკითხი ასე მწვავედ არ წამოჭრილიყო, რომ მისი ამგვარი გაყალბება არ ყოფილიყო შესამჩნევი მოსარჩელისთვის ან მას კეთილსინდისიერად ჰგონებოდა, რომ გაყალბებას ადგილი არ ჰქონია.

მოპასუხე არ ცდილობს დაასაბუთოს, რომ მოსარჩელემ იცოდა საბუთის შესაძლო გაყალბების შესახებ ან შეიძლებოდა სცოდნოდა ამის თაობაზე.

თუმცა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან ნდობისა და ნამდვილობის პრეზუმფცია, პრინციპში, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიმართ არ მოქმედებს: მინდობილობა არსებობს და ნამდვილია და წარმოდგენილ პირს წარმოეშობა უფლებები და მოვალეობები ან მინდობილობა არ არსებობს და სავარაუდოდ წარმომადგენლის მიერ გამოვლენილი ნების შედეგად წარმოდგენილ პირს უფლებები და მოვალეობები

არ წარმოემობა.

წარმომადგენლობის სპეციალურ შემთხვევებს ითვალისწინებს მხოლოდ სკ-ის 104-ე მუხლის მე-2 ნაწილი: პირველი, წარმოდგენილმა პირმა იცის, რომ სავარაუდო წარმომადგენელი საკუთარი სახელით მოქმედებს და არ აღკვეთს მის ამგვარ ქმედებას. მეორე, მართალია, წარმოდგენილმა პირმა არაფერი იცის სავარაუდო წარმომადგენლის ქმედების შესახებ, მაგრამ უნდა სცოდნოდა და შეეძლო კიდევ აღეკვეთა იგი: უკანასკნელ შემთხვევაში, წარმომადგენლის ქმედებაზე წარმოდგენილი პირი პასუხს აგებს, თუკი გარიგების მეორე მხარეს კეთილსინდისიერად ეგონა, რომ წარმომადგენელს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მინიჭებული ჰქონდა.<sup>5</sup>

მსგავსი წინაპირობები განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს.

ამგვარად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, ჰქონდა თუ არა პირს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება<sup>6</sup> და იყო თუ არა გაცემული ამ უფლებამოსილების დამადასტურებელი, სანოტარო წესით დამონმებული საბუთი (მინდობილობა).<sup>7</sup>

---

<sup>5</sup> დანვრილებით იხ. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, „სამართალი“ ქ. თბილისი, 1997 წ. გვ.419.

<sup>6</sup> ეს გარემოება უნდა დადგინდეს, რადგან მინდობილობის ნამდვილობა მხარეთა დავის საგანს წარმოადგენს და ამდენად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობა პროცესზე მტკიცებულებათა შესწავლის გზით უნდა გაირკვეს. თუმცა, თუ აღმოჩნდა, რომ ამ პრობლემის წარმოშობის სხვა სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობს, ამ ფაქტობრივი გარემოების დადგენა სავალდებულო აღარ არის, იხ. ბბ) და გგ).

<sup>7</sup> წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიცემის ნამდვილობისათვის არ არის სავალდებულო ფორმის დაცვა. სკ-ის 107-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლებამოსილება შეიძლება ზეპირადაც იქნეს მიცემული, რაც დასაშვებია და საკმარისი იქნებოდა. მაგრამ, თავად მოსარჩელე ამ გარემოების დამტკიცებას არ ცდილობს, განსაკუთრებით კი იმ გარემოებისა, რომ მან თანხმობა მოგვიანებით განაცხადა, რაც სავალდებულო ფორმის დაუცველადაც არის შესაძლებელი სკ-ის 111-ე მუხლისა და 99-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

გარდა ამისა, მართალია, ზეპირად მიცემული უფლებამოსილება მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით შეიძლება ნამდვილად ჩაგვეთვალა, მაგრამ მაშინ არ შესრულდებოდა სკ-ის 289-ე მუხლით დადგენილი ფორმალური მოთხოვნები, რომ იპოთეკის წარმოშობისათვის დადგენილი ყველა წინაპირობის არსებობა სანოტარო წესით დამონმებული საბუთებით უნდა დადასტურდეს. ზემოთ აღნიშნულს ასევე მიეკუთვნება წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, როდესაც ნების გამოვლენა ხდება არა თავად მესაკუთრის, არამედ წარმომადგენლის მიერ. უფლების გადაცემისას იხ.სკ-ის 183-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების მოთხოვნები.

ბბ) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნამდვილობის ფაქტის გარკვევა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ მოსარჩელეს სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად შეუძლია მიუთითოს, რომ მას კეთილსინდისიერად ეგონა საჯარო რეესტრში შეტანილ მონაცემთა უტყუარობა და სისრულე: ამ დებულების შესაბამისად საჯარო რეესტრის მონაცემები სანივთო უფლების შემძენისათვის სწორად ითვლება, თუკი ეს შეეხება რეგისტრირებული გამსხვისებლის უფლებამოსილებას. თუ სინამდვილეში პირი არ არის უფლებამოსილი ან რეგისტრირებული სანივთო უფლება არ (აღარ) არსებობს, შემძენს მაინც აქვს მოთხოვნა რეგისტრირებულ უფლებაზე, რადგან ის კეთილსინდისიერია ამ ფაქტის მიმართ და თუ სკ-ის 313-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად არ არის შეტანილი საჩივარი რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის შესახებ.

მოპასუხის, როგორც მესაკუთრის, უფლებამოსილების საკითხი არ დგება. მისი, როგორც უფლებამოსილი პირის, საჯარო რეესტრში რეგისტრაცია არ იმოქმედებს მოსარჩელის სასარგებლოდ იპოთეკის შექმნისას.

უფლების შექმნის თაობაზე დადებული გარიგების სხვა სახის ხარვეზებს, როგორც არის, მაგალითად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობა, ზემოთ მოყვანილი დებულება ვერ შეავსებს.

აქედან გამომდინარე, ამ დებულებასთან მიმართებაში ასევე ზედმეტი იმ საკითხის გარკვევა, არსებობდა თუ არა ნამდვილი წარმომადგენლობა.

გგ) მოსარჩელის მიერ იპოთეკის შექმნის ნამდვილობის დადგენისას ასევე ნაკლებად დაგვეხმარება სკ-ის 312-ე მუხლის პირველი ნაწილი ან გარემოება, რომ მოსარჩელე, თავის მხრივ, როგორც იპოთეკარი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში: როგორც ზემოთ აღინიშნა, საჯარო რეესტრში რეგისტრაცია არ არის საკმარისი საფუძველი სანივთო უფლების წარმოშობისათვის,<sup>8</sup> მაშინაც კი, თუ ახლად რეგისტრირებული პირი კეთილსინდისიერი იყო ამ ფაქტის მიმართ.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სკ-ის 312-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისწორის

<sup>8</sup> რეგისტრაცია არ წარმოადგენს უფლების წარმოშობის საფუძველს (რეგისტრაციის კონსტიტუციური მნიშვნელობა): იხ. ზემოთ, 2) ა).

პრეზუმფციას და შესაბამისად, ამ მუხლს, რეგისტრაციის კონსტიტუციური მნიშვნელობის გარეშეც, დიდი დატვირთვა აქვს.

მუხლი ადგენს კანონისმიერ ვარაუდს, რომელიც რეგისტრირებული პირის უფლებამოსილებას შეეხება, ე.ი. ჩვენ შემთხვევაში, პრეზუმფცია მოქმედებს მოსარჩელის სასარგებლოდ, რომ მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში კანონის მოთხოვნათა დაცვით განხორციელდა და ამდენად, იპოთეკა მის სასარგებლოდ დადგინდა.

ამ დებულებას აქვს ორი ფუნქცია: პირველი, მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, კანონი ადგენს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სანივთო უფლების მფლობელის უფლებამოსილების სისწორის პრეზუმფციას: მეორე, საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით, მტკიცების ტვირთს, რომ რეგისტრაცია არასწორად არის განხორციელებული, აკისრებს რეგისტრირებული პირის საპროცესო მოწინააღმდეგეს.<sup>9</sup>

ზემოთ აღნიშნულს დიდი პრაქტიკული და სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით – განსახილველი შემთხვევის გადაწყვეტისას, როდესაც დასადგენია იმ მინდობილობის ნამდვილობის ან სიყალბის ფაქტი, რომლის საშუალებითაც განხორციელდა უძრავ ქონებაზე უფლების გადაცემა ან მისი უფლებრივად დატვირთვა.

კონკრეტულად გადასაწყვეტია საკითხი, თუ რომელ მხარეს უნდა დაეკისროს საბუთის ნამდვილობის დადგენასთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთი: უფლების შემძენს, თუ სავარაუდოდ უფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულების მხარეს.

(1) მტკიცების ტვირთი როგორც წესი, აკისრია იმ მხარეს, რომელიც მიუთითებს ნამდვილი წარმომადგენლობის არსებობაზე, რომლის წარმოშობის წინაპირობებიც უნდა დაამტკიცოს, ე.ი., პირველ რიგში, მან უნდა დაასაბუთოს, რომ წარმომადგენელი მოქმედებდა სხვისი სახელით და ამგვარი მოქმედების შეცნობა შესაძლებელი იყო; შემდეგ – რომ პირს მინიჭებული ჰქონდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.<sup>10</sup> აღნიშნუ-

<sup>9</sup> შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, სანივთო სამართალი, გვ. 327, ასევე იხ. აქვე (1) და (2).

<sup>10</sup> რაც შეეხება წარმომადგენლობის წარმოშობის მესამე წინაპირობას – წარმომადგენლობის დასაშვებობის ზოგად წესებს, კონკრეტულ შემთხვევაში (შეად. სკ-ის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილი), როგორც

ლი გამომდინარეობს სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, რომელიც მტკიცების ტვირთის მარეგულირებელ ზოგად წესებს განსაზღვრავს. ამ წესების შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

მოცემულ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის ზოგადი წესების შესაბამისად და ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ პირს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მინიჭებული ჰქონდა და ამდენად, სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობა ნამდვილია, ანუ მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მინდობილობა მოპასუხის მიერ არის ხელმოწერილი.

იგივე შედეგი გამომდინარეობს სსკ-ის სპეციალური ნორმიდან, კერძოდ, 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადებიდან, რომლის თანახმად, მხარემ, რომელიც მტკიცებულების სახით საბუთს წარმოადგენს, ვალდებულია დაასაბუთოს მისი ნამდვილობა.<sup>11</sup>

(2) ამავე დროს საეჭვოა, თუ რამდენად შეესაბამება ეს ზოგადი წესი სკ-ის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულებას, რომლის თანახმად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები, როგორც წესი, სწორად და უტყუარად ითვლება, ვიდრე საპირისპირო არ დამტკიცდება.

სკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამოიყენება სპეციალური ნორმა, ანუ სკ-ის 312-ე მუხლის პირველი ნაწილი და არა სსკ-ით დადგენილი ზოგადი წესები, რადგან ზოგად და სპეციალურ ნორმებს შორის

---

წესი, სადავოა არა ფაქტობრივი გარემოებები, არამედ საუბარია სამართლებრივ შეფასებაზე.

ძირითადი დებულება, რომ პირმა, რომელიც მიუთითებს წარმომადგენლობის ნამდვილობის წინაპირობებზე, უნდა თავად დაამტკიცოს ამ წინაპირობების არსებობა, ვრცელდება არა მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც მოთხოვნას აყენებენ, არამედ მათზეც, ვინც ცდილობს წაყენებული მოთხოვნებისაგან დაცვას: ვინც ამტკიცებს, რომ მოქმედებდა სხვის სასარგებლოდ ნამდვილი წარმომადგენლობის საფუძველზე უნდა დაასაბუთოს, რომ იგი მოქმედებდა სხვისი სახელით და რომ მას მინიჭებული ჰქონდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება; საწინააღმდეგო შემთხვევაში, მის მიმართ შესაძლებელი იქნება მოთხოვნის წარდგენა, როგორც პირისადმი, რომელმაც გარიგება საკუთარი სახელით დადო, შესაბამისად, მას შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა სკ-ის 113-ე მუხლის საფუძველზე, როგორც წარმომადგენელს, რომელიც მოქმედებდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე.

<sup>11</sup> ეს წესი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა საბუთის ნამდვილობა სადავოა.

კოლიზიისას, გამოიყენება სპეციალური ნორმები; შესაბამისად, უპირატესი ძალა აქვს საჯარო რეესტრის მონაცემთა სისწორისა და უტყუარობის პრეზუმფციას მტკიცების ტვირთის რეგულირების ზოგად წესებთან შედარებით.

სკ-ის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის ფართო მოქმედება ვრცელდება არა მხოლოდ მესამე პირებზე, რომლებიც სადავო გარიგების მონაწილენი არ არიან და შესაბამისად, შეუძლიათ მხოლოდ საჯარო რეესტრის მონაცემებს დაეყრდნონ და მხოლოდ ამ მონაცემებს უნდა დაეყრდნონ კიდევც, არამედ თავად ხელშეკრულების მხარეებზეც, რომლებსაც შეუძლიათ მონაცემთა უტყუარობისა და სისწორის მტკიცებისას ასევე საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე მიუთითონ. რაც შეეხება დავას იმის თაობაზე, განხორციელდა თუ არა რეგისტრაცია კანონის მოთხოვნათა დაცვით, ივარაუდება, რომ რადგან რეგისტრაცია განხორციელდა, მონაცემები სწორია!<sup>12</sup>

ეს მოსაზრება პრობლემატურია და ფაქტობრივად ჩაკეტილ წრეში ვექცევით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საჯარო რეესტრის მონაცემთა სისწორის პრეზუმფციის მოქმედებას გავავრცელებთ ისეთ გარემოებებზე, რომელთა შემონმებაც რეგისტრაციის წარმოებისას არ ხდება: მაგალითად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნამდვილობის შემონმება.

ზემოთ აღნიშნულის გასაქარწყლებლად შეგვიძლია მხოლოდ რეესტრის საჯაროობის მნიშვნელობა მოვიშველიოთ და ვენდოთ შესაბამის კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს, რომ ისინი საჯარო რეესტრის წარმოებისას სათანადო წინდახედულობას გამოიჩინენ.

როგორც ჩანს, საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისწორის პრეზუმფციისათვის ასეთი ფართო მოქმედების მიცემა არც არის აუცილებელი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი ისეთ გარემოებებზე ვრცელდება, რომელთა შემონმება რეგისტრაციისას არ ხდება (განსახილველ შემთხვევაში მინდობილობის გაყალბება) და რომელთა შეცნობა საჯარო რეესტრის განსაკუთრებით გულისხმიერად წარმოების დროსაც კი ყოველთვის არ არის შესაძლებელი.

<sup>12</sup> ზუსტად რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ რეგისტრაციის სისწორე სწორედ იმიტომაც ივარაუდება, რადგანაც იგი განხორციელებულია.



ყოველივეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსარჩელისათვის გარიგების უშუალო მონაწილისათვის, რომელსაც მესამე პირისაგან განსხვავებით, რომელიც გარიგების მონაწილე არ არის, ახსნა-განმარტების მიცემის მეტი შესაძლებლობა აქვს.<sup>13</sup>

(3) მოპასუხემ უნდა დაასაბუთოს მინდობილობის გაყალბების ფაქტი, თუ არ არსებობს სარჩელის წარდგენის სხვა საფუძვლები.

ამგვარი საფუძვლები არ არსებობს:

(3.1) იპოთეკარს შეიძლება წაუყენოს შესაგებელი არა მხოლოდ იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირადმა მოვალემ, არამედ უძრავი ნივთის მესაკუთრემაც (სკ-ის 291-ე მუხლის პირველი ნაწილი).

(3.2) მოთხოვნაზე უარი და ამის საფუძველზე იპოთეკიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობის მოშლა კრედიტორის მიერ განხორციელდა კანონით დადგენილი წესის შესაბამისად (სკ-ის 291-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

(3.3) იპოთეკის წინააღმდეგ შესაგებლები არ არის წარდგენილი (სკ-ის 291 მუხლის პირველი ნაწილი). განსაკუთრებით, ეს შეეხება სესხის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ იპოთეკით უზრუნველყოფილ მოთხოვნას, კერძოდ, ვალის უკან დაბრუნებას, რომლის შესრულების ვადაც დადგა და რაც ხელშეკრულების მოშლის შემდეგ არ განხორციელებულა (შეად. სკ-ის 626-ე მუხლის პირველ ნაწილს).

### **შუალედური შედეგი:**

მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდება, თუ მოპასუხე ვერ დაასაბუთებს, რომ მინდობილობა და მასზე არსებული ხელმოწერა გაყალბებული იყო.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხეს აწევს საკმაოდ მძიმე მტკიცების ტვირთი და მას არახელსაყრელი პოზიცია უჭირავს, მისი მდგომარეობა

---

<sup>13</sup> მაგალითად, ბანკს შეუძლია უარი განაცხადოს, რომ იპოთეკა დადგინდეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის წარმომადგენლის მონაწილეობით ან მესაკუთრის გამოკითხვის შედეგად დააზუსტოს საჭირო ინფორმაცია ან მხოლოდ განსაზღვრულ მხარეთა მინდობილობა, ან სანოტარო წესით გაცემული საბუთი ცნოს.

მარეობა არ არის გამოუვალი: გრაფიკული ექსპერტიზის გარდა,<sup>14</sup> შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ნოტარიუსი ან მისი თანამშრომელი, როგორც მონემები,<sup>15</sup> დაადასტურებენ, რომ მინდობილობის დამონმებისას ისინი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიმნიჭებლის პიროვნებაში შეცდნენ და რომ შესაძლოა სადავო საბუთი მოპასუხის მიერ არ ყოფილიყო ხელმოწერილი. ეს გარემოება შეიძლება ასევე დადგინდეს მოპასუხისა და მოპასუხის ძმის (A-ს) დაპირისპირებით, თუ რასაკვირველია მოპასუხის ძმის (A-ს) გამოძახება პროცესზე შესაძლებელი გახდა.

ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ, მართალია, სკ-ის 107-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად უფლებამოსილების მიცემა ხდება რწმუნებულის მიმართ ნების გამოვლენით, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობს უფლებამოსილების სანოტარი წესით დამონმებისას რწმუნებულის აუცილებელ დასწრებას. საკმარისია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიმნიჭებლის ნების დამონმება, რაც შემდეგ რწმუნებულს გადაეგზავნება.

ამგვარად, უნდა ვიფიქროთ, რომ განსახილველ შემთხვევაში ნოტარიუსთან მხოლოდ ერთი პირი მივიდა, მოპასუხე ან სხვა პირი, რომელმაც თავი მოპასუხედ გაასაღა.

მოპასუხის<sup>16</sup> ახსნა-განმარტებებს საბოლოოდ ასევე დიდი მნიშვნელობა აქვთ, განსაკუთრებით – სხვა ობიექტურ მტკიცებულებებთან ერთად, როგორც არის, მაგალითად, საბუთები,<sup>17</sup> რომელთა საშუალებით მოპასუხეს შეუძლია დაამტკიცოს, რომ დროის იმ მონაკვეთში, როდესაც სავარაუდოდ მას ხელი უნდა მოეწერა მინდობილობაზე, ის ნოტარიუსთან არ ყოფილა, რადგან, მაგალითად, საზღვარგარეთ იმყოფებოდა.<sup>18</sup>

და ბოლოს დასაშვებია, რომ მოპასუხის ძმამ (A-მ) გაუჩინარებამდე მონმის ჩვენების საწინააღმდეგოდ დაადასტურა გაყალბების ფაქტი ან რომ, მაგალითად, მოპასუხის მიერ მიცემული ახსნა-განმარტებების

---

<sup>14</sup> სკ-ის 162-ე მუხლით გათვალისწინებული ექსპერტიზის ჩატარება და შესამაბამისი დასკვნის გაცემა პრაქტიკაში ხშირად პრობლემატურია და მოსამართლის შინაგანი რწმენის საბოლოოდ ჩამოყალიბებაზეც დიდ გავლენას არ ახდენს.

<sup>15</sup> სკ-ის 140-ე მუხლი.

<sup>16</sup> სკ-ის 127-ე მუხლი.

<sup>17</sup> სკ-ის 134-ე მუხლი.

<sup>18</sup> პასპორტში რეგისტრაცია, თვითმფრინავის ბილეთები, სატელეფონო ხარჯები და ა.შ.

საპირისპირო წერილობითი ჩვენება მისცა.<sup>19</sup>

თუ მოპასუხე შეძლებს დაასაბუთოს დოკუმენტის გაყალბების ფაქტი, სასამართლო მხარეს უარს ეტყვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში დარჩება ზემოთ აღნიშნული შედეგი.

## II. შეგებებული სარჩელი:

### 1) დასაშვებობა:

ა) როგორც წესი, შეგებებული სარჩელის წარდგენა არ არის რაიმე წინააღმდეგობასთან დაკავშირებული. სსკ-ის 189-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, შეგებებული სარჩელის წარდგენა დასაშვებია, თუ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამოორციხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. შეგებებული სარჩელის მიხედვით დგინდება, რომ იპოთეკა მოსარჩელის სასარგებლოდ არ წარმოშობილა. ამდენად, იპოთეკის საფუძველზე მიწის ნაკვეთის გასხვისების მოთხოვნის წაყენების შესაძლებლობა გამოირიცხება.

ბ) პრობლემები წარმოიშობა არა შეგებებული სარჩელის დასაშვებობის გამო, არამედ მისი, როგორც აღიარებითი სარჩელის (სსკ-ის 180-ე მუხლი), სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე.

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში აღიარებითი სარჩელის საკმაოდ ხშირი გამოყენება ყოველთვის გამართლებული არ არის.

აღიარებითი სარჩელის გამოყენება ყოველთვის დაუშვებელია, როდესაც მოსარჩელეს მის ნაცვლად მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელის აღძვრა შეუძლია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოსარჩელის სასარგებლოდ მიიღება გადანყვეტილება, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება და მის ინტერესებს უფრო მეტად შეესაბამება, რაც ნაკლებად

---

<sup>19</sup> ამგვარი ახსნა-განმარტების, როგორც მტკიცებულების, შეფასებისას გასათვალისწინებელია მოპასუხის ძმას A-სა და მოპასუხის ინტერესთა განლაგების მსგავსი პოზიციები. ამგვარი „მანევრის“ განხორციელების შედეგად მათ შეუძლიათ გააქარწყლონ მოსარჩელის მოთხოვნა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხაზე (ამ ვალდებულების შესრულებაზე მოპასუხე პირადად არ აგებს პასუხს; მხოლოდ A არის პირადი მოვალე, რომელიც ამასობაში გაუჩინარდა) და – ასევე მოთხოვნა, რომელიც იპოთეკით არის უზრუნველყოფილი, რომელიც ამ შემთხვევაში არ იქნებოდა ნამდვილი!

არის შესაძლებელი აღიარებითი სარჩელის დროს, რომლის საშუალებით უბრალოდ დგინდება განსაზღვრული უფლებები ან სამართლებრივი ურთიერთობები.

აღიარებითი სარჩელის სუბსიდიური ხასიათი გამომდინარეობს სსკ-ის 180-ე მუხლის ფორმულირებიდან, რომლის შესაბამისად, მოსარჩელეს უნდა ჰქონდეს იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს. ასეთი იურიდიული ინტერესი არ წარმოიშობა, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის ნაყენება, რაც მოცემულ შემთხვევაში დასაშვებია. მოპასუხეს უფლება აქვს შეგებებული სარჩელით მოსარჩელისაგან მოითხოვოს მოქმედების შესრულება, კერძოდ, თანხმობა იპოთეკის შესახებ ჩანაწერის გაუქმების თაობაზე სკ-ის 313-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. ამ მუხლის თანახმად პირს, რომლის უფლებები და სამართლებრივი მდგომარეობა შეილახა არასწორი რეგისტრაციის შედეგად, შეუძლია მოსთხოვოს თანხმობა ჩანაწერის შესწორებაზე იმ პირს, რომლის რეგისტრაცია განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დაუცველად, ანუ რომლის უფლებასაც შეეხება შესწორება.

ამრიგად, მოცემული შეგებებული სარჩელი, რომელიც მხოლოდ იპოთეკის არარსებობის დადგენით შემოიფარგლება, არ არის დასაშვები, რადგან მოპასუხის ინტერესების უკეთ დაცვა საჯარო რეესტრის ჩანაწერში შესწორების შეტანით არის შესაძლებელი. ამასთან, იპოთეკის არსებობა ყველა შემთხვევაში დადგინდება სარჩელზე გადაწყვეტილების გამოტანისას. ამდენად, პირვანდელი სარჩელის შინაარსობრივად იდენტური შეგებებული სარჩელისადმი სამართლებრივი დაცვის ინტერესი აღარ არსებობს.<sup>20</sup> მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი, რომ აღიარებითი სარჩელის

---

<sup>20</sup> სამართლებრივი დაცვის ინტერესის არარსებობის გამო, როგორც წესი, შეგებებული სარჩელი არ არის დასაშვები, რომელიც მხოლოდ პირველად სარჩელში ჩამოყალიბებული მოთხოვნის უარყოფით შემოიფარგლება. სამაგიეროდ, დასაშვებია შეგებებული სარჩელი, რომელიც მიმართულია სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე აღძრული გადახდის სასარჩელო მოთხოვნის წინააღმდეგ და რომლითაც სარჩელის წარმდგენს სურს დადგინდეს, რომ მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა საერთოდ არ არსებობს: ამ შემთხვევაში მოპასუხის შეგებებული სარჩელი პირველადი სარჩელის მოთხოვნის უბრალოდ უარყოფისაკენ კი არ არის მიმართული, არამედ იმავდროულად განაპირობებს ამ სავარაუდო ურთიერთობის საფუძველზე წარმოშობილი შემდგომი მოთხოვნების გაქარ-

წარმატების შემთხვევაში, როდესაც სასამართლო წესით გაირკვევა, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერი არასწორია, თავი ავარიდოთ დამატებით მიკუთვნებითი სარჩელის წარდგენას საჯარო რეესტრის ჩანაწერში შესწორების შეტანის მოთხოვნით.<sup>21</sup>

გ) ამგვარად, მოპასუხემ შეგებებული სარჩელი აღიარებითი სარჩელის ნაცვლად უნდა წარადგინოს მიკუთვნებითი სარჩელის ფორმით, რომლის მოთხოვნაც მიმართული უნდა იქნეს მოსარჩელისაგან საჯარო რეესტრში შესწორების შესატანად სავალდებულო თანხმობის მიღებისაკენ, საჭიროებისამებრ, მოსამართლის მითითებებისა და სსკ-ის 185-ე, 189-ე მუხლის პირველი ნაწილის, მე-200, 203-ე მუხლების შესაბამისად.

აღნიშნული მოქმედების განხორციელება სსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებია საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე მოსარჩელის თანხმობის გარეშე, ხოლო შემდგომ სტადიებზე, 224-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 83-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სავალდებულოა მხარეთა თანხმობა.

---

წყლებსაც. ამდენად, ამგვარი სამართლიანი შედეგის მისაღწევად სამართლებრივი დაცვის ინტერესის არსებობა უნდა ვცნოთ.

დაბოლოს, ყოველთვის დასაშვებია აღიარებითი სარჩელის წარდგენა მოსარჩელის სამართლიანი ინტერესის დაცვის საფუძველზე, რომლითაც დგინდება განსაზღვრულ მოვალეობათა არარსებობა, როდესაც მოსარჩელეს მოპასუხე პროცესის წარმოების გარეშე ედავება. აღიარებითი სარჩელის აღძვრა არ არის დასაშვები, რაც ასევე განპირობებულია ზედმეტი სასამართლო ხარჯების თავიდან აცილების სურვილით, როდესაც სავარაუდო კრედიტორი აღძრავს მიკუთვნებით სარჩელს, მაგ. შეგებებული სარჩელის ფორმით, მიმართულს მეორე მხარის მიერ წაყენებული მოთხოვნის წინააღმდეგ და რომლითაც ის მოითხოვს გადახდას.

<sup>21</sup> ნების გამოვლენაზე აღსრულების წარმოება ქართული შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე პრობლემატურია: მაგალითად, გერმანულ სამართალში ნება გამოვლენილად ითვლება, როდესაც ძალაში შევა შესაბამისი გადაწყვეტილება (894 ZPO). ამდენად, საქმე გვაქვს ნების ვითომ-გამოვლენასთან (ან ნების გამოვლენის ფიქციასთან), ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება ცვლის ნებისმიერ სავალდებულო ფორმას. ამ გზით შესაძლებელია, რომ თავი ავარიდოთ ნების გამო-საუღწევად მოვალის იძულებას ძალადობით და იძულების საშუალებების გამოყენებით; ასევე, ხდება აღსრულების წარმოების საგრძნობლად გამარტივება და დაჩქარება.

ქართულ სამართალში არ არსებობს შესაბამისი წესი, რის გამოც, სსკ-ის 254-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 87-ე მუხლის შესაბამისად, აღსრულება მოქმედებაზე, როგორც მოქმედებაზე, რომელიც არ შეიძლება შესარულოს სხვა პირმა, იძულების წესით უნდა განხორციელდეს.

კონკრეტულ შემთხვევაში სსკ-ის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისი გამოყენებისას, შესაძლოა ამგვარი თანხმობის მიღება მნიშვნელობას იყოს მოკლებული.

## 2) დასაბუთებულობა:

მოპასუხისა და შეგებებული სარჩელის წარმდგენის მოთხოვნა მოსარჩელისა და შეგებებული სარჩელის წარმდგენი მოპასუხის წინააღმდეგ გამომდინარეობს სსკ-ის 313-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, თუკი საჯარო რეესტრის ჩანაწერი არასწორი გახდა იმის გამო, რომ განხორციელდა იპოთეკის რეგისტრაცია მოსარჩელის სასარგებლოდ. ამ საკითხებთან დაკავშირებით წარმოიშობა იგივე პრობლემები, რომელთა შესახებაც აღვნიშნეთ სარჩელის ფარგლებზე საუბრისას; აქ ეჭვს იწვევს მხოლოდ შემდეგი გარემოება: მინიჭებული ჰქონდა თუ არა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მოპასუხის ძმას (A-ს), როდესაც მან დაადგინა იპოთეკა და მოქმედებდა თუ არა ის, როგორც მოპასუხის სავარაუდო წარმომადგენელი.

მტკიცებულებასთან დაკავშირებული საკითხები და მტკიცებულების საშუალებები ზემოთ მოყვანილი გარემოებების გათვალისწინებით სარჩელის იდენტიურნი არიან.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ **მტკიცების ტვირთის** საკითხიც იგივე წესებით რეგულირდება. შესაბამისად, **მტკიცების ტვირთი** არ არის დამოკიდებული მხარის როლზე პროცესში. მტკიცების ტვირთზე ასევე არ ახდენს გავლენას ის გარემოება, მოპასუხე იპოთეკის საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნისაგან იცავს თავს, თუ შეგებებული სარჩელით მოითხოვს საჯარო რეესტრში იპოთეკის შესახებ მონაცემების გაუქმებას. ყველა შემთხვევაში, ზემოთ წარმოდგენილი შედეგი ერთმნიშვნელოვნად მისაღწევია: მან უნდა დაამტკიცოს საბუთის სიყალბის ფაქტი.<sup>22</sup>

## III. საბოლოო შედეგი:

თუ მოპასუხე ვერ შეძლებს დაასაბუთოს, რომ სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა გაყალბებულია, სარჩელი დაკმაყოფილდება,

<sup>22</sup> იხ. ზემოთ I, 2), გ), გგ), (2).

ხოლო შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე მხარეს უარი ეთქმის; და პირიქით, თუ მოპასუხე შეძლებს მინდობილობის სიყალბის ფაქტის დასაბუთებას, მაშინ სარჩელი უსაფუძვლო აღმოჩნდება, ხოლო შეგებებული სარჩელი კი დაკმაყოფილდება.



**SemTxveva #1a (gagrZeleba)**

**sasamarTlos gadawyvetileba #1 SemTxvevisaTvis**

**Tematika:** იხ. შემთხვევა №1

### **შენიშვნა:**

სასამართლომ მტკიცებულებათა შეგროვებისა და შეფასებისას დაკითხა მოპასუხის ძმა (A), რომელიც კვლავ გამოჩნდა, ისევე როგორც ნოტარიუსი, რომელმაც დაამონმა სადავო მინდობილობა, შემდგომ, ასევე მოუსმინა მოპასუხეს და გაითვალისწინა, რომ მოპასუხემ წარადგინა რამდენიმე სხვადასხვა დოკუმენტი და ბოლოს მოითხოვა ექსპერტის დასკვნა.

- 1. საპროცესო-სამართლებრივი საფუძვლები: სსკ-ის 249-ე მუხლი**
- 2. აღწერილობითი ნაწილი:**

№1 შემთხვევაში მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებანი შეიძლება გადმოვიტანოთ გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში, სსკ-ის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილის გაგებით. მას უნდა დაემატოს მხოლოდ სასამართლოს სხდომაზე შეგროვებული და შეფასებული მტკიცებულებანი, რომელთა შესახებ მოკლედ უნდა აღინიშნოს, თუმცა, ამ ნაწილში მათი შინაარსის ხელმეორედ გადმოცემა საჭირო არ არის. ამ დამატებას შესაძლოა მიეცეს ზემოთ მოყვანილი შენიშვნის სახე.

აღწერილობით ნაწილში ასევე უნდა იყოს გადმოცემული, რომ შეგებებული სარჩელის წარმდგენმა თავდაპირველი მოთხოვნა შეცვალა და აღიარებითი სარჩელი გარდაიქმნა მიკუთვნებით სარჩელად.

- 3. სამოტივაციო ნაწილი:**

სარჩელი არ არის დასაბუთებული და მხარეს უარი უნდა ეთქვას მის დაკმაყოფილებაზე. მოსარჩელეს უფლება არა აქვს მოპასუხისაგან მოით-

ხოვოს კუთვნილი მიწის ნაკვეთის გასხვისება სკ-ის მე-300 მუხლის შესაბამისად.

შეგებებული სარჩელი კი დასაბუთებულია; სკ-ის 313-ე მუხლის პირველი ნაწილისა და შესაბამისი მოთხოვნის თანახმად მოსარჩელეს უნდა დაეკისროს საჯარო რეესტრის ჩანაწერის შესწორებაზე თანხმობის მიცემის მოვალეობა.

მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხის მიწის ნაკვეთის იპოთეკით დატვირთვა არ არის ნამდვილი, შესაბამისად, მოპასუხე არ არის ვალდებული ითმინოს მიწის ნაკვეთის იძულებით რეალიზაცია.

მოპასუხე მართებულად მიუთითებს, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიუხედავად იპოთეკა არ წარმოშობილა, რადგან მოპასუხის ძმას (A-ს), მოპასუხის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე იპოთეკის დადგენის უფლებამოსილება არ ჰქონია მინიჭებული.

ამასთან, მოპასუხე მიუთითებს, რომ იპოთეკა მხოლოდ მოსარჩელის საჯარო რეესტრში რეგისტრაციით არ წარმოიშობა, მიუხედავად სკ-ის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების სიტყვასიტყვითი განმარტებისა.<sup>1</sup> აღნიშნული სკ-ის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებიდან გამომდინარეობს, რაც მიწის ნაკვეთის მესაკუთრისა და იპოთეკარ-კრედიტორის მიერ დამატებით სანოტარო წესით დამონმებული შესაბამისი საბუთის შედგენას ითვალისწინებს, თუმცა, სკ-ის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების სიტყვასიტყვითი განმარტების მიუხედავად, არ არის სავალდებულო, რომ ნება უშუალოდ მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ გამოავლინოს. სკ-ის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად იპოთეკის დადგენა, ასევე დასაშვებია წარმომადგენლის მიერ, რაც სკ-ის 183-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებიდან გამომდინარეობს. რადგან უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შექმნისას დასაშვებია წარმომადგენლის მონაწილეობა, იგივე შეიძლება გავრცელდეს უძრავი ნივთის უფლებ-

---

<sup>1</sup> შენიშვნა: ეს **სამართლებრივი მოსაზრება** ზემოთ მოყვანილ აღწერილობით ნაწილში (შეად. შემთხვევას №1) არ არის მოცემული. დასაშვებია, რომ მხარეთა მიერ მოხსენებული ზოგიერთი გარემოების შესახებ პირველად მხოლოდ სამოტივაციო ნაწილში აღინიშნოს, განსაკუთრებით - სამართლებრივი მოსაზრებების შესახებ, რადგან მათი ცოდნა აღწერილობითი ნაწილის უკეთ გასაგებად მნიშვნელობას მოკლებული არ უნდა იყოს.

რივად დატვირთვაზეც.

სანოტარო წესით დამონმებული საბუთის მიუხედავად, მოპასუხის ძმის (A-ს), წარმომადგენლობა არ არის ნამდვილი, რადგან ამ უკანასკნელს ძმისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ მიუნიჭებია. ეს გარემოება დადგენილია მტკიცებულებათა შეგროვებისა და შეფასების შედეგად და საკმარისად დამაჯერებელია მოსამართლეთა რწმენის ჩამოსაყალიბებლად.

მოპასუხის მტკიცება მიმართული იყო მინდობილობის გაყალბების დასაბუთებლად. როგორც წესი, სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც ის ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებებს მიეკუთვნება მინდობილობის ნამდვილობა, რამდენადაც მხარე მოთხოვნებს ამ გარემოებაზე ამყარებს. საბუთებთან დაკავშირებით სსკ-ის 137-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს, რომ მხარე, რომელიც მიუთითებს საბუთის ნადვილობაზე, ვალდებულია დაამტკიცოს ეს გარემოება. შესაბამისად, ამ გარემოებასთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთი, როგორც წესი, მოსარჩელეს აკისრია.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს შეუძლია მიუთითოს სკ-ის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის სპეციალურ ნორმაზე, რომლის შესაბამისად ივარაუდება საჯარო რეესტრის ჩანაწერთა სისწორე საპირისპიროს დამტკიცებამდე.

ეს პრეზუმფცია მოქმედებს ნებისმიერი იმ პირის სასარგებლოდ ან სანინაალმდეგოდ, რომელიც გარიგებაში მონაწილეობდა და გარიგების რეგისტრაციაზე ამყარებს თავის სამართლებრივ მდგომარეობას.

პრეზუმფციის მოქმედება ასევე ვრცელდება იმ გარემოებებზე, რომლებიც საჯარო რეესტრის ფარგლებს გარეთ ექცევიან, მაგალითად, როგორც არის მინდობილობის ნამდვილობა. კანონით დადგენილი ეს წესი არა მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით მოქმედებს მოსარჩელის სასარგებლოდ და ადასტურებს რეგისტრირებული უფლების არსებობას, არამედ პროცესუალური თვალსაზრისითაც, რადგან საჯარო რეესტრის ჩანაწერთა უზუსტობის, კერძოდ, ხელმოწერისა და მინდობილობის გაყალბების, მტკიცების ტვირთი მოპასუხეზე გადადის. სკ-ის მე-2

მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, როგორც სპეციალურ ნორმას, მას უპირატესი ძალა აქვს სსკ-ის 102-ე და 137-ე მუხლებით დადგენილი ზოგადი წესების მიმართ.

სსკ-ის 127-ე და შემდგომი მუხლების შესაბამისად მიცემული ახსნა-განმარტებისას მოპასუხე უარყოფს, რომ ხელი მოაწერა სანოტარო წესით დამონმებულ სადავო საბუთს. მან წარმოადგინა საბუთები, რომლებიც ადასტურებენ, რომ სადავო დროის მონაკვეთში ის საქართველოში არ იმყოფებოდა და საზღვარგარეთ იყო გამგზავრებული. აღნიშნული ასევე დასტურდება არა მხოლოდ საზღვარგარეთ რეგისტრირებული საბუთებით და მოპასუხის სამუშაოს მიმცემის განცხადებით, არამედ შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების საბუთებით, რომელთა მიხედვით ამ პერიოდის განმავლობაში მოპასუხე არ ფლობდა ქართულ პასპორტს. უკვე ამ მიზეზების გამოც მას არ შეეძლო საქართველოში სადავო დროის მონაკვეთისათვის ჩამოსვლა.

გარდა ამისა, მოწმის სახით დაკითხულმა ნოტარიუსმა დაადასტურა, რომ მოპასუხე პირველად სასამართლო დარბაზში ნახა და რომ მინდობილობის ხელმოწერისას მასთან სხვა პირი იმყოფებოდა. მაშინაც კი, თუ ნოტარიუსი ზუსტად ვერ გაიხსენებს, თუ ვისი მოთხოვნით დაამონმა მან მინდობილობა და მხოლოდ დაუშვებს, რომ საუბარი შესაძლოა მოპასუხის ძმაზე (A-ზე) ყოფილიყო, მოპასუხე ყველა შემთხვევაში გამოირიცხება.

მოპასუხის ძმის (A-ს) მიერ მიცემული ახსნა-განმარტება, რომ მას მინდობილობა არ გაუყალბებია, სასამართლოსათვის არ არის საკმარისად დამაჯერებელი. ამასთან, მისი მოხსენება იმ გარემოებასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხდა მის მფლობელობაში მინდობილობა გაურკვეველი და არათანმიმდევრული იყო. გარდა ამისა, მან ასევე ვერ მისცა დამაჯერებელი ახსნა-განმარტება, რაც დაადასტურებდა მისი ძმის სავარაუდო დაბრუნებას უცხოეთიდან ამ გარემოებასთან დაკავშირებით არსებული, ერთმნიშვნელოვანი საბუთების მხედველობაში მიღებით.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხის ძმას (A-ს) თავად აქვს საქმის გადანყვეტის საკმაო ინტერესი. პირველ რიგში, მინდობილობის გაყალბების შემთხვევაში მას სისხლის-სამართლებრივი პასუხის-

მგებლობა დაეკისრება და ბუნებრივია, რომ ის უარყოფს ამ გარემოებას. მეორე, თუ მოპასუხეს დაეკისრება იპოთეკიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა, სესხის ხელშეკრულების საფუძველზე წარმომოხილ მოთხოვნას მოსარჩელე მოპასუხის ძმას (A-ს) აღარ წაუყენებს.

ზემოთ მითითებულის მხედველობაში მიღებით მოპასუხის ძმის (A-ს) მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებებს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა არ ექნება. გარდა ამისა, საქმეზე გადაწყვეტილების გამოსატანად მნიშვნელოვანია არა იმდენად მოპასუხის ძმის (A-ს) მიერ პირადად მინდობილობის გაყალბება, რამდენადაც ის გარემოება, რომ მინდობილობა მოპასუხის მიერ არ არის ხელმოწერილი.

გრაფიკული ექსპერტიზის შედეგად დადასტურდა, რომ მინდობილობაზე არსებულ ხელმოწერასა და მოპასუხის მიერ იმ პერიოდის განმავლობაში შესრულებულ სხვა ხელმოწერათა შორის დადგინდა საკმარისი განსხვავება, რაც იძლევა საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ადგილი ჰქონდა საბუთის გაყალბებას.

ამ გარემოებათა მხედველობაში მიღებით სასამართლო დარწმუნდა, რომ მინდობილობა მოპასუხის მიერ არ არის ხელმოწერილი.

ნამდვილი წარმომადგენლობის არარსებობის გამო, იპოთეკა არ ჩაითვლება წარმომოხილად.

იპოთეკის დადგენის ფაქტის მიმართ მოსარჩელე არ იყო კეთილსინდისიერი, მაშინაც კი, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მინდობილობის გაყალბება მისთვის არ იყო ცნობილი.

ამდენად, მოსარჩელეს ასევე ვერ დაიცავს სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი: აღნიშნული დებულებანი იცავენ შემძენის კეთილსინდისიერებას მხოლოდ საჯარო რეესტრის მონაცემთა სისწორის და რეგისტრირებული მესაკუთრის უფლებამოსილების მიმართ. მოპასუხის, როგორც **მესაკუთრის**, ეს უფლებამოსილება მხარეებს შორის დავის საგანი არ არის. სადავოა მხოლოდ მინდობილობის გაყალბება და შესაბამისად, ნამდვილი წარმომადგენლობის არსებობა, რასაც მოპასუხე ამტკიცებს.

გარემოებასთან, რომ მხარეს კეთილსინდისიერად ეგონა ნამდვილი წარმომადგენლობის არსებობა, საქმე არ უნდა გვქონდეს.

დაბოლოს, მოპასუხეს თავისი ძმისთვის (A-სთვის) არ მიუცია უფლე-

ბამოსილება ემოქმედა როგორც წარმომადგენელს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სკ-ის 111-ე, 99-ე მუხლების შესაბამისად. ამდენად, მნიშვნელობას მოკლებულია, რომ ამგვარი თანხმობის მიცემა შესაძლებელია სავალდებულო ფორმის დაუცველად სკ-ის 107-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 99-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

თანხმობის მიცემის თაობაზე თავად მოსარჩელე არ მიუთითებს.

ამდენად, სარჩელი არ არის დასაბუთებული და მხარეს უარი უნდა ეთქვას მის დაკმაყოფილებაზე.

შეგებებული სარჩელი დასაშვებია, მას შემდეგ, რაც, სსკ-ის 224-ე, 83-ე მუხლების შესაბამისად, მოპასუხემ იგი შეცვალა და რეესტრის მონაცემთა უზუსტობის დადგენის ნაცვლად მოსარჩელისაგან რეესტრში შესწორების შეტანა მოითხოვა სკ-ის 313-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად.

შეგებებული სარჩელი დასაბუთებულია.

მოპასუხემ დაამტკიცა მისი ხელმოწერის გაყალბება, მინდობილობის ბათილობა და შესაბამისად, რეესტრის მონაცემთა უზუსტობა. მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაშიც მოპასუხეს აწევს: იგი არ არის დამოკიდებული მხარის როლზე მიმდინარე პროცესში და თანაბრად ვრცელდება სარჩელსა და შეგებებულ სარჩელზე.

რაც შეეხება მტკიცებულებათა შეგროვებისა და შეფასების შედეგებს, შესაძლოა მითითებულ იქნეს ზემოაღნიშნული, სარჩელთან დაკავშირებული მოსაზრებანი.

მოპასუხის თხოვნა, რომ სსკ-ის 267-ე მუხლით დადგენილი წესისაგან განსხვავებით, დაიშვას გადაწყვეტილებაზე იძულებითი აღსრულება მის კანონიერ ძალაში შესვლამდე, არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან მოპასუხემ არ მიუთითა განსაკუთრებულ გარემოებებზე სსკ-ის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტის გაგებით, რომელთა არსებობაც გაამართლებდა ამგვარ გადაწყვეტილებას.<sup>2</sup> ამასთან, არა გვაქვს საფუძველი ვიფიქ-

---

<sup>2</sup> მსგავსი მოთხოვნის შესახებ აღწერილობით ნაწილშივე უნდა აღინიშნოს. გადაწყვეტილება შეიძლება ჩამოყალიბდეს სამოტივაციო ნაწილში და არა კატეგორიულად მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილში.

რომ, რომ მოპასუხეს შეიძლება ზიანი მიადგეს გადაწყვეტილების მოგვიანებით აღსრულების შემთხვევაში.<sup>3</sup> ასევე არ შესრულებულა სხვა წინაპირობები, რომელთა არსებობა განაპირობებდა მოსარჩელის თხოვნის დაკმაყოფილებას.

#### 4. სარეზოლუციო ნაწილი:

სარჩელი არ არის დასაბუთებული. მხარეს უარი უნდა ეთქვას მის დაკმაყოფილებაზე.

მოსარჩელეს დაეკისროს საჯარო რეესტრის ჩანაწერთა შესწორების თაობაზე თანხმობის მიცემის მოვალეობა, რომ გაუქმდეს საჯარო რეესტრში ნომრის... ქვეშ მოსარჩელის სასარგებლოდ რეგისტრირებული, მოპასუხის მიწის ნაკვეთზე დადგენილი იპოთეკა.

(სასამართლო ხარჯების დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება გამოტანილი იქნება სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად).

---

<sup>3</sup> ეს საკითხი შესაძლოა სხვაგვარადაც გადაწყდეს, თუ დავუშვებთ, რომ მიწის ნაკვეთის უფლებრივად დატვირთვის საჯარო რეესტრში არასწორი რეგისტრაცია ყოველთვის გულისხმობს მესაკუთრისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს, რადგან სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიუხედავად, მუდმივად არსებობს რისკი, რომ ამ უფლებას კეთილსინდისიერად მესამე პირი შეიძენს და შესაბამისად, საფრთხე შეექმნება რეგისტრირებული დატვირთვის წარმოშობის ნამდვილობას. თუ უფლებამოსილ პირად რეგისტრირებულია ბანკი, როგორც განსახილველ შემთხვევაში, ნაკლებად შესაძლებელია, რომ იპოთეკის არსებობის თაობაზე სასამართლო დავის მიმდინარეობისას ბანკმა უფლება კეთილსინდისიერ მესამე პირს ისე გადასცეს, რომ ამ უკანასკნელს არ მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია მხარეებს შორის მიმდინარე სასამართლო პროცესთან დაკავშირებით.

ამდენად, მოპასუხეს მეტი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა.

აღსრულების დაუყოვნებლივ წარმოების თაობაზე განჩინების გამოტანის გარდა მოპასუხის სასარგებლოდ მოქმედებენ დაცვის სხვა მექანიზმებიც: სკ-ის 313-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მოპასუხეს შეუძლია რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის გამო სარჩელის შეტანა და საჩივრის რეესტრში რეგისტრაციის მოთხოვნა. ამ გზით, ის შეაჩერებს სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პრეზუმფციის მოქმედებას.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, მას ასევე შეუძლია ამ მოთხოვნის წარდგენა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ წარმოების ადვოკატის საშუალებით სსკ-ის 191-ე მუხლის საფუძველზე. აღნიშნული განსაკუთრებით არის მხედველობაში მისაღები, როდესაც ჯერ არ არის გამოტანილი გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის ჩანაწერთა შესწორების თაობაზე. სკ-ის 315-ე მუხლის მე-3 ნაწილის ანალოგიის წესით გამოყენების შედეგად შესაბამისი რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს იმ პირისაგან ნებართვის მიღების შემდეგ, ვინც რეესტრში რეგისტრირებულია უფლებამოსილ პირად. სსკ-ის 191-ე მუხლის შესაბამისად ეს უკანასკნელი პროცესში მონაწილედ შეიძლება ჩაითვალოს, თუ მას საჩივრის რეგისტრაციისათვის ნებართვა საკუთარი ნებით არ მიუცია.



## **SemTxveva #2**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 116-ე, 155-ე, 159-ე, 160-ე, 172-ე, 531-ე, 1507-ე მუხლები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 192-ე, 193-ე, 194-ე, 198-ე, 285-ე მუხლები.

### **Tematika:**

მიმდინარე (დროებითი) სამართლებრივი დაცვა. სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული წარმოება. დავის საგნის ჩამორთმევა მოთხოვნის შესრულების შედეგად. მფლობელობის დამცავი მოთხოვნები. მფლობელობის უფლება. პოსესორული მოთხოვნებისა და პეტიციური შესაგებლების გამიჯვნა. პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების შედგენა.

### **ზოგადი შენიშვნები:**

საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზედაც საუბარია მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილია ამ შემთხვევის A პუნქტის აღწერილობით ნაწილში, რომლის აგებისას ორიენტაცია ავიღეთ სსკ-ის 285-ე მუხლის „გ“ და „დ“ პუნქტების მოთხოვნებზე, რომლებიც შეეხება განჩინების აღწერილობით ნაწილს.

საუბარია ქართულ სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებულ შემთხვევაზე, რომელიც საკმაოდ ხშირად გვხვდება და ამ ნაშრომის ავტორთა მიერ ჩატარებულ თითქმის ყველა სემინარზე ქართველ მოსამართლეებს მრავალგზის წამოუჭრიათ სხვადასხვა ასპექტში და დისკუსიის საგანიც არაერთხელ გამხდარა. ამ საკითხს სოციალური თვალსაზრისითაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც მონაწილე მხარეებისათვის, ისე მათთვის, ვისაც იგი უშუალოდ შეეხო, მაგალითად, მცირეწლოვან ბავშვებს.

პრობლემებს უფრო ამწვავებს ის გარემოება, რომ საქართველოში სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ახალ ინსტიტუტებთან ერთად დღემდე არ ამოქმედებულა შესაბამისი სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, როგორცაა, მაგალითად, საკმარისი სოციალური დახმარების გაცემა ან ხელმოკლე პირთა საცხოვრებელი ფართით ეფექტური უზრუნველყოფა, რომელთაც შეეხოთ მთელი რიგი სამოქალაქო-სამართლებრივ ნორმათა ზედმინვენითი გამოყენებისას წარმოშობილი მკაცრი შედეგები.

მდგომარეობა იმითაც რთულდება, რომ, სკ-ის 1507-ე მუხლის გარდამავალი დებულებების შესაბამისად, ამ სფეროში მოქმედი დაცვის მექანიზმები, რომლებიც ყოფილი საბჭოთა სამოქალაქო სამართლით იყო გათვალისწინებული, ძალადაკარგულად გამოცხადდა. თუმცა, სკ-ის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ახალი სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე, 1997 წლის 25 ნოემბრამდე, არსებული სამართლებრივი ურთიერთობები წესრიგდება ძველი ნორმებით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ იგივე არ ვრცელდება უძრავ ნივთებთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე, რაც ჩვენი შემთხვევის განხილვის საგანია. ამგვარი სამართლებრივი ურთიერთობა ყველა შემთხვევაში რეგულირდება ახალი კანონმდებლობით, აქედან გამომდინარე ყველა შესაბამისი სამართლებრივი შედეგით. ამრიგად, მოცემულ ნაშრომში რეგულირების ძველი წესები არ იქნება განხილული.

საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით ნაკლებად სავარაუდოა, რომ მდგომარეობა მოქალაქეთა ბინებით უზრუნველყოფის საკითხებში უახლოეს მომავალში გამოსწორდეს.

ამდენად, ხსენებული დისკუსიები განპირობებული იყო მათში მონაწილე მოსამართლეთა მცდელობით, რომ წარმოშობილი ეკონომიკური და სოციალური მკაცრი შედეგები **იურიდიულად** გადაეწყვიტათ, რასაც ხშირად თან სდევდა დიდი მონდომება და სამართლებრივი ფანტაზია.

ამ პრობლემატიკის განსაკუთრებული სირთულის დანახვის მიუხედავად, გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს კანონის უპირატესი ძალა, რაც დადგენილია სკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწი-

ლით: კანონის გამოყენება სავალდებულოა მოსამართლისათვის, მაშინაც კი, თუ ცალკეულ შემთხვევაში მას არ მოსწონს დამდგარი შედეგი.

მიუხედავად ამისა, კანონმდებლის მიერ დადგენილი, ზოგჯერ არასაკმარისი ინსტრუმენტები, თანმიმდევრულად უნდა იქნეს ამოქმედებული და გამოყენებული წარმოშობილი მკაცრი სამართლებრივი შედეგების მაქსიმალურად შესამსუბუქებლად. კანონით დადგენილი ვალდებულება სკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილიდან და საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულიდან გამომდინარეობს, რომელიც სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობას კონსტიტუციურ მიზნად აცხადებს. სკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სამოქალაქო კანონმდებლობა და მისი განმარტებები კონსტიტუციას უნდა შეესაბამოდეს. ამგვარი შესაძლებლობა მოცემულია მაგალითად, აღსრულების ფარგლებში (იხ. ქვემოთ, შემთხვევა №2ბ, პარაგრაფი მ).

ამ საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებული სხვადასხვა მოსაზრებები მოცემულია ამ ნაშრომის B პუნქტში, ხოლო დასკვნა განჩინების სახით წარმოდგენილია შემდეგ C პუნქტში.

## A. აღწერილობითი ნაწილი (შეად. სსკ-ის 285-ე მუხლის „გ“ და „დ“ პუნქტებს) <sup>1</sup>

განმცხადებელი არის მოწინააღმდეგე მხარეების ყოფილი რძალი.

მოწინააღმდეგე მხარის შვილთან დაქორწინების შემდეგ განმცხადებელი გადავიდა მეუღლესთან ერთად საცხოვრებლად მოწინააღმდეგე მხარის ბინაში, რომელიც ამ უკანასკნელსა და მის შვილს ეკუთვნოდა.

1999 წელს განმცხადებელი და მისი მეუღლე განქორწინდნენ.

განქორწინების შემდეგ მოსარჩელე განაგრძობდა აღნიშნულ ბინაში ცხოვრებას, რადგან მას სხვა საცხოვრებელი ადგილი არ ჰქონდა.

მეგობრისაგან ორი დღის სტუმრობის შემდეგ დაბრუნებულმა განმც-

---

<sup>1</sup> იმის გამო, რომ სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული წარმოება მოწინააღმდეგე მხარის მოსმენის გარეშე მიმდინარეობს (სსკ-ის 193-ე მუხლი), აღწერილობითი ნაწილი, განსხვავებით მისი ჩვეულებრივი წესით აგებისაგან, შეიცავს მხოლოდ განმცხადებლის მოხსენებასა და მის მიერ ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს.

ხადებელმა, რომელსაც ბინაში შესვლა სურდა, აღმოაჩინა, რომ საკეტი კარებზე გამოცვლილი იყო, ხოლო მისი პირადი მოხმარების საგნების ნაწილი სადარბაზოში ენყო მუყაოს ყუთში ჩალაგებული. განმცხადებელმა ზარი დარეკა, მაგრამ მას კარი არ გაუღეს. მოწინააღმდეგე მხარემ განუცხადა, რომ მას აღარ შეეძლო ბინაში დაბრუნება.

2000 წლის 12 ოქტომბრის განცხადებაში განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მას უარი ეთქვა ბინაში შესვლაზე და მოუწია ლამის გათევა მეგობრებთან. თუმცა, მეგობრებთან ხანგრძლივად დარჩენაც შეუძლებელი იყო. ასე რომ, ის ფაქტობრივად ქუჩაში დარჩა.

სასარჩელო წარმოების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას განმცხადებელი ვერ დაელოდება და საჭიროებს გადაუდებელ სასამართლო დახმარებას.

განმცხადებელი მოითხოვს, რომ სარჩელის უზრუნველსაყოფად დადგენილი ღონისძიებების შედეგად მას მიეცეს ბინაში შესვლის შესაძლებლობა და ასევე დაუბრუნდეს ბინაზე თანამფლობელობა.

## **B. სამართლებრივი დასკვნა**

1) განმცხადებელი, როგორც ჩანს, არ უყენებს მოწინააღმდეგე მხარეს სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე (თანა)მფლობელობის დაბრუნების მოთხოვნას,<sup>2</sup> რადგან მას ბინაზე საკუთრების უფლება არა აქვს. განმცხადებელს ამგვარი უფლება არც ქორწინების საფუძველზე შეუძენია, სკ-ის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. ამ დებულების თანახმად, თითოეული მეუღლე იძენს თანასაკუთრებას ქორწინების განმავლობაში შექმნილ ქონებაზე.<sup>3</sup> ქორწინების განმავლობაში განმცხადებლის მეუღლეს ასევე არ მოუთხოვია საკუთრების უფლება ბინაზე, რომლის ნაწილზეც შესაძლოა უფლება განმცხადებელსაც წარმოშობოდა.

2) განმცხადებელი ასევე ვერ წამოაყენებს ვალდებულებითი ურთიერთობის საფუძველზე წარმოშობილ მოთხოვნებს, მაგალითად, როგორც

<sup>2</sup> მესაკუთრის ე.წ. ვინდიკაციური მოთხოვნა მიმართული მფლობელის წინააღმდეგ.

<sup>3</sup> შეად. №7 შემთხვევას.

შესაძლოა წარმოშობილიყო მასა და მონინალმდეგე მხარეს შორის არსებული ბინის ქირავნობის ურთიერთობიდან: ოჯახის წევრებს შორის მსგავსი სახელშეკრულებო ურთიერთობა არ არის მიღებული, მაშინაც კი, თუ მისი დადგენისათვის არ არსებობს სავალდებულო ფორმის დაცვის მოთხოვნა. სხვაგვარად იქნებოდა საქმე, რომ მაგალითად, განმცხადებელსა და მის მეუღლეს მონანილეობა მიეღოთ (დედამთილსა და მამამთილთან) მშობლებთან ერთად ბინის შენახვასა და მოვლასთან დაკავშირებულ ხარჯებში, რისთვისაც მათ მკაფიოდ განსაზღვრულ საცხოვრებელ ფართს გამოუყოფდნენ.

ასეთი გარემოება არ არსებობს. თუმცა, ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელი იქნებოდა შემდეგი: დუმილით ხომ არ წარმოიშვა ბინის ქირავნობის ურთიერთობა, რომლის ვადა კონკლუდენტურად განისაზღვრა მონინალმდეგე მხარის ვაჟთან ქორწინების ხანგრძლივობით (სკ-ის 559-ე მუხლი), ანდა ქორწინების არსებობის პირობით (სკ-ის 97-ე მუხლი). თუმცა, საბოლოოდ ორივე ეს შესაძლებლობა უარყოფილ უნდა იქნეს.

3) ქირავნობის ხელშეკრულება განმცხადებლის მეუღლესა და განმცხადებლის მონინალმდეგე მხარეს შორის არ არსებობს. ამდენად, შესაძლებლობა იმისა, რომ სკ-ის 1158-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებული დებულების საფუძველზე განმცხადებელი ამ სახელშეკრულებო ურთიერთობაში ჩაერთოს, გამოირიცხება. იგივე გავრცელება სხვა ვალდებულებითი ურთიერთობების საფუძველზე წარმოშობილ მოთხოვნებზე.<sup>4</sup>

ამავე საფუძველით ასევე გამოირიცხება სკ-ის 574-ე მუხლით გათვალისწინებული შესაძლებლობა, რომლის თანახმად, მეუღლეთა განქორწინებისას მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს მეუღლესა და გამქირავებელს შორის არსებული ქირავნობის ურთიერთობის გაგრძელების საკითხი, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლეა დამქირავებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე ძნელი წარმოსადგენია, რომ მოსამართლემ ამგვარი საოჯახო სამართლებრივი დავისას სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარედ რძალი აღიაროს და არა მისი ქმარი, რომელიც ბინის გამქირავებლის შვილს წარ-

---

<sup>4</sup> შეად. შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბილისი 1999, გვ. 63-101.

მოადგენს. თუმცა, საკითხი სხვაგვარად გადაწყდებოდა, სახლში რომ მცირეწლოვან ბავშვებს (შვილიშვილებს) ეცხოვრათ და რძალსა და მეუღლის მშობლებს შორის ყოფილიყო შეთანხმება, რომ ისინი განქორწინების შემდეგაც შეძლებდნენ ბინაში ცხოვრებას.

4) იმ შემთხვევაში, თუ ბინა სარგებლობაში უსასყიდლოდ იქნა გადაცემული, პირველ რიგში, უნდა ვიფიქროთ მხარეებს შორის თხოვების ხელშეკრულების არსებობაზე, თუ საერთოდ გვსურს, რომ მხარეებს შორის რომელიმე კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობა დაეუშვათ (სკ-ის 615-ე მუხლი).<sup>5</sup> თხოვების ხელშეკრულების საგანს შეიძლება უძრავი ნივთიც წარმოადგენდეს.

მფლობელობის უკან დაბრუნების მოთხოვნის საფუძვლად ამგვარი ხელშეკრულებაც არ გამოდგება, რადგან გამნათხოვრებელს, როგორც წესი, უფლება აქვს, რომ ნებისმიერ დროს მოითხოვოს ნათხოვარი ნივთის უკან დაბრუნება გამიზნული სარგებლობისათვის საჭირო დროის გასვლის შემდეგ (სკ-ის 621-ე მუხლის მე-2 ნაწილი), თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი (სკ-ის 621-ე მუხლის პირველი ნაწილი). თხოვების მიზანს, ამ შემთხვევაში, შესაძლოა წარმოადგენდეს ქორწინების განმავლობაში საცხოვრებელი ფართის დათმობა. გამნათხოვრებლის უფლება ნებისმიერ დროს გამოითხოვოს ნათხოვარი ნივთი, არ აძლევს მას იმის საშუალებას, რომ ნივთის უკან დაბრუნება თვითდახმარების გზით განხორციელდეს.<sup>6</sup> ასეთ შემთხვევაში გამნათხოვრებელს ერთმევა შესაძლებლობა, რომ მფლობელობის უკან დაბრუნება **ამ საფუძვლით** მოითხოვოს.

5) მაშინაც კი, თუ არ შევეცდებით, რომ მხარეთა შორის სავარაუდოდ არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა ხელშეკრულების რომელიმე კონკრეტულ ტიპს მივუსადაგოთ,<sup>7</sup> არამედ იგი განსაკუთრებული სახის სამართლებრივ ურთიერთობად ჩავთვალოთ, რაც დასაშვებია სკ-ის 319-ე

<sup>5</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, გვ. 215.

<sup>6</sup> შეად. აქვე, 7).

<sup>7</sup> ე.წ. ხელშეკრულება sui generis, რაც ნიშნავს ხელშეკრულების განსაკუთრებულ სახეს, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობა პირდაპირ არ ითვალისწინებს.

მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,<sup>8</sup> მივიღებთ შემდეგ შედეგს: განსაკუთრებული სახის სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად გამოიყენება დებულებები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. ნივთის სარგებლობაში უსასყიდლო გადაცემისას უნდა ვიფიქროთ თხოვების ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებზე, სკ-ის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

6) ზოგჯერ, განხილულის მსგავსი შემთხვევების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, განსჯადი სასამართლოები მიზანშეწონილად თვლიან სკ-ის 247-252-ე და 253-ე მუხლების გამოყენებას და განმცხადებელს ანიჭებენ სანივთო უფლებას პირადი სერვიტუტის ფორმით. სასამართლოთა ნაწილი იზიარებს შეხედულებას, რომ სერვიტუტი შეიძლება წარმოიშვას სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, რაც აშკარად არასწორია. სინამდვილეში კი, ამ უფლების, ისევე როგორც სხვა სანივთო უფლებების, წარმოშობა შესაძლებელია მხოლოდ მონაწილე მხარეთა შესაბამისი შეთანხმების და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შედეგად. სასამართლოს განხილვის საგანს კი მხოლოდ **მხარეთა მიერ დადგენილი ნამდვილი სერვიტუტიდან** წარმოშობილი სამართლებრივი შედეგი წარმოადგენს, რამდენადაც სანივთო უფლების დადგენა სასამართლო აქტით დაუშვებელია.

სერვიტუტის დადგენასთან დაკავშირებული გაუგებრობა გამოწვეულია იმით, რომ სკ-ის 247-ე და სერვიტუტის მომწესრიგებელი სხვა მუხლები არ შეიცავენ ისეთ ნორმებს, როგორც მოცემულია სკ-ის 234-ე მუხლის პირველი ნაწილსა და 243-ე მუხლში, რომლებიც ადგენენ აღნაგობისა და უზუფრუქტის დადგენის წესებს. კერძოდ, ამ მუხლების თანახმად, აღნაგობისა და უზუფრუქტის დადგენის დროს გამოიყენება იგივე წესები, რაც უძრავი ნივთების შეძენის დროს. არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ სერვიტუტის დადგენასთან დაკავშირებით გამოყენებულ იქნეს სხვა წესები, ვიდრე ეს გათვალისწინებულია სანივთო (ქონებრივი) სამართლის მესამე თავით გათვალისწინებული შეზღუდული სანივთო უფლებებისათვის. უფრო მეტიც, ზემოთ აღნიშნული ნორმები, სკ-ის მე-5

<sup>8</sup> ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპი.



მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ანალოგიით უნდა გამოვიყენოთ. აქედან გამომდინარე, სკ-ის 234-ე მუხლის პირველი ნაწილის, 243-ე და 183-ე მუხლების შესაბამისად, სერვიტუტის დადგენისათვის აუცილებელია უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, რაც განხორციელდება მიწის ნაკვეთის მესაკუთრესა და სერვიტუტის უფლების შემძენს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს სანოტარო წესით დამონმებული საბუთით.

მხოლოდ სასამართლო აქტის საფუძველზე სერვიტუტის წარმოშობა შეუძლებელია.

ამგვარად, მოცემულ შემთხვევაში, ასეთი უფლება განმცხადებლის სასარგებლოდ არ უნდა იქნეს ცნობილი.

7) განმცხადებელს შესაძლოა სკ-ის 160-ე მუხლის საფუძველზე ჰქონდეს მოთხოვნა მონინააღმდეგე მხარის მიმართ ბინაში შესვლისა და ბინაზე თანამფლობელობის (სკ-ის 155-ე მუხლის მე-4 ნაწილი) კვლავ მოპოვების თაობაზე. ამ დებულების შესაბამისად, კეთილსინდისიერ მფლობელს, რომელსაც მფლობელობის უფლება ჩამოერთვა, უფლება აქვს მოითხოვოს ნივთის უკან დაბრუნება.

ა) ეს მოთხოვნა მიეკუთვნება ე.წ. **პოსესორულ**<sup>9</sup> მოთხოვნებს, რომლებიც, ემყარება მხოლოდ — კეთილსინდისიერ მფლობელობას და, როგორც წესი, არ არის დამოკიდებული რაიმე **მფლობელობის უფლებაზე**. მფლობელობის უფლებას ემყარება ე.წ. **პეტიციური**<sup>10</sup> შესაგებლები, რომელთა წაყენება მფლობელობის განხორციელებაში ხელშემშლელ პირს არ შეუძლია, თუ მას უპირისპირდება მფლობელის მოთხოვნა უკანონო ხელშემშლის აღკვეთის თაობაზე. კანონის ასეთი შეფასების საფუძველს ის გარემოება გვაძლევს, რომ მფლობელობის ურთიერთობის არამართლზომიერი და თვითნებური ხელშემშლით გამოწვეული შედეგი და შელახული უფლებრივი მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს და თავდაპირველი მდგომა-

<sup>9</sup> “possessio” - ლათინურად - „მფლობელობა“. იგულისხმება მოთხოვნები, რომლებიც ემყარება მხოლოდ მფლობელობას, როგორც ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას.

<sup>10</sup> “petitio” - ლათინურად - „მოთხოვნის უფლება“. იგულისხმება მოთხოვნები, რომლებიც მხოლოდ განსაზღვრული უფლებების (მაგალითად, სანივთო უფლება) საფუძველზე წარმოიშობა.

რეობა აღდგეს. არავინ არ არის უფლებამოსილი თავისი შეხედულებისამებრ, სასამართლო ლეგიტიმაციის გარეშე და ძალადობის გზით განახორციელოს საკუთარი უფლებები.

მფლობელობის დამცავი ნორმების (სკ-ის 160-ე, 161-ე მუხლები) მოქმედება ვრცელდება მხოლოდ **კეთილსინდისიერ** მფლობელობაზე.

კეთილსინდისიერი მფლობელის ცნება მოცემულია სკ-ის 159-ე მუხლში: კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელსაც მფლობელობის უფლება აქვს ან გულმოდგინე შემონმების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი უფლებამოსილი პირია.<sup>11</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ უფლებამოსილი მფლობელი არ წარმოადგენს კეთილსინდისიერი მფლობელის ქვესახეობას, არამედ სრულიად სხვას, მის საპირისპიროს: ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ მფლობელი, რომელსაც ფაქტობრივად აქვს მფლობელობის უფლება (შეად. სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადება) და მფლობელი, რომელსაც არა აქვს მფლობელობის უფლება, მაგრამ საქმიან ურთიერთობებში საჭირო გულმოდგინე არაბრალეული<sup>12</sup> შემონმების საფუძველზე შეიძლება უფლებამოსილ პირად იქნეს მიჩნეული. მხოლოდ ამ უკანასკნელს შეესაბამება კეთილსინდისიერების ცნება.<sup>13</sup> სასურველია, რომ 159-ე მუხლის ცნების ამგვარი განმარტების გზით ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს უფლებამოსილი და კეთილსინდისიერი მფლობელები.

ბ) განმცხადებელს ზემოთ აღნიშნულ ვერც ერთ კატეგორიას ვერ მივაკუთნებთ, რადგან განქორწინების შემდეგ მას მონინალმდევე მხარემ ბინის დატოვება მოსთხოვა:

აა) სავარაუდოა, რომ ქორწინების პერიოდში განმცხადებელს ბინაზე (თანა)მფლობელობა ჰქონდა, მიუხედავად იმისა, თუ როგორ

---

<sup>11</sup> საუბარია ე.წ. ლეგალურ დეფინიციაზე, როდესაც კანონი თავად განმარტავს განსაზღვრულ ცნებებს: მაგალითად, სკ-ის მე-20 მუხლის პირველი ნაწილი („საცხოვრებელი ადგილი“), 24-ე მუხლის პირველი ნაწილი („იურიდიული პირი“) ან 50-ე მუხლი („გარიგება“).

<sup>12</sup> ბრალის ხარისხი გამომდინარეობს სკ-ის 395-ე და 326-ე მუხლებიდან.

<sup>13</sup> შეად. შესატყვისის გამოყენება ამ ცნებისა სკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებას.

კვალიფიკაციას მიეცემთ ამ სამართლებრივ ურთიერთობას.<sup>14</sup> აღნიშნული შეესაბამება მონაწილეთა დუმილით გამოხატულ თანხმობასაც, რომ, ყველა შემთხვევაში, მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში განმცხადებელი მიჩნეული იყო უფლებამოსილ მფლობელად, თუმცა, ამგვარი უფლებრივი მდგომარეობის საფუძველზე წარმოშობილი მფლობელობა შესაძლოა ნებისმიერ დროს შეწყდეს და ამ შემთხვევაში ალბათ შეწყდება კიდევ, რაც სკ-ის 168-ე მუხლიდან გამომდინარეობს.<sup>15</sup>

ბბ) განმცხადებლის კეთილსინდისიერი ვარაუდი, რომ მას მომავალშიც ექნებოდა მფლობელობის უფლება ბინაზე, უსაფუძვლოა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ შემთხვევაში განმცხადებელს კეთილსინდისიერად ჰგონებოდა (სკ-ის 159-ე მუხლი), რომ განქორწინებისა და ბინის დატოვების მოთხოვნის მიუხედავად ის ბინაზე მფლობელობის უფლების მატარებელი შემდგომშიც დარჩებოდა.

გგ) თუმცა, ზემოთ აღნიშნულს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. კანონის სისტემის შესაბამისად, მფლობელობის დამცავი 160-ე მუხლი ვრცელდება ასევე ყოფილ მართლზომიერ ან კეთილსინდისიერ მფლობელზე, თუ ის მხოლოდ აგრძელებს მფლობელობის განხორციელებას ისე, რომ ნივთი არ მოუპოვებია ძალადობის ან მოტყუების გზით (შეად. სკ-ის 160 მუხლის მე-3 წინადადებას).

სკ-ის 160-ე მუხლის მე-2 წინადადების შესაბამისად და ბინაზე საკუთრების უფლების საფუძველზე, მოწინააღმდეგე მხარეს განმცხადებელთან შედარებით აქვს მფლობელობის უკეთესი უფლება. განმცხადებლის მფლობელობის უფლება კი მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარესთან ადრე არსებულ საოჯახო ურთიერთობას და თანაცხოვრების თაობაზე მხარეთა შორის დუმილით დადებულ შეთანხმებას ემყარება. ამდენად, სკ-ის 160-ე მუხლის პირველი წინადადებით დადგენილი, მფლობელობის დამცავი ეს დებულება განმცხადებელზე არ გავრცელდება.

სკ-ის 160-ე მუხლის მე-3 წინადადებიდან გამომდინარეობს, რომ პირი, რომელსაც მფლობელობის უკეთესი უფლება აქვს, როგორც წესი, არ არის

<sup>14</sup> იხ. ზემოთ, 4) და 5).

<sup>15</sup> იხ. ზემოთ, 4) და 5).

უფლებამოსილი ნაკლები უფლების მქონე პირს მფლობელობა ძალადობით ჩამოართვას. ეს უკანასკნელი კი ვალდებულია მფლობელობა უკან დააბრუნოს, მაგრამ სხვა ფორმით.

თუმცა, სკ-ის 160-ე მუხლის ფორმულირებიდან ჩანს, რომ ნაკლები უფლების მქონე პირის შემთხვევაშიც საუბარია მფლობელზე, რომელსაც **საერთოდ** მფლობელობის უფლება აქვს ან, სულ მცირე, კეთილსინდისიერია ამ ფაქტის მიმართ. ზემოთ აღნიშნული<sup>16</sup> ჩვენს შემთხვევაზე არ ვრცელდება.

ყველა შემთხვევაში, **ყოფილი** მართლზომიერი ან კეთილსინდისიერი მფლობელი ასევე უნდა იქნეს დაცული მფლობელობის **ძალადობის გზით** ჩამორთმევისაგან.

იგივე გამომდინარეობს სკ-ის 116-ე მუხლიდანაც, რომ ძალადობის გზით საკუთარი უფლების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოგერიების მიზნით.

ასეთ თავდასხმას განმცხადებლის მხრიდან მოწინააღმდეგე მხარის საკუთრებასა ან მფლობელობაზე ადგილი არ ჰქონია. განმცხადებლის მიერ **ადრე არსებული** უფლებამოსილი მფლობელობის განხორციელების უბრალოდ გაგრძელება არ წარმოადგენს **მართლსაწინააღმდეგო თავდასხმას** და მოწინააღმდეგე მხარეს არ ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ განმცხადებელს ჩამოართვას მფლობელობა ძალადობის გამოყენებით. მას უნდა აღეძრა სარჩელი განმცხადებლის წინააღმდეგ და წარედგინა მოთხოვნა სკ-ის 172-ე მუხლის შესაბამისად ბინის დათმობის თაობაზე.<sup>17</sup>

8) და ბოლოს, სკ-ის 160-ე მუხლით გათვალისწინებული მფლობელობის დაცვის უფლება ასევე ვრცელდება თანამფლობელთა შორის არსებულ

<sup>16</sup> იხ. ზემოთ, აა) და ბბ).

<sup>17</sup> ამ შემთხვევაში კიდევ უფრო ნათლად ჩანს განსხვავება პოსესორულ მოთხოვნებსა, ე.ი. (მოთხოვნები, რომლებიც მხოლოდ ფაქტობრივ მფლობელობას ემყარებიან) და პეტციურ შესაგებლებს შორის, რომლებიც მატერიალური სამართლის ნორმებით მინიჭებულ უფლებამოსილებას ემყარებიან: მფლობელობის დაცვისაკენ მიმართული მოთხოვნები მფლობელს იცავენ მფლობელობის ZaladobiT ჩამორთმევისაგან, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას მფლობელობის უფლება და თუ მას მფლობელობა თავად ძალადობით არა აქვს მოპოვებული მატერიალური სამართლით გათვალისწინებული სამართლებრივი მდგომარეობა (პეტციური შესაგებლები) მხედველობაში არ მიიღება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დავა **ჩვეულებრივი** სასარჩელო წარმოების გზით უნდა გადაწყდეს.

ურთიერთობაზე, ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც საუბარია თანამფლობელობის სრულ ჩამორთმევაზე. აქედან გამომდინარე, განმცხადებელს უფლება აქვს მოწინააღმდეგე მხარეს მოსთხოვოს თანამფლობელობის უკან დაბრუნება.

9) მსგავსი შემთხვევისათვის საპროცესო სამართალი ადგენს შემდეგ წესს: სსკ-ის 192-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 191-ე მუხლის საფუძველზე განმცხადებელი უფლებამოსილია გადაუდებელ შემთხვევაში სასამართლოში შეიტანოს განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე სარჩელის აღძვრამდე. ამ ნორმათა შესაბამისად დასაშვებია, რომ სასამართლომ დაადგინოს გადაუდებელი ღონისძიებები, თუ მათი განხორციელება აუცილებელია მხარის მოთხოვნის შესაძლო საფრთხისაგან დასაცავად. აღნიშნული ვრცელდება ყველა სახის მოსალოდნელ საფრთხეზე და არა მხოლოდ იმ შემთხვევაზე, როდესაც მოვალის მოქმედებით შესაძლოა საფრთხე მიადგეს ფულადი ვალდებულების შესრულებას ან თუ მოვალემ გადააცილა ვალდებულების შესრულებისათვის დადგენილ ვადას. აღნიშნული გამომდინარეობს სსკ-ის 198-ე მუხლში მოცემული ამომწურავი ნუსხიდან და ასევე ამავე მუხლის მე-3 პუნქტიდან.

მოცემული შემთხვევა სწორედ ზემოთ აღწერილ შემთხვევებს განეკუთვნება, რადგან სასამართლოს დაუყოვნებლივი დახმარების გარეშე განმცხადებელი შესაძლოა უსახლკაროდ დარჩეს.

თუმცა, სასამართლოს მიერ განმცხადებლისათვის მფლობელობის უკან დაბრუნება პრობლემატურია, რადგან ამ ღონისძიების გატარების შედეგად არა მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფა, არამედ ფაქტიურად მისი გადასინჯვა ხდება.<sup>18</sup>

ამასთან, ცნობილია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ეფექტური სამართლებრივი დაცვა მხოლოდ დავის საგნის პრობლემატიკის მოწესრიგების შემდეგ არის შესაძლებელი, გამონაკლისის სახით, შეიძლება დადგინდეს მოთხოვნის **შესრულების** ვალდებულება.

კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს რჩენის მოვალეობის შესრულება: უფლებამოსილი პირის ინტერესი არ არის დაცული, როდესაც მისი მოთ-

<sup>18</sup> შეად. შემთხვევას №2ა, 5) ბოლო ნაწილი.

ხოვნები მოვალის მიმართ მხოლოდ უზრუნველყოფილია, რადგან ის თვეების მანძილზე უნდა დაელოდოს მისთვის დაუყოვნებლივ საჭირო სარჩოს. საცხოვრებელი ფართით უაზრუნველყოფა ასევე წარმოადგენს გადაუდებელ, აუცილებელ სასიცოცხლო მნიშვნელობის მოთხოვნის მქონე საკითხს. ამდენად, ამ შემთხვევაში, გამონაკლისის სახით დასაშვებია დავის საგნის ჩამორთმევა.<sup>19</sup> ყოველ შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს, რომ საუბარია მხოლოდ მიმდინარე ღონისძიებაზე, რომელიც მხოლოდ სასამართლოს მიერ მთავარ სხდომაზე გადამწყვეტილების გამოტანამდეა ძალაში და შესაძლოა იმავე გადამწყვეტილებით გაუქმდეს.<sup>20</sup>

10) სასამართლომ უნდა დაადგინოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების მოვალეობა სსკ-ის 193-ე მუხლის, 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტების და მე-3 ნაწილის საფუძველზე განცხადების შეტანის დღესვე და მოწინააღმდეგე მხარის მოსმენის გარეშე.

### C. სამოტივაციო ნაწილი<sup>21</sup>

განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია.

განმცხადებელს უფლება აქვს მოწინააღმდეგე მხარეს წარუდგინოს მოთხოვნა ბინაში შესვლისა და თანამფლობელობის დაბრუნების თაობაზე (სსკ-ის 155-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

განმცხადებელი არ არის ბინის თანამესაკუთრე და შესაბამისად, ვერ

---

<sup>19</sup> იგივე გავრცელება სანარმოს კუთვნილ ფართზე, თუ მისი ჩამორთმევა არ გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგებს. ყოველ შემთხვევაში, დავის საგნის ჩამორთმევისას სასამართლომ მუდმივად უნდა იფიქროს, შეძლებს თუ არა განმცხადებელი მოწინააღმდეგე მხარისათვის ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფას, თუ სასამართლომ მოგვიანებით გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

<sup>20</sup> ამასთან, შესაძლებელია, რომ პროცესი სხვაგვარად წარიმართოს, თუ მაგალითად, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხილვისას მოთხოვნას ბინის გათავისუფლების თაობაზე წარადგენს არა განმცხადებელი, არამედ მოწინააღმდეგე მხარე. იხ. ქვემოთ, შემთხვევა №2ა, 5) ბოლო ნაწილი, ასევე ამ შემთხვევის მე-9 სქოლიო.

<sup>21</sup> განჩინების შედგენის ფორმალურ მხარეებზე აქ არ შეეჩერებით და მივიხილავთ შესაბამის მუხლებზე: სსკ-ის 285-ე მუხლის „ა“ „გ“ ქვეპუნქტები.

განჩინების დანარჩენი ნაწილი შეიძლება მსგავსი საქმეების გადამწყვეტისას პრაქტიკაში პირდაპირ გადავიტანოთ; განჩინების სამოტივაციო ნაწილის ჩამოყალიბებისას დაცული უნდა იქნეს გადამწყვეტილებისათვის დამახასიათებელი სტილი. იხ. ზემოთ, ნაწილი პირველი, პარაგრაფი 9 ბ).

ნაუყენებს მონინალმდევე მხარეს მოთხოვნას სკ-ის 172-ე მუხლის საფუძველზე. ის ასევე არ არის მონინალმდევე მხარესთან ქირავნობის ურთიერთობით დაკავშირებული და ამდენად, არ წარმოემოხა მოთხოვნები სკ-ის 531-ე მუხლის საფუძველზე.

განმცხადებელს ასევე არა აქვს სხვა ვალდებულებითი ან სანიტო უფლებები, განსაკუთრებით კი – სერვიტუტი. ამასთან, ამ უკანასკნელი უფლების დადგენა უნდა მოხდეს მხარეთა შეთანხმებით და არა სასამართლოს მიერ. მხარეთა შეთანხმება კი მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

განმცხადებელი, როგორც თანამფლობელი, სკ-ის 160-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დაცულია მფლობელობის განხორციელებაში ხელშეშლისაგან და უფლებამოსილია, რომ მონინალმდევე მხარისაგან მოითხოვოს თანამფლობელობის უკან დაბრუნება.

სკ-ის 160-ე მუხლი, რომელიც მფლობელობის დაცვას ითვალისწინებს, ასევე ვრცელდება თანამფლობელთა ურთიერთობაზე.

სკ-ის 160-ე მუხლის მე-2 წინადადების შესაბამისად და საკუთრების უფლების საფუძველზე, მონინალმდევე მხარეს აქვს ბინაზე მფლობელობის უკეთესი უფლება განმცხადებელთან შედარებით, რომლის თანამფლობელობის უფლება მხოლოდ მონინალმდევე მხარესთან ადრე არსებულ საოჯახო ურთიერთობასა და თანაცხოვრების თაობაზე მხარეთა შორის შესაძლო, დუმილით დადებულ შეთანხმებას ეფუძნება.

დასადგენია, დარჩა თუ არა განმცხადებელი განქორწინების შემდეგაც მფლობელობის უფლების (სკ-ის 159-ე მუხლი) მატარებლად ან კეთილსინდისიერად ეგონა თუ არა, რომ მფლობელობის უფლება შემდგომშიც ექნებოდა, თუმცა, ეს უფლება და ასევე კეთილსინდისიერი ვარაუდი ყველა შემთხვევაში ქარწყლდება (სკ-ის 168-ე მუხლი), რამდენადაც მესაკუთრე მოითხოვს ბინის დათმობას.

სკ-ის 160-ე მუხლის მე-3 წინადადებიდან გამომდინარეობს, რომ პირი, რომელსაც მფლობელობის უკეთესი უფლება აქვს, როგორც წესი, არ არის უფლებამოსილი ნაკლები უფლების მქონე პირისაგან ნივთი ძალადობის გზით მოიპოვოს.

სკ-ის 160-ე მუხლის ფორმულირებიდან ჩანს, რომ კანონს ნაკლები უფლების მქონე მფლობელის შემთხვევაშიც მხედველობაში ჰყავს მფლობელი,



რომელსაც **ზოგადად** მფლობელობის უფლება აქვს ან, სულ მცირე, კეთილსინდისიერი მფლობელია. მაშინაც კი, თუ განმცხადებელს ამ კატეგორიას ვერ მივაკუთნებთ, განსაკუთრებით – განქორწინების შემდეგ, ზემოთ მოყვანილი დებულების დამცავი მექანიზმი მის სასარგებლოდ მაინც ამოქმედდება.

კანონის სისტემატიკის შესაბამისად, 160-ე მუხლი ასევე იცავს ადრე მართლზომიერ ან კეთილსინდისიერ მფლობელს მფლობელობის ძალადობის გზით ჩამორთმევისაგან, თუ ის მხოლოდ აგრძელებს მფლობელობის განხორციელებას და თავის მხრივ, არ მიუმართავს ძალადობისა ან მოტყუებისათვის.

აღნიშნული გამომდინარეობს სკ-ის 116-ე მუხლის შეფასებიდან, რომ ძალადობის გზით საკუთარი მოთხოვნების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოგერიების მიზნით.

ასეთ თავდასხმას განმცხადებლის მხრიდან მოწინააღმდეგე მხარის საკუთრების ან მფლობელობის უფლებაზე ადგილი არ ჰქონია. განმცხადებლის მიერ ადრე არსებული, უფლებამოსილი მფლობელობის განხორციელება არ წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო თავდასხმას და მოწინააღმდეგე მხარეს არ ანიჭებს მფლობელობის იძულებით ჩამორთმევის უფლებამოსილებას. სკ-ის 172-ე მუხლის საფუძველზე, მას უნდა აღეძრას სარჩელი განმცხადებლის წინააღმდეგ და წარედგინა მოთხოვნა ბინის გათავისუფლების თაობაზე.

შექმნილი გადაუდებელი შემთხვევის გამო განმცხადებელი უფლებამოსილია... (იხ. ზემოთ, B), 9)).

სასამართლომ დაადგინა გადაუდებელი ღონისძიებები... (იხ. ზემოთ, B), 10)).

გადანყვეტილება ხარჯების დაკისრების თაობაზე ეფუძნება სსკ-ის 53-ე მუხლის პირველ ნაწილს.

### სარეზოლუციო ნაწილი:

სარჩელი დასაბუთებულია.

მონინაალმდეგე მხარეებს დაეკისროთ, რომ განმცხადებელს მისცენ ბინაში შესვლის შესაძლებლობა (ზუსტი აღწერილობა) და კვლავ დაუბრუნონ თანამფლობელობა ბინაზე.

მონინაალმდეგე მხარეებს, როგორც სოლიდარულ მოვალეებს, დაეკისროთ სასამართლო ხარჯები.

სასამართლოს განმარტება გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის შესახებ: სსკ-ის 194-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები და 285-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.<sup>22</sup>

---

<sup>22</sup> გასაჩივრების თაობაზე იხ. შემთხვევა №2ა, იქვე 2. „ა“ და „ბ“.

განჩინება – სსკ-ის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 414-420-ე მუხლები, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა 417-ე მუხლს.

### Tematika:

კერძო საჩივრის შეტანით აღძრულ წარმოებასთან დაკავშირებული ზოგადი ხასიათის შენიშვნები და სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული წარმოება. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შეცვლისა და საქმის ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნის შესაძლებლობა. სარჩელის აღძვრის მოვალეობის დადგენა. დროებითი რეგულირების შინაარსი. სასარჩელო წარმოების დროს მიღებული გადაწყვეტილებით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

### 1. მითითება ქვემოთ მოცემულ აღწერილობით ნაწილთან და ასევე მიმდინარე საპროცესო წარმოებასთან დაკავშირებით:

ქვემოთ მოცემული წარმოებისას გასათვალისწინებელია, რომ მონინალმდეგე მხარემ სავალდებულო ფორმისა და ვადის დაცვით, სსკ-ის 194-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, შეიტანა კერძო საჩივარი მოცემულ გადაწყვეტილებაზე.

ამავე დროს განმცხადებლის სასარგებლოდ გამოტანილი განჩინების საფუძველზე განხორციელდა იძულებითი აღსრულება სსკ-ის 195-ე მუხლისა და სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 84-ე მუხლის შესაბამისად და აღმასრულებლის დახმარებით განმცხადებელმა კვლავ დაიბრუნა თანამფლობელობა ბინაზე.

მოცემულ შემთხვევაში განხილულია საკითხები, რომლებიც წამოიჭრება როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებების (ამის თაობაზე ქვემოთ, პარაგრაფი 2), ისე ამავე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრებისას (იხ. ქვემოთ, 3, 5). ამასთან, მიმოვიხილავთ რაიონული სასამართლოს მიერ კერძო საჩივრის

ნაწილობრივ დაკმაყოფილებასა და საქმის მასალების ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნასთან დაკავშირებულ საკითხებს.

**2. პროცესის სტადია: მითითებები კერძო საჩივრის შეტანით აღძრულ წარმოებასთან დაკავშირებით**

ა) სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა, სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, შეადგენს 5 დღეს. ვადის დენა იწყება განჩინების მოპასუხისათვის გადაცემის მომენტიდან და ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

აღნიშნული ნორმიდან ნათლად ჩანს, რომ კანონმდებლის მიზანია სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული წარმოების განსაკუთრებით სწრაფად წარმართვა. სკ-ის 416-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად კერძო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი 12 დღიანი ვადა ორჯერ არის შემცირებული, ამასთან – ვადის გაგრძელების შესაძლებლობის გარეშე.

ბ) განჩინება კერძო საჩივარზე უნდა მიიღოს რაიონულმა სასამართლომ სსკ-ის 194-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 414-ე, 417-ე მუხლების შესაბამისად.

ამ განჩინების მიღებასთან დაკავშირებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი დებულებანი მოსამართლეებს მთელ რიგ სირთულეებს უქმნიან.

(1) სსკ-ის 417-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პირველი ინსტანციის მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, არის თუ არა კერძო საჩივარი დასაშვები და დასაბუთებული. თუ კერძო საჩივარი დასაბუთებულია, მოსამართლე აკმაყოფილებს კერძო საჩივარს, აუქმებს პირვანდელ განჩინებას მთლიანად და არ აკმაყოფილებს განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. შესაძლებელია კერძო საჩივარი ნაწილობრივ იყოს დასაბუთებული. ამ შემთხვევაში მოსამართლე ნაწილობრივ აუქმებს პირვანდელ განჩინებას, დანარჩენ ნაწილში (რომელზეც განჩინება დარჩა ძალაში), კერძო საჩივარი საქმესთან ერთად გადაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს 5 დღის ვადაში.

სსკ-ის 417-ე მუხლის რედაქციიდან ნათლად არ გამომდინარეობს, დასაბუთებული უნდა იყოს თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლოს

განჩინება. მიუხედავად ამისა, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ სასამართლო მოკლედ დაასაბუთოს ის ძირითადი საკითხები, რაც არსებითაა გადაწყვეტილების მიღებისათვის. ამ შემთხვევაში ანალოგიის წესით გამოყენებულ უნდა იქნეს სსკ-ის 194-ე მუხლის პირველი ნაწილი და 285-ე მუხლი. აღნიშნული მოქმედებს, უპირველეს ყოვლისა, მაშინ, როდესაც სასამართლო ნაწილობრივ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს და ამდენად, აუქმებს ან ცვლის პირვანდელ განჩინებას.

იგივე ვრცელდება კერძო საჩივრის საქმის მასალებთან ერთად ზემდგომი სასამართლოსათვის გადაგზავნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაზე, თუ სასამართლო არ შეცვლის განჩინებას და არ დააკმაყოფილებს კერძო საჩივარს (სსკ-ის 417-ე მუხლის მეორე ნიწადადება). ასეთ შემთხვევაში საკმარისია, თუ სასამართლო მოკლედ შეეხება პირვანდელ განჩინებას. მესამე შესაძლებლობა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილოს, არ არსებობს.<sup>1</sup>

მონინაალმდევე მხარის უფლება, იყოს მოსმენილი სასამართლოზე (სსკ-ის მე-4 მუხლის გათვალისწინებით), როგორც უფლების სასამართლო წესით დაცვის ერთ-ერთ ძირითადი პრინციპი და სსკ-ის 417-ე მუხლის შესაბამისად თავად გასაჩივრების შესაძლებლობა უეჭველად უნდა ჩაითვალოს.<sup>2</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დროის ფაქტორის გათვალისწინებით კერძო საჩივრის შემტანი პირის მონინაალმდევე მხარეს პრაქტიკულად ერთმევა მოსმენის უფლება.

**(2) გადაწყვეტილების მისაღებად დადგენილი 5 დღიანი ვადა, სსკ-ის მე-7 მუხლის შესაბამისად ასევე ანალოგიით უნდა იქნეს გათვალისწინებული, თუკი სასამართლო კერძო საჩივარს აკმაყოფილებს და ამდენად, მისი გადაგზავნა საქმის მასალებთან ერთად ზემდგომი სასამართლოსათვის არ ხდება: რადგან, სსკ-ის 417-ე მუხლის თანახმად სასამართლომ 5 დღის ვადაში უნდა გადაწყვიტოს კერძო საჩივრის საქმის მასალებთან ერთად ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნის საკითხი, მას ასევე შეუძლია**

<sup>1</sup> შესაძლებელია, რომ კერძო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილდეს და დანარჩენ ნაწილში გადაეცეს ზემდგომ სასამართლოს, ამასთან დაკავშირებით შეად. (3).

<sup>2</sup> სსკ-ის 193-ე მუხლი ამ შემთხვევაში ანალოგიის წესით არ გამოიყენება.

და იმავე ვადაში უნდა გადანყვიტოს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკითხიც.<sup>3</sup>

(3) განსაკუთრებით რთულდება მდგომარეობა, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლო კერძო საჩივარს ნაწილობრივ დააკმაყოფილებს, ხოლო დანარჩენ ნაწილში კერძო საჩივარს საქმის მასალებთან ერთად ზემდგომ სასამართლოს გადაუგზავნის. აქ წამოიჭრება საკითხი, შეუძლია თუ არა განმცხადებელს, თავის მხრივ, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში, შეიტანოს კერძო საჩივარი, რომლის თაობაზეც გადანყვიტოების მიღება შეუძლია პირველი ინსტანციის სასამართლოს სსკ-ის 197-ე, 417-ე მუხლების შესაბამისად და რა ვადები უნდა იქნეს დაცული განმცხადებლის კერძო საჩივარზე.

საქმის წარმოების დანაწევრების თავიდან აცილების მიზნით, განმცხადებელს კერძო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევებში არ უნდა მიეცეს კერძო საჩივრის შეტანის დამოუკიდებელი უფლება იმ განჩინებაზე, რომლითაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა კერძო საჩივარი. თუმცა, მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ კერძო საჩივრის განმხილველი სასამართლოს წინაშე მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარდგენილი კერძო საჩივრის ფარგლებში შეგებებული კერძო საჩივრის წარდგენის საშუალებით, თავის მხრივ, იშუამდგომლოს ზემდგომი სასამართლოს მიერ გამოტანილი პირვანდელი გადაწყვეტილებით დადგენილი, ადრე არსებული მდგომარეობის აღდგენის თაობაზე. ამის სასარგებლოდ მეტ-

<sup>3</sup> სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ ძირითადი დებულებებიდან გამომდინარე, განმცხადებელი უფლებამოსილია შეიტანოს კერძო საჩივარი, თუ განჩინება მთლიანად გაუქმდა და განცხადება არ დაკმაყოფილდა, მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 414-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კერძო საჩივრის შეტანა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში და აქ სწორედ ამგვარი მარეგულირებელი ნორმები არ არსებობს. მოცემულ, განსაკუთრებულ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია ანალოგიის წესით სსკ-ის 197-ე მუხლის გამოყენება: განმცხადებლის კერძო საჩივარი დასაშვებია მაშინ, თუ მოწინააღმდეგე მხარის მიერ შეტანილი კერძო საჩივრის საფუძველზე განჩინება გაუქმებული იქნება, ხოლო განცხადებას უარი ეთქმება.

სსკ-ის 197-ე მუხლის ანალოგიის წესით გამოყენება ასევე მიზანშეწონილია, რადგან მოწინააღმდეგე მხარეს მთლიანად ეთქვა უარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების დადგენის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, მისი წარდგენისთანავე და შესაბამისი განჩინების გამოტანის შესახებ შუამდგომლობაზე: ეს შემთხვევა ძალიან გავს კერძო საჩივრის მთლიანად დაკმაყოფილების შემთხვევას, როდესაც უქმდება თავდაპირველად გამოტანილი განჩინება. შესაბამისად, სსკ-ის 197-ე მუხლი აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული.

ყველეს ის გარემოება, რომ მხარეს შეუძლია მისი მოთხოვნის სასამართლო წესით დაცვა განჩინების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების გზით განახორციელოს (სსკ-ის 419-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება). ამასთან, შეგებებული კერძო საჩივარი ემსახურება არა მხოლოდ მონინალმდეგის კერძო საჩივრის გაქარწყლებას, არამედ იძლევა ადრე არსებული სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენის შესაძლებლობას.

უპირველეს ყოვლისა, ზემოთ აღნიშნული წარმოების წარმართვა სსკ-ის 420-ე, ასევე 379-ე და 405-ე მუხლების საფუძველზე ხდება. ამ მუხლების შესაბამისად ცალსახად დასაშვებია შეგებებული საჩივრების გამოყენება, რაც წინააღმდეგობაში არ მოდის სსკ-ის 414-ე მუხლის პირველ ნაწილთან. ამ მოქმედების განხორციელება მხარეებს თანაბარ შესაძლებლობებს აძლევს, რაც ზემოთ მოყვანილი დებულებებიდან და განსაკუთრებით სსკ-ის 197-ე, 419-ე მუხლებიდან გამომდინარეობს.

ამდენად, საქმის მთელი წარმოება ამ შემთხვევაშიც ზემდგომ სასამართლოში წარიმართება, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ყველა განცხადებასა და კერძო საჩივარზე (სსკ-ის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

მთელი რიგი პროცესუალური პრობლემების განხილვის შემდეგ ყურადღება გავამახვილოთ სასამართლოს მიერ კერძო საჩივარზე მიმდინარე წარმოების ფარგლებში მისაღებ შემდგომ გადაწყვეტილებებზე.

### **3. განჩინების საპროცესო-სამართლებრივი საფუძვლები: სსკ-ის 419-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება და 285-ე მუხლი**

### **4. განჩინების აღწერილობითი ნაწილი სსკ-ის 285-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად<sup>4</sup>**

მონინალმდეგე მხარემ 2000 წლის 16 ოქტომბრის განცხადებით წარადგინა კერძო საჩივარი რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილ 2000 წლის 12 ოქტომბრის განჩინებაზე.

---

<sup>4</sup> მართალია, ამ შემთხვევაში კანონი არ გამორიცხავს მონინალმდეგე მხარის უფლებას მოსმენილი იქნეს სასამართლოში, განსხვავებით №2 შემთხვევისაგან (შეად. პირველ პარაგრაფს), მაგრამ დადგენილი



მონინალმდეგე მხარე განმარტავს, რომ:

ის არის სადავო ბინის ერთადერთი მესაკუთრე. განმცხადებელს ბინაზე თანასაკუთრების უფლება არასდროს ჰქონია. მხარეებს შორის ასევე არ დადებულა ქირავნობის ხელშეკრულება. ყოველ შემთხვევაში, განქორწინების შემდეგ განმცხადებელი არ არის უფლებამოსილი ისარგებლოს ბინით.

მონინალმდეგე მხარემ არაერთხელ მოსთხოვა განმცხადებელს ბინის დატოვება, მაგრამ მან ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ამასთან, მხარეების თანაცხოვრება ფაქტობრივად შეუძლებელია, რადგან მუდმივი უსიამოვნება აქვთ. მიუხედავად ამისა, 2000 წლის 12 ოქტომბრის განჩინების საფუძველზე განმცხადებლის სასარგებლოდ წარმოებული იძულებითი აღსრულების შედეგად და აღმასრულებლის დახმარებით მან კვლავ შეძლო ბინაში შესვლა.

მონინალმდეგე მხარეს, გატარებული ღონისძიების შედეგად მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი, რადგან ის ვერ შეძლებს საცხოვრებელი ფართის სხვაგვარად გამოყენებას, მაგალითად, ქირავნობის ურთიერთობის დადგენას.

მხარე მოითხოვს:

გაუქმებულ იქნეს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 12 ოქტომბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე,

სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე გამოტანილი განჩინებით დადგინდეს სამთვიანი ვადა. განმცხადებელს ბინით სარგებლობის განმავლობაში დაეკისროს ყოველთვიურად ქირის 100 ლარის გადახდის ვალდებულება.

ასევე უარი ეთქვას განმცხადებელს სსკ-ის 192-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ განცხადებაზე და განემარტოს, რომ უფლება აქვს ერთი თვის ვადაში აღძრას სარჩელი.

---

მცირე ვადების გამო ეს პრაქტიკულად შეუძლებელია.

ამდენად, აღწერილობით ნაწილში კვლავ მხოლოდ მხარის, კერძოდ, მონინალმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი მონაცემებია ჩამოყალიბებული. საქმის სხვა ფაქტობრივი გარემოებების შესახებ იხ. შემთხვევა №2.

## 5. სამოტივაციო ნაწილი:

მონინალმდეგე მხარის 2000 წლის 16 ოქტომბრის კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და რაიონული სასამართლოს 2000 წლის განჩინება ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს.

დანარჩენ ნაწილში კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნოს სააპელაციო სასამართლოს (სსკ-ის 417-ე მუხლი).

მონინალმდეგე მხარემ კერძო საჩივარი სავალდებულო ფორმის დაცვით წარადგინა, სსკ-ის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად; დაცულია სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ვადა.

მონინალმდეგე მხარის მიმართ გამოტანილია განჩინება (სსკ-ის 414-ე მუხლის მე-2 ნაწილი) და შესაბამისად, ის უფლებამოსილია შეიტანოს კერძო საჩივარი.

თუმცა, კერძო საჩივრის წარდგენის უფლებამოსილება ნაწილობრივ შეზღუდულია.

რამდენადაც მონინალმდეგე მხარე მოთხოვნას ამყარებს, ერთი მხრივ, საკუთრების უფლებაზე და მეორე მხრივ, იმ გარემოებაზე, რომ განმცხადებელს მფლობელობის უფლება არა აქვს, სხვა შესაგებლები მხედველობაში არ მიიღება. ამდენად, ყურადღება ექცევა სადავო განწყვეტილების საფუძვლებს, რომელთა შესაბამისად, მფლობელობის ძალადობით ჩამორთმევა, როგორც წესი, დაუშვებელია მაშინაც კი, როდესაც პირს მფლობელობის უკეთესი უფლება აქვს. უფრო მეტიც, განმცხადებელს შეუძლია მონინალმდეგე მხარეს ნაუყენოს მართლსაწინააღმდეგოდ ჩამორთმეული მფლობელობის უკან დაბრუნების მოთხოვნა სსკ-ის 160-ე მუხლის საფუძველზე.

მხოლოდ მხარეებს შორის მუდმივად არსებული უთანხმოების ფაქტი არ ამართლებს განჩინების გაუქმებას, მით უმეტეს, რომ მონინალმდეგე მხარე თავად არ მიუთითებს ამ უთანხმოებათა განსაკუთრებული მნიშვნელობის თაობაზე. ასევე გაურკვეველია, ვინ არის ამ უთანხმოების ინიციატორი და მომდინარეობს თუ არა უთანხმოების მიზეზი მხოლოდ განმცხადებლის მოქმედებიდან. ყოველ შემთხვევაში, გარდამავალ პერიოდში მხარეთა თანაცხოვრება შესაძლებელი უნდა იყოს, რადგანაც, როგორც

ირკვევა, წლების განმავლობაში ისინი ერთად ცხოვრებას ახერხებდნენ. სხვა, მსგავს საქმეთა განხილვის შედეგად სასამართლოსათვის ცნობილია ქალაქში არსებული საბინაო პრობლემები, განსაკუთრებით ის, რომ ასეთ მცირე ვადაში ახალი საცხოვრებელი ბინის მოძებნა ფაქტობრივად შეუძლებელია.

ამდენად, განმცხადებლის უსახლკაროდ დარჩენის პერსპექტივის თავიდან აცილება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი უსიამოვნება, რაც შეიძლება მხარეთა თანაცხოვრების შედეგად წარმოიშვას.

სხვა მხრივ, განმცხადებელი მოვალეა აანაზღაუროს შესაბამისი ზიანი, რაც მხარეს მიადგა ბინით შემდგომი სარგებლობის გამო, სსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. ერთი მხრივ, მონინაალმდეგე მხარე დაცული უნდა იქნეს ზიანისაგან, რომელიც მას შესაძლოა მიადგეს მიუღებელი შემოსავლით, რომელსაც მიიღებდა ბინის გაქირავების შემთხვევაში, მეორე მხრივ, განმცხადებელს ნათლად უნდა განემარტოს, რომ მას საოჯახო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ უფლება არა აქვს მონინაალმდეგე მხარეს მოსთხოვოს ბინაში უსასყიდლოდ ხანგრძლივი დროით ცხოვრება.

უფრო მეტიც, მან მონანილეობა უნდა მიიღოს შესაბამისი ხარჯების დაფარვაში და იმავდროულად იზრუნოს სხვა საცხოვრებლის პოვნაზე.

ბინის დასათმობად ვადის დადგენა განჩინებაში, რის თაობაზეც მონინაალმდეგე მხარე შუამდგომლობს, არ არის გამართლებული.

ვადების განსაზღვრას განაპირობებს საქმის განხილვის შემდეგ დადგენილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები.

ამგვარად, სასამართლოს მონინაალმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე განმცხადებლისთვის უნდა დაენიშნა ვადა სსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, რომლის განმავლობაშიც (განსახილველ შემთხვევაში ვადა შეადგენს ერთ თვეს) მას უნდა აღეძრა სარჩელი.<sup>5</sup>

სასამართლოს ამგვარ გადაწყვეტილებას ვერ შეაფერხებს ის გარემოება, რომ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების საფუძველზე

<sup>5</sup> თუ განმცხადებელი დადგენილ ვადაში არ აღძრავს სარჩელს, სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე გამოტანილი განჩინება, სსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად, მხარის შუამდგომლობით უკვე ამ საფუძვლის გამო გაუქმდება.

შესაბამისი ღონისძიებები უკვე გატარებულია, კერძოდ, სსკ-ის 195-ე მუხლის, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 84-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და სასამართლო აღმასრულებლის მეშვეობით განმცხადებელმა კვლავ დაიბრუნა თანამფლობელობა ბინაზე.<sup>6</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საუბარია სარჩელის უზრუნველსაყოფად გატარებულ მხოლოდ დროებით ღონისძიებაზე, რაც არ გულისხმობს საქმეზე საბოლოოდ გამოტანილ გადაწყვეტილებას, მაშინაც კი, თუ გამოჩინების სახით გადაუდებელ შემთხვევაში ამგვარი გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა სასარჩელო წარმოების დროს.<sup>7</sup>

ეს თავისებურება უკვე დაწყებული ძირითადი სასარჩელო წარმოების დროს შეიძლება გათვალისწინებული იყოს იმით, რომ განმცხადებელი მოითხოვს, რომ მოწინააღმდეგე მხარემ არ წაართვას მას მოპოვებული ბინამფლობელობა ან არ შეუშალოს მას ხელი სარგებლობისას. უახლოეს მომავალში საქმის განხილვის შედეგად სასამართლო გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას, რომელიც დაადგენს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს.<sup>8</sup> რაც შეეხება გარდამავალ პერიოდს, მოწინააღმდეგე მხარე საკმარისად არის დაცული განმცხადებლისათვის იმ ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრებით, რომელიც შეიძლება შედეგად მოჰყვეს სარ-

---

<sup>6</sup> მოწინააღმდეგე მხარის მიერ შეტანილი კერძო საჩივარი არ შეაჩერებს უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულებას სსკ-ის 194-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად: მისი აღსრულება დაუყოვნებლივ ხორციელდება (სსკ-ის 195-ე მუხლი).

<sup>7</sup> ამ პრობლემატიკის თავისებურება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ, **გამონაკლისის სახით**, სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე წარმოების დროს დავის საგანი ჩამორთმეულ იქნა, რადგან მოთხოვნის **შესრულება** აუცილებელი იყო მოსალოდნელი მძიმე მდგომარეობის თავიდან ასაცდნად და ნივთის უბრალოდ უზრუნველყოფა, მისი ბუნებიდან გამომდინარე, არ იყო საკმარისი. დანვრილებით იხ. ზემოთ, შემთხვევა №2, **B**), 9).

<sup>8</sup> კანონი არ შეიცავს მკაფიოდ გამოხატულ წესს იმის თაობაზე, თუ რა გავლენას მოახდენს სსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე სასარჩელო წარმოების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილება სარჩელის უზრუნველყოფის დროებით ღონისძიებაზე. კანონის სისტემიდან თავისთავად გამომდინარეობს, რომ სასარჩელო წარმოების დროს განმცხადებლის საწინააღმდეგოდ გამოტანილ გადაწყვეტილებას, მნიშვნელობა არა აქვს იმას, გადაწყვეტილება მიღებული იქნა მის მიერ, თუ მოწინააღმდეგე მხარის მიერ აღძრული სარჩელის ფარგლებში, შედეგად უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება უნდა მოჰყვეს.

ამგვარი განჩინება სასამართლოს მიერ შესაძლოა ასევე გამოტანილ იქნეს სსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 ნაწილადების ანალოგიის წესით გამოყენების საფუძველზე.

ჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას.<sup>9</sup>

## 6. სარეზოლუციო ნაწილი:

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს 2000 წლის 12 ოქტომბრის განჩინების გაუქმების მოთხოვნით განმცხადებლის მიერ შემოტანილ კერძო საჩივარზე დავადგინე, რომ განმცხადებელმა მოწინააღმდეგე მხარეს გადაუხადოს ყოველთვიური თანხა ბინით სარგებლობის გამო წარმოშობილი ზიანისათვის 100 ლარის ოდენობით.

დანარჩენ ნაწილში კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს, საქმის მასალები გადაეგზავნოს სააპელაციო სასამართლოს.<sup>10</sup>

განმცხადებელს განემარტოს, რომ უფლება აქვს ერთი თვის ვადაში აღძრას სარჩელი საერთო წესით.

## 7. დასკვნითი შენიშვნები:

შემდგომი წარმოებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ სააპელაციო სასამართლო ზეპირი განხილვის შემდგომ მოცემულ

---

<sup>9</sup> მოწინააღმდეგე მხარე ასევე არ არის დარჩენილი სამართლებრივი დაცვის გარეშე. თუ მას სურს სასარჩელო წარმოების წესით გადაამოწმოს განმცხადებლის მოთხოვნის საფუძვლიანობა, მას შეუძლია განმცხადებლის წინააღმდეგ აღძრას ვინდუკაციური სარჩელი სკ-ის 172-ე მუხლის შესაბამისად და მოითხოვოს ბინის გათავისუფლება. თუ სარჩელი დაკმაყოფილდება, სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე გამოტანილი განჩინება უნდა გაუქმდეს სსკ-ის 194-ე მუხლის შესაბამისად და მე-7 მუხლის საფუძველზე 196-ე, 197-ე, 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის ანალოგიის წესით გამოყენების შედეგად.

ამ გზით, მოწინააღმდეგე მხარის საფუძვლიან მოთხოვნებს საკმარისად გაენევა ანგარიში, სანამ გარკვეულ ვადაში საქმის განხილვის შედეგად სასამართლო გაარკვევს მხარეთა სამართლებრივ მდგომარეობას.

მართალია, ასეთი წარმოება უფრო ხანგრძლივ დროს საჭიროებს სსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე აღძრული წარმოებისაგან განსხვავებით, მაგრამ აქვს მთელი რიგი უპირატესობანი, კერძოდ, მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ტიტული, რომლითაც შეძლებს აიძულოს განმცხადებელი გაათავისუფლოს ბინა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის მიაღწევდა მხოლოდ იმ ტიტულის გაუქმებას, რომლითაც განმცხადებელმა კვლავ მოითხოვა თანამფლობელობის დაბრუნება.

<sup>10</sup> რამდენადაც ამ გადაწყვეტილების მიღება კერძო საჩივარზე წარმოების ფარგლებში ხდება, გასაჩივრების წესის შესახებ განმარტების მიცემა სსკ-ის 285-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საჭირო არ არის.

განჩინებას კი არ აუქმებს, არამედ, სსკ-ის 419-ე მუხლის შესაბამისად და სასარჩელო წარმოებისათვის დადგენილი სასამართლო ხარჯების მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე (სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი და მე-2 და მე-3 ნაწილები), კერძო საჩივარს უკან აბრუნებს. აქ, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განჩინების ნაწილობრივ გაუქმების გამო, გასათვალისწინებელია სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი: სასამართლო ხარჯები ორივე მხარემ უნდა დაფაროს.

სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება არ გასაჩივრდება (სსკ-ის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელზე უკანონო ხელის შეშლის აღკვეთის თაობაზე სსკ-ის 177-187 მუხლების შესაბამისად, შეგებებული სარჩელი – სსკ-ის 188-190-ე მუხლებისა და სკ-ის მე-5, მე-18, 159-ე, 160-ე, 161-ე, 172-ე, 992-1008-ე მუხლების შესაბამისად.

### **Tematika:**

*სარჩელი. შეგებებული სარჩელი. მფლობელობის განხორციელების ხელშეშლის საფუძველზე წარმოშობილი პოსესორული მოთხოვნები. ვინდიკაციური სარჩელი. უკანონო ხელშეშლის აღკვეთის ნეგატორული და კვაზინეგატორული მოთხოვნები. პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა. სააღსრულებო წარმოებათა მომწესრიგებელი ნორმები.*

### **1. შენიშვნა შემდგომი წარმოებისათვის:**

როგორც უკვე აღინიშნა №2ა შემთხვევის ვარიანტში, შემდგომი წარმოებისას ამოსავალ წერტილად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გამოტანილი განჩინება,<sup>1</sup> ხოლო მოსარჩელემ<sup>2</sup> ამასობაში აღძრა სასარჩელო წარმოება.

მას შემდეგ, რაც ამ განჩინებისა და მოსარჩელის განცხადების საფუძველზე ამ უკანასკნელის სასარგებლოდ წარმოებულ იქნა იძულებითი აღსრულება და მოსარჩელემ კვლავ მოიპოვა თანამფლობელობა სადავო ბინაზე, სარჩელი სასარჩელო წარმოებაში უნდა შეიცვალოს საქმის ფაქტობრივი გარემოების შესაბამისად და აღარ უნდა იყოს მიმართული თანა-

---

<sup>1</sup> იხ. შემთხვევა №2ა, 7).

<sup>2</sup> მხარეები სასარჩელო წარმოებისას აღინიშნებიან ტერმინებით „მოსარჩელე“ და „მოპასუხე“ და არა „განმცხადებელი“ და „მონინააღმდეგე მხარე“ როგორც სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ აღძრული წარმოებისას.



მფლობელობის დაბრუნებაზე.

სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოპასუხეს უნდა დაეკისროს ვალდებულება აღკვეთოს მოსარჩელის თანამფლობელობის განხორციელების უკანონო ხელშეშლა<sup>3</sup> და ბინით ერთობლივად სარგებლობისას მისი შეურაცხყოფა და მუქარა, თუ მოპასუხის მოქმედება იძლეოდა ამგვარი სარჩელის აღძვრის საფუძველს. მოსარჩელე ამტკიცებს, რომ ამ გარემოებებს ადგილი ჰქონდა და უკვე წარადგინა შესაბამისი სასარჩელო მოთხოვნები.

მოპასუხე არ უარყოფს მის მიმართ წაყენებულ საყვედურებს, თუმცა, კვლავ წარადგენს მოსარჩელის მიერ ბინის გათავისუფლების მოთხოვნას. სსკ-ის 188-ე მუხლის შესაბამისად მოპასუხემ შეიტანა შეგებებული სარჩელი მოსარჩელის მიმართ ბინის გათავისუფლების შესახებ სასარჩელო მოთხოვნით.

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ სასარჩელო წარმოების დროს საქმის ფაქტობრივი გარემოებების მოხსენებისას მხარეები არსებითად იმეორებენ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ აღძრული წარმოებისას უკვე მოხსენებულ ფაქტობრივ გარემოებებს და წარადგენენ ზემოთ აღწერილ მოთხოვნებს.

გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის აგებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ სსკ-ის 249-ე მუხლის მე-3 პუნქტით და იგი უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთ მოყვანილ სქემას,<sup>4</sup> სადაც მხარეთა მოხსენება საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ უნდა მოიცავდეს ყოველივეს, რაზეც მათ მიუთითეს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ წარმოებისას, კერძო საჩივრის შეტანით აღძრული წარმოებისას და კერძო საჩივარზე განჩინების გამოსატანად მხარის მოსმენისას:

- საქმის უდავო ფაქტობრივი გარემოებები
- მოსარჩელის მოხსენება საქმის სადავო ფაქტობრივი გარემოებების შესახებ

---

<sup>3</sup> იხ. შემთხვევა №2ა, 5), სამოტივაციო ნაწილი, აქვე განსაკუთრებით მე-7 პარაგრაფი.

<sup>4</sup> შეად. დაწვრილებით პირველი ნაწილის, პარაგრაფს 4.

- მოსარჩელის მოთხოვნა
- მოპასუხის მოთხოვნა
- მოპასუხის მოხსენება საქმის სადავო ფაქტობრივი გარემოებების შესახებ
- მოპასუხის შუამდგომლობა შეგებებული სარჩელის აღძვრის თაობაზე
- მოსარჩელის შუამდგომლობა შეგებებული სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ
- შეგებებული სარჩელის წარმდგენი მოპასუხის (მოსარჩელის) მიერ საქმის სადავო ფაქტობრივი გარემოებების მოხსენება
- და ბოლოს: მტკიცებულებათა შეგროვების შედეგები.

მიუხედავად იმისა, რომ ნაწილობრივ მეორდება №2 და №2ა შემთხვევებში აღნიშნული,<sup>5</sup> საჭიროა აღწერილობითი ნაწილის კიდევ ერთხელ სრულად გადმოცემა იმ მიზნით, რომ ნათლად გაიმიჯნოს საქმის სადავო და დადგენილი გარემოებები, შუამდგომლობები, მხარეთა სამართლებრივი შეხედულებები და ა.შ.; გამოცდილებამ აჩვენა, რომ შეგებებული სარჩელის აგებისას ხშირად წარმოიშობა მთელი რიგი სირთულეები.

გარდა ამისა, ამ გზით ნათელი ხდება, თუ როგორ უნდა დაემატოს აღწერილობით ნაწილს პროცესის ისტორია, რომელიც ამასობაში წარმოიშვა და განვითარდა.

## **2. სამართლებრივი დასკვნა:**

### **ა) სარჩელის თაობაზე:**

(1) როგორც ზემოთ უკვე დანვრილებით აღინიშნა სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე აღძრულ წარმოებაზე საუბრისას, მოსარჩელეს უფლება აქვს მოპასუხეს წარუდგინოს ე.წ. პოსესორული მოთხოვნები ძალადობით ჩამორთმეული მფლობელობის კვლავ დაბრუნების თაობაზე სკ-ის 159-ე, 160-ე მუხლების შესაბამისად.<sup>6</sup> მოსარჩელის მიერ თანამფლო-

<sup>5</sup> იხ. ქვემოთ, გადაწყვეტილების პროექტის აღწერილობითი ნაწილი, 4.

<sup>6</sup> შეად. შემთხვევას №2, B), 7), ასევე C).

ბელოზის დაბრუნების შემდეგ იგი წარადგენს ახალ მოთხოვნას, კერძოდ, მოპასუხის უკანონო მოქმედების, მოსარჩელის თანამფლობელობის განხორციელების ძალადობით ხელის შეშლის აღკვეთის ან მოპასუხის მიერ მოსარჩელის პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფის აღკვეთის შესახებ.<sup>7</sup>

(აა) სკ-ის 161-ე მუხლის საფუძველზე მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს საკუთარი უფლების დაცვა მფლობელობის განხორციელებაში ხელის შეშლის შემთხვევაში: სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მფლობელობის დაბრუნების შემდეგ მოსარჩელე უფლებამოსილი მფლობელია სკ-ის 159-ე მუხლის გაგებით და სკ-ის 161-ე მუხლის შესაბამისად მას, მესაკუთრის მსგავსად, შეუძლია თავი დაიცვას ნებისმიერი ხელყოფისაგან.<sup>8</sup>

(ბბ) რამდენადაც მოსარჩელე თავს იცავს მოპასუხის მიერ მისი შეურაცხყოფისა და მუქარისაგან, მოქმედებს შემდეგი წესი: პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფისაგან დასაცავად კანონი აშკარად არ ადგენს უკანონო ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნას. მხოლოდ სკ-ის მე-18 მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ამგვარი მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას, თუმცა, მხოლოდ სახელის უფლებასთან მიმართებაში.

ძირითადად კი მუხლი ადგენს (ცნობების) უარყოფის უფლებას პირის პატივისა და ღირსების არამართლზომიერად შელახვის შემთხვევაში. ამ დებულებებიდან, ისევე როგორც სკ-ის 161-ე, 172-ე მუხლების<sup>9</sup> და დელიქტური ვალდებულებების მარეგულირებელი ნორმების, კერძოდ, სკ-ის 992-ე მუხლის, სკ-ის მე-5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების საფუძველზე, ანალოგიის წესით გამოყენებისას, გამომდინარეობს ძირითადი დებულება, რომელიც ცალკეულ პირებს ანიჭებს უფლებას წინასწარ იშუამ-

<sup>7</sup> იხ. ზემოთ, მე-2 პარაგრაფი.

<sup>8</sup> აქაც საუბარია ე.წ. პოსესორულ, მხოლოდ ფაქტობრივ მფლობელობაზე დამყარებულ მოთხოვნებზე. ამდენად, ზემოთ, შემთხვევაში №2, B), 7) ასევე C) გადმოცემული მოსაზრებები და სკ-ის 160-ე მუხლის შესაბამისად მფლობელის ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის გამოყენება ამ შემთხვევაზეც გავრცელდება.

<sup>9</sup> უკანონო ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის თაობაზე სკ-ის 172-ე მუხლის საფუძველზე აღძრულ სარჩელს უწოდებენ ე.წ. **ნეგატორულ** სარჩელს, საუბარია ე.წ. **ნეგატორულ** მოთხოვნებზე.

დგომლონ უფლებების სასამართლო წესით დაცვის თაობაზე, თუ არსებობს მათი პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფის საფრთხე.

აღნიშნული გამომდინარეობს შემდეგი მოსაზრებიდან: არ არის აუცილებელი, რომ მოხდეს პირის პირადი არაქონებრივი უფლებების არამართლზომიერად ხელყოფა, რათა შემდგომში შესაძლებელი გახდეს ხელყოფილი უფლების გამოსწორება (აღდგენა) უარყოფის მოთხოვნის უფლების ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების განხორციელების საშუალებით.<sup>10</sup>

(გგ) უკანონო ხელშეშლის აღკვეთის ნებისმიერი მოთხოვნის წაყენების წინაპირობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ სამართლებრივ სიკეთეს საფრთხე ემუქრება. თუ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას ადგილი ჰქონდა წარსულში, მაშინ მოცემული უნდა იყოს ხელყოფის კვლავ განმეორების საფრთხე. სკ-ის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილი ერთმნიშვნელოვნად ადგენს მესაკუთრის უფლებას წარადგინოს ნეგატორული სარჩელი უკანონო ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით. ეს მუხლი შეიცავს ძირითად დებულებას და შესაბამისად, მისი მოქმედება უნდა გავრცელდეს ნებისმიერ სარჩელზე, რომელშიც ჩამოყალიბებულია უკანონო ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა.<sup>11</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი სიკეთის ერთხელ ხელყოფა იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ არსებობს მისი განმეორების საფრთხე.

ამასთან, სამართლებრივი სიკეთის შესაძლო, მოსალოდნელი ხელყოფა უკვე საკმარისია უკანონო ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის წარსადგენად, თუ მოთხოვნის წარმდგენი პირი შეძლებს დაამტკიცოს, რომ არსებობს მისი უფლების ხელყოფის რეალური საფრთხე.

განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საფრთხის განმეორებისათვის დადგენილი წინაპირობები, რამდენადაც მოსარჩელე ამტკიცებს, რომ მო-

---

<sup>10</sup> მაგალითად, გერმანულ სამართალშიც პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა კვაზინეგატორული დელიქტური მოთხოვნის წარდგენის გზით უზრუნველყოფილია საკუთრებისა და დელიქტური ვალდებულებების მარეგულირებელი ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი გამოყენებით: §1004, §823 BGB. Vgl. im einzelnen Palandt-Bassange, §1004, Rdn.2.

<sup>11</sup> ზემოთ აღნიშნული მუხლის ამოქმედების წინაპირობა სკ-ის მე-18 მუხლის პირველი ნაწილით კონკლუდენტურად არის დადგენილი.

პასუხე მას შეურაცხყოფს და ემუქრება, რომ მას ბინიდან ძალადობის გამოყენებით კვლავ გააძევენ.

ამგვარად, ზემოთ ნახსენები საფუძველით, სარჩელი, მასში ჩამოყალიბებული უკანონო ხელშეშლის აღკვეთის სასარჩელო მოთხოვნით, დასაშვები და დასაბუთებულია.

წარდგენილი შეგებებული სარჩელის მიუხედავად, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ, სარჩელს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა.<sup>12</sup> სარჩელის აღძვრა ზედმეტად არ უნდა მოგვეჩვენოს იმ გარემოების გამო, რომ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ<sup>13</sup> აღძრული წარმოებისას მოსარჩელის სასარგებლოდ უკვე გამოტანილ იქნა განჩინება, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება და რომლის საფუძველზეც მოსარჩელეს ყოველთვის შეუძლია თანამფლობელობის დაბრუნება, თუ მოპასუხე მას მფლობელობას კვლავ ჩამოართმევს.

აღნიშნული განჩინება, გამოტანილი სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ აღძრულ წარმოების დროს, მხოლოდ დროებითია და შესაძლოა ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით კვლავ გაუქმდეს, მაგალითად, სსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის ან 196-ე, 197-ე მუხლების შესაბამისად.

მეორე მხრივ, განჩინების მისაღებად წარდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე მოსარჩელეს სურს წინასწარ აღკვეთოს მოსალოდნელი ხელყოფის განმეორება, რისი ინტერესიც მას აქვს და რაც დაცვის ღირსია.<sup>14</sup>

---

<sup>12</sup> შეად. აქვე გ).

<sup>13</sup> იხ. შემთხვევა №2 და №2ა.

<sup>14</sup> პრობლემატურია, როგორც ჩანს, მხოლოდ იძულებით აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხი: სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს დებულებებს უკანონო ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე მოთხოვნების განხორციელების (აღსრულების) შესახებ. შესაბამისად, ყურადღებას იქცევს მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 87-ე მუხლი, მისი ანალოგიის წესით გამოყენება, როდესაც სასამართლოს შეუძლია მიიღოს იძულების ზომები, კერძოდ, დააკისროს პირს ფულადი ჯარიმა იმ შემთხვევაში, თუ მისი მოქმედება წინააღმდეგობაში მოდის უკანონო ხელშეშლის აღკვეთის დაკისრებულ მოვალეობასთან. უნდა ვიფიქროთ სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 93-ე, 112-ე მუხლებზე.

## ბ) შეგებებული სარჩელის თაობაზე:

(1) მოპასუხის შეგებებული სარჩელი დასაშვებია, მაგრამ არა სსკ-ის 189-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რადგან სარჩელი მფლობელობის განხორციელებაში ხელშემშლის და პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფის აღკვეთის მოთხოვნით და შეგებებული სარჩელი ბინის გათავისუფლების მოთხოვნით შინაარსობრივად არ გამოირიცხავენ ერთმანეთს. თუმცა, სახეზეა სსკ-ის 189-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობები, რამდენადაც სარჩელსა და შეგებებულ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი.

(2) შეგებებული სარჩელი დასაბუთებულია, რადგან მოპასუხე, სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, უფლებამოსილია მოპასუხეს წაუყენოს მოთხოვნა ბინის უკან დაბრუნების თაობაზე. საუბარია ე.წ. ვინდიკაციურ სარჩელზე, რომლის საშუალებით მესაკუთრეს მფლობელისაგან შეუძლია მისი საკუთრების უკან დაბრუნების თაობაზე მოთხოვნის წარდგენა, თუ მფლობელი არ არის უფლებამოსილი პირი.

მოპასუხე არის ბინის მესაკუთრე, მოსარჩელე კი თანამფლობელია, მაგრამ არა (აღარ) აქვს უფლება მფლობელობაზე. ამდენად, შესაძლოა მივუთითოთ ზემოთ მოხსენებულ მოსაზრებებზე.<sup>15</sup>

შესაბამისად, მოსარჩელეს დაეკისრება ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა.

## გ) სარჩელისა და შეგებებული სარჩელის შედარება

სარჩელისა და შეგებებული სარჩელის, ასევე, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ აღძრული წარმოებისა და შეგებებული სარჩელის სამართლებრივი შეფასება შესაძლოა ერთი შეხედვით დამაბნეველად და ურთიერთგამომრიცხავად მოგვეჩვენოს:

სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე აღძრულ წარმოებაში მოსარჩელეს უფლება აქვს მოპასუხისაგან მოითხოვოს მფლობელობის უკან დაბრუნება, ხოლო სასარჩელო წარმოებაში – უკანონო ხელშემშლის აღკვეთა; ამასთან, შეგებებულ სარჩელზე გამოტანილი გადანყევტილებით მოსარ-

<sup>15</sup> იხ. ზემოთ, ა), 1), (აა), ასევე, იქ მოცემული მითითებები №2 შემთხვევაზე.

ჩელეს დაეკისრა ბინის გათავისუფლების მოვალეობა.

ამგვარი მოჩვენებითი წინააღმდეგობა აიხსნება, თუ გაიმიჯნება მოთხოვნის წარდგენის სხვადასხვა საფუძვლის განსხვავებული მიზანი: მოსარჩელის მოთხოვნები ემყარება პოსესორულ, ფაქტობრივი მფლობელობის დამცავ ნორმებს სკ-ის 160-ე, 161-ე მუხლების<sup>16</sup> შესაბამისად, რომლებიც მფლობელს მხოლოდ მფლობელობის ძალადობით ხელყოფისაგან იცავენ, მაგრამ მას არ ანიჭებენ სინამდვილეში არარსებულ მფლობელობის უფლებას.

მოთხოვნის წარდგენის აღნიშნულ საფუძველს არც სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე წარმოშობილმა მესაკუთრის კანონიერმა მოთხოვნებმა უნდა შეუშალონ ხელი, რომელთა წარდგენა ვინდიკაციური სარჩელის აღძვრის გზით ხდება.

იგივე ვრცელდება ე.წ. პეტიციურ მოთხოვნებზეც,<sup>17</sup> როდესაც შეგებებული სარჩელი, მაგალითად, არა საკუთრების უფლებას ემყარება, არამედ ვალდებულებით-სამართლებრივ, განსაკუთრებით სახელშეკრულებო მოთხოვნებს, როგორცაა, მაგალითად, დასრულებული ქირავნობის ურთიერთობა: მათ მფლობელის პოსესორული მოთხოვნები არ შეეხება, შესაბამისად, ამ მოთხოვნათა წარდგენა შეგებებული სარჩელით არის შესაძლებელი.<sup>18</sup>

ამდენად, ორივე მოთხოვნის ერთად წარდგენა შესაძლებელია ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილებების გამოტანის აკრძალვის მიუხედავად, რაც ასევე სსკ-ის 189-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარეობს.

ეს პრობლემატიკა განსაკუთრებით ნათლად ჩანს, როდესაც, განსახილველი შემთხვევისაგან განსხვავებით, მოსარჩელე არ შეიტანს განცხა-

<sup>16</sup> იხ. შემთხვევა №2, სქოლიო 9.

<sup>17</sup> შეად. შემთხვევა №2; სქოლიოს 10.

<sup>18</sup> მაგალითისათვის დავუშვათ, რომ შეგებებული სარჩელის წარმდგენი არის არა ბინის მესაკუთრე, არამედ გამქირავებელი. ამ შემთხვევაში მას არა აქვს ვინდიკაციური მოთხოვნის წარდგენის უფლება სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. ქირავნობის ურთიერთობის დასრულების შემდეგ მას მხოლოდ ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის წარდგენის უფლება ექნება სკ-ის 564-ე მუხლის შესაბამისად. ამასთან, პრობლემატიკა არსებულ პოსესორულ და პეტიციურ მოთხოვნებს შორის რჩება უცვლელი, როგორც ზემოთ არის აღწერილი.



დებსა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სსკ-ის 191-ე მუხლის შესაბამისად და სასარჩელო წარმოებისას წარადგენს მფლობელობის დაბრუნების მოთხოვნას. დროის ამ მონაკვეთისათვის, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისას მას მფლობელობა ბინაზე კვლავ არ დაუბრუნებია. მოპასუხე შეგებებული სარჩელით მოითხოვს ბინის გათავისუფლებას, მაგალითად, რადგან მოსარჩელეს პირადი მოხმარების საგნები ჯერ კიდევ თავის ოთახში აქვს დატოვებული.

შეგებებული სარჩელი დასაშვებია, უშუალოდ სსკ-ის 189-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რამდენადაც ორივე მოთხოვნა ურთიერთგამომრიცხავია.

ამ შემთხვევაშიც ბინიდან იძულებით გამოსახლებულ მოსარჩელეს აქვს მოპასუხის მიმართ მფლობელობის უკან დაბრუნების მოთხოვნის წარდგენის უფლება სსკ-ის 160-ე მუხლის საფუძველზე. თუმცა, მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე შეგებებული სარჩელის მხედველობაში მიღებით, ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილების გამოტანის აკრძალვის გამო. აღნიშნული ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როდესაც გადაწყვეტილება სარჩელზე და შეგებებულ სარჩელზე ერთდროულად იქნება გამოტანილი.

ამ დროს ვინდოკაციურ სარჩელს, შესაბამისად, მოპასუხის პეტიციურ მოთხოვნებს უპირატესი ძალა აქვთ მოსარჩელის პოსესორული მოთხოვნების მიმართ.

სხვაგვარად იქნება საქმე, თუ გადაწყვეტილება პირველ რიგში სარჩელზე უნდა იქნეს გამოტანილი, რამდენადაც შეგებებულ სარჩელზე გადაწყვეტილების გამოტანა ჯერ არ არის შესაძლებელი.

გადაწყვეტილების ერთდროულად გამოტანა, როგორც წესი, არ არის შესაძლებელი, როდესაც ერთ შემთხვევაში აუცილებელია მტკიცებულებების შეგროვება და შეფასება, ხოლო მეორე შემთხვევაში – არა: მფლობელობის ძალადობით ჩამორთმევა პირვანდელი სარჩელითვე დგინდება და ამდენად, სარჩელი დასაბუთებულია, შეგებებულ სარჩელზე გადაწყვეტილების გამოსატანად კი აუცილებელია მტკიცებულებების შეგროვება. აღნიშნული მხედველობაშია მისაღები, როდესაც მოსარჩელე სადავო მფლობელობის უფლებაზე მიუთითებს სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის

გაგებით, მაგალითად, მოპასუხესთან დადებულ ქირავნობის ხელშეკრულებაზე, რასაც სასამართლოს მიერ დამატებით მტკიცებულების შეგროვება უნდა მოჰყვეს, მაგალითად, მონმეთა დაკითხვა.

ასეთ შემთხვევაში, სსკ-ის 189-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე სსკ-ის 245-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯერ სარჩელზე უნდა იქნეს გამოტანილი ნაწილობრივი გადაწყვეტილება, რომ სსკ-ის 160-ე მუხლით გათვალისწინებულმა მფლობელობის მოთხოვნებმა პირველ რიგში შეძლონ გავლენის სფეროს მოპოვება.

სასარჩელო წარმოებაში სასამართლო გადაწყვეტილება შესაძლოა შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

**3. გადაწყვეტილების საპროცესო-სამართლებრივი საფუძვლები: (გადაწყვეტილების შესავალი ნაწილი): სსკ-ის 249-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.**

**4. გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი (სსკ-ის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად):**

მოსარჩელე არის მოპასუხის ყოფილი რძალი. მის ვაჟთან დაქორწინების შემდეგ მოსარჩელე გადავიდა საცხოვრებლად მოპასუხის ბინაში ... ქუჩაზე №... მდებარე სახლში, რომელიც მოპასუხეს ეკუთვნოდა.

1999 წელს მოსარჩელე და მოპასუხის ვაჟი განქორწინდნენ.

მოპასუხე მხარემ არაერთხელ მოსთხოვა მოსარჩელეს ბინის გათავისუფლება, მაგრამ ამ უკანასკნელმა მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

2000 წლის 10 ოქტომბერს მეგობრებთან სტუმრობის შემდეგ სახლში დაბრუნებულმა მოსარჩელემ აღმოაჩინა, რომ ბინის კარის საკეტი გამოცვლილი იყო, ხოლო პირადი მოხმარების ნივთების ნაწილი, ყუთში ჩალაგებული, სადარბაზოში დახვდა. მოპასუხე მხარემ განუმარტა, რომ მას აღარ შეეძლო ბინაში დაბრუნება.

მოსარჩელის განცხადების საფუძველზე რაიონულმა სასამართლომ 2000 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაადგინა, რომ მოპასუხემ დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნოს მოსარჩელეს

მფლობელობა ბინაზე.

მოპასუხემ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა.

რაიონულმა სასამართლომ 2000 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით კერძო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მოსარჩელის ბინაზე მფლობელობის გაგრძელების შესაძლებლობა დამოკიდებული გახდა მოპასუხისათვის ბინით სარგებლობისათვის საზღაურის ... ლარის ოდენობით გადახდაზე. დანარჩენ ნაწილში სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილა და ... განჩინებით უკან დააბრუნა.

ამასობაში მოსარჩელემ სასამართლო აღმასრულებლის დახმარებით იძულებითი აღსრულების წარმოების შედეგად დაიბრუნა მფლობელობა ბინაზე.

ზემოთ აღწერილის შემდეგაც მხარეებს შორის არსებული დავა არ დასრულებულა.

მოსარჩელემ ახსნა-განმარტების მიცემისას აღნიშნა, რომ მოპასუხე მას სისტემატურად შეურაცხყოფს და ემუქრება. გარდა ამისა, მას დაემუქრნენ, რომ პირველივე შესაძლებლობის დადგომისთანავე ბინიდან კვლავ გააძევებდნენ. მოსარჩელე კი იძულებულია განაგრძოს ბინით თანასარგებლობა, რამდენადაც მას, როგორც წინათ, სხვა საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნია და საკუთარი შემოსავლის არქონის გამო ვერ შეძლო სხვა ბინის მოძებნა. მეორე მხრივ, მოსარჩელეს არ სურს მოპასუხისაგან შეურაცხყოფისა და მუქარის თმენა.

მოპასუხე უნდა შეეგუოს და ითმინოს, რომ მოსარჩელე შემდგომშიც ისარგებლებს ბინით.

მოსარჩელე მოითხოვს, რომ მოპასუხეს დაეკისროს შეწყვიტოს მისი, მოსარჩელის, შეურაცხყოფა და ბინიდან ... იძულებით გაძევების მუქარა, აღკვეთოს მფლობელობის განხორციელებაში ხელშეშლა ან ხელშეშლის მუქარა.

მოპასუხე მოითხოვს, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

მოპასუხე მიუთითებს, რომ იგი არის სადავო ბინის ერთადერთი მესაკუთრე და მოსარჩელეს არა აქვს მფლობელობის უფლება ბინაზე. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გამოტანილი

განჩინების შედეგები მათთვის ხანგრძლივი დროით მიუღებელია.

მხარეთა შემდგომი თანაცხოვრება შეუძლებელია, რამდენადაც საქმე მუდამ ჩხუბამდე მიდის, რაშიც წვლილი მხოლოდ მოსარჩელეს მიუძღვის.

მოპასუხე აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს ბინიდან კვლავ გაძევებით მხოლოდ იმ მიზეზით დაემუქრა, რომ ამ უკანასკნელს ეზრუნა სხვა საცხოვრებელი ადგილის პოვნაზე.

შეგებებული სარჩელით მოპასუხე მოითხოვს, რომ მოსარჩელეს დაეკისროს ბინის ... გათავისუფლება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

მოსარჩელე აყენებს მოთხოვნას, რომ შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

მოსარჩელე უარყოფს მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებას, რომ დავის მიზეზი მხოლოდ ის არის.

## **5. სამოტივაციო ნაწილი (სსკ-ის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად):**

სარჩელი და შეგებებული სარჩელი დასაშვებია.

რამდენიმე მოთხოვნის ერთ სარჩელში გაერთიანება დასაშვებია სსკ-ის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

შეგებებული სარჩელის დასაშვებობა გამომდინარეობს სსკ-ის 189-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან. რამდენადაც სარჩელიც და შეგებებული სარჩელიც ერთნაირად შეეხება მხარეთა თანაცხოვრებასა და მოსარჩელის მიერ მოპასუხის კუთვნილი ბინით სარგებლობას და შესაბამისად, მათ შორის ურთიერთკავშირი არსებობს, მათი ერთად განხილვა აუცილებელია.

სარჩელი და შეგებებული სარჩელი დასაბუთებულია.

ამდენად, მოსარჩელისა და მოპასუხის მიერ წარდგენილ მოთხოვნებზე გამოტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილება.

სკ-ის 161-ე მუხლის საფუძველზე მოსარჩელეს უფლება აქვს მოპასუხეს წაუყენოს ბინაზე თანამფლობელობის განხორციელებაში ხელშემშლის აღკვეთის მოთხოვნა.

მას შემდეგ, რაც სასამართლო გადაწყვეტილების სასამართლო აღმასრულებლის მიერ აღსრულების შედეგად მოსარჩელემ დაიბრუნა თანამფლობელობა ბინაზე, ეს უკანასკნელი ჩაითვლება მფლობელობაზე უფლებამოსილ პირად სკ-ის 159-ე მუხლის მიხედვით. ამდენად, მას უფლება აქვს ნებისმიერი პირისაგან, მათ შორის მესაკუთრისაგან, მოითხოვოს მფლობელობის განხორციელებაში ხელშეშლის აღკვეთა სკ-ის 161-ე მუხლის პირველის ნაწილის შესაბამისად.<sup>19</sup>

მოპასუხემ წარსულში განხორციელებული საქციელით მოსარჩელეს სარჩელის აღძვრის საფუძველი, კერძოდ, უკანონო ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით სარჩელის წარდგენის წინაპირობა მისცა: ამგვარი მოქმედების განმეორების საფრთხე სკ-ის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ანალოგიის წესით გამოყენების შესაბამისად. რაც შეეხება მოსარჩელის სხვა მითითებებს, რომ მას ემუქრებოდნენ მფლობელობის განხორციელებაში მომავალშიც ხელშეშლით, ამ გარემოებას მხარე არც უარყოფს.

რამდენადაც მოსარჩელე მოითხოვს, რომ მოპასუხემ შეწყვიტოს მისი შეურაცხყოფა და მუქარა, მოპასუხის მიმართ გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნისა და სკ-ის მე-18, 161-ე, 172-ე, 992-ე მუხლების შესაბამისად სკ-ის მე-5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების საფუძველზე მათი ანალოგიის წესით გამოყენებისას. დასახელებული დებულებები ითვალისწინებენ პირადი არაქონებრივი უფლების დაცვას, რომელთა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა არავინ არ უნდა დაუშვას. მოსარჩელეს იმ შემთხვევაშიც შეუძლია მოითხოვოს სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით მოქმედების აღკვეთა, თუ ხელყოფა მომავალშია მოსალოდნელი სკ-ის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ანალოგიის წესით გამოყენების საფუძველზე.

მოპასუხე არ უარყოფს, რომ მის მიერ ხელყოფილ იქნა მოსარჩელის პირადი არაქონებრივი უფლება, თუმცა, ამ გარემოებას არ მიიჩნევს საკ-

---

<sup>19</sup> იმ მიზნით, რომ თავი აავარიდოთ ზოგიერთი მოსაზრების განმეორებით გადმოცემას სამოტივაციო ნაწილის დასაბუთებასთან დაკავშირებით მივუთითებთ №2 შემთხვევაზე (აქვე C) და 2ა (შუად. აქვე 5)), რაც შესაძლოა გადმოვიტანოთ წინამდებარე გადაწყვეტილებაში. ასევე დასაშვებია, რომ სასამართლომ მკაფიოდ მიუთითოს ორივე მხარისათვის ცნობილ განჩინების დასაბუთებაზე, მისი ხელახლა გადმოცემის გარეშე.

მარის საფუძვლად მოსარჩელის მიერ განხორციელებული მოქმედებისათვის: არც ბინის გათავისუფლების მოთხოვნა და არც მხარეთა შორის არსებული, შესაძლო გაუგებრობა არ ანიჭებდა მოსარჩელეს ამგვარი მოქმედების უფლებას.

მოპასუხე მხარე თვლის, რომ მოთხოვნები მან უნდა წარადგინოს, რაც განხორციელდა კიდეც შეგებებული სარჩელის წარდგენის გზით.<sup>20</sup>

შეგებებული სარჩელი ასევე დასაბუთებულია.

მოპასუხეს უფლება აქვს მოსარჩელისაგან, სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მოითხოვოს ბინის გათავისუფლება და უკან დაბრუნება, რამდენადაც მოსარჩელეს არა აქვს უფლება ბინაზე. მას არც საკუთრების უფლება აქვს ნივთზე, არც სხვა რაიმე საწინვითო უფლება და არც ვალდებულებით-სამართლებრივი მფლობელობის მოთხოვნები მოპასუხის მიმართ, რასაც, თავის მხრივ, მოსარჩელეც არ ამტკიცებს. ის თავს იცავს მხოლოდ მოპასუხის მხრიდან მფლობელობის იძულებითი ჩამორთმევისა და მფლობელობის განხორციელებაში ხელშეშლისაგან. მფლობელობის უფლება, რაც შესაძლოა ხანგრძლივად დაუპირისპირდეს მოპასუხის მოთხოვნას ბინის გათავისუფლების თაობაზე, მას არა აქვს, მაშინაც კი, თუ მოპასუხეს გადაუხდის ანაზღაურებას ბინით სარგებლობის გამო.

დამატებით უნდა მიეთითოს მხარეთათვის ცნობილ სარჩელის უზრუნ-

---

<sup>20</sup> ბინის გათავისუფლების შესახებ მოთხოვნის წარდგენა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ აღძრული წარმოების გზით მოპასუხეს არ შეუძლია, მაშინაც კი, თუ მათ გადაუდებელ შემთხვევაზე მითითება სურთ. მოთხოვნის წარდგენა მოპასუხეს მხოლოდ სასარჩელო წარმოების საშუალებით, სარჩელის, შესაბამისად, შეგებებული სარჩელის აღძვრით შეუძლია: გერმანულ სამართალში გადაუდებელ შემთხვევაში ბინის გათავისუფლება დასაშვებია, თუ მფლობელმა მფლობელობა აკრძალული გზით, თვითნებურად მოიპოვა, ე.ი. როდესაც მან მფლობელობა ძალადობით ან არამართლზომიერად შეიძინა (§940 a ZPO). განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს აღნიშნული მოქმედება არ ჩაუდენია, შეად. ზემოთ შემთხვევას №2, B), 7).

ქართულ სამართალში იგივე წესი უნდა მოქმედებდეს: საცხოვრებელი ფართის განსაკუთრებული სოციალური მნიშვნელობის გათვალისწინებით მხარეს არ უნდა დაეკისროს გადაუდებელ შემთხვევაში ბინის გათავისუფლების მოვალეობა, თუ მფლობელობა მოპოვებული არ იქნა არამართლზომიერად და ძალადობის გამოყენებით, რაც ასევე გამომდინარეობს სააღსრულებო წარმოებათა სპეციალური, მარეგულირებელი ნორმებით დადგენილი დაცვის მექანიზმებიდან (იხ. აქვე 6)). გადაუდებელ შემთხვევაში სასარჩელო წესით გადაწყვეტილების გამოტანამდე მოთხოვნათა განხორციელებასთან (აღსრულებასთან) დაკავშირებული განსაკუთრებული პრობლემატიკის თაობაზე იხ. შემთხვევა №2, B), 9).

ველყოფის შესახებ გამოტანილი განჩინების დასაბუთებაზე.

სარჩელსა და შეგებებულ სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილებები არ არის ურთიერთგამომრიცხავი: სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილებით მოპასუხეს მხოლოდ აეკრძალება, რომ ბინის გამოთავისუფლებამდე მოსარჩელეს არ შეუშალოს ხელი მფლობელობის განხორციელებაში ან მისი უფლება სხვაგვარად ხელყოს.

მოსარჩელეს უფლება აქვს სასამართლოსაგან მოითხოვოს ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც მოპასუხეს აეკრძალება ძალის გამოყენება.

მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი გარდამავალ პერიოდში, ბინის გათავისუფლებამდე, მოსარჩელის მოპასუხის მხრიდან ხელყოფისაგან დაცვა.

მას რჩება შესაძლებლობა დამოუკიდებლად და ნებაყოფლობით მიიღოს ზომები ბინის გასათავისუფლებლად, შესაბამისად, გაასაჩივროს გადაწყვეტილება და შეაჩეროს გადაწყვეტილების ძალაში შესვლა (სსკ-ის 267-ე მუხლი) ან გადაუდებელ შემთხვევაში მიმართოს დაცვის მექანიზმებს გათვალისწინებულს სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით, 90-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი და მეორე წინადადებებით.<sup>21</sup>

მოპასუხეს უნდა განემარტოს, რომ მოთხოვნის განხორციელებას მხოლოდ სასამართლო აღსრულების შედეგად და არა აკრძალული გზით, საკუთარი ძალებით შეეცადოს. ამდენად, მისი უფლებების სასამართლო წესით განხორციელებას ამჯერად არ შეეხებით.

სასამართლო ხარჯების შესახებ გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების ანალოგიის წესით გამოყენების საფუძველზე (სსკ-ის მე-7 მუხლი), რამდენადაც სარჩელიც და შეგებებული სარჩელიც დაკმაყოფილდა.

<sup>21</sup> შეად. აქვე 6).



## 6. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი (სსკ-ის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად):

მოპასუხეს დაეკისროს შეწყვიტოს მოსარჩელის შეურაცხყოფა და მუქარა, რომ მფლობელობას ბინაზე ... იძულებით ჩამოართმევს, ხელს შეუშლის მფლობელობის განხორციელებაში ან დაემუქრება ამის თაობაზე.

მოპასუხის შეგებებულ სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილებით მოსარჩელეს დაეკისროს გაათავისუფლოს ბინა ... და დაუბრუნოს იგი მოპასუხეს.

სასამართლო ხარჯები მხარეებმა დაფარონ თანაბრად.

გასაჩივრების ვადისა და წესის შესახებ განმარტება – სსკ-ის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად.

## 7. შენიშვნა:

როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, განსახილველი შემთხვევები ძალიან ხშირად გხვდება პრაქტიკაში და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დაინტერესებული პირებისათვის.<sup>22</sup> ამასთან, სააღსრულებო წარმოებათა მარეგულირებელი ნორმები იძლევა საშუალებას, რომ წარმოშობილი მძიმე სამართლებრივი შედეგები თავიდან იქნეს აცილებული ან შემსუბუქებული.

ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და განსაკუთრებით სააღსრულებო წარმოებათა მარეგულირებელი ნორმები მხოლოდ მცირედ ითვალისწინებენ აღსრულების დაცვის უზრუნველმყოფ დებულებებს, მაგალითად, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მოვალის ინტერესების დასაცავად დადგენილია მცირე ვადა, ორ თვემდე და გათვალისწინებულია იძულებითი აღსრულების ყველა შემთხვევისათვის.

განსახილველ შემთხვევაში ბინის გათავისუფლების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 90-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი და მეორე წინადადებებით

---

<sup>22</sup> იხ. ზემოთ, შესავალი შემთხვევისათვის №2, „ზოგადი“ ნაწილის ქვეშ.

გათვალისწინებული დამცავი დებულებები: კანონი იძლევა შესაძლებლობას, რომ მოვალემ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ერთი თვის განმავლობაში ნებაყოფლობით გაათავისუფლოს ბინა.<sup>23</sup>

ეს დებულება ეხმიანება სსკ-ის 267-ე მუხლს, რომლის შესაბამისად, გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება, როგორც წესი, დასაშვებია მხოლოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, თუმცა, იმავდროულად დადგენილია ნორმა, სსკ-ის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი, რომელიც განსაკუთრებულ გარემოებათა გამო ითვალისწინებს დაუყოვნებლივი აღსრულების შესაძლებლობას გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 90-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების შესაბამისად სასამართლო უფლებამოსილია გააგრძელოს ვადა შესაბამისი გადაწყვეტილებით.

კრიტერიუმი, რომლითაც სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ვადის გაგრძელებისას კანონით მკაფიოდ არ არის მითითებული და შესაბამისად, უნდა განისაზღვროს სასამართლოს შეხედულებისამებრ.

სასამართლომ, ერთი მხრივ, მხედველობაში უნდა მიიღოს მესაკუთრის ინტერესი დაიბრუნოს საკუთრება და მეორე მხრივ, მოვალის ინტერესი გააგრძელოს საცხოვრებელი ადგილით შემდგომში სარგებლობა. საქართველოში არსებული საბინაო მდგომარეობის გათვალისწინებით, ხშირ შემთხვევაში, სასამართლომ შეძლებისდაგვარად ხანგრძლივი ვადა უნდა დაადგინოს ბინის გასათავისუფლებლად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოვალე საცხოვრებელი ადგილის ხარჯების დაფარვაში შესაბამისი საზღაურის გადახდით მონაწილეობს. სამაგიეროდ კრედიტორის სასარგებლოდ აღსრულება გაადვილდება, თუ ეს უკანასკნელი დაამტკიცებს, რომ მოვალეს დაუყოვნებლივ შეუძლია ალტერნატიული საცხოვრებელი ადგილის მოპოვება.

ზემოთ აღნიშნული საკითხები ცალკეულ შემთხვევებში განსხვავებულად წამოიჭრება; სასამართლოებმა ამ საკითხების გადაწყვეტისას სა-

<sup>23</sup> გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებისათვის ჩვეულებრივ დადგენილია მხოლოდ 5 დღე: სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ხელძღვანელო კრიტიკრიუმები ჯერ კიდევ უნდა განავითარონ.

საპროცესო სამართლის თვალსაზრისით სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 90-ე მუხლი მეტყველებს იმ გარემოების სასარგებლოდ, რომ შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღება სააღსრულებო წარმოების დროს, ე.ი. გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, რასაც აღსრულება მოჰყვება და ამასთან, გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე ან ძალაში შესვლის შემდეგ და არა პროცესის სტადიაზე, როდესაც გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის გამოტანილი (განხილვის პროცესი).<sup>24</sup>

გადაწყვეტილებებს იღებს კომპეტენტური სააღსრულებო ორგანო, ე.ი. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 90-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების, 90-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 84-ე მუხლის, 28-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის შესაბამისად სასამართლო აღმასრულებელი. 90-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებულ შემთხვევებში აღსრულების ვადის გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

სასამართლოს განსჯადობის წესებს ზემოთ მოხსენებულთან დაკავშირებით კანონი მკაფიოდ არ განსაზღვრავს. აღნიშნული ვრცელდება ყველა შემთხვევაზე, როდესაც სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონში ნახსენებია სასამართლო (შეად. 31-ე მუხლის პირველ პუნქტს, 37-ე მუხლს, 41-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებს), რაც მეტყველებს იმაზე, რომ აქ მოქმედებს განსჯადობის ზოგადი წესები დადგენილი სსკ-ის მე-13 მუხლით, ამასთან, არ არის გათვალისწინებული სააღსრულებო წარმოებისას სპეციალური განსჯადობა.

მხოლოდ სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს სააღსრულებო წარმოებისას განსჯადობის წესს, სარჩელი აღიძვრება იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ხდება აღსრულება. ზოგადად შესაძლოა აღინიშნოს, რომ განსჯადობის ეს წესი შესაძლოა გავრცელდეს ყველა

---

<sup>24</sup> განხილვის პროცესში იგულისხმება წარმოება გადაწყვეტილების გამოტანამდე, ხოლო შემდეგი ეტაპი გულისხმობს სააღსრულებო წარმოებას (იძულებით წარმოებას) გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ.

დავაზე, რომელიც წარმოიშობა სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებით ...

ამდენად, უნდა აღინიშნოს, რომ სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება მოცემული მუხლის ანალოგიის წესით გამოყენებისას ვრცელდება ყველა სასამართლო ღონისძიებაზე, რომელიც ხორციელდება სააღსრულებო წარმოების ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5, 52-62-ე, 128-146-ე, 289-309-ე, 623-628-ე, 891-905-ე მუხლები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე, 229-242-ე მუხლები.

**Tematika:**

*სარჩელთა ობიექტური და სუბიექტური სიმრავლე. სესხის ხელშეკრულება. იპოთეკიდან გამომდინარე სანივთო პასუხისმგებლობა. ხანდაზმულობა და უფლების დაკარგვა განსაზღვრული მოქმედების განუხორციელებლობის ან დროულად განუხორციელებლობის გამო. მხარეთა მიერ წარსადგენი შესაგებლები და სასამართლოს ინიციატივით წარსადგენი შესაგებლები. თავდებობა. აქცესორულობა.*

**A. აღწერილობითი ნაწილი:**

1997 წლის დეკემბერში პირველმა მოპასუხემ დადო წერილობით გაფორმებული სესხის ხელშეკრულება მოსარჩელესთან, ბანკთან, 100.000 ლარისა და ყოველწლიურად გადასახდელი სარგებლის 18%-ის ოდენობით. მოპასუხის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე დადგინდა იპოთეკა ბანკის სასარგებლოდ. განისაზღვრა ზღვრული თანხაც, რომელმაც შეადგინა 100.000 ლარი პროცენტებთან და ხარჯებთან ერთად. სესხის ხელშეკრულება იყო ერთ-ერთი იმ მრავალრიცხოვან საკრედიტო გარიგებათა შორის, რომლებიც მხარეებს ერთმანეთთან ჰქონდათ დადებული. სესხი უნდა მოხმარებოდა პირველი მოპასუხის სასტუმროს პროექტის ნაწილობრივ დაფინანსებას.

სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების შესასრულებლად მოსარჩელის წინაშე პირველ მოპასუხეს თავდებად მამა, მეორე მოპასუხე, დაუდგა. მამამ თავდებობა წერილობით იკისრა.

სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ვალი ერთი წლის შემდეგ უკან უნდა დაბრუნებულიყო.

ვალდებულების შესრულების შეთანხმებული ვადის დადგომისას მოსარჩელემ არ მოითხოვა ვალის უკან დაბრუნება. თავის მხრივ, მოპასუხემაც არ გადაიხადა ვალი.

2002 წლის დასაწყისში ანგარიშების შემონმებისას აღმოჩნდა, რომ კრედიტი ჯერ კიდევ არ იყო დაფარული.

მოსარჩელემ სარჩელის აღძვრის გზით პირველი მოპასუხისაგან მოითხოვა ვალის პროცენტებთან ერთად უკან დაბრუნება და აღნიშნა, რომ ვალის უკან დაბრუნების მოთხოვნა მხოლოდ კომპიუტერის მიერ დაშვებული შეცდომის გამო არ იქნა დროულად წაყენებული.

მოსარჩელის შემდგომი მოთხოვნა პირველი მოპასუხის მიმართ მდგომარეობს იპოთეკის საფუძველზე მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის გასხვისებაში.

მეორე მოპასუხისაგან, როგორც სოლიდარული მოვალისაგან, პირველ მოპასუხესთან ერთად მოსარჩელე ითხოვს თავდებობით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

მოსარჩელე მოითხოვს:

1. მოპასუხეებს, როგორც სოლიდარულ მოვალეებს, დაეკისროთ ვალის გადახდის მოვალეობა 100.000 ლარის ოდენობით დარიცხულ 18% პროცენტთან ერთად განსაზღვრული თარიღიდან ...,
2. პირველ მოპასუხეს დაეკისროს 100.000 ლარის ოდენობით განსაზღვრული მოთხოვნის გამო, პროცენტებთან ... და ხარჯებთან ერთად, მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ... იძულებითი აღსრულება.

მოპასუხეები მოითხოვენ, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

პირველი მოპასუხე უარს ამბობს ვალის გადახდაზე და ასაბუთებს იმ გარემოებით, რომ ამდენი ხნის გასვლის შემდეგ მას ველარც წარმოედგინა სესხის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნის წაყენების

შესაძლებლობა. გარდა ამისა, ამ სესხმა მხოლოდ მცირე ნვლილი შეიტანა სასტუმროს პროექტის განხორციელებაში, რადგან პროექტის კონცეფცია წარუმატებელი აღმოჩნდა; ამდენად, სხვა მრავალრიცხოვანი, მსგავსი ერთობლივი ხელშეკრულებისა და წარმატებული გარიგების გათვალისწინებით მოპასუხეს შეეძლო ევარაუდა, რომ მოსარჩელემ უარი თქვა მის წინააღმდეგ მოთხოვნის წაყენებაზე.

მეორე მოპასუხე უერთდება ამ შესაგებლებს და ასევე აღნიშნავს, რომ თავდებად დადგომისას მას განუმარტეს, რომ ყოველივეს მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა, რეალურად კი მოთხოვნის წარდგენა არ იყო მოსალოდნელი და ყველა დანარჩენ საკითხს მოსარჩელე, პირველ რიგში, ძირითად მოვალესთან მოაწესრიგებდა.

### შენიშვნა:

*შემთხვევის ამოხსნისას, როდესაც საქმე გვაქვს რამდენიმე მონაწილესთან და/ან რამდენიმე მოთხოვნასთან, თითოეული პირისა და თითოეული მოთხოვნის სამართლებრივი შემოწმება ყოველთვის ცალ-ცალკე უნდა განხორციელდეს.*

*ამასთან, პირველ მოპასუხეს, პირველ რიგში, წაყენებული აქვს მოთხოვნა ვალის უკან დაბრუნების თაობაზე, რაც გამომდინარეობს მოსარჩელის სანივთო უფლებებიდან – იპოთეკიდან.<sup>1</sup> ეს უკანასკნელი თავისი არსით დამოკიდებულია უზრუნველყოფილ ვალდებულებით-სამართლებრივ მოთხოვნაზე.<sup>2</sup> ამიტომაც ეს საკითხი პირველ რიგში უნდა იყოს განხილული.*

*დაბოლოს, იმავე საფუძვლები<sup>3</sup> გათვალისწინებით, განვიხილავთ მოსარჩელის მოთხოვნებს მეორე მოპასუხის მიმართ, რომლებიც თავდებობიდან გამომდინარეობენ.*

<sup>1</sup> სანივთო უფლების შინაარსისა და მისი წარდგენის შესახებ იხ. შემთხვევა № 1, B, I, 1), ასევე – აქვე ქვემოთ B), II, 2), ა).

<sup>2</sup> იპოთეკის ე.წ. აქცესორული ხასიათი, შეად. სკ-ის 288-ე, 291-ე მუხლებს. ამასთან დაკავშირებით იხ. დაწვრილებით ქვემოთ B), II, 2), დ), ეე).

<sup>3</sup> თავდებობის ე.წ. აქცესორული ხასიათი, შეად. სკ-ის 891-ე, 893-ე მუხლებს.



## **B. სამართლებრივი დასკვნა:**

### **I) სარჩელის დასაშვებობა**

სარჩელი დასაშვებია და საინააღმდეგო მოსაზრებები არ არსებობს, არც სარჩელთა სუბიექტური და არც ობიექტური სიმრავლის თვალსაზრისით.

სარჩელთა ობიექტური სიმრავლე გულისხმობს, რომ ნაყენებულია რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იგივე მოწინააღმდეგის მიმართ, ჩვენ შემთხვევაში – პირველი მოპასუხის მიმართ.

სარჩელთა სუბიექტური სიმრავლე ნიშნავს, რომ ერთი და იმავე პროცესში ნაყენებულია მოთხოვნები რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან სხვადასხვა მოპასუხის მიმართ, როგორც მოცემულ შემთხვევაში – პირველი და მეორე მოპასუხის მიმართ. სსკ-ის 182-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებია ორივე შემთხვევა: როგორც საერთო სარჩელის, ისე რამდენიმე სარჩელის აღძვრა.

როგორც წესი, ზემოთ აღნიშნული ყველა ვარიანტი დასაშვებია სსკ-ის 182-ე მუხლის საფუძველზე.

### **II) სარჩელის დასაბუთებულობა**

#### **1) სესხის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მოსარჩელის მოთხოვნა პირველი მოპასუხის მიმართ**

პირველი მოპასუხის მიმართ მოსარჩელეს შეეძლო ვალის უკან დაბრუნების თაობაზე მოთხოვნის წარდგენა სკ-ის 623-ე და 626-ე მუხლების საფუძველზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სკ-ის 623-ე მუხლის დებულებათა ფორმულირება უფრო მეტად ნააგავს ლეგალურ დეფინიციას, ვიდრე მოთხოვნის საფუძველს,<sup>4</sup> როდესაც აშკარად არის განმარტებული, რომ სესხის ხელშეკრულების წინაპირობას, ერთი მხრივ, გამსესხებლის მიერ გვარეობითი ნივთის გადაცემა, როგორც ფაქტობრივი ელემენტი და მეორე მხრივ, გარი-

---

<sup>4</sup> ლეგალურ დეფინიციასთან დაკავშირებით შეად. ზემოთ შემთხვევასთან №2, პარაგრაფი 12, მოთხოვნის საფუძვლის თაობაზე იხ. ზემოთ ნაწილი პირველი, პარაგრაფი მე-6.

გების საფუძველზე წარმოშობილი მოვალის მიერ მიღებული ნივთების უკან დაბრუნების მოვალეობა წარმოადგენს.

თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ ეს მუხლი უკვე საკმარისი საფუძველია მოვალის მიერ ვალის უკან დაბრუნების მოვალეობის წარმოშობისათვის.

ამ მოთხოვნის საფუძვლის<sup>5</sup> უჩვეულო ფორმულირება აიხსნება კანონმდებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, რომ ქართულ სამართალში სესხის ხელშეკრულება მიჩნეულია რეალურ ხელშეკრულებად, რომლის ნამდვილობის აუცილებელ წინაპირობას, მოვალესთან **შეთანხმების** გარდა, ასევე სესხის მსესხებლისათვის **გადახდა** წარმოადგენს.

მხარეთა უბრალო შეთანხმება კრედიტის მიცემისა და უკან დაბრუნების თაობაზე, ე.წ. კონსენსუალური ხელშეკრულება, სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, როგორც წესი, არ არის საკმარისი. თუ ხელშეკრულების დადებისას გამოყენებული იქნება წერილობითი ფორმა, მაშინ შედეგად მივიღებთ სესხის დაპირებას სკ-ის 628-ე მუხლის გაგებით, რომლის დროსაც გამსესხებელი კისრულობს სესხის მიცემის ვალდებულებას.<sup>6</sup>

ა) მოცემულ შემთხვევაში სკ-ის 623-ე მუხლით გათვალისწინებული სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობები შესრულებულია:

მხარეებმა სესხის ხელშეკრულება წერილობითი ფორმით დადეს, სადაც სკ-ის 624-ე მუხლის წერილობითი ფორმა მხოლოდ მტკიცების მიზანს<sup>7</sup> და არა ორივე მხარის მოვალეობების დადგენას ემსახურება (კონსტიტუციური მნიშვნელობა).

მოსარჩელემ ფული პირველ მოპასუხეს ასესხა.

ამდენად, სესხის ხელშეკრულება, სკ-ის 623-ე მუხლის შესაბამისად, ნამდვილია და დადებულად ჩაითვლება.

ბ) ასევე დამდგარია სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული

---

<sup>5</sup> შეად. განსხვავებულ ფორმულირებას, მაგ. მოთხოვნის კლასიკურ საფუძველს: სკ-ის 477-ე მუხლის პირველ ნაწილს.

<sup>6</sup> აღნიშნული განაპირობებს ამ შემთხვევაში სკ-ის 624-ე მუხლით გარიგების დასადავად დადგენილ გამარტივებულ ფორმას და სესხის დაპირების შემთხვევაში – უფრო რთულ წინაპირობებს. ამის თაობაზე დაწვრილებით იხ. შემთხვევა №3ა.

<sup>7</sup> გარიგების ფორმის მომწესრიგებელ დებულებათა მიზნების შესახებ დაწვრილებით იხ. ქვემოთ შემთხვევა №3ა, B), II), 1), d).

ვალდებულების შესრულების ვადა. ნერილობით დადებული სესხის ხელშეკრულების თანახმად, ვალის დაბრუნების ვადა განისაზღვრა ერთი წლით სკ-ის 626-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. ეს ვადა გასულია და ამდენად, ხელშეკრულების სხვაგვარი შეწყვეტა საჭირო აღარ იყო.

გ) შესაძლებელია, რომ სესხის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მოსარჩელის მოთხოვნა ვალის უკან დაბრუნების თაობაზე იყოს ხანდაზმული:

აა) სკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (128-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა), ხანდაზმულობა ვრცელდება ყველა მოთხოვნაზე.

ბბ) სკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნათა, ჩვენს შემთხვევაში სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის, ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, რომლის დენაც იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან (სკ-ის 130-ე მუხლის პირველი ნაწილი). მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან ისეთი მოთხოვნების შემთხვევაში, რომელთა შესრულება დამოკიდებულია განსაზღვრული ვადის დადგომაზე, პირველ რიგში, ჩაითვლება დრო, როდესაც მოთხოვნის შესრულების ვადა დადგება.<sup>8</sup> მოცემულ შემთხვევაში ეს ვადა დადგა 1998 წლის დეკემბრის დასაწყისში. ამდენად, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა გავიდა 2001 წლის დეკემბრის დასაწყისში. როგორც წესი, მხედველობაში არ მიიღება მოსარჩელის ბრალეულობის საკითხი ან, თუ რა მიზეზით არ განაცხადა მან დროულად თავისი მოთხოვნის შესახებ.

გგ) სკ-ის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ვალდებული პირი უფლებამოსილია, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.

**ზემოაღნიშნული გულისხმობს:**

ერთი მხრივ იმას, რომ ხანდაზმულობის დადგომა თავისთავად არ განაპირობებს მოთხოვნის გაქარწყლებას; მოვალე მხოლოდ უფლებამო-

---

<sup>8</sup> სკ-ის 130-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე პირობად ითვალისწინებს კრედიტორის მიერ იმის ცნობას, რომ მისი უფლება დაირღვა: „პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ“.

სილია, რომ უარი თქვას მოთხოვნის შესრულებაზე.

თუ მოვალე უარს არ განაცხადებს და შეასრულებს კიდეც მოთხოვნას, მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ, შესრულება შეუზღუდავად ჩაითვლება ნამდვილად და შესაძლოა მოვალემ ველარ მოითხოვოს შესრულებულის უკან დაბრუნება (სკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ეს წესი ვრცელდება უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებულ დებულებებზე: სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტებზე – შესრულება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, არ/აღარ არსებულ მოთხოვნაზე ან მოთხოვნაზე, რომლის წარდგენაც, ვალდებულების საწინააღმდეგოდ წარდგენილი შესაგებლის გამო, ხანგრძლივი დროით გამორიცხულია. სკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად სკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილს, როგორც სპეციალურ ნორმას, სკ-ის 976-ე მუხლის პირველ ნაწილთან შედარებით აქვს უპირატესი ძალა.

მეორე მხრივ, კანონი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ სასამართლომ ხანდაზმულობა უნდა გაითვალისწინოს მხოლოდ მაშინ, თუ მოვალე უარს იტყვის შესრულებაზე.

ამდენად, კანონი გამორიცხავს სასამართლოს ინიციატივით ხანდაზმულობის შემოწმების თაობაზე დადგენილ დებულებათა გამოყენებას.<sup>9</sup>

---

<sup>9</sup> ძირითადად განასხვავებენ ორი სახის შესაგებელს: **შესაგებელს**, რომელიც სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს საკუთარი ინიციატივით, მიუხედავად იმისა, მიუთითებს თუ არა მხარე მასზე და შეცილებას (**შესაგებელს**), რომელსაც მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ მაშინ, თუ მას მხარე წარადგენს. სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა წარადგინოს შესაგებელი მაგალითად, კანონით დადგენილი აკრძალვების დარღვევის (სკ-ის 54-ე მუხლი), გარიგების დადებისას სავალდებულო ფორმის დაუცველობის (სკ-ის 59-ე მუხლი) ან მხარის ქმედუუნარობის (სკ-ის 58-ე მუხლი) შემთხვევებში. სასამართლოს ინიციატივით მხედველობაში მისაღებ შესაგებელთაგან ასევე განასხვავებენ შესაგებელს, რომლის წარდგენამდეც მოთხოვნა არ წარმოიშობა და შესაგებელს, რომელიც უკვე წარმოშობილ მოთხოვნას კვლავ აქარწყლებს. ზემოთ აღნიშნულს მიეკუთვნება შეცდომით ან მოტყუებით დადებული გარიგების შეცილება (სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 72-ე და 81-ე მუხლები), ხელშეკრულებიდან გასვლა (სკ-ის 352-ე, 405-ე მუხლები), ვალდებულების შესრულება (სკ-ის 427-ე მუხლი) ყველა შესრულების სუროგატთან ერთად, როგორც არის მაგალითად დეპონირება (სკ-ის 434-ე მუხლი), გაქვითვა (სკ-ის 442-ე მუხლი) და ვალის პატიება (სკ-ის 448-ე მუხლი). ამ შესაგებლებისა და მათი სასამართლოს ინიციატივით მხედველობაში მიღების დადგენაზე გავლენას არ ახდენს ის გარემოება, რომ ნაწილობრივ, მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, საუბარია კონსტიტუციური უფლებების განხორციელებაზე, რაც მხარეთა შეხედულებისამებრ უნდა მოხდეს (ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის თაობაზე შეად. ქვემოთ, №4 შემთხვევას, **B, I, 1**, დ), (1)).

არსებობს მოსაზრებაც, რომ ხანდაზმულობის მომწესრიგებელ დებულებათა გამოსაყენებლად საკმარისია მოვალის მიერ შესრულების უარყოფა და თუ რა საფუძვლით – ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია. მოცემული შემთხვევის მსგავს შემთხვევებში, როდესაც ხანდაზმულობის ვადა გავიდა, სასამართლოს შეუძლია და უნდა თქვას უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე ზემოთ აღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე.<sup>10</sup>

ამ სამართლებრივ შეხედულებას აქვს საკმაოდ შორს მიმავალი შედეგები.

პირველ რიგში, ამ მოსაზრების გამო ხდება სასამართლოს მიერ სამართლებრივი ნორმის, სსკ-ის 393-ე მუხლის, არასწორი გამოყენება: როდესაც მოსარჩელის მიერ მოხსენებული საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან თავად გამომდინარეობს ხანდაზმულობის ვადის გასვლა და გარემოება, რომ მოპასუხე უარს ამბობს სასარჩელო მოთხოვნის შესრულებაზე, დასაბუთებისა და შესაძლოა მიზეზების თაობაზე მონაცემების არარსებობის მიუხედავად და სასამართლო ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით უარს არ ამბობს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

თუ შესაბამისი საქმის გარემოებები საკმარისად არის განხილული ქვედა ინსტანციების მიერ და ხანდაზმულობასთან დაკავშირებული ფაქტები დადგენილია, ამ შეხედულების შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ,

---

ისევე, როგორც ვალის პატიების შემთხვევაში, ზოგჯერ სავალდებულოა მხარეთა შორის ხელშეკრულების არსებობაც (სკ-ის 448-ე მუხლი). სხვა შემთხვევებში საკმარისია ფაქტობრივი განხორციელება, როგორც არის შესრულება ან მე-16 სქოლიოში აღწერილი შემთხვევა (იხ. აქვე მე-16 სქოლიო).

ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებებს საერთო აქვთ შემდეგი: თუ მოცემულია საქმის ფაქტობრივი გარემოებები ან ცალმხრივი ან ორმხრივი გარიგება, რომელიც შესაგებლის წარდგენის საფუძველს იძლევა, მაშინ შესაგებელი სასამართლომ საკუთარი ინიციატივით უნდა მიიღოს მხედველობაში.

რაც შეეხება შესაგებლებს, რომელთა წარდგენა მხოლოდ მხარის შეხედულებისამებრ ხდება, ისინი არ აბრკოლებენ გარიგების წარმოშობას და ასევე არ წყვეტენ მას. ისინი დროებით ან ხანგრძლივად აფერხებენ მოთხოვნის განხორციელებას. ხანგრძლივი მოქმედების მქონე შესაგებლებს მიეკუთვნება სკ-ის 144-ე მუხლის პირველი ნაწილისა (მოგახსენებთ აქვე) და სკ-ის 894-ე მუხლის (იხ. ქვემოთ 3), გ) საფუძველზე წარდგენილი შესაგებლები.

ამ შესაგებელთა წარდგენის წინაპირობა ყოველთვის მდგომარეობს მათი უფლებამოსილი პირის მიერ წარდგენაში; სასამართლომ ისინი მხედველობაში საკუთარი ინიციატივით არ უნდა მიიღოს.

<sup>10</sup> ეს პრაქტიკულად ნიშნავს ხანდაზმულობის გამოყენებას სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით.

სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, თვითონ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე და უარი თქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

ამ მოსაზრების შედეგებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ დაუსწრებელი გადაწყვეტილებისათვის (სსკ-ის 229-242-ე მუხლები):

სსკ-ის 230-ე მუხლის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის წინააღმდეგ, რომელიც არ გამოცხადდა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, მაშინაც უნდა იქნეს გამოტანილი, როდესაც ხანდაზმულობის ვადა უკვე გასულია.<sup>11</sup>

თუკი მოსარჩელის განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ მოპასუხემ უარი თქვა შესრულებაზე მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო და ხანდაზმულობის წინაპირობები სრულად არის წარმოდგენილი, სარჩელი ამ შემთხვევაში არ უნდა დაკმაყოფილდეს სსკ-ის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების გაგებით. აქედან გამომდინარე, სსკ-ის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გამოტანილ იქნეს არა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, არამედ საბოლოო გადაწყვეტილება სსკ-ის 243-ე მუხლის საფუძველზე.<sup>12</sup>

ასევე დასაფიქრებელია, რომ სასამართლომ მსგავს შემთხვევებში მოსარჩელეს უნდა ჰკითხოს, მოსთხოვა თუ არა მან მოპასუხეს პროცესის დაწყებამდე შესრულება და მოპასუხე გამოეხმაურა თუ არა მის მოთხოვნას და როგორ.<sup>13</sup> რადგან უმეტეს შემთხვევებში მოპასუხე შეეცდება კონკლუ-

<sup>11</sup> მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია მხოლოდ ერთადერთი წინაპირობა, კერძოდ, სარჩელის დასაბუთებულობა. სასამართლო მხოლოდ ამოწმებს, საფუძვლიანია თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა, როდესაც მხოლოდ მხარის მიერ მოხსენებული საქმის ფაქტობრივი გარემოებები უნდა ჩათვალოს ნამდვილად. ამგვარი, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება სსკ-ის 230-ე მუხლის შესაბამისად, თუ მოპასუხე, რომელსაც შეტყობინება გაეგზავნა დადგენილი წესით, არ გამოცხადდა სასამართლოს მთავარ სხდომაზე.

<sup>12</sup> ზემოთ აღნიშნულ მოყვება შესაბამისი შედეგები, რომლებიც გავლენას ახდენენ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე: საბოლოო გადაწყვეტილებაზე დასაშვებია არა სსკ-ის 236-ე მუხლით გათვალისწინებული საჩივრის, არამედ სააპელაციო საჩივრის შეტანა სსკ-ის 364-ე მუხლის შესაბამისად.

<sup>13</sup> სსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი, 203-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტი, 218-ე მუხლის პირველი ნაწილი, 222-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს უფლებას და არა მოვალეობას დასვას ამგვარი შეკითხვები. იგივე წესები მოქმედებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებულ წარბოებაზე. მსგავსი შეკითხვების დასმისას სასამართლო არ არღვევს ნეიტრალიტეტის დაცვის მოვალეობას ან სსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შეჯიბრებითობის

დენტურად, რომ არარსებული მზადყოფნა ვალდებულების შესრულებისა უფრო ნათელი გახადოს, ამ შეხედულების შედეგი პრაქტიკულად ბევრ შემთხვევაში განაპირობებს სასამართლოს მიერ შესაგებლის წარდგენის აუცილებლობას.

ამკარაა, რომ კანონი ამ მიზანს არ ისახავს. კანონმდებელს, რომლისთვისაც საკმაოდ კარგად იყო ცნობილი ეს პრობლემატიკა, სურდა, რომ შესაგებლის წარდგენის უფლებამოსილება მხარეებისათვის მიენიჭებინა და არა სასამართლოსათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაადგენდა მოთხოვნათა განხორციელებისათვის კანონით განსაზღვრულ, პრეკლუზიურ ვადებს. ამ საშუალებისათვის კანონმდებელს არ მიუმართავს. მან არჩევანის შესაძლებლობა მოვალეს დაუტოვა, რომელსაც უფლება აქვს წარადგინოს ხანდაზმულობაზე დაფუძნებული შესაგებელი ან არა.<sup>14</sup>

პრინციპს. მიუხედავად იმისა, რომ მხარეები თავად წყვეტენ დავის საგანს, იმას თუ საქმის რა ფაქტობრივი გარემოებები მიუთითონ სასამართლოს, სკ-ის მე-4 მუხლის მე-2 წინადადების შესაბამისად სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით გაარკვიოს საქმის გარემოებები, თუ ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების მისაღებად და რამდენადაც ეს დაშვებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. სასამართლოს მიერ ამ უფლების განხორციელებისა და შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედების ფარგლების ზოგადად განსაზღვრა რთულია. ყოველ შემთხვევაში, ზემოთ მოცემული დებულებები ანიჭებენ სასამართლოს მხარისათვის შეკითხვის დასმის უფლებას, როდესაც საქმის გარემოებების შემდგომი გარკვევა აუცილებელია, რომ მოსამართლემ არ მიიღოს არასწორი გადაწყვეტილება. შესაბამისად უნდა დაფუძნდეს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო მოვალეა განმარტება მისცეს, როდესაც მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხის მიერ უკვე შესრულებულია (სკ-ის 427-ე მუხლი) ან ურთიერთმოთხოვნათა გაქვივით (სკ-ის 442-ე მუხლი) გაქარწყლებულია.

ასევე გადაწყდება საკითხი, როდესაც მოპასუხემ პროცესის ფარგლებს გარეთ უარი თქვა შესრულებაზე.

<sup>14</sup> იმისათვის, რომ მხარემ არ მიუთითოს მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, არსებობს საკმარისი საფუძველი: მთელ რიგ საქმიან წრეებში უღირს საქციელად არის მიჩნეული, როდესაც შესრულებაზე უარს მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო ამბობენ. სერიოზული საქმიანი ადამიანები ამჯობნივენ, რომ საკითხი კანონმა გადაწყვიტოს: შესრულებაზე უარი განაცხადონ მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადის გასვლის, თუ სხვა, „ქარგი“ საფუძვლის არსებობის გამო.

ეს შეხედულება არ ეწინააღმდეგება ზემოთ მოხსენებულ მოსაზრებებს, რომელთა შესაბამისად მხარეებს არ შეუძლიათ მოსთხოვონ სასამართლოს მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს შეუსაბამოს განსაზღვრული დებულებები (იხ. ზემოთ, ნაწილი პირველი, პარაგრაფი 6).

ეს არგუმენტაცია უფრო მეტად შეესაბამება მატერიალური სამართლით მხარეთათვის მინიჭებულ თავისუფლებას სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან გაუქმების თვალსაზრისით: განსაზღვრულ შემთხვევებში კანონი მათ უტოვებს უფლებას თავად გადაწყვიტონ, თუ როგორ გამოიყენონ თავიანთი უფლებები, მაგალითად, როგორცაა ურთიერთმოთხოვნათა გაქვივით ან ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება (შეად. №4 შემთხვევასთან, ქვემოთ B), I, 1), დ), (1)).



ამგვარად, პროცესის დროს ხანდაზმულობა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, თუ მოპასუხემ პროცესის ფარგლებში ან პროცესის ფარგლებს გარეთ წარადგინა ეს შესაგებელი ან თუ, აღნიშნული მოქმედება პროცესის ფარგლებს გარეთ განხორციელდა და მხარემ ამ ფაქტის შესახებ პროცესზე მოახსენა.<sup>15</sup>

დღ) შესრულებაზე უარის თქმის ამ უფლების განხორციელების ფორმისათვის დადგენილი მოთხოვნები არ არის გადაჭარბებული: არც ერთ შემთხვევაში არ არის აუცილებელი, რომ მოპასუხემ კატეგორიულად გამოიყენოს ხანდაზმულობის ცნება. მსგავსი ახსნა-განმარტებანი უნდა შეესაბამებოდნენ ზოგად განმარტების წესებს სკ-ის 52-ე, 337-ე მუხლების შესაბამისად. ამდენად, საკმარისია ახსნა-განმარტება, რომელსაც ჩვენს შემთხვევაში მოპასუხე იძლევა: როდესაც მოვალე შესრულებაზე უარს ვალდებულების წარმოშობის შემდეგ გასულ ხანგრძლივ დროზე ამყარებს. შესრულებაზე უარის თქმის თაობაზე უფრო მეტად საფუძვლიანი დასაბუთება სავალდებულო არ არის. განსაკუთრებით არ არის აუცილებელი მითითება იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე დაეყრდნო ვარაუდს, რომ მოვალე მოთხოვნას აღარ წარადგენდა.<sup>16</sup>

---

გერმანულ სასამართლო პრაქტიკასა და მეცნიერებაში არ არსებობს რაიმე ორჭოფობა იმის თაობაზე, რომ სასამართლოს მოთხოვნის ხანდაზმულობის გათვალისწინება მხოლოდ მაშინ შეუძლია, როდესაც მოვალე შესრულებაზე უარს აცხადებს სწორედ მოთხოვნის ხანდაზმულობის მოტივით. მან უნდა წარადგინოს ეს შესაგებელი, თუ მოსალოდნელია, რომ სარჩელი არ დაკმაყოფილდება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

ეს მოსაზრება ქართულმა სამოქალაქო კოდექსმაც უნდა გაიზიაროს, რამდენადაც ქართულ სამართალში სკ-ის 144-ე მუხლი სიტყვასიტყვით შეესაბამება გერმანული სკ-ის 222-ე მუხლს და გარდა ამისა, სისტემის თვალსაზრისით და სადავო ნორმების აზრისა და მიზნის მიხედვით, არ არსებობს ამ ორ სამართალს შორის განსხვავება. აღნიშნული წარმოადგენს იმის თვალსაჩინო დასტურს, რომ კანონმდებელს ქართულ სამართალშიც იდენტური იურიდიული მდგომარეობის დადგენა სურდა.

<sup>15</sup> შეჯიბრებითობის პრინციპი სსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შეად. ზემოთ, ნაწილი პირველი, პარაგრაფი 1.

<sup>16</sup> ნდობა, რომელიც მოვალეს კრედიტორის მიმართ უწნდება, აუცილებელია განსაზღვრული მოქმედების განუხორციელებლობის ან დროულად განუხორციელებლობის გამო უფლების დაკარგვის სამართლებრივი ინსტიტუტის შემადგენლობისათვის: ნდობისა და კეთილსინდისიერების ზოგადი პრინციპის გათვალისწინებით, რომელიც გამომდინარეობს სკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან და მოქმედებს ვალდებულებითი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებზე სკ-ის მე-5 მუხლის შესაბამისად, ანალოგიის წესით, შესაძლოა ყველა სახის სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას გამოვიყენოთ; განსაზღვრულ პირობათა არსებობისას მოვალეს შეუძლია ჯერ კიდევ ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე საბოლოოდ თქვას უარი შესრულებაზე. ეს ის შემთხვევაა, როდესაც კრედიტორს

ე) სესხის საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნა ხანდაზმულია და ამდენად, მხარეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე. იგივე ვრცელდება, სკ-ის 145-ე მუხლის თანახმად დამატებით მოთხოვნებზეც, განსაკუთრებით პროცენტებზე, დამოუკიდებლად იმისა, გასულია თუ არა მათი ხანდაზმულობის ვადა.

2) იპოთეკის საფუძველზე წარმოშობილი მოსარჩელის მოთხოვნა პირველი მოპასუხის მიმართ

ა) მოსარჩელეს შესაძლოა წარმოეშვას პირველი მოპასუხის მიმართ მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის აუქციონზე იძულებით რეალიზაციის მოთხოვნა სკ-ის მე-300 მუხლის საფუძველზე.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ სკ-ის მე-300 მუხლი არ ანიჭებს იპოთეკარ-კრედიტორს **გადახდის მოთხოვნის** უფლებას. ამ მუხლიდან გამომდინარეობს მხოლოდ ის, რომ მესაკუთრე უშვებს კუთვნილი მი-

---

ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ წარუდგენია მოთხოვნა (sog. Zeitmoment) და მოვალეს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ კრედიტორი მოთხოვნას აღარ წარადგენს. შესაბამისად, მოვალემ ამ ვარაუდით განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები ან თავი შეიკავა მათი განხორციელებისაგან (sog. Umstandsmoment). იგივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც, მაგალითად, კრედიტორი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ წარადგენს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას და მოვალე, იმ ვარაუდით, რომ კრედიტორი მოთხოვნას აღარ წარადგენს, ხელიდან უშვებს შესაძლებლობას მიმართოს მესამე პირს, რომლის მიმართაც მას რეგრესის უფლება აქვს; ამასობაში, რეგრესის შესაძლებლობა, მაგალითად, ხანდაზმულობის ან მესამე პირის გაკოტრების გამო გამოირიცხება. ამ შემთხვევაში, ხანდაზმულობის დადგომისას, კრედიტორსა და მოვალეს შორის დამყარებული ურთიერთობის მხედველობაში მიღებით უნდა ვიფიქროთ განსაზღვრული მოქმედების განუხორციელებლობის ან დროულად განუხორციელებლობის გამო უფლების დაკარგვაზე: ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპმა და მართლსაწინააღმდეგო მოქმედების განხორციელების აკრძალვამ შესაძლოა შეაფერხოს კრედიტორის მიერ მოთხოვნის წარდგენა.

ყოველ შემთხვევაში, ნდობისა და კეთილსინდისიერების და განსაზღვრული მოქმედების განუხორციელებლობის ან დროულად განუხორციელებლობის გამო უფლების დაკარგვის საფუძველზე შესაგებელი უნდა წარადგინოს მხარემ და არა სასამართლომ თავისი ინიციატივით. ამ თვალსაზრისით უფლების დაკარგვა განსაზღვრული მოქმედების განუხორციელებლობის ან დროულად განუხორციელებლობის გამო შესაძლოა მიმართული იყოს მოპასუხის მიერ მოხსენებულ საქმის გარემოებებზე. იმის გამო, რომ არ არსებობს სამართლებრივი დაცვის ღირსი ვარაუდი და ქონებრივი მდგომარეობა განსაზღვრული მოქმედების განუხორციელებლობის ან დროულად განუხორციელებლობის გამო უფლების დაკარგვის დასამტკიცებლად მოპასუხის მოხსენება არ იქნება საკმარისი. რაც შეეხება ხანდაზმულობას, რომელიც ისედაც დამდგარია, იგი ამ შემთხვევაში მხედველობაში არ მიიღება: განსაზღვრული მოქმედების განუხორციელებლობის ან დროულად განუხორციელებლობის გამო უფლების დაკარგვა მხოლოდ მაშინ იქნის მნიშვნელოვანი, როდესაც ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა.

ნის ნაკვეთის რეალიზაციას სანივთო უფლებით – იპოთეკით დატვირთვის საფუძველზე, სამოქალაქო კოდექსითა (301-ე მუხლი) და სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად (თავი XI, 61-ე და შემდგომი მუხლები).<sup>17</sup> აუქციონიდან მიღებულმა შემოსავალმა, სკ-ის 308-ე მუხლის თანახმად, შესაძლოა დაფაროს უზრუნველყოფილი მოთხოვნა.<sup>18</sup>

ბ) ამოსავალ წერტილად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით იპოთეკის დასადგენად სავალდებულო წინაპირობები შესრულებულია: კერძოდ, საჯარო რეესტრში რეგისტრაცია განხორციელდა სკ-ის 289-ე მუხლის შესაბამისად და წარმოდგენილია მესაკუთრეს – იპოთეკარ-მოვალესა და იპოთეკარ-კრედიტორს<sup>19</sup> შორის სათანადო ფორმის დაცვით დადებული ხელშეკრულება.

გ) მოვალემ გადააცილა (სკ-ის მე-300 მუხლის პირველი ნაწილი) იმ მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადას, რომლის უზრუნველსაყოფადაც დადგინდა იპოთეკა: მოპასუხემ არ შეასრულა ვადახდა, როდესაც დადგა მოთხოვნის შესრულების ვადა (სკ-ის მე-400 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი).

დ) მართალია, სადავო საკითხი იმის თაობაზე, თუ რა გავლენას ახდენს ხანდაზმულობა განსახილველ შემთხვევაზე. ამასთან, უნდა განვასხვაოთ, ერთი მხრივ,<sup>20</sup> ვალდებულებით-სამართლებრივი სესხის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნის ხანდაზმულობა და მისი გავლენა სანივთო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების მა-

<sup>17</sup> შეად. ზემოთ, №1 შემთხვევას, I, 1).

<sup>18</sup> ზემოთ აღნიშნულისაგან განსხვავებით კრედიტორს შეუძლია განაცხადოს მოვალის კუთვნილი მიწის ნაკვეთის იძულებით აუქციონზე რეალიზაციის შესახებ, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას სანივთო უფლება ან სააღსრულებო ფურცელი იპოთეკის საფუძველზე. როგორც წესი, საკმარისია ვალდებულებით-სამართლებრივი სააღსრულებო ფურცელი, მაგალითად, სესხის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნიდან (შეად. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტსა და 68-ე მუხლს).

თუმცა, კრედიტორს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სანივთო სააღსრულებო ფურცელი, თუ მისი განცხადების საფუძველზე მოვალის კუთვნილი მიწის ნაკვეთის რეალიზაცია იპოთეკის დადგენის რიგითობის შესაბამისად წარმოებს და სურს, რომ მისი მოთხოვნა რიგითობის მიხედვით აუქციონიდან მიღებული შემოსავლით დაიფაროს (სკ-ის 308-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები). მიწის ნაკვეთზე რამდენიმე სანივთო უფლების რიგითობის შესახებ იხ. სკ-ის 314-ე მუხლი.

<sup>19</sup> დაწვრილებით შეად. ზემოთ, შემთხვევას №1, B), I, 2), ა).

<sup>20</sup> იხ. აქვე (ეე).

რეგულირებელ ნორმებზე და მეორე მხრივ,<sup>21</sup> თავად იპოთეკის ხანდაზმულობა.

ქართულ სამოქალაქო კოდექსში ამ საკითხის კონკრეტული რეგულირების ძიება უშედეგო აღმოჩნდა:

აა) მართალია, სკ-ის 143-ე მუხლი აწესრიგებს სანივთო უფლებათა ხანდაზმულობას, მაგრამ მხოლოდ ნივთის მფლობელობის ხანდაზმულობის თვალსაზრისით. ამდენად, განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით აღნიშნული ნორმის მოქმედება ამ შემთხვევაზე ვერ გავრცელდება.

ბბ) ნათლად ჩამოყალიბებული დებულება იმის თაობაზე, რომ ხანდაზმულობის ვადა საერთოდ არ ვრცელდება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უფლებებზე,<sup>22</sup> ქართულ სამოქალაქო კოდექსში არ არსებობს.

გგ) ასევე არ არსებობს დებულება, რომლის შესაბამისად უზრუნველყოფილ მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადის გასვლა არ შეუშლის ხელს იპოთეკის, გირავნობის ან სხვა სანივთო უზრუნველყოფის უფლების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.<sup>23</sup>

როგორც ჩანს, კანონმდებელს ეს დებულება შემთხვევით არ უნდა გამორჩინოდა. ამდენად, საქმე გვაქვს შეგნებულად მიღებულ გადაწყვეტილებასთან, რაც მოსამართლემ უნდა მიიღოს სკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მაშინაც კი, თუ იგი საკმაოდ ბევრ სირთულეს ქმნის, რის თაობაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

დდ) თუ იპოთეკიდან გამომდინარე სანივთო უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა, მაშინ, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს ხანდაზმულობის ვადის ხანგრძლივობა. სკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად, უძრავ ნივთებზე სახელმწიფო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ექვს წელს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იპოთეკის დადგენის წინაპირობას არა მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, არამედ, სკ-ის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 და

<sup>21</sup> იხ. აქვე (დდ).

<sup>22</sup> შეად. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 902-ე პარაგრაფს (§ 902 BGB).

<sup>23</sup> შეად. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 223-ე პარაგრაფს (§ 223 BGB).

მე-3 წინადადებების შესაბამისად, მხარეთა შესაბამისი სახელშეკრულებო შეთანხმების არსებობა წარმოადგენს.<sup>24</sup> ამდენად, ამ დებულებამ შესაძლოა მიგვიყვანოს ხანდაზმულობის ექვსწლიან ვადამდე. აქ საუბარი აღარ არის უძრავ ნივთზე ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ მოთხოვნაზე, მაგალითად, სახლის ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ან სანივთო დატვირთვის დადგენის ვალდებულებაზე, არამედ – უფლებებზე, რომლებიც წარმოიშობიან უკვე ხელშეკრულებით დადგენილი სანივთო უფლებიდან. სკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება სიტყვასიტყვით და ვინროდ უნდა განიმარტოს და უძრავ ნივთზე ვალდებულებით-სამართლებრივი შეთანხმებით შემოიფარგლოს. ამგვარად, ამ დებულებათა შესაბამისად გათვალისწინებული ექვსწლიანი ხანდაზმულობის ვადა მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით არ გამოიყენება.

უფლებებზე, რომლებიც წარმოიშობიან სანივთო დატვირთვის **საფუძველზე**, ვრცელდება ხანდაზმულობის საერთო, 10 წლიანი ვადა სკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად.

ეს ვადა კი ჯერ არ გასულა.<sup>25</sup>

ეე) სკ-ის 291-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ მესაკუთრეს, რომელიც არ არის იპოთეკარის პირადი მოვალე, შეუძლია მას დაუპირისპიროს ყველა ის შესაგებელი, რომელიც ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას ემყარება და რომლის წარდგენის უფლებაც პირად მოვალეს აქვს. ამგვარ შესაგებლებს ასევე მიეკუთვნება შესაგებელი მოთხოვნის ხანდაზ-

<sup>24</sup> შეად. №1 შემთხვევას, **B**, I, 2), ა).

<sup>25</sup> მიუხედავად იმისა, თუ ხანდაზმულობის რომელი ვადით ვიხელმძღვანელებთ, იპოთეკის აქცესორული ხასიათიდან გამომდინარე (სკ-ის მე-300 მუხლის პირველი ნაწილი, 291-ე მუხლის პირველი ნაწილი, აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ აქვე ეე)) აშკარაა, რომ, სკ-ის 130-ე მუხლის პირველი წინადადების შესაბამისად, ვადის დენა ყოველთვის უზრუნველყოფილი მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომით იწყება. ამ გზით მოპოვებული, კანონით დადგენილი შესაძლო ყველაზე ხანგრძლივი ხანდაზმულობის ვადა, სულ მცირე 10 წელი, ზიანს აყენებს იპოთეკარ-კრედიტორს გერმანული სამართლით დადგენილი წესებისაგან განსხვავებით, რომელთა შესაბამისად სანივთო მოთხოვნის უზრუნველყოფის უფლებებზე ხანდაზმულობა არ ვრცელდება (შეად. ზემოთ დ), ბბ), და გგ)): სკ-ის 291-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პირადი ვალდებულებითი ურთიერთობის საფუძველზე წარდგენილი ყველა შესაგებლის გამოყენების გამო კანონით დადგენილი ხანდაზმულობის შედარებით ხანგრძლივი ვადები საბოლოოდ იპოთეკარ-კრედიტორს ნაკლებად ეხმარება (იხ. აქვე ეე)).

მულობის გამო.

თუ მესამე პირს, რომელიც იპოთეკის საფუძველზე საკუთარი ქონებით აგებს პასუხს სხვისი ვალების გამო, შეუძლია წარადგინოს ვალდებულებითი გარიგებიდან გამომდინარე პირადი შესაგებელი იპოთეკის სანივთო უფლების მიმართ, ბუნებრივია, რომ იგივე უფლება იმ მესაკუთრესაც ენიჭება, რომელიც თავად არის მოვალე. ეს დებულება, სკ-ის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გამოყენებული უნდა იქნეს ანალოგიის წესით.

ამდენად, ვალდებულებითი მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო პირადი შესაგებელი მიმართულია სკ-ის 291-ე მუხლის წინააღმდეგ და პირველ მოპასუხეს უფლება აქვს უარი თქვას კუთვნილი მინის ნაკვეთის რეალიზაციაზე.<sup>26</sup>

---

<sup>26</sup> ეს შედეგი პრობლემატურია, მაგრამ არსებული სამართლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით მისი თავიდან არიდება თითქმის შეუძლებელია, სანამ ქართულ სამართალში არ არსებობს შესაბამისი დებულებანი, რომლებითაც შეფერხდება სანივთო უფლებებზე ხანდაზმულობის ვადის დენა და გამოირიცხება ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის ხანდაზმულობის გავლენა სანივთო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების მარეგულირებელ ნორმებზე.

სანივთო მოთხოვნის უზრუნველყოფის უფლებების მნიშვნელობა ამ გზით საკმაოდ მცირდება უზრუნველსაყოფი მოთხოვნის ბედთან არსებული მჭიდრო კავშირის გამო.

კანონმდებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმდენად ნათლად არის ჩამოყალიბებული, რომ კანონის სხვაგვარი განმარტება ფაქტიურად შეუძლებელია.

კანონში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში ამ დებულებათა გადასინჯვა მხედველობაშია მისაღები.

ამასობაში იპოთეკარს, განსაკუთრებით იპოთეკურ ბანკებს, ვერც ინდივიდუალური სახელშეკრულებო შეთანხმებები დაეხმარებათ: სკ-ის 146-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადების გახანგრძლივება და მათი გამოთვლის წესის შეცვლა დაუშვებელია. რაც შეეხება შეთანხმების დასაშვებობის საკითხს, რომელშიც იპოთეკის გათვალისწინებით არ მიუთითებენ ხანდაზმულობაზე, როგორც ჩანს, იგი განსაკუთრებით პრობლემატურია. რამდენადაც ზემოთ აღნიშნულის განხორციელება სკ-ის 342-ე მუხლის შესაბამისად ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დადგენის გზით ხდება, რასაც ადგილი აქვს ბანკებსა და კლიენტებს შორის არსებულ საქმიან ბრუნვაში, ამგვარი რეგულირება, კანონმდებლის მიერ მიღებული ნათლად ჩამოყალიბებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, წინააღმდეგობაში მოდის სკ-ის 346-ე მუხლთან, ხოლო კერძო კლიენტების შემთხვევაში – 348-ე მუხლთან, მისი ანალოგიის წესით გამოყენებისას.

### შუალედური შედეგი:

სარჩელი, რომელშიც ჩამოყალიბებულია იპოთეკის საფუძველზე მიწის ნაკვეთის რეალიზაციის მოთხოვნა, ასევე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

3) მოსარჩელის მოთხოვნები მეორე მოპასუხის მიმართ თავდებობის საფუძველზე

ა) მოსარჩელეს შესაძლოა წარმოეშვას მოთხოვნა მეორე მოპასუხის მიმართ ნაკისრი ნამდვილი თავდებობის საფუძველზე, სკ-ის 891-ე მუხლის შესაბამისად: მეორე მოპასუხემ თავდებობის ვალდებულება იკისრა თავდებობის ნამდვილობისათვის საჭირო ფორმის დაცვით სკ-ის 892-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

ბ) თავდებობის ნამდვილობის საწინააღმდეგო სხვა არგუმენტები არ არსებობს. მოსარჩელის განცხადება იმის თაობაზე, რომ თავდებობას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა, არ ნიშნავს, რომ თავდებობა არ წარმოშობს ვალდებულებას სკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით.

სკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად შესაძლოა, რომ მეორე მოპასუხემ გონივრული განსჯის შედეგად ეს გამონათქვამი მხოლოდ ისე გაიგო, რომ მოსარჩელე არ წარუდგენდა მეორე მოპასუხეს მოთხოვნას თავდებობის საფუძველზე იმ მრავალმხრივი და როგორც ჩანს, წარმატებული საქმიანი ურთიერთობების გათვალისწინებით, რომლებიც მას წარსულში პირველ მოპასუხესთან ჰქონდა. მოსარჩელის მიერ გაკეთებული განცხადების სისწორის სასარგებლოდ, რომ მეორე მოპასუხის მიმართ მოთხოვნის წარდგენის აუცილებლობა აღარ დადგებოდა, მეტყველებს ის გარემოება, რომ, პირველ რიგში, ნამოიჭრება პირველი მოპასუხის პასუხისმგებლობის საკითხი<sup>27</sup>, რომელიც, როგორც ჩანს, წარსულში ყოველთვის ასრულებდა დაკისრებულ ვალდებულებებს.

რამდენადაც მოსარჩელის მოლოდინი, რომ პირველი მოპასუხე დროულად გადაიხდიდა, არც უნდა გამართლებულიყო, თავდებობის საფუძველზე მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობა ძალაში რჩება. მოსარჩელის განცხადება თავდებობის ფორმალური ხასიათის თაობაზე (მეორე მოპასუხე ამტკიცებს, რომ ამგვარ განცხადებას ადგილი ჰქონდა) მნიშვნელობას

<sup>27</sup> იხ. აქვე გ).



მოკლებულია. შესაბამისად, საქმის გადაწყვეტა არ არის დამოკიდებული გარემოებაზე, სურს თუ არა მოსარჩელეს ამ განცხადების უარყოფა, თუ არა.<sup>28</sup>

გ) ფაქტობრივად თავდებს შეუძლია უარი თქვას შესრულებაზე სკ-ის 894-ე მუხლის შესაბამისად, რადგან კრედიტორს არ ჰქონია ძირითადი მოვალის მიმართ წარუმატებელი იძულებითი აღსრულების მცდელობა.<sup>29</sup>

ისევე როგორც ხანდაზმულობის შემთხვევაში, ამ დებულების შესაბამისად თავდებს ეკისრება არა მოვალეობა, არამედ მხოლოდ უფლება წარადგინოს შესაგებელი.<sup>30</sup> სასამართლო არ არის ვალდებული, რომ ეს შესაგებელი საკუთარი ინიციატივით გაითვალისწინოს.

თუმცა, ხანდაზმულობის მარეგულირებელი ნორმებისაგან განსხვავებით, სკ-ის 894-ე მუხლი უშვებს არა ხანგრძლივი, არამედ მიმდინარე პერიოდის განმავლობაში შესაგებლის წარდგენის შესაძლებლობას, აღნიშნულს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო გადაწყვეტილების ჩამოყალიბებისათვის: სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლომ აუცილებლად ნათლად უნდა აღნიშნოს სარეზოლუციო ნაწილში, რომ სარჩელის დაკმაყოფილება შეუძლებელია **დროის ამ განსაზღვრულ მონაკვეთში** და რომ იგი არ არის საბოლოოდ დაუსაბუთებელი: თუ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი არ იქნება მოტივირებული იმ გარემოებით, რომ არ დამდგარა სასარჩელო მოთხოვნის შესრულების ვადა და იგი უბრალოდ არ დაკმაყოფილდა, წამოიჭრება გადაწყვეტილების კანონიერ ძალასთან დაკავშირებული პრობლემები,<sup>31</sup> თუ მოსარჩელე მოგვიანებით, წინააღმდეგობათა გადალახვის შემდეგ, განსაკუთრებით

<sup>28</sup> როგორც წესი, დადგენილია, რომ მოპასუხე საქმის სადავო ფაქტობრივი გარემოებების მოხსენებისას უნდა შეედავოს მხარეს.

<sup>29</sup> როდესაც უკვე დადგენილია, რომ იძულებით აღსრულებას სასურველი შედეგი არ მოჰყვება, მაგალითად, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძირითადი მოვალე გაკოტრდა, ასეთ შემთხვევაში ნდობისა და კეთილსინდისიერების პრეზუმფციასთან, სკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით, წინააღმდეგობაში მოვა თავდების მითითება, რომ კრედიტორმა თავდაპირველად, სკ-ის 894-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელი ძირითადი მოვალის წინააღმდეგ აღძრას.

<sup>30</sup> შეად. ზემოთ, B), I, 1, გ), გგ). შესაგებლის წარდგენა, სკ-ის 895-ე მუხლის თანახმად შესაძლოა მხარეთა შესაბამისი შეთანხმებით გამოირიცხოს.

<sup>31</sup> შეად. სკ-ის 265-ე, 266-ე მუხლებს.

ძირითადი მოვალის მიმართ წაყენებული მოთხოვნის წარუმატებლობის შემთხვევაში, შეეცდება კვლავ აღძრას სარჩელი თავდების წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნით.<sup>32</sup>

მეორე მოპასუხემ კონკლუდენტურად ასევე წარადგინა შესაგებელი, რომ პირველ რიგში უნდა დადგეს ძირითადი მოვალის პასუხისმგებლობის საკითხი.

დ) მოპასუხის დროებითი უფლება უარი თქვას შესრულებაზე ნაკლებად მნიშვნელოვანია, თუკი იგი უფლებამოსილია ხანგრძლივი დროის განმავლობაში უარი განაცხადოს მოთხოვნის შესრულებაზე სხვა სამართლებრივი საფუძვლით. დადგენილია, მხარეს საბოლოოდ უნდა ეთქვას უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე, მოსამართლემ ეს უნდა განმარტოს, თუმცა, არ არის ვალდებული მიუთითოს, რომ სარჩელი არ დაკმაყოფილდა იმის გამო, რომ არ დამდგარა ვალდებულების შესრულების ვადა.<sup>33</sup>

სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: სკ-ის 893-ე მუხლით გათვალისწინებული თავდებობის მკვეთრი აქცესორული ხასიათიდან გამომდინარე, სკ-ის 899-ე მუხლის შესაბამისად, თავდებს შეუძლია წარადგინოს ძირითადი მოვალის შესაგებლები: აღნიშნულს ასევე მიეკუთვნება ძირითადი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლაზე მითითება.<sup>34</sup>

ე) აქედან გამომდინარე, უნდა გაიმიჯნოს თავად თავდებობით ნაკისრი

<sup>32</sup> სკ-ის 186-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების ანალოგიით გამოყენებიდან გამომდინარეობს, რომ ერთი და იმავე დავის საგანზე არ შეიძლება გადანყვეტილების მიღება ორჯერ.

<sup>33</sup> სხვაგვარად იქნება საქმე, თუ დადგინდება, რომ ვალდებულების შესრულების ვადა არ დამდგარა, თუმცა, სარჩელის საბოლოოდ დაუსაბუთებლად მიჩნევა სადავოა და მხოლოდ მტკიცებულებათა შეგროვებისა და შეფასების გზით უნდა დადგინდეს: ამ შემთხვევაში მოსამართლემ სარჩელის დაკმაყოფილებაზე საბოლოოდ უარის თქმის საკითხი არ უნდა განიხილოს, სანამ არ დადგინდება შეუძლია ან სურს თუ არა მოსარჩელეს დროებითი წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ კვლავ აღძრას სარჩელი. ვალდებულების შესრულების ვადა არ დამდგარა, თუ მაგალითად, სესხის ხელშეკრულება მოიშალა კანონის მოთხოვნათა დაუცველად ან ვალდებულების შესრულების გახანგრძლივებული ვადა ჯერ არ დასრულებულა.

<sup>34</sup> იურიდიული შემადგენლობა, ამ შემთხვევაში, გერმანული სამართლის მსგავსია, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის მომწესრიგებელი ნორმებით მხოლოდ სანივთო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებანი არიან პრივილეგირებულნი (იხ. ზემოთ 2, დ), (ბბ) და (გგ)). სხვაგვარი მდგომარეობა გვაქვს თავდებობისას: თავდებს შეუძლია შეუზღუდავად მიუთითოს უზრუნველყოფილი მოთხოვნის ხანდაზმულობაზე. ამდენად, ამ შედეგის სანინააღმდეგოდ არც შედარებით-სამართლებრივი თვალსაზრისით გვაქვს რაიმე მოსაზრებები.

ვალდებულების ხანდაზმულობის საკითხი, რომლის ვადაც შესაძლოა იმავდროულად არ გავიდეს ძირითად მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად: მაგალითად, როდესაც თავდებმა იკისრა ვალდებულება თავდებად დაუდგეს ისეთი მოთხოვნის შესრულებას, რომელიც არა ხელშეკრულების, არამედ კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის საფუძველზე წარმოიშვა. ეს უკანასკნელი კი ექვემდებარება ხანდაზმულობის ხანგრძლივ ვადას სკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად. რამდენადაც თავდებობის ვალდებულება სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე არის წარმოშობილი, სკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 130-ე მუხლის შესაბამისად, ჩვენს შემთხვევაში, თავდებობის ვალდებულებაზე ხანდაზმულობის ვადა გადის მოთხოვნის წარმოშობიდან უკვე სამი წლის შემდეგ და თავდებს ანიჭებს საკუთარ და არა აქცესორულ უფლებას უარი თქვას შესრულებაზე ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ძირითადი მოთხოვნა გახდება ხანდაზმული.

მოცემულ შემთხვევაში ძირითადი ვალდებულება და თავდებობით ნაკისრი ვალდებულება წარმოიშობიან ერთდროულად სკ-ის 130-ე მუხლის გაგებით და როგორც სახელშეკრულებო მოთხოვნებზე, მათზე ხანდაზმულობის ვადა გადის დროის ერთი და იგივე მონაკვეთში. ამდენად, თავდებობიდან გამომდინარე მოთხოვნაზეც ხანდაზმულობის ვადა გასულად ჩაითვლება.

მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე ასევე დაკავშირებულია ძირითადი მოვალის შესაგებლებთან, მან კონკლუდენტურად მაინც წარადგინა საკუთარი შესაგებლებიც.

ვ) მოსარჩელეს საბოლოოდ უნდა ეთქვას უარი მეორე მოპასუხის წინააღმდეგ მიმართული და თავდებობაზე დამყარებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე ძირითად მოთხოვნასა და თავად თავდებობის საფუძველზე წარმოშობილ მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

**SemTxveva #3a (gagrZeleba)**

**gadawyveteleba #3 SemTxvevaze)**

**Tematika: იხ. შემთხვევა №3**

**შენიშვნა:**

განსახილველ საქმეზე შესაძლებელია გადაწყვეტილების გამოტანა მტკიცებულებათა შეგროვებისა და შეფასების გარეშე. საქმის ფაქტობრივი გარემოებები მოცემულია №3 შემთხვევის აღწერილობით ნაწილში.

**1. საპროცესო-სამართლებრივი საფუძვლები: შეადარეთ სსკ-ის 249-ე მუხლს.**

**2. აღწერილობითი ნაწილი:**

შესაძლებელია მოცემული ნაწილის №3 შემთხვევიდან უცვლელად გადმოტანა. ცვლილებები არ შესულა, რამდენადაც მტკიცებულებები არ იქნა წარდგენილი.

**3. სამოტივაციო ნაწილი:**

სარჩელი დაუსაბუთებელია. მოსარჩელეს არ შეუძლია პირველი მოპასუხისაგან მოითხოვოს არც ვალის უკან დაბრუნება და არც მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის იპოთეკის საფუძველზე რეალიზაცია. ის ასევე ვერ წარადგენს მოთხოვნას მეორე მოპასუხის მიმართ თავდებობიდან გამომდინარე.

მოსარჩელემ პირველ მოპასუხეს მისცა სესხი 100.000 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, მხარეებმა დადეს ნამდვილი, წერილობით გაფორმებული სესხის ხელშეკრულება სკ-ის 623-ე, 624-ე მუხლების შესაბამისად. სადავო არ არის, რომ პირველ მოპასუხეს მიღებული ვალი აქამდე უკან არ დაუბრუნებია. სესხის ხელშეკრულების საფუძველზე წარმომოხილ ჯერ კიდევ ღია მოთხოვნას მოპასუხემ დაუპირისპირა ნამდვილი შესაგებელი მოთხოვნა

ნის ხანდაზმულობის გამო. სკ-ის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოპასუხე უფლებამოსილია უარი თქვას შესრულებაზე.

სესხის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ მოთხოვნა, სკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის, 129-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, მოთხოვნის წარმოშობიდან (სკ-ის 130-ე მუხლის პირველი ნაწილი) სამი წლის შემდეგ გახდა ხანდაზმული. მოთხოვნის წარმოშობად ჩაითვლება მისი შესრულების ვადის დადგომა სკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 365-ე მუხლის გაგებით.

მხარეთა შეთანხმების შესაბამისად, პირველ მოპასუხეს ვალი უკან უნდა დაებრუნებინა სესხის მიცემიდან ერთი წლის შემდეგ – 1998 წლის დეკემბერში. ამდენად, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა 2001 წლის დეკემბერში გავიდა. მხოლოდ 2002 წელს აღძრული სარჩელი ველარ შეძლებდა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას სკ-ის 138-ე მუხლის შესაბამისად. ხანდაზმულობის ვადის გაგრძელების თაობაზე მოთხოვნის წარდგენის უფლებამოსილება არც მოსარჩელეს აქვს და არც სხვაგვარად არის შესაძლებელი სკ-ის 132-ე მუხლის მხედველობაში მიღებით.

პირველმა მოპასუხემ წარადგინა ნამდვილი შესაგებელი მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო და გამოიყენა ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება, რაც, სკ-ის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შესაგებლის წარდგენის წინაპირობაა. სასამართლოს შეუძლია ეს შესაგებელი მხოლოდ მოცემულ შემთხვევაში და არა საკუთარი ინიციატივით დაუდოს გადაწყვეტილებას საფუძვლად.

თუმცა, სავალდებულო არ არის, რომ მოვალემ აშკარად გამოხატოს და გამოიყენოს ხანდაზმულობის ცნება. მისი ახსნა-განმარტება არც სიტყვასიტყვით უნდა იქნეს გაგებული სკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად.

მიცემული ახსნა-განმარტება უნდა განიმარტოს სკ-ის 52-ე, 337-ე მუხლების თანახმად. ჩვენს შემთხვევაში პირველმა მოპასუხემ მკაფიოდ მიუთითა, რომ შესრულებაზე უარი ვალდებულების წარმოშობიდან ხანგრძლივი დროის გასვლის გამო განაცხადა. აღნიშნული საკმარისია ხანდაზმულობის გამო შესაგებლის წარსადგენად.

სკ-ის 145-ე მუხლის შესაბამისად, ძირითადი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ასევე ვადის სესხის ხელშეკრულებიდან

გამომდინარე დამატებით მოთხოვნათა, განსაკუთრებით პროცენტების, ხანდაზმულობის ვადაც, მიუხედავად იმისა, თუ როდის დაიწყო დამატებით მოთხოვნებზე კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის დენა და როდის გავა. ძირითადი მოთხოვნის ხანდაზმულობა დამატებით მოთხოვნებსაც ფარავს.

პირველი მოპასუხე ასევე უფლებამოსილია, რომ უარი განაცხადოს, სკ-ის მე-300 მუხლის შესაბამისად, კუთვნილი მიწის ნაკვეთის რეალიზაციაზე მოსარჩელის სასარგებლოდ დადგენილი იპოთეკის საფუძველზე.

სკ-ის 291-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრესა და იპოთეკარ-მოვალეს შეუძლიათ, რომ იპოთეკარ-კრედიტორს ერთი და იგივე შესაგებლები დაუპირისპირონ, მათ შორის შესაგებლები, რომლებიც ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობენ.

თუ ამ დებულებას სიტყვასიტყვით განვმარტავთ, იგი მოიცავს მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც მესაკუთრე და მოთხოვნის პირადი მოვალე სხვადასხვა პირია.

თუმცა, დებულება, სკ-ის მე-5 მუხლის შესაბამისად, გამოყენებულ უნდა იქნეს ანალოგიის წესით, თუ მესაკუთრე და პირადი მოვალე ერთიდაიგივე პირია: თუ, სკ-ის 291-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მესაკუთრეს შეუძლია იპოთეკარს წაუყენოს მესამე პირის შესაგებელი, მაშინ მან, პირველ რიგში, **საკუთარი** ვალდებულებით-სამართლებრივი შესაგებელი უნდა წარადგინოს.

სკ-ის 291-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გასათვალისწინებელ შესაგებლებს ასევე მიეკუთვნება შესაგებელი ხანდაზმულობის გამო, თუმცა, მუხლში მკაფიოდ მხოლოდ ფულად ვალდებულებათა გაქვითვისა და შეცილების გამო წარდგენილი შესაგებლებია მითითებული. ეს შესაგებლები მხოლოდ მაგალითისათვის არის დასახელებული და არ გამოირიცხავს ამ კატეგორიისათვის სხვა შესაგებელთა მიკუთვნების შესაძლებლობასაც, რაც ასევე დებულების სიტყვასიტყვითი გაგებიდანაც გამომდინარეობს.

ხანდაზმულობის გამო ვალდებულებით-სამართლებრივი შესაგებლის ზემოქმედება იპოთეკის სანივთო უფლებაზე ამცირებს ამ უკანასკნელის ხანდაზმულობის ვადას, რომელიც სხვა შემთხვევაში, სკ-ის 128-ე მუხლის

მე-3 ნაწილის შესაბამისად, 10 წელს შეადგენს. ამდენად, იპოთეკის, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების მნიშვნელობა საგრძნობლად მცირდება. კანონმდებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთმნიშვნელოვანია და მისი გამოყენება სავალდებულოა სასამართლოსათვის სკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

ასევე დაუსაბუთებელია სარჩელი მეორე მოპასუხის მიმართ.

მართალია, მეორე მოპასუხე, სკ-ის 891-ე, 892-ე მუხლების შესაბამისად, თავდებად დაუდგა პირველ მოპასუხეს სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების შესასრულებლად. მიუხედავად ამისა, სკ-ის 899-ე მუხლის საფუძველზე და სკ-ის 893-ე მუხლის შესაბამისად თავდებადობის ძლიერი აქცესორული ხასიათიდან გამომდინარე, მას შეუძლია თავდებადობის საფუძველზე წარმოშობილ მოთხოვნას დაუპირისპიროს ყველა ის შესაგებელი, რომლის წარდგენა ძირითად მოვალეს შეუძლია. ამ შესაგებლებს ასევე მიეკუთვნება შესაგებელი ძირითადი ვალდებულების ხანდაზმულობის გამო. ამდენად, მეორე მოპასუხემ სწორად მიუთითა ყველა იმ შესაგებელზე, რომელიც პირველ მოპასუხეს ჰქონდა.

სასამართლო ხარჯებზე გამოტანილი გადაწყვეტილება გამომდინარეობს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებიდან.

#### **4. სარეზოლუციო ნაწილი:**

სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

სასამართლო ხარჯები დაეკისროს მოსარჩელეს.

*(გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადისა და წესის შესახებ მითითებული უნდა იქნეს სსკ-ის 249-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად).*



საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5, 52-ე, 59-ე, 72-ე, 74-ე, 81-ე, 83-ე, 103-ე, 104-ე, 106-ე, 326-ე, 337-ე, 342-ე, 346-348-ე, 352-ე, 355-ე, 361-ე, 369-ე, 394-ე, 396-ე, 405-ე, 407-ე, 442-ე, 487-488-ე, 490-491-ე, 494-ე, 497-ე, 976-ე, 979-ე, 981-ე მუხლები; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 127-ე, 140-ე, 162-ე მუხლები.

### **Tematika:**

უსაფუძვლო გამდიდრება. შეცდომით ან მოტყუებით დადებული გარიგების ბათილობა. წარმომადგენლის პასუხისმგებლობა. ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას უნაკლო ნივთის გადაცემის მოვალეობა. პასუხისმგებლობის გამორიცხვა. მიღებული სარგებლის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები.

### **A. აღწერილობითი ნაწილი:**

მოსარჩელემ მოპასუხის – ავტომანქანებით მოვაჭრის – ეზოში შეარჩია ნახმარი ავტომანქანა „ფოლქსვაგენ პასატი“.

ავტომანქანაზე მიმაგრებული იყო აბრა, რომელზედაც აღნიშნული იყო: 75.000 კმ.

მოპასუხის თანამშრომელთან – X-თან – მოლაპარაკების შემდეგ მოსარჩელემ შეიძინა ავტომანქანა 12.000 ლარად. ნერილობით გაფორმებულ ნასყიდობის სტანდარტულ ხელშეკრულებაში მითითებული იყო: „წინა მესაკუთრის მიერ მონოდებული მონაცემების მიხედვით ავტომანქანას ავარია არ შემთხვევია“.

ხელშეკრულებაში ასევე აღნიშნული იყო: „გამყიდველის მიერ ნაკლის მქონე ნივთის მინოდებისას მისი პასუხისმგებლობა გამორიცხულია“.

ნახევარი წლის შემდეგ მოსარჩელემ ავტომანქანა პროფილაქტიკაში

მიიყვანა, სადაც მან შეიტყო, რომ ავტომანქანას ჰქონდა ავარიის შედეგად მიყენებული, ცუდად შეკეთებული დაზიანებები. ძრავის მდგომარეობის მიხედვით ავტომანქანას გავლილი უნდა ჰქონოდა 150.000 კმ-ზე მეტი. აქედან თავად მოსარჩელეს გავლილი ჰქონდა მხოლოდ 10.000 კმ.

მოსარჩელემ განაცხადა ნასყიდობის ხელშეკრულების შეცვლა იმ საფუძველზე, რომ გარიგება მოტყუებით დაიდო და მოითხოვა გადახდილი საფასურის უკან დაბრუნება.

მოსარჩელე ამტკიცებს, რომ მოპასუხის (გამყიდველი) თანამშრომელმა X-მა, რომელთანაც მან მოლაპარაკება აწარმოა, მოატყუა იგი, კერძოდ, დააჯერა სპიდომეტრის მონაცემების სისწორეში და იმაში, რომ ავტომანქანას არასდროს შემთხვევია ავარია. ამ საუბარს მოსარჩელის მეუღლეც ესწრებოდა.

მოგვიანებით ორივე მონაცემი არასწორი აღმოჩნდა.

იმ პერიოდში, როდესაც ავტომანქანა მოსარჩელის მფლობელობაში იყო, იგი ავარიაში არ მოყოლილა. ამის დასამტკიცებლად და მოპასუხის თანამშრომლის ნათქვამის დასადასტურებლად მოსარჩელე მიუთითებს მონმის, მისი მეუღლის, ჩვენებაზე, ხოლო სხვა საკითხებთან დაკავშირებით – ექსპერტის დასკვნაზე.

მოსარჩელე მოითხოვს, რომ მოპასუხეს დაეკისროს გადახდილი საფასურის – 12.000 ლარის უკან დაბრუნება.

მოპასუხე მოითხოვს, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

მოპასუხე ამტკიცებს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების დადება მას ავტომანქანის ადრინდელი მესაკუთრის, B-ს, სახელით სურდა, მაგრამ შემთხვევით X-მა შეცდომით სხვა ფორმულარი გამოიყენა. ხელშეკრულების მონაცემები სწორი იყო, განსაკუთრებით, მითითება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელისათვის ავტომანქანის გადაცემამდე იგი ავარიაში არ მოყოლილა. ხელშეკრულებაში მითითებული მონაცემების გარდა X-ს მოსარჩელისათვის სხვა განმარტება არ მიუცია. ამასთან დაკავშირებით მოპასუხე მოითხოვს, რომ X-ის მიერ ავტომანქანის მდგომარეობის შესახებ მიწოდებული ინფორმაცია შემონმდეს ექსპერტის დასკვნის საფუძველზე. მოსარ-

ჩელემ ასევე უნდა აანაზღაუროს ავტომანქანის გამოყენების შედეგად მიღებული სარგებელი. გარდა ამისა, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით გამოირიცხა გამყიდველის პასუხისმგებლობა ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას.

### **B. სამართლებრივი დასკვნა:**

1) შეცილების შემთხვევაში, კერძოდ, მოტყუებით დადებული გარიგების ბათილობის მოთხოვნის დროს, საქმის გარემოებების სამართლებრივი შეფასება დაკავშირებულია მთელ რიგ სირთულეებთან.

მოსამართლემ იცის, რომ მხარის მიერ **შეცილების თაობაზე ნების გამოვლენა**, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, უშუალოდ განაპირობებს გარიგების ბათილობას, თუ მოცემულია **შეცილების საფუძველი**, მაგალითად, გარიგება მოტყუებით იქნა დადებული სკ-ის 81-ე მუხლის გაგებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად შეცილება ხორციელდება მეორე მხარის მიმართ, ადგილი აქვს ე.წ. **აღმჭურველ ნების გამოვლენას**, რომლის განხორციელებაც **უშუალოდ** ცვლის უფლებრივ მდგომარეობას, თუკი შეცილების საფუძველი არსებობს. ხოლო, შეცილების უფლების მქონე პირის შესაბამისი ნების გამოვლენა უკვე განაპირობებს გარიგების ბათილობას. ამისათვის სასამართლოს გადანყვეტილება არ არის საჭირო.

თუ მხარეებს შორის წამოიჭრება დავა შეცილების ნამდვილობის თაობაზე, სასამართლო მხოლოდ **დეკლარაციულად** ადგენს, არის თუ არა შეცილება დასაბუთებული. სასამართლოს გადანყვეტილება არც ერთ შემთხვევაში **კონსტიტუციურად** არ განაპირობებს გარიგების ბათილობას.<sup>1</sup>

განხორციელებული შეცილებით და დამდგარი შედეგით მხარე იბოჭება. ამ შედეგის გამოსწორება მას მოგვიანებით აღარ შეუძლია, მაშინაც კი, თუ ინანებს, რომ შეცილება განახორციელა და ხელშეკრულება მოშალა, რადგან შესაძლოა სახელშეკრულებო მოთხოვნებს მისთვის მეტი სარგე-

<sup>1</sup> შეად. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, „სამართალი“, თბილისი, 1997წ, გვ. 388.

ბელი მოეტანა.<sup>2</sup> შეცილების შედეგად ხელშეკრულების მოშლის შემდეგ მხარეს უფლება აქვს წარადგინოს მოთხოვნები მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად. ამ დებულებათა ამოქმედება დასაშვებია, თუ გარიგება დადების მომენტიდანვე ბათილია ან მოგვიანებით გახდება ბათილი.

პროცესუალური თვალსაზრისით მოქმედებს შემდეგი: თუ სასამართლო დაადგენს, რომ მოწინააღმდეგე მხარე, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე და ასეა ეს ამ შემთხვევაშიც, **შეცილების საფუძველს სადავოდ ხდის**, აზრს კარგავს ამ საკითხთან დაკავშირებით მტკიცებულებათა საფუძვლიანი შეგროვება მხოლოდ იმ გარემოების დასადგენად, არსებობს თუ არა მხარეებს შორის ხელშეკრულება. თუ გამოცდილი მოსამართლე შეამჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა დასაბუთებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულება ძალაში რჩება და არ არსებობს შეცილების საფუძველი, მაშინ მას შეუძლია იხელმძღვანელოს იმ გარემოებით, რომ მოსარჩელე პროცესში **უარყოფს** საკუთარ მტკიცებას იმის თაობაზე, რომ მასთან გარიგება მოტყუებით დაიდო. მხარის ამგვარი პოზიცია პროცესუალურად დასაშვებია და არა თუ წინააღმდეგობაში არ მოდის სსკ-ის 127-ე მუხლით მხარისათვის დადგენილ მოვალეობასთან, რომ ახსნა-განმარტების მიცემისას მიუთითოს მისთვის ცნობილ გარემოებაზე, არამედ ექცევა სსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მოქმედების ქვეშ და შეჯიბრობითობის პრინციპის ფარგლებში.

მხარეები ველარ შეძლებენ აღადგინონ მდგომარეობა, რომელიც მათ მატერიალურ-სამართლებრივად ნამდვილი ნების გამოვლენამდე ჰქონ-

---

<sup>2</sup> ადვოკატმა, რომელიც კლიენტს კონსულტაციას უწევს, მოტყუებით დადებული გარიგების საქმის თაობაზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს და საფუძვლიანად უნდა შეამოწმოს მიზანშეწონილია თუ არა ხელშეკრულების შეცილება. როგორც წესი, სახელშეკრულებო მოთხოვნები განაპირობებენ მხარისათვის უფრო მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგების დადგომის შესაძლებლობას და უქმნიან უფრო ხელსაყრელ სამართლებრივ საფუძველს, რის გამოც ხელშეკრულების შენარჩუნება უმჯობესია: ხელშეკრულების შედეგად მიღებული შესრულების ორივე მხარის მიერ უკან დაბრუნების მოთხოვნებთან ერთად შესაძლებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენაც სკ-ის 394-ე, 407-ე მუხლების შესაბამისად. ამ უკანასკნელი მოთხოვნის წარდგენის წინაპირობა კი ნამდვილი სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობაა.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ დამატებითი მოხსენების თაობაზე იხ. ქვემოთ, 5), ბ).

დათ, თუმცა პროცესუალურად შეუძლიათ შესაბამისი მოხსენებით უარყოფილ შემთხვევების საფუძველი და დაეთანხმონ მონინალმდევე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რის შედეგადაც შეცილება პროცესში საერთოდ დაკარგავს მნიშვნელობას.

სასარჩელო წარმოებისას მოსარჩელე თავს შეიკავებს იმ მტკიცებულებების შეგროვებისა და წარდგენისაგან, რომლებიც დაკავშირებულია გარიგების მოტყუებით დადების გარემოებასთან და შეინარჩუნებს მისთვის მეტად ხელსაყრელ სახელშეკრულებო მოთხოვნებს.

ამდენად მიზანშეწონილია, რომ მოსამართლემ სამართლებრივი შემოწმება სახელშეკრულებო მოთხოვნებით დაიწყოს.

2) სახელშეკრულებო მოთხოვნათა საფუძველები გამომდინარეობს ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმებიდან, კერძოდ, გამყიდველის მიერ ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას მისი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი დებულებებიდან სკ-ის 487-ე, 488-ე, 490-ე, 491-ე, 352-ე, 405-ე მუხლების შესაბამისად.

ა) მხარეთა მიერ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოდგენილია.

მოპასუხის შესაგებელი, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა მასთან არ უნდა წარმოშობილიყო, რადგან მას სურდა მხოლოდ ავტომანქანის აღრინდელი მფლობელის, B-ს, სახელით ემოქმედა, ნაკლებად მნიშვნელოვანია. სხვისი სახელით მოქმედების ნებას, სკ-ის 104-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც იგი გარეგნულად საკმარისად ნათლად არის გამოხატული. თავად მოპასუხეც არ მიუთითებს ამგვარ გარემოებაზე.

ბ) ხელშეკრულება ნამდვილია მას შემდეგ, რაც მოსარჩელე, როგორც აღინიშნა, აღარ ცდილობს პროცესუალურად დაამტკიცოს გარიგების მოტყუებით დადების ფაქტი.

გ) ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას სკ-ის 487-ე, 488-ე მუხლის პირველი ნაწილის, 490-ე, 491-ე, 352-ე, 405-ე მუხლების შესაბამისად, მყიდველს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. სკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის, 491-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულებათა თანახმად მიღებული შესრულება უნდა დაბრუნდეს.

აა) ისევე როგორც შეცვილება, ხელშეკრულებაზე უარის თქმაც წარმოადგენს **მატერიალურ-სამართლებრივი აღმჭურველი უფლების** განხორციელებას. შესაბამისად, აუცილებელია ხელშეკრულებაზე უარის თქმის **შესახებ ნების გამოვლენა** და ხელშეკრულებაზე უარის თქმის **საფუძვლის** არსებობა.

ბბ) შესაბამისი **ნების გამოვლენა** გამომდინარეობს კონკლუდენტურად მოსარჩელის მიერ შეცვილების განხორციელებიდან: აღნიშნულით მოსარჩელეს სურს ნათლად გამოხატოს, რომ არ სურს ხელშეკრულების შენარჩუნება. სკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად ამგვარი ნების გამოვლენა შესაძლოა განიმარტოს როგორც ხელშეკრულებაზე უარის თქმა.

გგ) მოსარჩელის ახსნა-განმარტების მიხედვით, რაც მოპასუხის მიერ სადავოდ არის გამხდარი, ნივთს ნაკლი აქვს და ამდენად, არსებობს ხელშეკრულებაზე უარის თქმის **საფუძველი**: ავტომანქანას ჰქონდა ავარიის შედეგად მიყენებული მნიშვნელოვანი დაზიანებები. უდავოა, რომ მოპასუხეს არ სურდა ამ გარემოების გამჟღავნება. შესაბამისად, არსებობდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეთანხმების დარღვევა სკ-ის 488-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით.<sup>3</sup> იგივე გავრცელება გარემოებაზე, რომ ავტომანქანას მნიშვნელოვნად მეტი აქვს გავლილი, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. სკ-ის 488-ე მუხლის პირველი ნაწილით, ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. მოცემულ შემთხვევაში შეთანხმებული ხარისხია ავტომანქანაზე მიმაგრებულ აბრაზე მოცემული კილომეტრული მაჩვენებელი (75.000 კმ).

ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, სკ-ის 490-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოპასუხეს უფლება აქვს, რომ თავად გამოასწოროს ეს ნაკლი ან გვაროვნული ნივთის შემთხვევაში შეცვალოს უნაკლო ნივთით.

---

<sup>3</sup> **სუბიექტური ნაკლის ცნებაზე** ბევრი რამ არის დამოკიდებული: გადამწყვეტია, რომ მიწოდებული ნივთი ნეგატიურად არ შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნივთს. ამდენად, სახელშეკრულებო შეთანხმების შინაარსი მცდარია. აღნიშნულის საპირისპირო შემთხვევაში შესაძლებელია, რომ ნაკლის მქონე ნივთი, მაგალითად ჟანგმოკიდებული ავტომანქანა, გაიყიდოს და ამასთან, შემძენს არ წარმოეშვას მოთხოვნები გამყიდველის მიმართ ნივთის ნაკლის გამო. ამ შემთხვევაში უნდა არსებობდეს წინაპირობა, რომ ეს „ავტომანქანა“ გაიყიდოს, როგორც დაჟანგული ავტომანქანა. თუ ეს ხარისხი ხელშეკრულების დადებისას შეთანხმებული იყო, ნივთი არ ჩაითვლება ნაკლის მქონედ სკ-ის 488-ე მუხლის გაგებით.

აღნიშნული გამომდინარეობს სკ-ის 491-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, 352-ე მუხლის პირველი ნაწილის მითითებიდან 405-ე მუხლზე, რომელიც, თავის მხრივ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისას ითვალისწინებს დამატებით ვადას, თუმცა, მხოლოდ გვაროვნული ნივთის შემთხვევაში<sup>4</sup>. ნახმარი ავტომანქანა არ მიეკუთვნება გვაროვნულ ნივთს. იგი ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთია. გარდა ამისა, შეუძლებელია, რომ გამყიდველმა მოახერხოს იდენტური, უნაკლო ნახმარი ავტომანქანის შეთავაზება და შეცვლა.

ასეთ ნაკლზე საუბრისას ნაკლის გამოსწორების უფლება, რომელიც უპირატესია ნივთის შეცვლის უფლების მიმართ, მხედველობაში არ მიიღება: ავარიის შედეგად მიყენებული მნიშვნელოვანი დაზიანებების შემდგომში ისე გამოსწორება თითქოს დაზიანებებს საერთოდ არ ჰქონოდა ადგილი, საფუძვლიანი შეკეთების<sup>5</sup> შემთხვევაშიც კი არ არის შესაძლებელი, ისევე როგორც განარბენი მაღალი კილომეტრაჟის მაჩვენებლის გამოსწორება.

ორივე ნაკლი, რომლის არსებობის დადასტურებასაც მხარე ცდილობს, მოსარჩელეს ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ მოპასუხისაგან მოითხოვოს ხელშეკრულების შედეგად მიღებული შესრულების უკან დაბრუნება, კერძოდ, გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.

დღ) ნასყიდობის ხელშეკრულების იმ შეთანხმების თაობაზე, რომელიც გამორიცხავს გამყიდველის პასუხისმგებლობას ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას, არსებობს მთელი რიგი მოსაზრებანი: დასადგენია, მოსარჩელეს არ შეუძლია უნაკლო ნივთის გადაცემის მოვალეობის საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნის წარდგენა სკ-ის 497-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებების თუ ნივთის ნაკლის გამო.

<sup>4</sup> გვაროვნული ნივთის ლეგალური დეფინიცია სკ-ში არ არის მოცემული, თუმცა სამოქალაქო კოდექსის კომენტარში მისი განმარტება მოცემულია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გვ. 327: რაოდენობით, წონით და ზომით განსაზღვრული ნივთები.

<sup>5</sup> ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ნახმარი ავტომანქანებით ვაჭრობაშიც მძიმე ავარიის შემდეგ სათანადოდ შეკეთებულ ავტომანქანას ყოველთვის ნაკლები ღირებულება აქვს იმ ავტომანქანასთან შედარებით, რომელსაც ავარია არ შემთხვევია, რადგან ავარიის შემთხვევაში არსებობს საფრთხე, რომ ავტომანქანას შესაძლოა სხვა დაზიანებებიც ჰქონდეს, რომელთა აღმოჩენა ამ ეტაპზე არ არის შესაძლებელი და შესაბამისად, მხედველობაშია მისაღები ე.წ. კომერციული შემცირებული ღირებულება, რაც, როგორც წესი, გამოიხატება ავტომანქანის შემცირებულ ფასში.



როგორც ნესი, ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვის გამო გამყიდველის პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმების მოქმედების შეზღუდვა ან გამორიცხვა ნასყიდობის ხელშეკრულებისას დასაშვებია და ნამდვილია.

თუმცა, არსებობს გარკვეული გამონაკლისებიც:

(1) სკ-ის 497-ე მუხლის შესაბამისად გამყიდველის პასუხისმგებლობის გამორიცხვა არ არის ნამდვილი, თუ გამყიდველი განზრახ დუმდა ნივთის ნაკლის შესახებ.

კანონით დადგენილი ეს ზღვარი ისევე გვაბრუნებს გარიგების განზრახ მოტყუებით დადების მტკიცებასთან დაკავშირებულ საკითხებთან: აქაც, სარჩელის წარმატება დამოკიდებულია იმ გარემოებაზე, შეძლებს თუ არა მოსარჩელე დაამტკიცოს, რომ ავტომანქანას ავარია შეემთხვა და რომ მოპასუხემ და შესაბამისად X-მა იცოდნენ ამის შესახებ ან, როგორც დარგის სპეციალისტები, განზრახ არიდებდნენ თავს ამ გარემოების შეცნობას.<sup>6</sup>

მოთხოვნის ალტერნატიული საფუძველი, რომელიც გამომდინარეობს უნაკლო ნივთის გადაცემის მოვალეობის დამდგენი ნორმებიდან, მოსარჩელეს არ უმჯობესებს უფლებრივ მდგომარეობას მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით.

(2) ცნობილია, რომ სკ-ის 497-ე მუხლი ანალოგიით გამოიყენება (სკ-ის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი), თუ საუბარია **შეთანხმებულ თვისებებზე**: როდესაც გამყიდველი ხელშეკრულების დადებისას კისრულობს განსაზღვრული თვისებების მქონე ნივთის გადაცემის მოვალეობას, ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება, თუ გადაცემული ნივთი იქნება ამ თვისებების მქონე. იმავე ხელშეკრულებით მას არ შეუძლია გამორიცხოს პასუხისმგებლობა ამ შეთანხმებისათვის. ამგვარი ქმედება ეწინააღმდეგება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპს, კერძოდ, მართლსაწინააღმდეგო ქმედების აკრძალვას და შესაბამისად - სკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილს.

იგივე შედეგს მივიღებთ სკ-ის 52-ე მუხლის თანახმად და ორივე მხარის მიერ განხორციელებული შესრულების განმარტებისას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე პასუხს აგებს ნასყიდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმების, კერძოდ, ნაკლის

<sup>6</sup> იხ. ზემოთ, 1).

მქონე ნივთის გაყიდვისას გამყიდველის პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი დებულებების შესაბამისად, რამდენადაც X-მა მოსარჩელეს უეჭველად დაუდასტურა, რომ ავტომანქანას ავარია არასდროს შემთხვევია. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულებით შესაბამისი პასუხისმგებლობის გამორიცხვა, სკ-ის 497-ე მუხლის ანალოგიით გამოყენებისას, არ იქნებოდა ნამდვილი.

იგივე შეიძლება ითქვას განარბენი კილომეტრული მონაცემების შესახებ: ამ გარემოების თაობაზე არასწორი მონაცემების მიწოდება არ არის საკმარისი, რომ ვივარაუდოთ მოპასუხის მხრიდან გარიგების მოტყუებით დადების განზრახვის არსებობა. მოსარჩელე თავად არ ამტკიცებს, რომ მოპასუხემ ან X-მა იცოდნენ ან შეეძლოთ სპიდომეტრის არასწორი მონაცემების შეცნობა. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამგვარი არასწორი მონაცემების დასადგენად, ხშირ შემთხვევაში, საფუძვლიანი შემოწმება და გაზომვა საჭირო და უბრალო ზოგადი მაჩვენებლებით შეფასება რთულია. ამგვარი არასწორი მონაცემების მიწოდება, როგორც წესი, არ არის საკმარისი საფუძველი ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს გარიგების მოტყუებით დადების განზრახვასთან.

თუმცა, თუ გამყიდველმა განზრახ დაადასტურა არასწორი მონაცემები, სკ-ის მე-5 მუხლის საფუძველზე 497-ე მუხლის ანალოგიის წესით გამოყენებისას, გამყიდველის პასუხისმგებლობის ხელშეკრულებით გამორიცხვა ბათილია და ამდენად, მოსარჩელეს ეხსნება გზა, რომ წარადგინოს მოთხოვნა ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა ავტომანქანის სპიდომეტრის მონაცემთა უზუსტობა, რომ ავტომანქანამ რეალურად ორჯერ მეტი კილომეტრი გაიბრძინა და თუ შემდგომ დამტკიცდა, რომ X-მა განზრახ ამტკიცა სპიდომეტრის არასწორ მონაცემთა სისწორე, სარჩელის საფუძველი გამყიდველის მიერ ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას პასუხისმგებლობის გამორიცხვის მარეგულირებელი ნორმები გახდება.

ამგვარი მონაცემები სპეციალისტთან ან ავტომანქანებით მოვაჭრე მენარმესთან, როგორც წესი, უკვე მოცემულია კილომეტრული განარბენის ამსახველ, მყიდველთათვის განკუთვნილ შესაბამის აბრაზე.

(3) განზრახვასთან ან მიწოდებულ მონაცემებთან დაკავშირებული

პრობლემები არ წამოიჭრება, თუ პასუხისმგებლობის გამომრიცხველი შეთანხმება სხვა საფუძვლით არის ბათილი: მოპასუხის განზრახვისა და მტკიცების მიუხედავად შესაძლებელია ნასყიდობის ხელშეკრულების, კერძოდ, ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას გამყიდველის პასუხისმგებლობის გამომრიცხვის მარეგულირებელი ნორმების უშუალოდ გამოყენება.

(3.1) ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას გამყიდველის პასუხისმგებლობის გამომრიცხვის ბათილობა გამომდინარეობს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ნამდვილობის შესახებ დებულებებიდან სკ-ის 342-ე მუხლის შესაბამისად.

სკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების სტანდარტული პირობებია მხარეთა მიერ წინასწარ ჩამოყალიბებული ხელშეკრულების პირობები, გამიზნული მრავალი ხელშეკრულების დასადავებად<sup>7</sup> და რომლებიც, მოცემულ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულების, კერძოდ, პასუხისმგებლობის გამომრიცხავი შეთანხმების მარეგულირებელი ნორმების, კანონით დადგენილი წესების დამატებას წარმოადგენენ ან მათგან განსხვავებულ წესებს ადგენენ. ამასთან, მნიშვნელოვანია არა ამ პირობათა გარეგნული სახე,<sup>8</sup> არამედ ხასიათი და ძირითადი გამოყენების

<sup>7</sup> ამასთან, საკმარისია მხოლოდ გამოყენების **განზრახვა**, რომ პირობების გამოყენება მომავალშიც და არა მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში განმეორდეს: ამ შემთხვევაში ამოქმედდება სკ-ის 342-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებები.

გარდა ამისა, პირობები გამოყენების მიერ არ უნდა იყოს შემუშავებული: პირი, მათ შორის კერძო პირი, რომელიც მოიპოვებს ავტომანქანით მოვაჭრის სტანდარტულ პირობებს და მათ ავტომანქანის გაყიდვის საფუძვლად გახდის ან თავის ბინას ფორმულარი-ხელშეკრულების საფუძვლზე აქირავებს, ექცევა სკ-ის 342-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებების მოქმედების ქვეშ, თუ მოცემულია სხვა წინაპირობებიც, განსაკუთრებით, თუ პირობები გამიზნულია მრავალჯერადი გამოყენებისათვის ან ყოველ შემთხვევაში, ამისკენ მიმართულია შესაბამისი განზრახვა.

<sup>8</sup> შესაძლოა პირობები მოთავსებული იყოს ხელშეკრულების უკანა გვერდზე და დაბეჭდილი „პატარა შრიფტით“ ან, როგორც ჩვენს შემთხვევაში, წარმოდგენილი ბლანკის სახით ფორმულარი-ხელშეკრულების ფორმით ან მოცემული იყოს ხელშეკრულების დანართში, როგორც ეს ხდება ბანკების ან სადაზღვევო კომპანიების მიერ პირობების გადმოსაცემად. შესაძლოა პირობები განთავსებული იყოს ვაჭრობის ადგილას აბრაზე, როგორც ეს ხდება ქიმშენდის ან შეკეთებულ სახელოსნოებში. მაგალითისათვის ასევე შეიძლება მოვიშველიოთ თუნდაც სანოტარო ხელშეკრულებები, რომელთაც ერთიდაიგივე შინაარსი აქვთ და ცალმხრივად ხდება მათი ფორმულირება, რაც გამიზნულია მრავალჯერადი გამოყენებისათვის: ტიპიური მაგალითებია საცხოვრებელ სახლში არსებული ბინების გაყიდვის თაობაზე დადებული სანოტარო ხელშეკრულებები, როდესაც საცხოვრებელი სახლის მესაკუთრე (სამშენებლო საწარმო ან გამყიდველი) კლიენტების მიმართ ერთიდაიმავე პირობებს იყენებს.

მიზანი, განსაკუთრებით – იქცევინ თუ არა ისინი, ჩვეულებრივ, ხელშეკრულების შინაარსად, მხარეთა დამატებითი შეთანხმების გარეშე (სკ-ის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

განსახილველ შემთხვევაში შესაბამისი პირობები მოპასუხის მიერ არის ჩამოყალიბებული და ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში მოცემული. გასათვალისწინებელია, რომ ასე უნდა ხდებოდეს ძირითადად და არა ცალკეულ შემთხვევებში. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ პირობები არ განსაზღვრულა. ამდენად, საქმე გვაქვს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან.

(3.2) ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად გადაქცევა ასევე ნამდვილია სკ-ის 343-ე მუხლის შესაბამისად, რადგან მყიდველს შეუძლია მათ ფორმულარი-ხელშეკრულების საშუალებით გაეცნოს.<sup>9</sup> გარდა ამისა, პირობები არ არის განსაცვიფრებელი და უჩვეულო სკ-ის 344-ე მუხლის გაგებით. უფრო მეტიც, ხელშეკრულებით გამყიდველის პასუხისმგებლობის გამორიცხვა საკმაოდ გავრცელებულია ნახმარი ავტომანქანებით ვაჭრობისას. კანონი სკ-ის 497-ე მუხლში თავად ითვალისწინებს ამგვარი წესების ზოგადი დასაშვებობას.

(3.3) ამ საფუძვლების გამო დებულება ასევე არ ეწინააღმდეგება სკ-ის 346-ე მუხლში გათვალისწინებული ნდობისა და კეთილსინდისიერების

---

<sup>9</sup> შემთხვევის შემონმება, რომელიც შეეხება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, როგორც წესი, ხდება ოთხ საფეხურად: უპირველეს ყოვლისა, დასადგენია, გვაქვს თუ არა საქმე ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან სკ-ის 342-ე მუხლის გაგებით.

მეორე, თუ მათი ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად გადაქცევა ნამდვილია. სკ-ის 343-ე მუხლის შესაბამისად და ხომ არ არის მათი ფორმულირება უჩვეულო სკ-ის 344-ე მუხლის გაგებით.

მესამე საფეხურზე უნდა მოხდეს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების განმარტება, თუ მათი შინაარსი არ არის ნათელი. სკ-ის 52-ე, 337-ე მუხლებით დადგენილ განმარტების ზოგად წესებთან ერთად მნიშვნელობას იძენს სკ-ის 345-ე მუხლით გათვალისწინებული დებულება, ე.წ. ბუნდოვანი ტექსტის მეორე მხარის სასარგებლოდ განმარტების წესი, რომლის შესაბამისად სტანდარტული პირობების ტექსტის არაერთმნიშვნელოვანი ფორმულირების გამო საექვოობისას პირობები მათი გამოყენების საზიანოდ განიმარტება.

ბოლო საფეხურზე უნდა განხორციელდეს შინაარსის შემონმება სკ-ის 346-ე - 348-ე მუხლების შესაბამისად. ამ დებულებათა თანახმად, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არ ჩაითვლება ნამდვილად, როგორც წესი, სკ-ის 346-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან საქმიან ბრუნვაში, როდესაც ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეები არ მისდევენ სამენარმოე საქმიანობას (სკ-ის 347-ე, 348-ე მუხლები).

პრინციპს და არ ხელყოფს ხელშეკრულების მხარის ინტერესებს. პირიქით, ნახმარი ავტომანქანებით ვაჭრობისას იძლევა გამყიდველის პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესაძლებლობას.

(3.4) შესამონმებელია მხოლოდ სკ-ის 347-ე, 348-ე მუხლებით დადგენილი დებულებანი, რომლებიც ითვალისწინებს სტანდარტული ხელშეკრულების რიგი ტიპური პირობების ბათილობას, რომლებსაც შემთავაზებელი იყენებს იმ ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც არ მისდევენ სამენარმეო საქმიანობას.

მოსარჩელე, რომელმაც ავტომანქანა აშკარად პირადი მიზნებისათვის შეიძინა, ექცევა ამ ნორმების დაცვის ქვეშ.

გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები სკ-ის 348-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტი: შემთავაზებლის პასუხისმგებლობის გამორიცხვა ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით ბათილია, როდესაც ნივთობრივად უნაკლო ნივთის გადაცემის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება **ახლადწარმოებული** ნივთებით.

ამდენად, **ნახმარი** ავტომანქანის შექენაზე ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება.

(3.5) თუმცა გასათვალისწინებელია შეუსაბამობა სკ-ის 348-ე მუხლის ვ) პუნქტთან და სკ-ის 494-ე, 394-ე, 407-ე მუხლებთან. დებულების თანახმად, უხეში გაუფრთხილებლობით ვალდებულების დარღვევის გამო წარმოშობილი ზიანისათვის პასუხისმგებლობა არ გამოირიცხება, თუმცა, ზოგადი წესების შესაბამისად გამყიდველმა ამისათვის პასუხი უნდა აგოს.

სკ-ის 487-ე მუხლის თანახმად, გამყიდველი ვალდებულია მყიდველს უნაკლო ნივთი გადასცეს. ამ ვალდებულების დარღვევისას ის პასუხს აგებს ზიანის ანაზღაურების შესახებ ზოგადი წესების შესაბამისად სკ-ის 494-ე მუხლის საფუძველზე, ანუ, 394-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 395-ე მუხლის შესაბამისად ბრალის ნებისმიერი სახის არსებობის შემთხვევაში და ამდენად, ასევე – გაუფრთხილებლობისას. იგივეს ითვალისწინებს სკ-ის 405-ე მუხლი და 407-ე მუხლი ორმხრივი ხელშეკრულების (საპასუხო შესრულების) დროს.

ორივე შემთხვევაში ვალდებულების დარღვევისას უნდა დავუშვათ ბრალის არსებობა (სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, 199

სკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რაც გამყიდველის პასუხისმგებლობის გამკაცრებას გამოიწვევს.

გამყიდველის პასუხისმგებლობა დგება არა მხოლოდ მიყენებული ზიანისათვის, რომელიც საკუთრივ ნივთის ნაკლიდან გამომდინარეობს და მყიდველის სხვა სამართლებრივ სიკეთეზეც აისახება<sup>10</sup> (ე.წ. ნივთის ნაკლის გამო მოგვიანებით წარმოშობილი ზიანი), არამედ ასევე მოიცავს მოთხოვნებს, რომლებიც ნივთის ნაკლის გამო წარმოიშობიან.<sup>11</sup>

როგორც წესი, სკ-ის 497-ე მუხლის საფუძველზე ასეთი მკაცრი პასუხისმგებლობა შესაძლებელია მხოლოდ განზრახვისათვის. ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში ამის დადგენა სკ-ის 348-ე მუხლის მე-6 ნაწილის გამო შეუძლებელია. ბოლო პირობა, რომელიც გამყიდველის ნებისმიერ პასუხისმგებლობას გამორიცხავს, ისე რომ არ შემოიფარგლება მხოლოდ უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევებით, სკ-ის 348-ე მუხლის ვ) ქვეპუნქტთან შეუსაბამობის გამო ბათილია.<sup>12</sup>

---

<sup>10</sup> მაგალითად, მყიდველს, ავტომაქსის ნაკლის გამო ავარია შეემთხვა და მის ჯანმრთელობას ზიანი მიადგა ან მყიდველს, რომელმაც ვერ შეძლო შეძენილი სავაჭრო საქონლის ნაკლის გამო მისი გაყიდვა, არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება ნივთის ნაკლის გამო და შესაბამისად, საქმეში ზარალი ნახა (მიუღებელი შემოსავალი, სკ-ის 411-ე მუხლი).

<sup>11</sup> სკ-ის 494-ე მუხლი ადგენს გამყიდველის მიერ ზიანის ანაზღაურების მოვალეობას როგორც თავად ნივთის ნაკლის გამო, ისე სხვა მოვალეობების დარღვევისათვის, განსაკუთრებით დამატებითი მოვალეობებისათვის, როგორც არის რჩევისა და ახსნა-განმარტების მიცემის მოვალეობა.

ამ დებულების შესაბამისად შესაძლოა დადგეს პასუხისმგებლობა საკუთრივ ნივთის ნაკლის გამო და ამის საწინააღმდეგო მოსაზრებები არ არსებობს.

სკ-ის 494-ე მუხლის დებულება ნასყიდობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ ისე უნდა იქნეს გაგებული, რომ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემის მოვალეობის მარეგულირებელი ნორმებიდან გამომდინარე სკ-ის 487-ე მუხლის შესაბამისად ნივთის ნაკლის გამოსწორების ან გვაროვნული ნივთის შემთხვევაში მისი ახლით შეცვლის, ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან ფასის შემცირების მოთხოვნის უფლებების წარმოშობის საფუძველს უკვე ნივთის ნაკლი წარმოადგენს. თუ გამყიდველმა დაარღვია ზემოთ აღნიშნული მოვალეობანი, მაშინ მის წინააღმდეგ მოთხოვნების წარმოშობის საფუძველი სკ-ის 494-ე მუხლიდან გამომდინარეობს.

<sup>12</sup> ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შესახებ კანონით დადგენილ დებულებებთან შეუსაბამოა განაპირობებს პირობის **მთლიანად ბათილობას**. ამდენად, მისი შენარჩუნება შეუძლებელია იმ შემთხვევისაგან განსხვავებით, როდესაც პირობები კანონით არის დაშვებული. ჩვენს შემთხვევასთან მიმართებაში აღნიშნული ისე უნდა გავიგოთ, რომ პირობა იმ შინაარსითაც არ შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს, რომ გამყიდველი პასუხს აგებს მხოლოდ უხეში გაუფრთხილებლობის ან განზრახვისათვის. დანარჩენ შემთხვევებში ეს პირობა გამყიდველის სასარგებლოდ ისედაც ვერ ამოქმედდებოდა: იხ. ქვემოთ, შუალედური შედეგი 3).

(3.6) პასუხისმგებლობის გამორიცხვა ასევე შეუსაბამოა სკ-ის 348-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტთან. ძირითადი ვალდებულების შესრულების მოვალეობის განზრახ დარღვევისას ალტერნატიული „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით ეს დებულება გულისხმობს, რომ დაუშვებელია ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ნებისმიერი შეზღუდვა.

სკ-ის 487-ე მუხლის შესაბამისად უნაკლო საქონლის მიწოდების მოვალეობა ძირითადი ვალდებულებაა. პირობა **ძირითადი ვალდებულების** შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ, სკ-ის 348-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად ასევე ბათილია. მოპასუხე ასევე ვერ გამოიყენებდა პასუხისმგებლობის შეზღუდვას მხოლოდ უხეში გაუფრთხილებლობისას.

### 3) შუალედური შედეგი:

რადგან ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით პასუხისმგებლობის გამორიცხვა არ არის ნამდვილი, ავტომანქანის ყოველგვარი ნაკლისათვის მოპასუხე პასუხს აგებს კანონით გათვალისწინებულ დებულებების შესაბამისად. სკ-ის 491-ე, 352-ე, 405-ე მუხლების თანახმად მოპასუხე პასუხს აგებს ბრალეულობის მიუხედავად, რამდენადაც საუბარია უბრალოდ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებაზე და არა უფრო მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგის მქონე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე. მოცემულ შემთხვევაში ნაკლს წარმოადგენს, როგორც მოსარჩელისათვის ავტომანქანის გადაცემამდე ავარიის შედეგად მიყენებული დაზიანებები, ასევე მაღალი კილომეტრაჟი.

4) თუმცა, წარმატების შემთხვევაშიც სარჩელი სრულად მაინც არ დამაყოფილდება: მაშინაც კი, თუ მოსარჩელე უფლებამოსილი იყო უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე ეს უკანასკნელი ვალდებულია სკ-ის 352-ე, 491-ე მუხლების შესაბამისად უკან დააბრუნოს მიღებული შესრულება, კერძოდ, დააბრუნოს ავტომანქანა მიღებულ სარგებელთან ერთად (სკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილი).<sup>13</sup>

<sup>13</sup> აღნიშნულის საპირისპიროდ, ის პასუხს არ აგებს ნივთის ცვეთის გამო მისი დანიშნულები-სამებრ გამოყენების შემთხვევაში: სკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.



ავტომანქანის შემთხვევაში ტიპიურ სარგებელს წარმოადგენს განარბენი კილომეტრაჟი. რამდენადაც ამგვარი მოხმარების შედეგად მიღებული სარგებლის ნატურით ანაზღაურება შეუძლებელია, სკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნდა ანაზღაურდეს საგნის საერთო ღირებულება.

ნივთის ბუნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორები, როგორცაა ავტომანქანის ტიპი, მოდელი, გამოშვების წელი და განარბენი.

შეძლებისდაგვარად პრაქტიკული ანაზღაურების გამოანგარიშების საშუალების შემუშავება სასამართლოების ამოცანაა. მოსამართლე უფლებამოსილია თავად განსაზღვროს შესაბამისი თანხა.

მოცემული შემთხვევისათვის მიღებული სარგებლის გამო ასანაზღაურებელი თანხის გამოთვლა შესაძლებელია დაინყოს შემდეგი მაჩვენებლით: ერთ კილომეტრზე 10 თეთრი. ამგვარი გამოანგარიშებით მოპასუხის ანაზღაურების მოთხოვნა შეადგენს 1.000 ლარს, თუ მოსარჩელის ავტომანქანის განარბენი 10.000 კილომეტრია.

სასარჩელო მოთხოვნის წინააღმდეგ მიმართული ამ შეგებებული მოთხოვნით მოპასუხეს შეუძლია ვალდებულების გაქვითვა სკ-ის 442-ე მუხლის შესაბამისად.

სასამართლო არ არის ვალდებული მოპასუხის საპასუხო მოთხოვნები საკუთარი ინიციატივით წარადგინოს. მოთხოვნები ვითომ-კრედიტორს ანიჭებენ ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლებას სკ-ის 369-ე მუხლის შესაბამისად. უფლების განხორციელების შემთხვევაში<sup>14</sup> შეიზღუდება მოსარჩელის სასარგებლოდ სარჩელის სრულად დაკმაყოფილების შესაძლებლობა. მას უფლება აქვს, რომ გადახდილი თანხის უკან დაბრუნება მხოლოდ **საპასუხო შესრულების**, ავტომანქანის დაბრუნების შემდეგ მოითხოვოს. შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი: მოპასუხეს დაეკისროს გადახდილი თანხის დაბრუნება საპასუხო შესრულების, ავტომანქანის დაბრუნების, შემდეგ. სარჩელის დარჩენილი ნაწილის დაკმაყოფილებაზე, რომელშიც ჩამოყალიბე-

---

<sup>14</sup> ამასთან, საპასუხო შესრულებამდე ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლების განხორციელება კონკლუდენტურად უკვე ასახულია მოპასუხის მოთხოვნაში, რომ მხარეს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

ბულია შეუზღუდავი გადახდის მოთხოვნა მიღებული სარგებლის მხედველობაში მიუღებლად, მხარეს უარი უნდა ეთქვას და დაეკისროს შესაბამისი ხარჯები სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად.<sup>15</sup>

5) თუ მოსარჩელე მტკიცებას ნაკლის არსებობის დასაბუთების გზით წარმართავს, ის პროცესს მოიგებს, თუმცა, ზემოთ მოხსენებული შეზღუდვებით, რომლებიც გამომდინარეობენ მოპასუხის საპასუხო უფლებებიდან.

როგორც ზემოთ, 1) პუნქტში, უკვე აღინიშნა, გარიგების მოტყუებით დადების ფაქტი და შესაბამისად, მხარეთა სადავო მითითებანი საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე მნიშვნელოვანი არ არის. მოთხოვნის წარდგენის სხვა საფუძვლებთან შედარებისას, კერძოდ, საუბარია უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმების სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოშობილ მოთხოვნებზე, შესაძლოა დავასკვნათ, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ ამ გზით მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგი არ დადგება: სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ავტომატურად მან მოპასუხეს უკან უნდა დაუბრუნოს, ამ უკანასკნელს კი, თავის მხრივ, ხელშეკრულების ბათილობის შემთხვევაში უფლება აქვს მოსარჩელეს წაუყენოს მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე, კერძოდ, მოითხოვოს მიღებული შესრულების დაბრუნება.

მიღებული სარგებელი მოსარჩელემ სკ-ის 979-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად უნდა აანაზღაუროს.

---

<sup>15</sup> მაშინაც კი, როდესაც საპასუხო შესრულებამდე ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება მხედველობაში მხოლოდ მოსარჩელის მიერ შესაგებლის წარდგენის საფუძველზე უნდა იქნეს მიღებული, მოსარჩელის, შესაბამისად მისი ადვოკატის მხრიდან მეტად გონივრული ნაბიჯი იქნება, თუ ამ მოსალოდნელ შესაგებელს უკვე თავის სასარჩელო მოთხოვნებშივე გაითვალისწინებს და მოპასუხისაგან **შესრულებას საპასუხო შესრულების მიღების** შემდეგ მოითხოვს. ამ გზით, ის აირიდებს სარჩელის დაკმაყოფილებაზე ნაწილობრივ უარის თქმას და დასახელებულ, შესაბამის არასასურველ სასამართლო ხარჯებს. ადვოკატის მიერ სხვა გზის არჩევა მცდარი იქნებოდა და ამ უკანასკნელსა და მოსარჩელეს შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულებით (სკ-ის 629-ე მუხლი) ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო კლიენტს წარმოეშობოდა ადვოკატის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (სკ-ის 394-ე მუხლი).

მოთხოვნას არ ენინააღმდეგება სკ-ის 979-ე მუხლის მე-4 ნაწილი: ნორმის მიზანი, რომელიც განაპირობებს სახელშეკრულებო ურთიერთობათა ბათილობას, კერძოდ, წესები, რომლებიც იძლევიან მოტყუებით დადებული გარიგების შეცილების შესაძლებლობას, არ გამორიცხავენ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულების უკან დაბრუნებას ორივე მხარის მიერ. შეცილების მარეგულირებელი ნორმების მიზანია ხელშეკრულების მხარეთა ნების თავისუფლების დაცვა, რომლის ხელყოფაც მოტყუებით დაუშვებელია.

თუ საქმე ამგვარ შემთხვევასთან გვეკონდა, მოსარჩელე უფლებამოსილი იყო ხელშეკრულება შეცილების გზით მოეშალა.

**სამოქალაქო სამართლის** მიზანს სხვაგვარი სანქციების დადგენა არ წარმოადგენს.

რამდენადაც გარიგების მოტყუებით დადების შემთხვევაშიც სხვა სამართლებრივი შედეგების მქონე მოთხოვნების წარდგენა არ არის შესაძლებელი, ამ გარემოების დასადგენად მტკიცებულებათა შეგროვება არ არის აუცილებელი და მეთოდის თვალსაზრისით მიზანშეწონილი.

### **6) საბოლოო შედეგი და განჩინება მტკიცებულებათა მიღების შესახებ:**

გამოთხოვილ იქნეს მტკიცებულება მოსარჩელის მითითების შესაბამისად,

(1) რომ ავტომანქანას („ფოლქსვაგენ პასატი“) მოსარჩელისათვის გადაცემამდე 6 თვით ადრე ავარიის შედეგად მნიშვნელოვანი დაზიანებები მიადგა,

ასევე,

(2) რომ კილომეტრაჟმა შეადგინა დაახლოებით 150.000 კმ და არა მხოლოდ 75.000 კმ, რაც სპიდომეტრზე იყო ასახული,

ექსპერტის წერილობითი დასკვნა ავტომანქანისათვის ავარიის შედეგად მიყენებული დაზიანებებისა და ავტომანქანის ვარგისიანობაზე მისი ზეგავლენის შესახებ,

(3) მოწმის სახით დაიკითხოს მოსარჩელის მეუღლე იმის დასადგენად, რომ მოსარჩელის მიერ ავტომანქანის ფლობის განმავლობაში ავარიის შედეგად იგი არ დაზიანებულა.

**SemTxveva #4a (gagrZeleba)**  
**gadawyvetileba #4 SemTxvevaze**

**Tematika:** იხ. შემთხვევა №4

**შენიშვნა:**

სასამართლომ მტკიცებულებები შეაგროვა როგორც ექსპერტის დასკვნის გამოთხოვის, ისე მონმის – მოსარჩელის მეუღლის – დაკითხვის გზით. თითოეულ შემთხვევაში მტკიცების საგანს წარმოადგენდა შესაბამის განჩინებაში მითითებული საკითხები.

შედეგების კვლავ გადმოცემისაგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ. აღნიშნული მოცემულია უშუალოდ სამოტივაციო ნაწილში.

**1. საპროცესო-სამართლებრივი საფუძვლები: შეად. სსკ-ის 249-ე მუხლს.**

**2. აღწერილობითი ნაწილი:**

მეოთხე შემთხვევაში მოცემული აღწერილობითი ნაწილი შესაძლოა პირდაპირ გადმოვიტანოთ გადანყვეტილების აღწერილობით ნაწილად სსკ-ის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილის გაგებით. მას მხოლოდ სასამართლოს მიერ მოგვიანებით შეგროვებული მტკიცებულებები უნდა დაემატოს. თუმცა, მათ შესახებ მხოლოდ მოკლედ უნდა აღინიშნოს. ამგვარი დამატება შესაძლოა ზემოთ მოცემული შენიშვნის სახით გადმოიცეს.

**3. სამოტივაციო ნაწილი:**

სარჩელი არსებითად დასაბუთებულია.

მოსარჩელეს შეუძლია მოპასუხეს მოსთხოვოს ნივთის ღირებულების უკან დაბრუნება 11.000 ლარის ოდენობით, თუმცა, მხოლოდ საპასუხო შესრულების – ავტომანქანის დაბრუნების შემდეგ.

დანარჩენ ნაწილში (კერძოდ, ნივთის საფასურის სრულად უკან დაბრუნების მოთხოვნის ნაწილში) სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

მოსარჩელეს უფლება აქვს წარადგინოს მოთხოვნა მოპასუხესთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული შესრულების უკან დაბრუნების თაობაზე სკ-ის 352-ე, 405-ე, 487-ე, 488-ე, 490-ე, 491-ე მუხლების შესაბამისად.

მოპასუხემ მოსარჩელეს მიჰყიდა ნაკლის მქონე ნივთი, კერძოდ, ავტომანქანა, რომელსაც ავარიის შედეგად მიყენებული ჰქონდა მნიშვნელოვანი დაზიანებები.

მოპასუხის სასარგებლოდ ვერ იმოქმედებს მითითება, რომ მას ავტომანქანის გაყიდვა არა საკუთარი სახელით, არამედ ყოფილი მესაკუთრის, B-ს, სახელით სურდა. სხვა პირისათვის იმოქმედების განხორციელების ნებას, სკ-ის 104-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს მნიშვნელობა, თუ ნება საკმაოდ ნათლად არის გამოხატული. გარდა ამისა, განსახილველ შემთხვევაში თავად მოპასუხე არ მიუთითებს, რომ ამგვარ გარემოებას ჰქონდა ადგილი.

ამდენად, სახელშეკრულებო ურთიერთობები არსებობს მხოლოდ მხარეთა შორის. X-მა, როგორც მოპასუხის წარმომადგენელმა, სკ-ის 104-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად საკმაოდ ნათლად განმარტა, რომ იმოქმედებდა მოპასუხის, მალაზიის მესაკუთრის, სახელით. შესაბამისად, გარიგების შედეგად უფლებები და მოვალეობები ამ უკანასკნელს წარმოეშობა. გარდა ამისა, X იმოქმედებდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში, ყოველ შემთხვევაში, მოსარჩელეს შეეძლო ასე ეფიქრა სკ-ის 104-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულება ნამდვილია. ამდენად, უსაფუძვლოა ნასყიდობის ხელშეკრულების შეცდობა. ხელშეკრულება არ არის ბათილი სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 81-ე მუხლის შესაბამისად.

სასამართლოს მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემისას მოსარჩელემ ნათლად მიუთითა, რომ არ შეეცდებოდა დაამტკიცოს, რომ მოპასუხე განზრახ იმოქმედებდა და სურდა გარიგების დადება მოტყუებით, თუკი ეს უკანასკნელი სადავოდ გახდის მოტყუების ფაქტს.

მოსარჩელე მოთხოვნებს ძირითადად ნივთის ნაკლზე ამყარებს, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე თავდაპირველად ამტკიცებდა, რომ მოპასუხეს განზრახ სურდა გარიგების მოტყუებით დადება და გამოავლინა ნასყიდობის ხელშეკრულების შეცილების ნება. შეცილების თაობაზე ნების ამგვარი გამოვლენა, შეცილების საფუძვლების არსებობისას, ასევე განაპირობებს ხელშეკრულების ბათილობას. პროცესის საპირისპირო მიმართულებით წარმართვა, ადრინდელი მდგომარეობის აღდგენა მხოლოდ ერთი მხარის მიერ ცალმხრივად გამოვლენილი ნების შედეგად, თუნდაც შეცილების უფლების მქონე პირის მიერ, შეუძლებელი ხდება. თუმცა, თუ მონინალმდეგე მხარე უარყოფს შეცილების საფუძვლის არსებობას, მაშინ უფლებამოსილ პირს, სსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პროცესუალური თვალსაზრისით არ ექმნება წინააღმდეგობა, რომ უარი თქვას საკუთარ ახსნა-განმარტებაზე საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ და მოთხოვნების წარდგენის საფუძვლად გამოიყენოს ნივთის ნაკლის გამო გამყიდველის პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმები. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე სწორედ ასე მოიქცა.

შეცილების თაობაზე ნება გამოვლენილ უნდა იქნეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ ნების გამოვლენით სკ-ის 52-ე მუხლის ანალოგიით (სკ-ის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი) გამოყენებისას. ასევე უნდა იქნეს განმარტებული უფლების განხორციელება, რომელიც განაპირობებს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან გაუქმებას. მოსარჩელე ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ მას არ სურს ხელშეკრულების შენარჩუნება. მაგრამ ვინაიდან ხელშეკრულება ნამდვილია, აქ საქმე უნდა გვექონდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ ნების გამოვლენასთან.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი არსებობდა: გაყიდულ ნივთს აქვს მნიშვნელოვანი ნაკლი და შესაბამისად, სკ-ის 352-ე, 405-ე, 487-ე, 488-ე, 490-ე, 491-ე მუხლების საფუძველზე მოსარჩელე უფლებამოსილია დააბრუნოს ავტომანქანა და მოითხოვოს ნივთის ღირებულების უკან დაბრუნება.

სასამართლოს მიერ დანიშნულმა ექსპერტმა არ დაადასტურა მოსარჩელის მითითება, რომ ავტომანქანის განარბენი კილომეტრაჟი უფრო მაღალი იყო, ვიდრე ეს ხელშეკრულებით სკ-ის 487-ე, 488-ე მუხლების შესა-

ბამისად იყო შეთანხმებული და შეადგენდა 75.000 კმ-ს.

ექსპერტმა მხოლოდ განმარტა, რომ მართალია, ავტომანქანის საერთო მდგომარეობა მიუთითებს უფრო მაღალ კილომეტრაჟზე, მაგრამ სწორედ ავტომანქანის, განსაკუთრებით ძრავის ცუდი მდგომარეობის გამო შეუძლებელია ზუსტი და უეჭველი მონაცემების დადგენა.

თუმცა, ექსპერტმა ყოველგვარი ეჭვის გარეშე დაადგინა, რომ ავტომანქანას ავარიის შედეგად მიყენებული ჰქონდა მნიშვნელოვანი დაზიანებები, რის შედეგად შასის ნაწილებმა საკმაოდ დეფორმაცია განიცადა, რაც ექსპერტის მიერ ჩატარებული სამუშაოს (გაზომვების) შედეგად დადგინდა.

ასევე დადგინდა, რომ ავტომანქანას ავარიის შედეგად დაზიანებები მიყენებული ჰქონდა მისი მოსარჩელისათვის გადაცემამდე. თუმცა, ექსპერტმა აქაც ვერ შეძლო მიეთითებინა საკმაოდ ზუსტი მონაცემები დროის აღნიშნული მონაკვეთის თაობაზე. მან მხოლოდ ვარაუდი გამოთქვა, რამდენადაც ექსპერტის მიერ ავტომანქანის დათვალიერების მომენტისათვის მოსარჩელე მას უკვე ერთი წლის განმავლობაში ფლობდა.

სასამართლოს დასარწმუნებლად მოსარჩელის მეუღლემ მოწმის სახით დაკითხვისას განაცხადა, რომ ავტომანქანას მეუღლის მიერ მისი ფლობის განმავლობაში ავარია არ შემთხვევია. მან ასევე აღნიშნა, რომ ყოველდღე სამსახურში მეუღლესთან ერთად ავტომანქანით მიემგზავრებოდა და შესაბამისად, ავარიის შემთხვევაში ეს ფაქტი მისთვის შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. გარდა ამისა, ავტომანქანა ამ პერიოდის განმავლობაში დიდი ხნით არც პროფილაქტიკურ სახელოსნოში არ დაუტოვებიათ.

ექსპერტის მიერ მიწოდებული მონაცემების შედეგად დადგენილია, რომ ავტომანქანის დაზიანებების, თუნდაც ნაკლებად საფუძვლიანად შეკეთებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება.

სასამართლოს არა აქვს რაიმე საფუძველი, რომ არ დაიჯეროს მოწმის ჩვენება. მხედველობაშია მისაღები, რომ მოწმე, როგორც მოსარჩელის ახლო ნათესავი თავად არის დაინტერესებული სასამართლო დავის განწყვეტით, მაგრამ უკანასკნელი გარემოება არ არის საკმარისი საფუძველი მოწმის ჩვენებაში ეჭვის შესატანად.

პირიქით, მოწმის ჩვენებამ საკმაოდ დამაჯერებლად იმოქმედა სასამართლოზე და მთელ რიგ შეკითხვებზე გაცემული პასუხების გათვალის-



ნინებით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ის სიმართლეს ამბობდა: მაგალითად, მოწმემ ვერ გაიხსენა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას გამყიდველთან შემდგარი საუბრების მთელი რიგი დეტალები, რომელთა ირგვლივ ერთმნიშვნელოვანი განცხადების გაკეთებას შესაძლოა დადებითი გავლენა ჰქონოდა მეუღლის პროცესუალურ მდგომარეობაზე და გაეუმჯობესებინა იგი.

დანარჩენ ნაწილში მოწმის და ექსპერტის ჩვენებები ემთხვევა. ეს უკანასკნელი ვარაუდობს, რომ ავარიის შედეგად დაზიანებულ ავტომანქანის ნაწილში დადგენილი ჟანგის ნაკვალევი მიუთითებს, რომ ავარიის შემთხვევა არა ერთი წლის წინ, არამედ უფრო ადრე უნდა მომხდარიყო.

ავარიის შედეგად მიყენებული დაზიანებები ნახმარი ავტომანქანის შემთხვევაშიც ნაკლად ითვლება, თუმცა, ნახმარი ავტომანქანის მყიდველს იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ სანაცვლოდ ახალ ავტომანქანას მიიღებს.

ნახმარი ავტომანქანის შემთხვევაში იგულისხმება, რომ მას აქვს ჩვეულებრივი ცვეთის შედეგად წარმოშობილი დაზიანებები და აქ არ მოიაზრება ავარიის შედეგად მიყენებული მძიმე დაზიანებები, მით უფრო, თუკი ისინი ცუდად არის შეკეთებული. ნივთის ამ ნაკლის გამო მოსარჩელეს შეუძლია, სკ-ის 491-ე, 352-ე, 405-ე მუხლების შესაბამისად, მოითხოვოს ნივთის ღირებულების უკან დაბრუნება.

ნაკლის გამოსწორებისათვის ვადის განსაზღვრა ამ შემთხვევაში არ არის დასაშვები, რამდენადაც ნაკლის ბუნებიდან გამომდინარე, კერძოდ, ავარიის შედეგად მიყენებული მძიმე დაზიანებების გამოსწორება არ არის შესაძლებელი (სკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი): ნაკლის სრული და კეთილსინდისიერი გამოსწორება ვერ აღადგენს იმ მდგომარეობას, რომელიც მას ავარიამდე ჰქონდა, რადგან ნებისმიერი მძიმე ავარია ნივთის ღირებულების შემცირებას განაპირობებს, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ავტომანქანის შემდგომში გაყიდვისას.

მოსარჩელის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების განხორციელებას ასევე ვერ შეზღუდავს ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობა ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას გამყიდველის პასუხისმგებლობის გამორიცხვის თაობაზე. როგორც წესი, სკ-ის 497-ე მუხლის შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულებაში გამყიდველის პასუხისმგებლობის გამორიცხვა

ნამდვილია, თუ გამყიდველი განზრახ არ დუმდა ნივთის ნაკლის გამო. მოსარჩელე აღარ მიუთითებს, რომ მოპასუხეს განზრახ სურდა ნივთის ნაკლის დაფარვა და რომ მან იცოდა ავარიის შესახებ და ბოროტად დუმდა ამ ფაქტის შესახებ.

გამყიდველის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი პირობა ბათილია ასევე იმის გამოც, რომ წინააღმდეგობაში მოდის სკ-ის 342-ე მუხლის შესაბამის დებულებებთან ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შესახებ, განსაკუთრებით კი – სკ-ის 348-ე მუხლის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებთან.

მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება მოიცავს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, რომლებსაც მოპასუხე მუდმივად იყენებს ამგვარი ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას, რის თაობაზეც მოპასუხემ ერთმნიშვნელოვნად მიუთითა სასამართლოს მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემისას. ამ გარემოებას ასევე ადასტურებს თავად ხელშეკრულების ფორმაც – ხელშეკრულების ფორმულარი. ამდენად, საქმე გვაქვს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, რომლებსაც შემთავაზებელი იყენებს იმ ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც არ მისდევნენ სამენარმეო საქმიანობას (როგორც ეს ჩვენს შემთხვევაშია), სკ-ის 348-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუშვებელია ისეთი შეთანხმება, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს გამყიდველის პასუხისმგებლობას იმ ზიანისათვის, რაც გამონვეულია მისი განზრახი მოქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით.

სკ-ის 348-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ასევე დაუშვებელია, რომ გამორიცხოს ან შეიზღუდოს მეორე მხარის უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ გამყიდველი თავად ბრალეულად არღვევს ძირითადი ვალდებულებას. სკ-ის 487-ე მუხლის შესაბამისად უნაკლო ნივთის მიწოდება წარმოადგენს გამყიდველის ძირითად ვალდებულებას.

ზემოთ ნახსენებ ორივე დებულებას ეწინააღმდეგება სადავო პირობა, ვინაიდან გამორიცხება ნებისმიერი პასუხისმგებლობა ნივთის შესაძლო ნაკლის გამო ბრალეულობის გათვალისწინების გარეშე, იზღუდება პასუხისმგებლობა გამყიდველის მიერ სკ-ის 487-ე მუხლით დადგენილი მოვალეობის უხეში გაუფრთხილებლობით ან განზრახ დარღვევისას. აღნიშნუ-

ლი წინააღმდეგობაში მოდის სკ-ის 348-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტთან.

ამასთან, პასუხისმგებლობის გამორიცხვის შედეგად იზღუდება მყიდველის კანონით დადგენილი უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემის მოვალეობის, ძირითადი ვალდებულების შესრულების ბრალეულად დარღვევის შემთხვევებშიც. სკ-ის 348-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ამგვარი პირობის დადგენა დასაშვებია.

ამგვარად, გამყიდველის პასუხისმგებლობის გამორიცხვა ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით დაუშვებელია. კანონით დადგენილი დებულებების შესაბამისად გამყიდველი შეუზღუდავად აგებს პასუხს.

სკ-ის 491-ე, 352-ე, 405-ე მუხლების შესაბამისად მოსარჩელეს უფლება აქვს მოითხოვოს ნივთის ღირებულების უკან დაბრუნება. მეორეს მხრივ, სკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ვალდებულია მოპასუხეს დაუბრუნოს მიღებული შესრულება. უპირველეს ყოვლისა, მან უნდა დააბრუნოს ავტომანქანა, შემდეგ – მიღებული სარგებელი. რამდენადაც სკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სარგებლის, რაც მან ავტომანქანით სარგებლობის შედეგად მიიღო, ნატურით დაბრუნება არ არის შესაძლებელია, სკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად მას დაეკისრება ფულადი ანაზღაურება.

სასამართლო ფულადი ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს ავტომანქანის გამოშვების წლის, მდგომარეობის და ღირებულების – 10 თეთრი კილომეტრზე გათვალისწინებით. 10.000 კმ განარბენის შემთხვევაში, რაც არ არის სადავო, მოპასუხის საპასუხო მოთხოვნის ოდენობა შეადგენს 1.000 ლარს.

სკ-ის 354-ე მუხლის შესაბამისად მხარეთა მოთხოვნები ერთდროულად უნდა შესრულდეს. ამასთან, მოსარჩელის თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა ნაწილობრივ შესაძლოა გაქარწყლდეს მოპასუხის საპასუხო მოთხოვნით სკ-ის 442-ე მუხლის საფუძველზე ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გზით. სკ-ის 442-ე მუხლის შესაბამისად ვალდებულებათა გაქვითვის თაობაზე გამოვლენილი ნება კონკლუდენტურად ასახულია მოპასუხის მოთხოვნაში უარი ეთქვას მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

ამგვარად, მოსარჩელეს მხოლოდ თანხის 11.000 ლარის ოდენობით უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება აქვს საპასუხო შესრულების განხორციელების, ე.ი. ავტომანქანის დაბრუნების შემდეგ.

დანარჩენ ნაწილში მხარეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სასამართლო ხარჯები მხარეებს დაეკისრებათ პროპორციულად (სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება), რადგან მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

პროპორციული წილის განსაზღვრისას სასამართლო მოპასუხეს სასამართლო ხარჯების ორი-მესამედის გადახდას დააკისრებს, მოსარჩელის მიერ დასაბრუნებელი ავტომანქანის შემცირებული ღირებულების მხედველობაში მიღებით.

#### **4. სარეზოლუციო ნაწილი:**

მოპასუხეს დაეკისროს მოსარჩელისათვის 11.000 ლარის გადახდა საპასუხო შესრულების განხორციელების, ავტომანქანის – „ფოლქსვაგენ პასატის“ (... ზუსტი აღწერილობა) – დაბრუნების შემდეგ.

დანარჩენ ნაწილში მხარეს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სასამართლო ხარჯების მესამედის დაფარვა დაეკისროს მოსარჩელეს, ხოლო ორი-მესამედისა – მოპასუხეს.

*(გასაჩივრების ვადასა და წესზე მითითება – სსკ-ის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად).*

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი, 186-ე, 187-ე, 188-ე, 255-ე, 257-ე, 327-ე, 328-ე მუხლები, 255-ე მუხლის პირველი ნაწილი, 257-ე და 477-ე მუხლები.

**Tematika:**

*მოგირავნის მფლობელობიდან მესაკუთრის მიერ ნივთის გამოთხოვა. არაუფლებამოსილი მფლობელის მიერ სხვისი ნივთის დაგირავება. პირობადადებული საკუთრება.*

**A. აღწერილობითი ნაწილი:**

მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხისაგან (ბანკისაგან) უკანონო მფლობელობიდან თავისი ნივთის – ავტომანქანის „მერსედეს-ბენცის“ დაბრუნებას.

მოსარჩელე თავდაპირველად წარმოადგენს სადავო ავტომანქანის მესაკუთრეს. მან მესამე პირთან (მყიდველთან) დადო ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულება იმ პირობით, რომ მყიდველზე საკუთრება გადავიდოდა მხოლოდ მის მიერ ავტომანქანის ფასის სრულად გადახდის შემდეგ. მოსარჩელემ მყიდველს გადასცა ავტომანქანა და სარეგისტრაციო მოწმობა.

მყიდველმა, ისარგებლა რა ავტომანქანის სარეგისტრაციო მოწმობით, ნოტარიუსთან შეთანხმებით დაამზადა ყალბი გენერალური მინდობილობა იმის შესახებ, თითქოს მოსარჩელემ გადასცა მას კუთვნილი ავტომანქანის განკარგვის უფლება, იმავე დღეს დააგირავა აღნიშნული მანქანა ბანკში აღებული 8000 დოლარის სესხის უზრუნველსაყოფად და გაუჩინარდა.

2001 წლის 10 მარტს ავტომანქანების ბაზრობაზე აღმოაჩინა თავისი ავტომანქანა, რომელიც ბანკს გატანილი ჰქონდა სარეალიზაციოდ, რადგან მყიდველმა ვერ დააბრუნა ბანკისაგან აღებული სესხი.

მოსარჩელე მოითხოვს ბანკისაგან ავტომანქანის უკან დაბრუნებას, ვინაიდან მისი აზრით ავტომანქანა იმყოფება ბანკის უკანონო მფლობელობაში. მას ავტომანქანა მყიდველისთვის იმ მიზნით არ გადაუცია, რომ იგი ბანკში დაეგირავებინა, არც მინდობილობა მიუცია მისთვის მანქანის დასაგირავებლად.

მოსარჩელე მოითხოვს, რომ მოპასუხეს დაეკისროს მოსარჩელისთვის ავტომანქანის გადაცემა

მოპასუხე (ბანკი) მოითხოვს, რომ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

იგი მიუთითებს, რომ ის წარმოადგენს კეთილსინდისიერ მფლობელს და მას სადავო ავტომანქანა კანონიერ მფლობელობაში აქვს.

მოპასუხის მტკიცებით, მესამე პირმა (მყიდველმა) ბანკში ავტომანქანა დააგირავა სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობის საფუძველზე, რომ ბანკმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ მინდობილობა გაყალბებული იყო.

## ***B. სამართლებრივი დასკვნა:***

### **I. მოთხოვნის საფუძველი**

1. ს.კ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ნივთის ფლობის უფლება.

სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლება მესაკუთრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა და მისი უზრუნველყოფა ხდება სავინდიკაციო სარჩელის შეტანის გზით. მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ შემთხვევაში სამი წინაპირობის არსებობისას არის შესაძლებელი: პირველი, მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე, მეორე, მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი, და მესამე, მფლობელს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება.

ეს აუცილებელია იმიტომაც, რომ საქართველოში გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით ავტომანქანის გადაცემა შემძენზე ხდება არა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, არამედ შემძენისათვის გენერალუ-

რი მინდობილობის მიცემით, რომელიც მას ავტომანქანის გასხვისების უფლებასაც ანიჭებს. ასეთი წესით ავტომანქანის გადაცემა შემძენისათვის არ ინვესტს მასზე საკუთრების უფლების გადაცემას.

ა. თავდაპირველად მოსარჩელე არის სადავო ავტომანქანის მესაკუთრე. ეს ივარაუდება სკ-ის 158-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების თანახმად. ეს ფაქტი იმითაც დასტურდება, რომ საგზაო პოლიციაში ავტომანქანა მოსარჩელის სახელზეა რეგისტრირებული. საგზაო პოლიციაში რეგისტრაცია არ არის აუცილებელი პირობა მოძრავ ქონებაზე (მათ შორის, ავტომანქანაზე) საკუთრების გადაცემისთვის. საგზაო პოლიციაში აღრიცხვაზე დადგომა არ არის სამოქალაქო-სამართლებრივი აქტი, იგი ადმინისტრაციული სამართლის სფეროს განეკუთვნება,<sup>1</sup> მაგრამ იგი შეიძლება გამოდგეს ერთ-ერთ მტკიცებულებად, რომ ავტომანქანა იმ პირის საკუთრებაა, ვინც რეგისტრირებულია საგზაო პოლიციაში.

ბ. მოსარჩელის ავტომანქანის მესაკუთრედ ყოფნის ფაქტი სადავო ხდება მას შემდეგ, რაც წარმოიშობა ურთიერთობა მოსარჩელესა და მესამე პირს (მყიდველს) შორის. კერძოდ, უნდა დაზუსტდეს, დაკარგა თუ არა საკუთრება ავტომანქანაზე მოსარჩელემ მყიდველთან დადებული ხელშეკრულების შედეგად?

მოსარჩელის განმარტებით მასა და მყიდველს შორის იყო შეთანხმება ავტომანქანის ნასყიდობის შესახებ, რომ მან მყიდველს ავტომანქანა და მისი სარეგისტრაციო მოწმობა გადასცა იმ პირობით, რომ ავტომანქანის ღირებულების გადახდის შემდეგ იგი მას გადააფორმებოდა მყიდველის სახელზე.

ავტომანქანაზე საკუთრების უფლების მყიდველზე გადასვლის საფუძველს ამ შემთხვევაში წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც სკ-ის 477-ე მუხლის შესაბამისად უნდა იყოს დადებული. ხელშეკრულება, სკ-ის 327-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ სამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებით პირობებად, სკ-ის 327-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ჩაითვლება ის პირობები, რომლებზედაც

<sup>1</sup> სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, გვ. 201.



ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება. ასეთ პირობებად უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულების საგანი (ავტომანქანა), ფასი და გადახდის პირობა, რომლებზეც, როგორც ჩანს, მხარეები შეთანხმდნენ.

რაც შეეხება ავტომანქანის ნასყიდობის ფორმას, კანონი მისთვის რაიმე სპეციალურ ფორმას არ ადგენს. იგი შეიძლება ზეპირადაც დაიდოს. ამიტომ ამ შემთხვევაში ავტომანქანის ნასყიდობა სრულიად შესაძლებელი იყო ზეპირად დადებულიყო.

ნასყიდობის ხელშეკრულების დადება ნიშნავს ხელშეკრულებით ნაკისრი უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ ნიშნავს საკუთრების გადასვლას მყიდველზე.

ა) სკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. მაშასადამე, მოძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემისთვის აუცილებელია ორი წინაპირობის არსებობა: ნამდვილი უფლება (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი უფლება მყიდველისა მოითხოვოს ნივთის გადაცემა, რასაც *titulus* ეწოდება) და ნივთის ფაქტობრივი გადაცემა (ამ შემთხვევაში ავტომანქანის გადაცემა მყიდველზე, რასაც *modus* ეწოდება).

ფორმალურად, განსახილველ შემთხვევაში ორივე წინაპირობა არსებობს: მოსარჩელესა და მყიდველს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება და ავტომანქანაც გადასცა მოსარჩელემ მყიდველს მფლობელობაში სარეგისტრაციო მონიშნავსთან ერთად. თუმცა, ნივთის მხოლოდ ფაქტობრივი გადაცემა არ არის საკმარისი მასზე საკუთრების წარმოშობისთვის: 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საკუთრებაში ნივთის გადაცემისთვის აუცილებელია შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში, რომლის დროსაც გამყიდველი კარგავს პირდაპირ მფლობელობას.<sup>2</sup> ამიტომაც, მაგალითად, ავტომანქანის გადაცემა სასინჯი ტარებისათვის ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ნივთის გადაცემას პირდაპირ მფლო-

<sup>2</sup> სკ-ის 155-ე მუხლის მე-3 ნაწილში ერთმანეთისაგან განასხვავებს პირდაპირ და არაპირდაპირ მფლობელობას: პირდაპირ მფლობელად ითვლება პირი, რომელიც ფლობს ნივთს იმ სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, რაც მას ნივთის ფლობის უფლებას ანიჭებს. მაგალითად, ქირავნობისას დამქირავებელი არის პირდაპირი მფლობელი, ხოლო გამქირავებელი – არაპირდაპირი მფლობელი.



ბანკი არ ამტკიცებს, რომ დამგირავებელი (მყიდველი) იყო მესაკუთრე, არამედ მას ჰქონდა მინდობილობა, რომელიც დამონმებული იყო სანოტარო წესით.

### **პირველი შუალედური შედეგი:**

მიუხედავად მოსარჩელესა და მყიდველს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებისა, მოსარჩელე დარჩა ავტომანქანის მესაკუთრედ და საკუთრების უფლება ავტომანქანაზე მყიდველისათვის არ გადაუცია. როგორც მესაკუთრეს, მას შეუძლია სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მოითხოვოს სხვისი არამართლზომიერი მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა.

2. შემდეგი საკითხი, რომელიც უნდა იქნეს განხილული, მდგომარეობს იმაში, არის თუ არა მოპასუხე (ბანკი) ავტომანქანის არამართლზომიერი მფლობელი.

ა) მოპასუხის მიერ ავტომანქანის ფლობას საფუძვლად დაედო გირავნობის ხელშეკრულება, რომლითაც მესამე პირმა (მყიდველმა) ბანკში აღებული სესხის უზრუნველყოფის მიზნით დააგირავა მოსარჩელის ავტომანქანა სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობის საფუძველზე. მესამე პირმა (მყიდველმა) ბანკს სესხის უზრუნველყოფის მიზნით გადასცა მოსარჩელის ავტომანქანა.

ვინაიდან მესამე პირმა (მყიდველმა) ვერ შეასრულა ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულება, ე.ი. დროულად ვერ დააბრუნა სესხი, ბანკმა განწყვიტა ავტომანქანის რეალიზაცია ავტომანქანების ბაზრობაზე.

ვინაიდან ავტომანქანის დაგირავება მოხდა სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობის საფუძველზე, რომლითაც მესაკუთრე (მოსარჩელე) დაგირავების უფლებას ანიჭებდა მესამე პირს (მყიდველს), ბანკი თვლის, რომ ის არის კეთილსინდისიერი მფლობელი და ამიტომაც უარს აცხადებს მოსარჩელისათვის ავტომანქანის დაბრუნებაზე.

მართალია, ბანკი ფაქტობრივად ფლობს ავტომანქანას და, ერთი შეხედვით, მას ამის უფლებაც აქვს, მაგრამ უნდა გაირკვეს, თუ რამდენად აქვს მას ამ ნივთის ფლობის უფლება.

ბ) გირავნობის დროს მოგირავნის მიერ გირაოს (გირავნობის საგნის)

ფლობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს გირავნობის უფლება, რომელიც წარმოიშობა სკ-ის 254-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დაცვით.

დამგირავებელი შეიძლება იყოს როგორც მოგირავნის (კრედიტორის) პირადი მოვალე, ისე მესამე პირი – დაგირავებული საგნის მესაკუთრე, რომელიც თავისი მოძრავი ნივთით უზრუნველყოფს მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.<sup>5</sup> ეს გამომდინარეობს სკ-ის 259-ე მუხლის პირველი ნაწილისაგან. დამგირავებელი შეიძლება იყოს გირაოს არამესაკუთრეც, მაგრამ ამისათვის აუცილებელია მესაკუთრის თანხმობა (მაგალითად, სკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საგნის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ ნამდვილია, თუკი იგი ხორციელდება უფლებამოსილი პირის წინასწარი თანხმობით; გარდა ამისა, 263-ე მუხლიც ამ შემთხვევაში შეიძლება ანალოგიით იქნეს გამოყენებული, ვინაიდან აქაც საუბარია არამესაკუთრის მიერ მის მფლობელობაში არსებული ნივთის დაგირავებაზე).

მოცემულ შემთხვევაში დამგირავებელს (მყიდველს), რომელიც, როგორც ზემოთ დავადგინეთ, არ იყო ავტომანქანის მესაკუთრე, როგორც არამესაკუთრეს, არ ჰქონდა უფლება მესაკუთრის სახელით ბანკში დაეგირავებინა ავტომანქანა. მას ამისათვის სჭირდებოდა მესაკუთრის თანხმობა, რომელიც, როგორც ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, მას არ ჰქონდა. არადა მყიდველმა სწორედ მესაკუთრის სახელით, როგორც მისმა წარმომადგენელმა, დააგირავა ავტომანქანა.

აა) სკ-ის 255-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მოძრავი ნივთის დაგირავება ხორციელდება მისი შექმნისათვის დადგენილი წესით. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონი აქ უთითებს სკ-ის 186-ე მუხლით გათვალისწინებულ წესზე, რომლის თანახმად „მოძრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასაცეს შემძენს ნივთი“. მაშასადამე, ავტომანქანის დაგირავება ბანკში უნდა მოხდეს ნამდვილი უფლების საფუძველზე. ნამდვილ უფლებად განსახილველ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს შეთანხმება

<sup>5</sup> სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მეორე, გვ. 197.

ბანკსა და მესაკუთრეს შორის, რომელშიც ეს უკანასკნელი (მესაკუთრე) წარმოდგენილია მესამე პირით (მყიდველით), რომელსაც, როგორც წარმომადგენელს, მინიჭებული აქვს ავტომანქანის დაგირავების უფლება, რაც ჩვენ არა გვაქვს. მინდობილობა, რომელიც, მართალია, სანოტარო წესით არის დამონმებული, ყალბია. ამიტომ საუბარი იმაზე, რომ მესამე პირი (მყიდველი) ავტომანქანის დაგირავებისას მოსარჩელის (მესაკუთრის) ნებას გამოხატავდა, საფუძველს მოკლებულია.

ბ) გარდა ამისა, უნდა არსებობდეს შეთანხმება მოსარჩელეს (ავტომანქანის მესაკუთრესა) და ბანკს შორის ნივთის დაგირავების შესახებ, რაც ასევე არა გვაქვს. ამიტომ არავითარი ვალდებულება ავტომობილის დაგირავების თაობაზე მოსარჩელეს ბანკის მიმართ არ უკისრია.

გ. ბანკი თავის შესაგებელში უთითებს, რომ ის არის კეთილსინდისიერი შემძენი. ამის დასასაბუთებლად ბანკი უთითებს იმაზე, რომ მან ავტომანქანა გირაოში დაიტოვა სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობის საფუძველზე; სკ-ის 257-ე მუხლის მიხედვით ის არის კეთილსინდისიერი მოგირავნე, ვინაიდან მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ მესამე პირს (მყიდველს) არ ჰქონდა დაგირავების უფლება; სკ-ის 187-ე მუხლის მიხედვით ავტომანქანა მოსარჩელის ნებით გავიდა მისი მფლობელობიდან, ამიტომ ბანკი უნდა ჩაითვალოს კეთილსინდისიერ შემძენად.

აა) უნდა დავეთანხმოთ მოპასუხეს, რომ სკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი 257-ე მუხლთან ერთად არ გამორიცხავს გირავნობის უფლების კეთილსინდისიერ შეძენას. ამ ნორმების თანახმად, იმ ნივთზე გირავნობის უფლების შეძენა, რომელიც უფლებამოსილმა პირმა დაკარგა, ისევე შეუძლებელია, როგორც მასზე საკუთრების შეძენა. სკ-ის 255-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის წესები გამოიყენება გირავნობის მიმართაც.

საკითხავია, მოცემულ შემთხვევაში ავტომანქანა გავიდა თუ არა მოსარჩელის მფლობელობიდან მისი ნების საწინააღმდეგოდ. ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გაიცეს, ვინაიდან მოსარჩელემ ავტომანქანა მყიდველს ნებაყოფლობით გადასცა<sup>6</sup>.

---

<sup>6</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მეორე, გვ. 122-123.

ბბ) იმ ფაქტს, რომ მესამე პირმა (მყიდველმა) სანოტარო წესით დამონ-  
მებული მინდობილობა წარუდგინა ბანკს, რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა  
არა აქვს შემდეგი გარემოებების გამო:

პირველი, სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს მოძრავი ნივთების  
დაგირავებისას სავალდებულო სანოტარო წესის გამოყენებას. სკ-ის  
255-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამგირავებელსა და მოგირავნეს  
შეუძლიათ გირავნობა გააფორმონ სანოტარო წესით, მაგრამ ამ შემთხვე-  
ვაში გირავნობა წარმოიშობა მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის  
შედეგად ისე, რომ გირაოს გადაცემა მოგირავნის მფლობელობაში სავალ-  
დებულო არ არის. ასეთი გირავნობა განსახილველ შემთხვევაში ჩვენ არა  
გვაქვს.

მეორე, სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს სანოტარო წესით დამონმე-  
ბული მინდობილობის სისწორისა და უტყუარობის პრეზუმფციას.<sup>7</sup> ეს იმას  
ნიშნავს, რომ სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობის არსებობა  
თავისთავად არ ნიშნავს მარწმუნებლის მიერ წარმომადგენლისათვის უფ-  
ლებამოსილების მინიჭების ფაქტის არსებობას. უფლებამოსილება ან არ-  
სებობს ან არ არსებობს. ბანკს უნდა გამოეჩინა წინდახედულება, სამენარ-  
მეო საქმიანობისათვის აუციელებელი გულისხმიერება და დაკავშირებოდა  
ავტომანქანის მესაკუთრეს და გაეგო მისგან, იყო თუ არა იგი თანახმა, მისი  
ავტომანქანა დაგირავებულიყო ბანკში.

გგ) სკ-ის 257-ე მუხლის თანახმად, თუ გირავნობის საგნის (გირაოს)  
გადაცემა სხვა პირისათვის ხორციელდება საბუთის გადაცემით და დამგი-  
რავებელი გირავნობის წარმოშობის მომენტისათვის ფლობს ამ ნივთს  
(უფლებას) მისი დაგირავების უფლებამოსილების გარეშე, მოგირავნე ითვ-  
ლება კეთილსინდისიერ შემძენად, თუკი მან არ იცის და არც შეიძლებოდა  
სცოდნოდა ამის შესახებ. ამ ნორმის გამოყენება განსახილველი შემთხვევის  
მიმართ არასწორია, ვინაიდან იგი აწესრიგებს ისეთ გირავნობას, რომლის  
დროსაც დაგირავება ხდება მოგირავნისთვის არა გირავნობის საგნის (გი-  
რაოს) ფიზიკური გადაცემით, არამედ ხორციელდება ამ ნივთზე (ან უფ-  
ლებაზე) არსებული საბუთის (შესაბამისად, ფასიანი ქაღალდის) გადაცე-

<sup>7</sup> შეადარეთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველ  
წინადადებას.

მით. მაგალითად, როცა ხორბლის მესაკუთრე ბანკში აგირავენს სასაქონლო სანყოფილებაში შესანახად მიბარებულ ხორბალს, იგი ბანკს გადასცემს არა ხორბალს, არამედ სასანყოფილო მონომობას. ამიტომ სკ-ის 257-ე მუხლით გათვალისწინებული წესი გამოიყენება სწორედ ამგვარი საბუთის საფუძველზე დაგირავებისათვის; ავტომანქანის გადაცემა საკუთრებაში ხორციელდება არა საბუთის გადაცემით, არამედ მფლობელობის გადაცემით.

ამგვარად, ბანკის კეთილსინდისიერების დასაბუთება სკ-ის 257-ე მუხლიდან გამომდინარე, საფუძველს მოკლებულია.

დდ) სკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. განსახილველ შემთხვევაში ბანკმა იცოდა, რომ დამგირავებელი (მყიდველი) არ იყო ავტომანქანის მესაკუთრე. მან ავტომანქანა დააგირავა მოსარჩელის (მესაკუთრის) სახელით და არა საკუთარი სახელით.

სკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა შეიძლება ყოფილიყო მაშინ, როცა დამგირავებელი (მყიდველი) ავტომანქანას დააგირავებდა თავისი სახელით და არა მესაკუთრის სახელით. ამ დროს ბანკის პოზიცია სკ-ის 158-ე მუხლის პირველი ნაწილითაც გამყარდებოდა, რომლის თანახმად „ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე“. ამ პრეზუმფციის გამოყენებაც საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან ბანკმა იცოდა, რომ დამგირავებელი არ იყო ავტო-



**SemTxveva #5a (gagrZeleba)**  
**gadawyvetileba #5 SemTxvevis Sesaxeb**

**Tematika:** იხ. შემთხვევა №5

**შენიშვნა:**

საქმეზე გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია დამატებით მტკიცებულებათა გარეშე. წინამდებარე შემთხვევა ეყრდნობა №5 შემთხვევის აღწერილობითი ნაწილის ფაქტობრივ გარემოებებს.

**1. საპროცესო-სამართლებრივი საფუძვლები: შეადარე სსკ-ის 249-ე მუხლს.**

**2. აღწერილობითი ნაწილი:**

შესაძლებელია მისი უცვლელად გადმოტანა №5 შემთხვევიდან. დამატებითი მტკიცებულებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

**3. სამოტივაციო ნაწილი:**

სარჩელი დასაბუთებულია. მოსარჩელეს უფლება აქვს მოსთხოვოს მოპასუხეს ავტომანქანის უკან დაბრუნება (სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად).

ამ ნორმის შესაბამისად, მესაკუთრეს შეუძლია, სავინდიკაციო სარჩელის გზით მოსთხოვოს მფლობელს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

მოსთხოვნის ეს წინაპირობები არსებობს.

მოსარჩელე არის ავტომანქანის მესაკუთრე. ავტომანქანა მასვე ეკუთვნოდა თავდაპირველად და არც გაყიდვის შემდეგ დაუკარგავს მასზე საკუთრების უფლება.

მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელესა და ავტომანქანის მყიდველს შო-

რის დადებულია ნასყიდობის ხელშეკრულება (სკ-ის 477-ე მუხლის თანახმად), მხოლოდ ეს არ არის საკმარისი შემძენზე საკუთრების უფლების გადასაცემად. სკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოძრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, რომ გამსხვისებელმა შემძენს ნივთი გადასცეს.

განსახილველ შემთხვევაში ამას ადგილი არ ჰქონია. არ არის საკმარისი ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ მყიდველს პირდაპირ მფლობელობაში ჩააბარა ავტომანქანა. მფლობელობაში ყოველგვარი ფაქტობრივი ჩაბარება არ წარმოადგენს გადაცემას სკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად. ეს უნდა ხდებოდეს საკუთრების უფლების გადაცემის მიზნით.

ამ შემთხვევაში მსგავსი ქმედება არ განხორციელებულა. მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ მოსარჩელემ მყიდველს მანქანა დაუთმო იმ პირობით, რომ მისი გადაფორმება შემძენზე მხოლოდ ავტომანქანის საფასურის სრულად გადახდის შემდეგ მოხდებოდა (რაც შემდგომ არ მომხდარა).

ამ შეთანხმებით საქმე გვაქვს პირობადებულ საკუთრებასთან (სკ-ის 188-ე მუხლი). ავტომანქანის რეგისტრაცია წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და, როგორც წესი, განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭება საკუთრების სამოქალაქო-სამართლებრივი მდგომარეობისათვის. თუმცა შეთანხმების (ნების გამოვლენის) განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან გამომდინარე (სკ-ის 52-ე მუხლი). მხარეთა შეთანხმებით, მყიდველი მანქანაზე საკუთრების სრულ უფლებას შეიძენდა მხოლოდ საფასურის ბოლომდე გადახდის შემდეგ. მდგომარეობას ვერ გამოასწორებს ის ფაქტიც, რომ მხარეებმა არაპროფესიონალურად მოიხსენიეს მანქანის რეგისტრაციის ფორმულირება.

ვინაიდან მოსარჩელეს არ მიუღია მანქანის საფასური, მას არც დაუკარგავს მასზე საკუთრების უფლება.

მოპასუხე უდავოდ გახლავთ ავტომანქანის მფლობელი. თუმცა მას არ გააჩნია ფლობის უფლება. კერძოდ, მას არ შეუძენია მანქანაზე გირავნობის უფლება. მასთან ავტომანქანა მოსარჩელეს არ დაუგირავებია და არც ავტომანქანის მყიდველს ჰქონია მოსარჩელისაგან მინიჭებული დაგირა-

ვების უფლებამოსილება.

დაგირავება ხორციელდება ნივთის შექმნისათვის დადგენილი ნორმებით (სკ-ის 255-ე მუხლის პირველი ნაწილი), თუმცა ამის წინაპირობაა უფლების არსებობა და მოპასუხისათვის მანქანის ფაქტობრივი გადაცემა (სკ-ის 186-ე მუხლი).

მხარეები არ დავობენ იმის გამო, რომ მყიდველს უფლება არ ჰქონდა, მოსარჩელის სახელით დაეგირავებინა ავტომანქანა. გაყალბებული იყო სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა. ის, რომ მოპასუხემ ამის შესახებ არაფერი იცოდა, ვერ შეცვლის საქმის ვითარებას. მოპასუხეს სჯეროდა, რომ მინდობილობა კეთილსინდისიერად იყო შედგენილი. თუმცა ვერც ეს შეცვლის მისი (მინდობილობის) არარსებობის ფაქტს.

მინდობილობა გაფორმებული იყო სანოტარო წესით (სკ-ის 255-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით), მაგრამ გირავნობა – არა. გარდა ამისა, არც კანონით გათვალისწინებული სხვა შესაძლო წესით მომხდარა გირავნობის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. უწინარეს ყოვლისა, ამ პროცედურით შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ნივთის ფაქტობრივი გადაცემა, მაგრამ არა დამგირავებლის უფლებამოსილების არარსებობა.

ამ ხარვეზის აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ ნივთის კეთილსინდისიერად შექმნისათვის დადგენილი დებულებით (სკ-ის 257-ე მუხლი). ამ ნორმის თანახმად, მოგირავნე მაშინ ითვლება კეთილსინდისიერ შემძენად, თუკი მან შექმნის მომენტისათვის არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა იმის თაობაზე, რომ დამგირავებელს არ ჰქონდა ნივთის დაგირავების უფლებამოსილება.

შემძენი იმ შემთხვევაში ვერ იქნებოდა კეთილსინდისიერი (სკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის ანალოგიით), თუ ავტომანქანა მოსარჩელის ნების წინააღმდეგ სხვაგვარად გავიდოდა მისი მფლობელობიდან ან დაიკარგებოდა. დაცვის ეს ნორმა გამოიყენება არა მხოლოდ საკუთრების უფლების გადაცემისას, არამედ გირავნობის დროსაც (სკ-ის მე-5 მუხლი). ამ წესის მოქმედებას ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ნების წინააღმდეგ პირდაპირი მფლობელობიდან სხვაგვარად გასვლად ჩაითვლება ნივთის ჩამორთმევა ქურდობის, ძალადობის ან მუქარის გამოყენებით. ჩვენ შემთხვევაში კი მოსარჩელემ მოტყუებით, მაგრამ ნებაყოფლობით გადასცა მყიდ-

ველს მანქანა, იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელს იმთავითვე არაკეთილ-სინდისიერი განზრახვა ამოძრავებდა. აქ კი ავტომანქანა არ გასულა მყიდველის ნების საწინააღმდეგოდ მისი მფლობელობიდან.

განურჩევლად იმისა, მოპასუხეს მყიდველის უფლებამოსილების ნამდვილობის შესახებ უნდა სცოდნოდა თუ არა, ის ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება გირავნობის საგნის კეთილსინდისიერ შემძენად. ეს მას უნდა გაერკვია მანქანის საგზაო პოლიციაში ხელახალ რეგისტრაციამდე, როცა ის ჯერ კიდევ მანქანისა და მისი საბუთების მხოლოდ მფლობელი იყო. მოპასუხემ მშვენივრად უწყოდა მყიდველის უფლებამოსილების ნაკლოვანების შესახებ. სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე კი მოპასუხემ იცოდა, რომ მყიდველი ჯერ კიდევ არ იყო მანქანის მესაკუთრე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას თავი არ უნდა წარმოეჩინა მოსარჩელის წარმომადგენლად.

მოპასუხეს ვერ ამართლებს ის ფაქტიც, რომ მან არ იცოდა ან არც უნდა სცოდნოდა მინდობილობის გაყალბების შესახებ. კეთილსინდისიერების დაცვის პრინციპი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოქმედი პირი მიიჩნევა უფლებამოსილ პირად და არა მაშინ, როცა გჯერა მხოლოდ მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნამდვილობისა. ამ შემთხვევაში შემძენი უნდა დაინტერესებულიყო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების (მინდობილობის) კანონიერებითა და სისწორით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სწორედ შემძენია პასუხისმგებელი უფლებამოსილების შესაძლო ნაკლოვანებებით წარმოშობილ შედეგებზე.

საქმის ვითარებას ვერ შეცვლის ასევე სკ-ის 257-ე მუხლის ნორმაც, რომლის თანახმადაც გირავნობის საგნის კეთილსინდისიერი შეძენა ხორციელდება საბუთის გადაცემით. ავტომანქანის გადაცემა არ ხდება მართოდენ მისი საბუთების გადაცემით, ვინაიდან საქმე ეხება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ პროცედურას.

მეორე მხრივ, საბუთის, მაგალითად, სასაწყობო მონუმობის, გადაცემა წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ნივთის გადაცემის ფაქტს და არა კეთილსინდისიერი შეძენის სხვა წინაპირობებს, განსაკუთრებით კი, კეთილსინდისიერ რწმენას დამგირავებლის უფლებამოსილების ნამდვილობისადმი. ამას ჩვენ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან მოპა-

სუხე მიენდო მხოლოდ მყიდველის მინდობილობას და არა მის უფლებამოსილებას.

მფლობელობის უფლების არარსებობის გამო მოპასუხემ მოსარჩელეს უკან უნდა დაუბრუნოს მანქანა (სკ-ის 172-ე მუხლი), ვინაიდან ეს უკანასკნელი გახლავთ მანქანის მესაკუთრე.

გადანყვეტილება ხარჯების დაკისრების თაობაზე ეფუძნება სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველ წინადადებას.

#### **4. სარეზოლუციო ნაწილი:**

სარჩელი დასაბუთებულია.

დაეკისროს მოპასუხეს მოსარჩელისათვის ავტომანქანის (ზუსტი დასახელება) უკან დაბრუნება.

სამართლებრივი დავის ყველა ხარჯი დაეკისროს მოპასუხეს.

*(განმარტება გადაწყვეტილების გასაჩივრების წესისა და ვადის შესახებ სრულდება სსკ 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად)*

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე, 624-ე, 628-ე მუხლები; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 105-ე მუხლები.

### **Tematika:**

სესხის ხელშეკრულება და სესხის შეპირება. გარიგების ფორმის მომწესრიგებელი დებულებანი. ფორმის მიზანი. მტკიცებულების მარეგულირებელი წესები. მტკიცებულების შეფასების თავისუფლება. მოწმის ჩვენება. მხარეთა მოსმენა. მოსამართლის კანონისადმი მორჩილება. განმარტება და ანალოგია.

### **A. აღწერილობითი ნაწილი:**

მოსარჩელემ, - ბანკმა, წერილობით დადებული სესხის ხელშეკრულების საფუძველზე პირველ მოპასუხეს მისცა სესხი 100.000 ლარის ოდენობით პროცენტების დარიცხვით. ბანკის სასარგებლოდ, მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მოპასუხის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე დადგინდა იპოთეკა.

სესხის ხელშეკრულებით განისაზღვრა ვალის დაბრუნების ვადა: მოპასუხეს ვალი ერთი წლის შემდეგ უნდა დაებრუნებინა.

პირველი მოპასუხის მამა, მეორე მოპასუხე, თავდებად დაუდგა შვილს მოსარჩელის წინაშე სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად. თავდებობა წერილობით გაფორმდა.

ერთი წლის გასვლის შემდეგ პირველმა მოპასუხემ ვალი უკან არ დააბრუნა.

მოსარჩელემ მოითხოვა პირველი მოპასუხისაგან ვალის უკან დაბრუნება დარიცხულ პროცენტებთან ერთად და მოთხოვნა დაამყარა ვალდებულების შესრულების წერილობით შეთანხმებულ წესებს.

მოსარჩელე ასევე უყენებს პირველ მოპასუხეს იპოთეკის საფუძველზე მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის რეალიზაციის მოთხოვნას.

მეორე მოპასუხისაგან, როგორც სოლიდარული მოვალისაგან, მოსარჩელე მოითხოვს თავდებობით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

**მოსარჩელე მოითხოვს:**

1. მოპასუხეებს, როგორც სოლიდარულ მოვალეებს, დაეკისროთ 100.000 ლარის გადახდა პროცენტებთან ... ერთად ... თარიღიდან,

2. მოხდეს პირველი მოპასუხის კუთვნილი მიწის ნაკვეთის ... , რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში ..., იძულებით რეალიზაცია საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ... იპოთეკის საფუძველზე 100.000 ლარის ოდენობით განსაზღვრული მოთხოვნის გამო პროცენტებთან და ხარჯებთან ერთად.

მოპასუხეები მოითხოვენ, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

პირველი მოპასუხე უარს ამბობს გადახდაზე იმ საფუძველით, რომ მასსა და მოსარჩელეს შორის არსებობდა ზეპირი შეთანხმება სესხის ხელშეკრულების სამი წლით გაგრძელების შესახებ. ამდენად, მოცემულ დროის მონაკვეთში მას თანხა ჯერ არ უნდა გადაეხადა და არც იპოთეკის საფუძველზე მიწის ნაკვეთის რეალიზაცია უნდა განეხორციელებინა.

მეორე მოპასუხე უერთდება პირველი მოპასუხის მოთხოვნებს და თავის მხრივ მოითხოვს, რომ მოსარჩელემ, პირველ რიგში, საკუთარი მოთხოვნები პირველი მოპასუხის წინააღმდეგ მიმართოს.

**შენიშვნა:**

თუ საქმე გვაქვს რამდენიმე მოთხოვნასთან და სხვადასხვა მონაწილესთან, უნდა გავითვალისწინოთ №3 შემთხვევის მიმართ გაკეთებული შენიშვნა.

**B. სამართლებრივი დასკვნა:**

I) სარჩელის დასაშვებობაზე ვრცელდება ის, რაც აღნიშნული იყო №3 შემთხვევის გარჩევასთან დაკავშირებით (იხ. B), I).

II) სარჩელის დასაბუთებულობა:



1) სესხის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მოსარჩელის მოთხოვნა პირველი მოპასუხის მიმართ:

აქაც, მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნა პირველი მოპასუხის მიმართ მდგომარეობს ვალის უკან დაბრუნებაში სკ-ის 623-ე და 626-ე მუხლების შესაბამისად: მხარეების მიერ დადებულია ნამდვილი სესხის ხელშეკრულება, პირველი მოპასუხის მიერ სესხი მიღებულია და ხელშეკრულებით შეთანხმებული ვალდებულების შესრულების დრო დამდგარია.

წერილობითი სესხის ხელშეკრულების შესაბამისად სესხი გაცემული იყო, სკ-ის 626-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ერთი წლით. ეს ვადა გასულია. ამდენად, ხელშეკრულების სხვაგვარ მოშლასთან საქმე არა გვაქვს.

ბ) პირველი მოპასუხის მიერ მითითებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად მხარეებს ჰქონიათ ზეპირი შეთანხმება სესხის დაბრუნების ვადის სამი წლით გაგრძელების თაობაზე.

ამ შემთხვევაში, სესხის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი, მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა და მხარეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ **ამ დროისათვის ჯერ არ დამდგარა სარჩელში მითითებული მოთხოვნის შესრულების ვადა**.<sup>1</sup>

გ) მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს მოთხოვნის შესრულების გადავადების მკაფიოდ ჩამოყალიბებულ წესებს, როგორც წესი, მსგავსი, შემდგომი შეთანხმება ვალდებულების შესრულების ვადის შეცვლის თაობაზე დასაშვებია, სკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულების დადების თავისუფლების ფარგლებში.

დ) თუმცა სადავოა საკითხი, დაცული უნდა იქნეს თუ არა მოთხოვნის შესრულების გადავადების თაობაზე შეთანხმების მიღწევისას განსაზღვრული ფორმა და რომელი.

---

<sup>1</sup> გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მის მნიშვნელობაზე სსკ-ის 265-ე, 266-ე მუხლების შესაბამისად გადაწყვეტილების კანონიერ ძალასთან მიმართებაში შეად. ზემოთ, №3 შემთხვევას, B), I), 3), გ).

სკ-ის 624-ე მუხლის შესაბამისად სესხის **ხელშეკრულება**, როგორც წესი, შესაძლოა ზეპირად დაიდოს. თუმცა, ამავე დებულების მე-3 წინადადებით დადგენილია, რომ მხარე მტკიცების შემთხვევაში აშკარად წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდება, თუ მას ხელშეკრულება წერილობით არა აქვს გაფორმებული.

ამ დებულებებისაგან განსხვავებით სკ-ის 628-ე მუხლის მე-2 წინადადება სესხის **შეპირების**<sup>2</sup> შემთხვევაში კატეგორიულად მოითხოვს წერილობითი ფორმის დაცვას, როგორც ხელშეკრულების **ნამდვილობის წინაპირობას**.

სადავოა, შესაძლებელია თუ არა ამ დებულებათა სკ-ის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ანალოგიის წესით გამოყენება ვალდებულების შესრულების გადავადებაზე, როგორც სესხის ხელშეკრულებაში ცვლილების მოგვიანებით შეტანის შემთხვევაზე.

(აა) ზემოთ აღნიშნულზე პასუხის გაცემა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ მხედველობაში მივიღებთ სკ-ის 624-ე მუხლის, 628-ე მუხლის მე-2 წინადადებით გათვალისწინებულ გარიგების ფორმის თაობაზე დადგენილ დებულებათა არსსა და მიზანს და ამასთან განვიხილავთ, ზოგადად თუ რა მიზნებს ემსახურება სავალდებულო ფორმის დადგენა.

გარიგების ფორმის თაობაზე კანონით გათვალისწინებული იმპერატიული დებულებები, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება **მტკიცების მიზანს**. დადგენილი ფორმის დაცვა იძლევა მესამე პირის წინააღმდეგ გარიგების დადებისა და მხარეთა შორის არსებული შეთანხმების შინაარსის მტკიცების შესაძლებლობას. დავის შემთხვევაში მხარეებმა სასამართლოსაც უნდა მისცენ მათ შორის არსებული შეთანხმების შინაარსის გარკვევის შესაძლებლობა.

ზემოთ აღნიშნულთან მჭიდროდ არის დაკავშირებული გარიგების ფორმის მომწესრიგებელი დებულებების **ნათლად ჩამოყალიბების ფუნქცია**: ფორმის მხედველობაში მიღებით შესაძლებელია სასურველის უფრო მკაფიოდ გადმოცემა და ამ გზით მონაწილეთა შორის გაურკვევლობისა და გაუგებრობის თავიდან აცილება.

<sup>2</sup> სესხის ხელშეკრულებასა და სესხის შეპირებას შორის არსებულ განსხვავებებზე იხ. აქვე (გგ).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფორმის **გამაფრთხილებელი ფუნქცია**: ფორმის დაცვა ხელს უშლის ნაჩქარევი და დაუფიქრებელი, ცალკეულ შემთხვევებში კანონით განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიჩნეული ან სახიფათო ხელშეკრულებათა დადებას.<sup>3</sup>

ასევე მნიშვნელოვანია **კონსულტაციისა და განმარტების ფუნქცია**, როდესაც გარიგების დასადებად სავალდებულოა რთული წერილობითი ფორმა: განსაკუთრებით რთული ან მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგების მქონე გარიგებების დადებისას კანონმდებელს სურს, რომ უზრუნველყოს მონაწილე მხარეთათვის მათ მიერ სამართლებრივ გარიგებასთან დაკავშირებით განხორციელებული მოქმედების შედეგების შესახებ სამართალში გარკვეული და ნეიტრალური ექსპერტებისაგან კონსულტაციისა და განმარტების მიღება. როგორც წესი, ამ ფუნქციას ნოტარიუსი ახორციელებს.

ბ) მოცემულ შემთხვევაში სკ-ის 624-ე და 628-ე მუხლებით დადგენილ ფორმის მიზანს საფუძვლად უდევს მტკიცებისა და გამაფრთხილებელი ფუნქცია. მტკიცების ფუნქციას სკ-ის 624-ე მუხლში აშკარად აქვს ხაზი გასმული. თუმცა, ამ მიზნის შესასრულებლად კანონი აღარ ადგენს სავალდებულო ფორმას. იგი მხოლოდ მიუთითებს მტკიცების შეზღუდვის შესაძლებლობაზე, თუ გარიგება არ იქნა წერილობით დადებული: ზეპირად დადებული სესხის ხელშეკრულება ნამდვილია, თუმცა, მისი ნამდვილობა მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით ვერ დამტკიცდება.<sup>4</sup>

რამდენადაც სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, მთელი მისი შინაარსობრივი შემადგენელი ნაწილების ჩათვლით, არ არის დადგენილი სავალდებულო ფორმა და განსაზღვრული ფორმის დაცვა მნიშვნელობას მხოლოდ შეთანხმებათა არსებობის მტკიცების აუცილებლობის

---

<sup>3</sup> შეად. სკ-ის 323-ე მუხლს მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულების თაობაზე, სკ-ის 525-ე მუხლის მე-3 ნაწილს – საჩუქრის დაპირების თაობაზე.

<sup>4</sup> ამდენად, დებულებას აქვს მხოლოდ პროცესუალური და არა მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის არ წამოიჭრება დავა ხელშეკრულების შინაარსის თაობაზე და შესაბამისად, აუცილებლობა ამ გარემოების მტკიცებისა, დებულება პროცესუალური თვალსაზრისითაც კარგავს მნიშვნელობას.

ამ ნორმის განსაკუთრებულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით შეად. ამ შემთხვევის ბოლოს მოცემულ შენიშვნას.

შემთხვევაში იძენს, შესაძლებელია, რომ ვალდებულების შესრულების გადავადებაზეც გავავრცელოთ ამ დებულების მოქმედება და დავუშვათ, რომ გადავადება შესაძლებელია სავალდებულო ფორმის დაცვის გარეშეც.

გარიგების **ნამდვილობის** თვალსაზრისით ნაკლებად მნიშვნელოვანია, სესხის ხელშეკრულების შინაარსი სამართლებრივი ურთიერთობის დასაწყისში დადგინდა, თუ მოგვიანებით შეიცვალა ან განისაზღვრა.

სხვა საკითხია ვრცელდება თუ არა დადგენილი შეზღუდვები **მტკიცებულების საშუალებებზე**, როდესაც მხარეებს შორის წარმოიშობა დავა შეთანხმების დადებულად მიჩნევის თაობაზე.<sup>5</sup>

გგ) სესხის ხელშეკრულების შესრულების ვადის გადავადების დროს წერილობითი ფორმის დაცვას ვერ მივიჩნევთ შესრულების ვადის გადავადების ნამდვილობისათვის აუცილებელ პირობად და ანალოგიის მეთოდით ვერ გამოვიყენებთ სკ-ის 628-ე მუხლის მე-2 წინადადებას. ამ დებულების შესაბამისად სესხის **შეპირება** უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით. **ამ შემთხვევაში** ფორმის დაცვის აუცილებლობას **მატერიალურ-სამართლებრივი** მნიშვნელობა აქვს. ფორმის დაუცველობის შედეგები აისახება არა მხოლოდ პროცესუალური თვალსაზრისით მტკიცების წარმართვაზე, არამედ განაპირობებს გარიგების ბათილობას სკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

ვალის უკან დაბრუნების მოთხოვნის გადავადება, რომელიც წარმოიშვა უკვე შეთანხმებული და მიცემული სესხის საფუძველზე, ნაკლებად ჰგავს სკ-ის 628-ე მუხლით გათვალისწინებულ სესხის შეპირებას და ამდენად, ამ ნორმით დადგენილ დებულებებს სავალდებულო ფორმის თაობაზე ამ შემთხვევაში ვერ გამოვიყენებთ.

სკ-ის 624-ე მუხლთან შედარებით ამგვარი მკაცრი დებულების დადგენას, როგორც ჩანს, საფუძველად უდევს ფორმის **გამაფრთხილებელი ფუნქცია**. საუბარი რომ ყოფილიყო მხოლოდ მტკიცების ფუნქციაზე, მაშინ კანონმდებელი ამ შემთხვევაშიც აირჩევდა სკ-ის 624-ე მუხლით დადგენილ წესს და მოწმეთა ჩვენების, როგორც მტკიცებულების მხოლოდ ერთადერ-

<sup>5</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით, მტკიცების ტვირთისა და დასაშვები მტკიცებულების საშუალებების თაობაზე იხ. აქვე ე).

თი საშუალების, გამოყენების გამორიცხვას შესძლებდა.

ამ გზისათვის კანონმდებელს არ მიუმართავს. სკ-ის 628-ე მუხლში სესხის შეპირების ნამდვილობისათვის მან სავალდებულო წერილობითი ფორმა გაითვალისწინა, რამდენადაც ამგვარი ხელშეკრულება განსაკუთრებით სარისკოდ მიიჩნია და ისურვა, რომ დამპირებელი გაფრთხილებულ იქნეს ნაჩქარევად დაპირების მიცემისაგან თავის შეკავების თაობაზე.<sup>6</sup>

თუ ჩვენ შევადარებთ ნამდვილ სესხის ხელშეკრულებას, რომლის დასადებად კანონი არ ითვალისწინებს სავალდებულო ფორმის დაცვას და სესხის შეპირებას, რომლისთვისაც დადგენილია სავალდებულო ფორმა და წამოვჭრით კითხვას, თუ რა საფუძვლით არის განპირობებული კანონის ამგვარი განსხვავებული მოთხოვნები აღმოჩნდება, რომ: სესხის ხელშეკრულება, როგორც რეალური ხელშეკრულება, სკ-ის 623-ე მუხლის შესაბამისად, დადებულად არ ითვლება მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. სავალდებულოა სესხის გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის გადაცემა.<sup>7</sup>

ამ გზით უზრუნველყოფილია გამაფრთხილებელი ფუნქცია. პირს, რომელიც სესხს სხვა პირს გადასცემს, როგორც წესი, გაცნობიერებული აქვს საკუთარი მოქმედება და მასთან დაკავშირებული შესაძლო საფრთხე.

სესხის მიცემამდე გამსესხებლის თანხმობა სესხის მიცემის თაობაზე წარმოადგენს მხოლოდ სესხის შეპირებას სკ-ის 628-ე მუხლის მე-2 წინადადების გაგებით, რომლის დადებისას წერილობითი ფორმის დაუცველობა არ წარმოშობს ვალდებულებას. ამდენად, საფრთხეს, რომლის შესახებაც გამსესხებელი წერილობითი ფორმის დაცვის გზით უნდა იქნეს გაფრთხილებული, სარისკო ვალდებულების წარმოშობა წარმოადგენს და როგორც აღმოჩნდა, ვალის უკან დაბრუნების მოთხოვნის უბრალოდ გადავადება, ძირითადად, შედარებით ნაკლებად უქმნის საფრთხეს მის ინტერესებს. საშიშროება უფრო ადრე წარმოიშვა სესხის შეპირების შედეგად წარმოშობილი ვალდებულების ან სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული

---

<sup>6</sup> იგივე გამომდინარეობს ამ წესსა და სკ-ის 628-ე მუხლის პირველ წინადადებას შორის არსებული მჭიდრო ურთიერთკავშირიდან, რომელიც გამსესხებელს ანიჭებს უფლებას კვლავ გათავისუფლდეს ვალდებულების წარმომშობი შეპირებისაგან, თუ სესხის მიცემა მეორე მხარის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესების გამო შესაძლოა საკმაოდ სარისკო გახდეს.

<sup>7</sup> შეად. ზემოთ, №3 შემთხვევას, 1), 1), ა).

თანხის გადახდის გამო. შექმნილი მდგომარეობის უბრალოდ გადავადება, როგორც წესი, შედარებით ნაკლებად არის რისკთან დაკავშირებული. ამდენად, ზემოთ აღნიშნული არ განსხვავდება სხვა მოთხოვნების გადავადებისაგან, რაც განსაზღვრული ფორმის დაუცველადაც არის შესაძლებელი.

ამგვარად, ვალდებულების შესრულების გადავადების თაობაზე შეთანხმების **ნამდვილობისათვის** არ არის სავალდებულო წერილობითი ფორმა.

ე) სხვაგვარად წყდება საკითხი, როდესაც საუბარია მტკიცების ტვირთსა და დასაშვებ მტკიცებულების საშუალებებზე.

რადგანაც გადავადების თაობაზე შეთანხმება მხარეებს შორის სადავოა, პირველ რიგში, უნდა გადაწყდეს, თუ ვინ უნდა დაამტკიცოს ეს გარემოება და შემდეგ, მტკიცებულების რომელ საშუალებაზე შეუძლია მას მითითება.

(ა) როგორც წესი, გარემოება, რომ ვალდებულების შესრულებისათვის ვადა განსაზღვრული არ არის, მოვალემ უნდა დაამტკიცოს, რადგან სკ-ის 365-ე მუხლის შესაბამისად კანონით დადგენილი წესია, რომ ამ შემთხვევაში კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს შესრულება.<sup>8</sup> სესხის ხელშეკრულებისათვის მოქმედებს სკ-ის 626-ე მუხლით დადგენილი განსაკუთრებული დებულება, რომ ვალდებულების შესრულების ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით ან დგება ხელშეკრულების შეწყვეტით სკ-ის 626-ე მუხლის მე-2 წინადადების შესაბამისად. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს გამსესხებლის მტკიცების ტვირთი, რომელიც, მიუხედავად იმისა, შეწყდა თუ არა ხელშეკრულება, მიუთითებს, რომ ვალდებულების შესრულების ვადის განსაზღვრის თაობაზე შეთანხმება ხელშეკრულებაშია მოცემული.

ზემოთ მოხსენებული შეესაბამება სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი

---

<sup>8</sup> ამ საკითხის ირგვლივ არსებული სხვადასხვა მოსაზრების თაობაზე გერმანულ სამართალში იხ. Palandt-Heinrichs, §271 BGB, Rdn.1 შემდგომი დასაბუთებით. საპირისპირო შეხედულება ემყარება იმ გარემოებას, რომ კრედიტორმა უნდა დაასაბუთოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის საფუძველს. ამ გარემოებებს მიეკუთვნება სახელშეკრულებო შეთანხმება ყველა შემადგენელი ნაწილის ჩათვლით, ასევე – ვალდებულების შესრულების ვადის განსაზღვრის წესი.

პუნქტით დადგენილ ძირითად დებულებას, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებიც მის სასარგებლოდ გადაწყვეტენ დავას.

მოცემულ შემთხვევაში ვალდებულების შესრულებისათვის, ვალის უკან დაბრუნებისათვის, მხარეების მიერ განსაზღვრული ერთნაირი ვადა არ არის სადავო.

სადავო მხოლოდ პირველი მოპასუხის მიერ მითითებული გარემოებაა, რომ ვალდებულების შესრულების ვადა შემდგომში შეიცვალა. ამ შემთხვევაში, სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მტკიცებების ტვირთი პირველ მოპასუხეს დაეკისრება.<sup>9</sup>

(ბბ) დასადგენია, თუ რომელი მტკიცებულების გამოყენების უფლება აქვს პირველ მოპასუხეს ვალდებულების შესრულების ვადის შეცვლის თაობაზე შეთანხმების არსებობის დასამტკიცებლად.

(1) სკ-ის 624-ე მუხლის მე-3 წინადადებისა და სსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 წინადადების შესაბამისად, როგორც უკვე აღინიშნა, ზეპირად შეთანხმებული სესხის ხელშეკრულების შემთხვევაში სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დასამტკიცებლად მონმეთა ჩვენების, როგორც მტკიცებულების ერთადერთი საშუალების გამოყენება, გამორიცხულია.<sup>10</sup>

აქ, პირველ რიგში, იგულისხმება შემთხვევა, როდესაც გამსესხებელი ნამდვილ სესხის ხელშეკრულებაზე მიუთითებს და სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილებას – ვალის **უკან დაბრუნებას** მოითხოვს, ხოლო მსესხებელი მიუთითებს სესხის შეპირებაზე და გამსესხებლისაგან სესხის **გადმოცემას** მოითხოვს: სესხის შეპირებისას, როგორც ზემოთ ხაზგასმით აღვნიშნეთ, სკ-ის 628-ე მუხლის შესაბამისად კანონი **ნამდვილობის წინაპირობად** წერილობით ფორმას ითვალისწინებს.<sup>11</sup>

<sup>9</sup> ხელშეკრულებაში ცვლილების მოგვიანებით შეტანის თაობაზე არსებობს ერთიანი მოსაზრება, რომ აღნიშნული გარემოება უნდა დაასაბუთოს იმ მხარემ, რომელიც მასზე მიუთითებს.

<sup>10</sup> იხ. ზემოთ, დ), (ბბ) და (გგ), ასევე – პირველ რიგში მე-4 სქოლიოში. ასევე შემთხვევის ბოლო ნაწილში მოცემული შენიშვნა.

<sup>11</sup> შეად. დასაბუთებას, რომელიც მოცემულია მე-10 სქოლიოში.



(2) პრობლემატურია, ვრცელდება თუ არა საქმის სხვა, სესხის მიცემასთან დაკავშირებულ სადავო გარემოებებზე სკ-ის 624-ე მუხლის მე-3 წინადადებით მტკიცების თაობაზე დადგენილი შეზღუდვები.

ზემოთ მოხსენებული, ამ დებულების<sup>12</sup> შორს მიმავალი და პრობლემატური შედეგების გამო მიზანშეწონილია განმარტება, რომელიც მხოლოდ სიტყვასიტყვითი გაგებით შემოიფარგლება. კანონის განმარტებისას, სკ-ის მე-4 მუხლის პირველი წინადადების შესაბამისად, მხედველობაშია ასევე მისაღები ნორმის არსი და მიზანი. ეს დებულება ადგენს არა მხოლოდ მოსამართლის მიერ კანონთა განმარტების მოვალეობას, არამედ უფლებასაც. როდესაც არ არსებობს სამართლის ნორმა ან იგი ბუნდოვანია, მოსამართლე მაინც ვალდებულია განახორციელოს მართლმსაჯულება, რაც მხოლოდ კანონთა განმარტებისათვის საყოველთაოდ ცნობილი კრიტერიუმების<sup>13</sup> გამოყენების გზით არის შესაძლებელი და სამართლის ნორმის არარსებობისას, სკ-ის მე-5 მუხლის საფუძველზე, მიმართავენ კანონის ანალოგიას.

(2.1) ამ კრიტერიუმების საფუძველზე საუბრისას, პირველ რიგში, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ სკ-ის 624-ე მუხლის მე-3 წინადადე-

<sup>12</sup> შეად. ზემოთ, მე-4 სქოლიოს. ასევე შემთხვევის ბოლო ნაწილში მოცემულ შენიშვნას.

<sup>13</sup> ამ კრიტერიუმებს, პირველ რიგში, მიეკუთვნება ნორმის სიტყვასიტყვითი ტექსტი და წარმოშობის ისტორია, კანონმდებლის უკვე გამოხატული, შესაცნობი ნება, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, დებულების არსი და მიზანი და მისი სისტემატური კავშირი კანონით დადგენილ სხვა დებულებებთან. ქართული სამოქალაქო სამართლის მჭიდრო ურთიერთკავშირს კონტინენტური ევროპის სამართლებრივ ოჯახთან, მათ შორის გერმანულ სამართალთან, ხაზს უსვამს შედარებით-სამართლებრივი არგუმენტები, სასამართლო პრაქტიკასა და ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები, რამდენადაც ეს წყაროები მისაწვდომია ქართველი იურისტებისათვის.

შედარებით-სამართლებრივი თვალსაზრისით მუდმივად არის მხედველობაში მისაღები ის გარემოება, რომ ცალკეულ დებულებათა სხვა სამართლის წრიდან ქართულ სამართალში სიტყვასიტყვითი გადმოტანის შემთხვევაშიც კი არ არის აუცილებელი, რომ კანონის განმარტებამ საქართველოში იგივე შედეგამდე მიგვიყვანოს, რასაც სხვა ქვეყნებში მივიღებდით. აღნიშნული გამომდინარეობს კანონით გარანტირებულ ქართველი მოსამართლის დამოუკიდებლობიდან და დებულებიდან, რომ ის ვალდებულია დაემორჩილოს მხოლოდ კანონს, ასევე – საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებიდან და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებიდან.

ამდენად, კანონის ინტერპრეტაციისას შედარებით-სამართლებრივი არგუმენტები მხოლოდ ერთ-ერთ, მაგრამ მნიშვნელოვანი განმარტების კრიტერიუმად უნდა მივიჩნიოთ.

ბითა და სსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით მტკიცებულებებისათვის დადგენილ შეზღუდვებს ექვემდებარება მხოლოდ მხარეთა **გარიგების შედეგად მიღწეული შეთანხმებები**, ე.ი. მათ მიერ გამოვლენილი ნება. ამდენად, მათი მოქმედება არ ვრცელდება სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის სხვა წინაპირობებზე, განსაკუთრებით – რეალურ მოქმედებაზე, მსესხებლისათვის თანხის გადახდაზე. ამგვარად, სკ-ის 624-ე მუხლის სიტყვასიტყვითი გაგება<sup>14</sup> და სკ-ის 623-ე, 624-ე მუხლებში კანონის სისტემა ერთმნიშვნელოვანია.

ასევე არ არსებობს რაიმე საფუძველი ვიფიქროთ, რომ მსგავსი გარემოებების დასადასტურებლად ამ შემთხვევაში მტკიცებულებებისათვის დადგენილი შეზღუდვები ხელშეკრულების სხვა ტიპებზეც გავავრცელოთ, როდესაც შესრულების განხორციელების დამტკიცება, სკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებია ყველა სახის მტკიცებულებით.

განსახილველ შემთხვევაზე ვრცელდება სსკ-ის 105-ე მუხლით გათვალისწინებული ძირითადი დებულებაც მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების შესახებ.

ვალის უკან დაბრუნების დასასაბუთებლად ასევე არ ამოქმედდება სკ-ის 624-ე მუხლის მე-3 წინადადებით, სსკ-ის 102-ე მუხლით დადგენილი შეზღუდვები.

(2.2) ზემოთ აღნიშნულის საპირისპიროდ, სკ-ის 623-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და სსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით მტკიცებულებებისათვის დადგენილი შეზღუდვები მოიცავენ სესხის ხელშეკრულებას მთლიანად, მისი დადებისას არსებული ყველა შემადგენელი ნაწილით, ანუ არსებითი პირობებითა და დამატებითი შეთანხმებებით. ამდენად, შეზღუდვები ვრცელდება მხარეებზე, სესხის ოდენობაზე, პროცენტებზე, კანონისაგან განსხვავებულად დადგენილ ვალდებულებათა შესრულების ვადებზე, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებზე და ა.შ.

აღნიშნული იქიდანაც გამომდინარეობს, რომ ხელშეკრულება სკ-ის 624-ე მუხლის გაგებით, ყველა ამ შემადგენელ ნაწილთან ერთად, ერთ მთლიანობას წარმოადგენს და განსაზღვრული მტკიცების წესების შესა-

<sup>14</sup> ნორმაში საუბარია სესხის ხელშეკრულების ნამდვილობაზე.

ბამისად ამ ცალკეულ ნაწილებზე რეგულირების სხვადასხვა მექანიზმის გამოყენება შეუძლებელი და სამართლებრივად დაუშვებელია.

(2.3) ზემოთ დასახელებული, მტკიცებულებებისათვის დადგენილი შეზღუდვები, პირველ რიგში, მოქმედებს ორივე მხარისათვის და არა მხოლოდ გამსესებლისათვის. აღნიშნული გამომდინარეობს სკ-ის 624-ე მუხლის მე-3 წინადადების სიტყვასიტყვითი განმარტებიდან, სადაც საუბარია **სესხის ხელშეკრულების** ნამდვილობაზე და რომელიც მხოლოდ კრედიტის მიმცემის ვალის უკან დაბრუნების მოთხოვნის მიმართ არ ადგენს მტკიცების განსხვავებულ წესს.

სისტემატურობის გათვალისწინებით იგივე გამომდინარეობს ერთიანი ხელშეკრულების ცალკეულ ნაწილებად დანაწევრების დაუშვებლობიდან და მხარეთა თანაბარი საპროცესო უფლებებით სარგებლობის პრინციპიდან, რაც ნათლად არის დადგენილი სსკ-ის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით.

არასასურველი, მაგრამ არც აკრძალული ზეპირი ფორმით დადებული ხელშეკრულებისათვის კანონით დადგენილი სანქციები, ამასობაში, მიმართულია ხელშეკრულების ორივე მხარისაკენ.

სხვაგვარად დაირღვეოდა სამართლიანობის პრინციპი, თუ ზეპირად დადებული სესხის ხელშეკრულების გარკვეულ პირობათა შინაარსთან დაკავშირებით ერთი მხარისათვის დავუშვებდით, ხოლო მეორე მხარისათვის აკრძალავდით ცალკეულ მტკიცებულებათა გამოყენებას.

მსესხებელსაც, რომელიც ზეპირად შეთანხმებულ ხელშეკრულების პირობების შინაარსზე მიუთითებს, დავის შემთხვევაში გარემოებათა დამტკიცება ასევე სკ-ის 624-ე მუხლის მე-3 წინადადებით დადგენილი შეზღუდვებითა და სსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის გათვალისწინებით მოუწევს. მაგალითად, როდესაც მას სურს დაადასტუროს, რომ არსებობდა შეთანხმება სესხის ხელშეკრულების უზრუნველყოფის საშუალებებზე უარის თქმის ან გარკვეული წინაპირობების არსებობისას პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების თაობაზე.

(2.4) სკ-ის 624-ე მუხლის მე-3 წინადადებითა და სსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით მტკიცებულებებისათვის დადგენილი შეზღუდვები ასევე

მოქმედებენ სესხის ხელშეკრულების შემდგომ ცვლილებაზეც, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მხარე ცდილობს ამის დამტკიცებას.<sup>15</sup>

სკ-ის 624-ე მუხლის მკაცრი მოთხოვნები, როგორც ზემოთ აღინიშნა, არა მხოლოდ შესრულების მიმდებარე, რომლის სამართლებრივი მდგომარეობაც სადავოა, უნდა იცავდნენ უსაფუძვლო, გაუმართლებელი ვალის უკან დაბრუნების მოთხოვნისაგან. უპირველეს ყოვლისა, მტკიცებულებებისათვის დადგენილი ამგვარი შეზღუდვები სამართლებრივ ურთიერთობათა გაფორმების ინტერესებიდან გამომდინარე სახელშეკრულებო ურთიერთობათა სამართლებრივ უსაფრთხოებასა და ამ პროცესის სიცხადეს უნდა უზრუნველყოფდნენ. ამასთან, უშუალოდ მხარეებიც უნდა შეეცადონ, რომ სესხის ხელშეკრულება წერილობით დადონ.

ყველა ეს მოსაზრება ასევე შეეხება სესხის ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შემდგომში შეტანის შემთხვევებს.<sup>16</sup>

მაშინაც კი, თუ წარმოდგენილი შეხედულებების გათვალისწინებით კანონდებლის მიერ არჩეული გზა პრობლემურად მოგვეჩვენება,<sup>17</sup> კანონის შეფასება მაინც ერთმნიშვნელოვანია და მოსამართლემ, სკ-ის მე-4 მუხლის მე-2 წინადადების შესაბამისად, მას პატივი უნდა მიაგოს.

თავისი არსითა და მიზნით სკ-ის 624-ე მუხლი მოიცავს სესხის ხელშეკრულების შემდგომ ცვლილებასაც. სესხის ხელშეკრულების შინაარსისა და ნამდვილობის დასამტკიცებლად, ყველა ცვლილებისა და დამატების ჩათვლით, სკ-ის 624-ე მუხლის მე-3 წინადადებისა და სსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ვერც ერთი მხარე ვერ დაეყრდნობა მხოლოდ მონმეთა ჩვენებას.

მოცემული შემთხვევისათვის ეს ნიშნავს შემდეგს:

თუ პირველი მოპასუხე ვალდებულების შესრულების ვადის განსაზღვრის წესში ზეპირად შეტანილი ცვლილების დასასაბუთებლად ვერ

<sup>15</sup> მაგალითად, მოსარჩელე ამტკიცებს სესხის ვადამდე დაფარვის, ხოლო მოპასუხე – როგორც ჩვენს შემთხვევაში – ვალდებულების შესრულების გადავადების თაობაზე მოგვიანებით მიღწეული შეთანხმების არსებობას.

<sup>16</sup> მოქმედებს ზოგადი პრინციპი, რომ გარიგების ფორმისათვის დადგენილი წესები ასევე ვრცელდება ხელშეკრულების ყოველგვარ ცვლილებასა და დამატებაზე. თუმცა, ფორმის დაუცველად შესაძლებელია ფორმის დაცვით დადებული გარიგების *gauqmeba*.

<sup>17</sup> შეად. ზემოთ, მე-4 პარაგრაფს ასევე შემთხვევის ბოლო ნაწილში მოცემულ შენიშვნას.

წარადგენს სხვა მტკიცებულებას ან მტკიცებულების სახით მხოლოდ მონ-  
მეთა ჩვენებაზე მიუთითებს, ის ვერ შეძლებს ამ გარემოების დამტკიცე-  
ბას.<sup>18</sup> ამდენად, ასეთ შემთხვევაში, ამოსავალი წერტილი ხელშეკრულებით  
თავდაპირველად განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადა გახ-  
დება – ვალი უკან უნდა დაბრუნდეს სესხის მიცემიდან ერთი წლის შემდეგ.

სესხის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნის დაკ-  
მაყოფილების ვადა, სკ-ის 626-ე მუხლის შესაბამისად, ჩაითვლებოდა დამდ-  
გარად.

## 2) იპოთეკის საფუძველზე წარმოშობილი მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის მიმართ:

სკ-ის მე-300 მუხლის შესაბამისად, იპოთეკის საფუძველზე წარმოშო-  
ბილი პირველი მოპასუხის წინააღმდეგ მიმართული მოსარჩელის მოთხოვ-  
ნის თაობაზე შეიძლება მივუთითოთ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებზე  
(შემთხვევა №3).<sup>19</sup>

აღნიშნული ვრცელდება განსაკუთრებით ვალდებულებით-სამართ-  
ლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე იპოთეკარ-მოვალის შესაგებ-  
ლებზე: მათი წაყენება იპოთეკარ-კრედიტორის მიმართ შესაძლებელია  
სკ-ის 291-ე მუხლის ანალოგიის წესით გამოყენებისას, მაშინაც კი, როდეს-  
აც იპოთეკარი-მოვალე და პირადი მოვალე ერთიდაიგივე პირია.<sup>20</sup>

ამ შესაგებელთა კატეგორიას ასევე მიეკუთვნება, შესაგებელი, რომ  
მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაგალითად, ვალ-  
დებულების შესრულების გადავადების თაობაზე შეთანხმების გამო.

დავის შემთხვევაში მოქმედებენ ზემოთ მოხსენებული წესები მტკი-  
ცების ტვირთისა და ცალკეულ მტკიცებულებათა წარდგენის გამორიცხვის  
ან შეზღუდვის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში იპოთეკასთან მიმართე-  
ბაშიც მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ პირველ მოპასუ-  
ხეს არ შეუძლია შესაბამისი მტკიცებულების წარდგენა. ამდენად, სარჩელი

<sup>18</sup> აქაც, მხედველობაში მიიღება დამატებით მხარეთა მოსმენა სსკ-ის 127-ე მუხლის შესაბამისად.  
იხ. ზემოთ, მე-4 სქოლიო, ასევე – შემთხვევის ბოლო ნაწილში მოცემული შენიშვნა.

<sup>19</sup> იხ. ზემოთ, შემთხვევა №3, B), I), 2).

<sup>20</sup> იხ. ზემოთ, შემთხვევა №3, B), I), 2), დ), ეე).

დასაშვებია.

### **3) თავდებობის საფუძველზე წარმოშობილი მოსარჩელის მოთხოვნა მეორე მოპასუხის მიმართ:**

აქაც მივუთითებთ №3 შემთხვევაზე.<sup>21</sup> სკ-ის 899-ე, 893-ე მუხლების შესაბამისად თავდებს შეუძლია ძირითადი მოვალის ყველა შესაგებლის წარდგენა.

ა) რამდენადაც მოპასუხე მიუთითებს, რომ სესხის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ძირითადი მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადა ჯერ არ დამდგარა ვალდებულების შესრულების გადავადების გამო, მასზეც გავრცელდება მტკიცებულებათა გარკვეული სახეებისათვის ზემოთ მოხსენებული, დადგენილი შეზღუდვები. ამ გარემოების დასაბუთებას მოპასუხეც ვერ შეძლებს, თუ მტკიცებულების სახით მხოლოდ მოწმეთა ჩვენებაზე მიუთითებს.

ბ) სხვაგვარად გადაწყდება საკითხი სკ-ის 894-ე მუხლის საფუძველზე შესაგებელთან დაკავშირებით, რომ კრედიტორი ჯერ უნდა შეეცადოს ძირითადი მოვალის მიმართ აღსრულებას: თავდებს შეუძლია უარი თქვას შესრულებაზე, თუ ეს გამორიცხული არ არის თავდებობის ხელშეკრულებით, რომელიც ითვალისწინებს სოლიდარულ პასუხისმგებლობას ან სხვა მსგავს შეთანხმებას სკ-ის 895-ე მუხლის შესაბამისად, თუ კრედიტორს ჯერ არ ჰქონია ძირითადი მოვალის მიმართ წაყენებული მოთხოვნის წარუმატებელი მცდელობა; სანამ არ დადგინდება, რომ ამ მცდელობას შედეგი არ მოჰყვება. ამასთან, შესაძლებელია შესაგებლის კონკლუდენტურად წარდგენა.

ამგვარად, მეორე მოპასუხის მიმართ მოსარჩელის მიერ აღძრული სარჩელი ჩაითვლება დაუსაბუთებლად, იმის გამო, რომ არ დამდგარა ვალდებულების შესრულების ვადა და მას უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.<sup>22</sup>

---

<sup>21</sup> იხ. ზემოთ, შემთხვევა №3, B), 1), 3).

<sup>22</sup> შეად. ზემოთ, 1), 1), ბ) ასევე – პირველ რიგს.

### C. შენიშვნა:

სკ-ის 624-ე მუხლის მე-3 ნაწილის ძირითადი დებულების გამოყენება პრაქტიკაში მთელ რიგ პრობლემებს წარმოშობს, როგორც ეს განსახილველმა შემთხვევამ ცხადყო.

სკ-ის 624-ე მუხლის მე-3 ნაწილში საუბარია კომპრომისზე ფორმის აბსოლუტურ თავისუფლებასა და მკაცრ დებულებებს შორის, რომლებიც, მაგალითად, გათვალისწინებული იყო საბჭოთა სამოქალაქო სამართლით და რომელთა თანახმად მტკიცებულების სახით მონმის ჩვენებაზე მითითება სესხის განსაზღვრულ ოდენობაზე ზევით სრულიად გამორიცხული იყო.

აქედან გამომდინარე, ნათლად გამოხატული საზოგადო უნდობლობა მონმის ჩვენების, როგორც მტკიცებულების სახისადმი, როგორც ჩანს, ასეთი განზოგადებული ფორმით არ არის დასაბუთებული, მაშინაც კი, როდესაც მონმის ჩვენება, სხვადასხვა მიზეზის გამო, შესაძლოა მართლაც ყველაზე ნაკლებად დასაშვებ მტკიცებულების სახედ იქნეს მიჩნეული.

სხვა შემთხვევებში, სსკ-ის 105-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულებათა შეფასების თავისუფლების პრინციპის ამგვარი შეზღუდვა, ნამდვილად საკმაოდ უცხოა თანამედროვე ქართული საპროცესო სამართლისათვის.

ასევე არ არის გათვალისწინებული მონმის ჩვენების, როგორც მტკიცებულების საშუალების მთლიანად ან ნაწილობრივ უარყოფა, მაშინაც კი, როდესაც თავად მტკიცების თემა მსგავსი მნიშვნელობისაა:

ვალის უკან დაბრუნებისა ან სხვა ამგვარი მოთხოვნების დასაბუთება, მიუხედავად თანხის ოდენობისა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლისა, შეუზღუდავად არის შესაძლებელი მონმეთა ჩვენების შედეგად.

ამდენად, მტკიცების საშუალების შეფასებისას მხოლოდ სსკ-ის 105-ე მუხლით გათვალისწინებულ მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა შეფასების თავისუფლებას კანონი უნდა მინდობოდა იმპერატიული წესების დადგენის გარეშეც.

მატერიალური სამართლით, სკ-ის 624-ე მუხლის მე-3 ნაწილადებით, გათვალისწინებული საპროცესო რეგულირება, სსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სავალდებულოა მოსამართლისათვის, თუმცა, სამო-



ქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი მტკიცების წესებისათვის იგი უცხო სხეულია, რამაც შესაძლოა განსაკუთრებით არადაამაკმაყოფილებელ შედეგამდე მიგვიყვანოს.

გარდა ამისა, ამ ფორმით იგი ნაკლებად პრაქტიკულია: თუ სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დასასაბუთებლად **მხოლოდ** მოწმის ჩვენება არ არის საკმარისი, მაშინ შესაძლოა საპირისპირო დასკვნაც გამოვიტანოთ, რომ მოწმის ჩვენება მტკიცებულების სხვა საშუალებებთან **ერთად** შესაძლოა საკმარისი აღმოჩნდეს. საქმის ბუნებიდან გამომდინარე, მხარის ნაკლებად დამაჯერებელ ახსნა-განმარტებასთან ერთად სსკ-ის 127-ე მუხლის შესაბამისად მხედველობაში ფაქტობრივად მხოლოდ საბუთებს თუ მივიღებთ. მეორე მხრივ, როდესაც ამგვარი საბუთები წარმოდგენილია, როგორც წესი, მოწმის ჩვენებაზე ხშირად დამატებით აღარ მიუთითებენ ხოლმე.

აღნიშნული თავისთავად არის გასათვალისწინებელი, როდესაც საბუთები, სკ-ის 69-ე მუხლის პირველი ნაწილით წერილობითი ფორმისათვის დადგენილ მოთხოვნებს თავისთავად უკვე უნდა პასუხობდნენ სკ-ის 624-ე მუხლის გაგებით სესხის ხელშეკრულების ფორმის ნამდვილობისათვის. ამ შემთხვევაში მოწმეთა ჩვენებას მნიშვნელობა ენიჭება ისეთი საკითხების დასადგენად, როგორც არის მაგალითად, ხელმოწერის ნამდვილობა, წარმომადგენლობასთან დაკავშირებული პრობლემები ან მონაწილეთა ქმედუნარიანობა.

ასევე, უნდა ვიფიქროთ ზეპირად დადებულ სესხის ხელშეკრულებაზე, რომელიც მოვალის მიერ შემდგომ შედგენილ დოკუმენტებში დადასტურდება, მაგალითად საბუღალტრო დოკუმენტებში ან კრედიტორისთვის გაგზავნილ წერილებში, რომლებშიც მეორე მხარე ვალდებულების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის გადადებას ითხოვს. გარდა ამისა შესაძლებელია, რომ გამსესხებლის მიერ საბანკო გადარიცხვის დოკუმენტებით, კვიტანციებიდან ან სხვა სახის კორესპონდენციიდან გადახდის მიზანი - „სესხი“ დადგინდეს.

ამგვარი საბუთები არ პასუხობენ სკ-ის 69-ე მუხლის პირველი ნაწილით წერილობითი ფორმისათვის დადგენილ მოთხოვნებს, რადგან ორივე მხარის მიერ გამოვლენილი ნება არ არის სრულად გადმოცემული და ორივე

მხარის მიერ ხელმოწერილი. მიუხედავად ამისა, ისინი წარმოადგენენ მნიშვნელოვან მტკიცებულების საშუალებას საბუთების, როგორც მტკიცებულების სახის თვალსაზრისით.

თუ წარმოდგენილი წერილობითი დოკუმენტაცია არ არის ერთმნიშვნელოვანი, მაშინ მიმართავენ საბუთებისა და მონმეთა ჩვენების კომბინაციას, მხარეთა მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებასთან ერთად.

საკითხი რთულდება, როდესაც სესხის დამადასტურებელი საბუთები არ არსებობს, მაგრამ სასამართლო მონმეთა მიერ მიცემული ჩვენების შედეგად „ფაქტობრივად“ დარწმუნებულია სესხის ხელშეკრულების არსებობის თაობაზე: კანონით დადგენილი იმპერატიული რეგულირების გამო, სკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილისა და სსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას ვერ დაეყრდნობა მხოლოდ ზემოთ აღნიშნულს. თუმცა, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ამ გარემოებების გათვალისწინებით აშკარა უსამართლობა იქნებოდა. ამ შემთხვევაში სასამართლოს მხარეთა ახსნა-განმარტება დამატებით შეუძლია და უნდა გამოიყენოს კიდევ მტკიცებულების საშუალებად, მაშინაც კი, თუ მას ეს „ფაქტობრივად“ აღარ ესაჭიროება გადაწყვეტილების მისაღებად. ქართული სამართალი გთავაზობს მხარეთა ახსნა-განმარტებას, როგორც მტკიცებულების ერთ-ერთ სახეს (სსკ-ის 127-ე მუხლი). დასახელებული სკ-ის 624-ე მუხლითა და სსკ-ის 102-ე მუხლით დადგენილი შეზღუდვები მონმეთა ახსნა-განმარტების, როგორც მტკიცებულების საშუალების, გამოყენებაზე არ მოქმედებენ.

ასეთ შემთხვევებში უნდა ვიფიქროთ სესხის მიმღების მითითების ტვირთის მიმართ წაყენებულ უფრო მაღალ მოთხოვნებზე, რომელთა თაობაზე მიცემული ახსნა-განმარტება საკმაოდ სპეციფიკური ხასიათისა უნდა იყოს: **რისთვის** მიიღო ფული, როდის მოხდა გადახდა და რომ, მიუხედავად აღნიშნულისა, ის სესხის სამართლებრივ საფუძველზე დავობს (მითითების ტვირთის თაობაზე იხ. შესავალში, 5).

შესაძლოა საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ხელოვნური გამოჩნდეს, მაგრამ წარმოადგენს ერთადერთ გამოსავალს, როდესაც სასამართლოს სურს ცალკეულ შემთხვევებში თავი აარიდოს უსამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, მაგრამ იმავდროულად პატივი უნდა სცეს კანონის მიერ ერთ-

ნიშვნელოვნად დადგენილ წესს, რომ არ შემოიფარგლოს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით.

მართლმსაჯულების დამოუკიდებლად განხორციელების მნიშვნელობიდან გამომდინარე მტკიცებულების თავისუფალი შეფასებისათვის მსგავსი შეზღუდვის დანესება არ ჩაითვლება მართლებულად. კანონით დადგენილი იმპერატიული ხასიათის წესის გათვალისწინებით დასახელებული დამატებითი საშუალებების, მოწმეთა ჩვენებისა და მხარეთა ახსნა-განმარტების კომბინაციის ფორმით, გამოყენებისათვის თავის არიდება ფაქტიურად შეუძლებელია.

კანონმდებლის განზრახვა სკ-ის 624-ე მუხლის მე-3 წინადადების დადგენისას, როგორც ჩანს, მდგომარეობს გარიგებათა გაფორმებისას სიცხადისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე მონაწილეთა იძულებაში ყურადღება მიაქციონ განსაზღვრულ ფორმებს. კანონმდებლის მიერ ამგვარი წესის დადგენა, ძირითადად, გამართლებულია. მხოლოდ მისი ფორმულირების არასაკმარისობა განაპირობებს ზემოთ აღწერილ პრობლემებსა და გაუგებრობებს.

კანონის ნოველის ფარგლებში ამ ნორმის გადამუშავება, სესხის ხელშეკრულებისათვის დადგენილი ფორმის თავისუფლების და არა აუცილებლად, სკ-ის 628-ე მუხლის შესაბამისად, სესხის შეპირების გაგებით, განსჯის საგანი უნდა გახდეს.

**SemTxveva #6a (gagrZeleba)**  
**gadawyvatileba SemTxvevaze #6**

**Tematika:** იხ. შემთხვევა №6

**შენიშვნა:**

სესხის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნის – ვალის დაბრუნების – შესრულების გადადების თაობაზე სასამართლომ შეაგროვა მტკიცებულებები სხვადასხვა მოწმეთა დაკითხვის გზით.

შედეგების ხელმეორედ გადმოცემისაგან ამჯერად თავს შევიკავებთ. აღნიშნული მოცემულია გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.

**1. საპროცესო-სამართლებრივი საფუძვლები: შეად. სსკ-ის 249-ე მუხლს.**

**2. აღწერილობითი ნაწილი:**

№3 შემთხვევაში მოცემული აღწერილობითი ნაწილი შესაძლებელია გადმოვიტანოთ სსკ-ის 249-ე მუხლის მე-6 ნაწილის გაგებით გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის სახით. გადაწყვეტილებას უნდა დაემატოს სასამართლოს მიერ შემდგომ შეგროვებული მტკიცებულებები, თუმცა, მათ შესახებ მხოლოდ მოკლედ უნდა აღინიშნოს და მათი შინაარსის გადმოცემა არ არის აუცილებელი. ამგვარი დამატება შინაარსობრივად შესაძლოა ჩამოყალიბდეს ზემოთ ნარმოდგენილი შენიშვნის ფორმით.

**3. სამოტივაციო ნაწილი:**

სარჩელი პირველი მოპასუხის მიმართ დასაბუთებულია. მოსარჩელეს უფლება აქვს პირველი მოპასუხისაგან მოითხოვოს როგორც სესხის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნა ვალის პროცენტებთან ერთად უკან დაბრუნების თაობაზე, ისე მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის იძულებით გასხვისება. დანარჩენ ნაწილში ამ ეტაპისათვის სარჩელი დაუ-

საბუთებელია, რამდენადაც სარჩელი მიმართულია მეორე მოპასუხის წინააღმდეგ და ეფუძნება თავდებობას და მხარეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ არ დამდგარა სასარჩელო მოთხოვნის შესრულების ვადა.

სკ-ის 623-ე, 626-ე მუხლების შესაბამისად მოსარჩელე წარადგენს მოთხოვნას მოპასუხის მიმართ მხარეთა მიერ დადებული სესხის ხელშეკრულების საფუძველზე.

სკ-ის 624-ე მუხლის შესაბამისად მხარეებმა დადეს ნამდვილი სესხის ხელშეკრულება წერილობითი ფორმით. მოსარჩელემ სესხით გათვალისწინებული თანხა პირველ მოპასუხეს გადაუხადა.

ხელშეკრულებით შეთანხმებული და განსაზღვრული ერთნობიანი ვადა დავის გარეშე გავიდა და ამდენად, სკ-ის 626-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დადგა ვალის და სკ-ის 625-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის პროცენტის უკან დაბრუნების ვადა.

პირველმა მოპასუხემ ვერ დაასაბუთა საკუთარი მითითება იმის თაობაზე, რომ მხარეები მოგვიანებით შეთანხმდნენ სესხის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნის შესრულების გადავადებაზე. მოსარჩელე უარყოფს ამგვარი შეთანხმების არსებობას.

უდავოა, რომ ამ ფაქტის დამადასტურებელი წერილობითი საბუთები არ არსებობენ. თუმცა, შესაძლებელია, რომ ამგვარი შეთანხმება ზეპირად იყო მიღწეული.

აღნიშნული გამომდინარეობს სკ-ის 624-ე მუხლის პირველი წინადადებიდან. თუ თავად სესხის ხელშეკრულების დასადავად არ არის გათვალისწინებული სავალდებულო ფორმა, შესაძლებელია, რომ იგივე გავრცელდეს მოგვიანებით შეთანხმებულ ან შეცვლილ ხელშეკრულების პირობებზე.

ზემოთ მოხსენებული მოსაზრება შეუსაბამობაშია სკ-ის 628-ე მუხლის მე-2 წინადადებასთან, რომლის შესაბამისად სესხის **შეპირების** ნამდვილობის წინაპირობას მისი წერილობითი ფორმა წარმოადგენს. სესხის შეპირებისათვის სავალდებულო ფორმის დადგენის მიზეზი მდგომარეობს იმ გარემოებაში, რომ კანონმდებელი ამ სახელშეკრულებო ვალდებულებას

დამპირებისათვის განსაკუთრებით სახიფათოდ მიიჩნევა და სურს, რომ სავალდებულო წერილობითი ფორმის დადგენით გააფრთხილოს იგი ამგვარი გარიგების დადების შემთხვევაში შესაძლო საფრთხის თაობაზე.

სესხის ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც გამსესხებელს სესხის მსესხებლისათვის მიცემისას საკმარისი შესაძლებლობა ეძლევა ყურადღება მიაქციოს მოსალოდნელ საფრთხეს, კანონი უშვებს შეთანხმების ზეპირად დადების შესაძლებლობას სკ-ის 624-ე მუხლის პირველი წინადადების შესაბამისად. ამდენად, სკ-ის 628-ე მუხლის მე-2 წინადადების სკ-ის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ანალოგიის წესით გამოყენების შესაძლებლობა მხედველობაში არ მიიღება.

ზემოთ აღნიშნულისაგან განსხვავებით სკ-ის 624-ე მუხლის მე-3 წინადადებით დადგენილი მტკიცების წესების მოქმედება ასევე ვრცელდება სესხის ხელშეკრულებაში მოგვიანებით შეტანილ ცვლილებებზე. ამ დებულების შესაბამისად დაუშვებელია, რომ ზეპირი შეთანხმება, მხარეებს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით დადგინდეს.

კანონით დადგენილი ეს დებულება მთლიანად მოიცავს სესხის ხელშეკრულებას, მიუხედავად იმისა, როდის იქნა შეთანხმება მიღწეული და ვინ მიუთითებს მასზე. ამდენად, ხელშეკრულებებზე, რომელთა გასაფორმებლად დადგენილია სავალდებულო ფორმა, ვრცელდება წესი, რომ ხელშეკრულებაში მოგვიანებით შეტანილი ცვლილებები ან დამატებები უნდა გაფორმდეს იმავე ფორმით, რა ფორმაც დადგენილია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულებისათვის.

სესხის ხელშეკრულების მომწესრიგებელმა ნორმებმა, კერძოდ, სკ-ის 624-ე მუხლის მე-3 წინადადებით დადგენილმა მკაცრმა მოთხოვნებმა შესაძლებელი უნდა გახადონ ან შეამსუბუქონ მიღებული შეთანხმების შინაარსის დამტკიცება, როდესაც მხარეებს შორის დავა ამ საკითხზე წარმოიშობა.

ნორმის ეს მიზანი თანაბრად მოიცავს როგორც თავდაპირველ ხელშეკრულებას, ისე მოგვიანებით მასში შეტანილ ცვლილებებს. ამასთან, არ არსებობს სხვა საფუძველი ამ ორი შემთხვევის განსხვავებული რეგულირების წესის ქვეშ მოქცევისათვის. მხოლოდ შემთხვევაზე დამოკიდებული

ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების და მასში ცვლილებების ან დამატებების მოგვიანებით შეტანის გაფორმების წესი შეთანხმებისთანავე იქნება გათვალისწინებული, თუ ხელშეკრულებაში დამატება მოგვიანებით იქნება შეტანილი. აღნიშნულის სასარგებლოდ მეტყველებს სკ-ის 624-ე მუხლის ფორმულირება სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის მტკიცების წესის თაობაზე: ნორმის სიტყვასიტყვითი გაგებიდან გამომდინარე ასევე იგულისხმება ხელშეკრულებაში მოგვიანებით შეტანილი ცვლილებები.

სკ-ის 624-ე მუხლის მე-2 წინადადებით მტკიცებისათვის დადგენილი მოთხოვნები თანაბრად ვრცელდება ხელშეკრულების ორივე მხარეზე, რაც გამომდინარეობს ნორმის სიტყვასიტყვითი გაგებიდან, რომელიც არ ახდენს გამსესხებლისა და მსესხებლის ამ თვალსაზრისით დიფერენცირებას. ამასთან, არც დებულების არსი და მიზანი, კერძოდ, მთლიანად ხელშეკრულების შინაარსის მტკიცების შესაძლებლობა, არ იძლევა სხვაგვარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას.

და ბოლოს, ხელშეკრულების ცალკეული პირობებისათვის მტკიცების განსხვავებული მოთხოვნების დადგენა იმის მიხედვით, თუ ვინ მიუთითებს მათზე, წინააღმდეგობაში მოვა მხარეთა თანაბარი საპროცესო უფლებების შესახებ ძირითად დებულებასთან, რაც სსკ-ის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებიდან გამომდინარეობს.

ხელშეკრულებით შეთანხმებული ვალდებულების შესრულების ვადის შეცვლის თაობაზე მტკიცების ტვირთი ეკისრება პირველ მოპასუხეს. ამდენად, სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მოქმედებს წესი, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. აღნიშნულს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განსახილველი შემთხვევისათვის: სახელშეკრულებო შეთანხმების მოგვიანებით შეცვლის ფაქტი უნდა დაამტკიცოს იმ მხარემ, რომელსაც სურს ამ ცვლილების შედეგად წარმოშობილი უფლებების დასაბუთება.

პირველმა მოპასუხემ ვერ შეძლო დასაშვები მტკიცებულებებით ამ გარემოების დამტკიცება.

პირველი მოპასუხის თანამშრომელმა, მონემ X, დაადასტურა, რომ ... რიცხვში შედგა საუბარი პირველ მოპასუხესა და მოსარჩელის თა-



ნამშრომელს, Y-ს, შორის. საუბრის საგანი სესხის ხელშეკრულების ვადის გაგრძელება იყო. Y-მა საბოლოოდ ასევე დაადასტურა ეს გარემოება.

Y დაიკითხა მოწმის სახით და მან აღნიშნა, რომ ამგვარ საუბარს მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ერთმნიშვნელოვანი თანხმობა ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ, რომელსაც შესაძლოა ვალდებულების წარმოშობა მოჰყოლოდა, მას არ მიუცია. გარდა ამისა Y-მა განაცხადა, რომ ამგვარი თანხმობის მიცემის უფლებამოსილება უფროსთან, ე.ი. მოსარჩელესთან, წინასწარ შეთანხმების გარეშე მას არ ჰქონია.

სკ-ის 127-ე მუხლის შესაბამისად მხარეთა მოსმენამ ამ საკითხის დადგენაში სიცხადე ვერ შეიტანა. პირველმა მოპასუხემ ხელშეკრულების ვადის გაგრძელების ფაქტის დასადასტურებლად ამ საუბარზე მიუთითა. მოსარჩელის წარმომადგენელმა ამგვარი მითითება უარყო და აღნიშნა, რომ თანხმობის მიცემა შეუძლებელი იქნებოდა, რადგან მოსარჩელის საბანკო სანარმოში საბუღალტრო საქმის დადგენილი წესების დაცვით წარმოებისას ამ სახის შეთანხმებები ყოველთვის წერილობითი ფორმით იდება.

უდავოა, რომ განსახილველ შემთხვევაში მსგავსი საბუთები არ არსებობს.

ამ გარემოებების მხედველობაში მიღებით სასამართლოს არ შეუძლია დადგენილად და ნამდვილად მიიჩნიოს მხარეთა შეთანხმება სესხის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ. ამასთან, ამ გარემოების დადგენა ასევე არ არის შესაძლებელი მხოლოდ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე სკ-ის 624-ე მუხლის მე-3 წინადადების შესაბამისად. ამასთან, მოწმეთა ჩვენება შინაარსობრივად ურთიერთგამომრიცხავია და სასამართლოს არ შეუძლია ჩათვალოს, რომ მხოლოდ X-ის მიერ მიცემული ჩვენება შესაბამეა სიმართლეს.

მოსარჩელის მითითებათა სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ საბანკო საქმეში მნიშვნელოვანი შეთანხმებები, როგორც წესი, წერილობით ფორმდება ან ყოველ შემთხვევაში წერილობით დასტურდება, რაც ასევე სასამართლოსათვის არის ცნობილი. აღნიშნულთან, განსახილველ შემთხვევაში, საქმე არა გვაქვს. ამ გარემოებას არც პირველი მოპასუხე უარყოფს.

ამდენად, მტკიცების ტვირთი კვლავ მას ეკისრება.

ვალდებულების შესრულების, ვალის პროცენტებთან ერთად უკან დაბრუნების ვადა დამდგარია.

პირველმა მოპასუხემ უნდა ითმინოს იპოთეკის საფუძველზე კუთვნილი მიწის ნაკვეთის გასხვისება სკ-ის მე-300 მუხლის შესაბამისად. იპოთეკის ან ვალდებულებითი სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე შესაგებლების ნარდგენის შესაძლებლობა სკ-ის 291-ე მუხლის შესაბამისად განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს. წინამდებარე მოსაზრებები ასევე გავრცელდება იმ გარემოებაზე, რის დამტკიცებასაც მხარე ცდილობს: რომ ვალდებულების შესრულების ვადა არ დამდგარა.

მეორე მოპასუხის, როგორც თავდების, მიმართ სარჩელში ჩამოყალიბებული მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა. აღნიშნული ასევე გავრცელდება მოთხოვნის შესრულების გადავადებაზე, რასაც მხარე ამტკიცებს. თუმცა, ამ უკანასკნელს უფლება აქვს უარი თქვას შესრულებაზე სკ-ის 894-ე მუხლის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მცდელობა, რომ პირველი მოპასუხის ქონებაზე იძულებითი აღსრულება განხორციელებულიყო, წარუმატებელი აღმოჩნდება.

სასამართლო ხარჯების თაობაზე გადაწყვეტილება გამომდინარეობს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილიდან.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> რამდენადაც სარჩელს ნაწილობრივ ეთქვა უარი სასამართლო ხარჯების განაწილება პროპორციულად უნდა მოხდეს. სსკ-ის 53-ე მუხლი ხარჯების გადახდის მოვალეობის დადგენისას ითვალისწინებს მხოლოდ სასამართლო ხარჯებს. იგივე ვრცელდება სსკ-ის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ სასამართლოს გარეშე ხარჯებზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოქმედებს შემდეგი ძირითადი დებულება: რამდენადაც მეორე მოპასუხის მიმართ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ამ უკანასკნელმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა სასამართლო ხარჯების დაფარვაში. სასამართლო ხარჯები მოსარჩელემ უნდა გადაიხადოს. მისი სარჩელის ნახევარს ორი მოპასუხის მიმართ, რომლებიც თანაბრად მონაწილეობდნენ პროცესში, უარი ეთქვა. ამდენად, მოსარჩელემ უნდა გადაიხადოს საკუთარი ხარჯების ნახევარი და სასამართლო ხარჯების ნახევარი.

პირველი მოპასუხის მიმართ მოსარჩელის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა. შესაბამისად, ამ უკანასკნელმა უნდა გადაიხადოს საკუთარი ხარჯები სრულად და დანარჩენი ხარჯების (მოსარჩელის და სასამართლო ხარჯები) ნახევარი.

#### 4. სარეზოლუციო ნაწილი:

სარჩელი პირველი მოპასუხის მიმართ დასაბუთებულია, ხოლო მოთხოვნა მეორე მოპასუხის მიმართ ამ დროისათვის არ არის დასაბუთებული.

პირველ მოპასუხეს დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ 100.000 ლარის გადახდა პროცენტებთან ... ერთად ... რიცხვიდან.

მოხდეს იპოთეკით დატვირთული პირველი მოპასუხის კუთვნილი მიწის ნაკვეთის, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში ..., იძულებით რეალიზაცია 100.000 ლარის ოდენობით განსაზღვრული მოთხოვნის გამო პროცენტებთან და ხარჯებთან ერთად.

სარჩელი მეორე მოპასუხის მიმართ არ დაკმაყოფილდეს, რამდენადაც სასარჩელო მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა.

მოსარჩელემ დაფაროს მეორე მოპასუხის ხარჯები სრულად, ისევე როგორც საკუთარი ხარჯები და სასამართლო ხარჯების ნახევარი. პირველმა მოპასუხემ დაფაროს მოსარჩელის ხარჯები, საკუთარი ხარჯები სრულად და სასამართლო ხარჯების ნახევარი.

გადაწყვეტილება ეფუძნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 99-ე, 172-ე, 185-ე, 312-ე, 489-ე, 1158-ე, 1159-ე და 1160-ე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლებს.

### Tematika:

*მეუღლეთა თანასაკუთრება. მეუღლეთა მიერ თანასაკუთრების განკარგვის შეზღუდული უფლებამოსილება. უძრავ ქონებაზე საკუთრების შექმნა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გარეშე. კეთილსინდისიერი შექმნა. მოჩვენებითი გარიგებების ბათილობა.*

### ა ღ ნ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა ნ ი ლ ი:

მოსარჩელემ მიმართა თბილისის . . . რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მის საკუთრებაში მყოფი ბინის გამოთხოვა მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან და ამ უკანასკნელის ბინიდან გამოსახლება იმ მოტივით, რომ თავად გახლავთ ბინის, მდებარე . . . მესაკუთრე, ხოლო მოპასუხე კი უკანონოდ ფლობს აღნიშნულ ბინას.

2001 წლის 27 ივნისს მხარეთა შორის ნოტარიულად გაფორმდა ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით.<sup>2</sup> სადავო ბინის ერ-

---

<sup>1</sup> წინამდებარე შემთხვევა ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 9 დეკემბრის განჩინებას (№3კ/932-02). წინამდებარე განჩინებაში შეტანილია მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები, რითაც დაცულია მონაწილე მხარეთა ანონიმურობა. ეს ასევე განპირობებულია დიდაქტიური მოტივით (შემთხვევა უნდა განთავსდეს სახელმძღვანელოში).

<sup>2</sup> საკასაციო საჩივარში ნათქვამია, რომ საქმე სინამდვილეში ეხებოდა მოჩვენებით გარიგებას, ხოლო საკუთრების გადაცემის ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა სესხის უზრუნველყოფა, რომელიც საკუთრების უზრუნველყოფის მიზნით მყიდველმა, ანუ მოსარჩელემ გადასცა გამყიდველს, ანუ მოპასუხეს. ვინაიდან უზენაესი სასამართლოს ამ გარემოებისათვის თავის განჩინებაში დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია, აღარც ჩვენ ჩავუღრმავებთ მის განხილვას.

თადერთი და კანონიერი მესაკუთრე გახლდათ მოპასუხე, რომელიც რეგისტრირებული იყო კიდევ საჯარო რეესტრში. მოსარჩელე ამ ბინის მესაკუთრე გახდა ბინის საფასურის გადახდისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ. გამოსყიდვის ვადა ამოიწურა 2001 წლის 27 ივლისს. მოპასუხეს კი მოსარჩელისათვის არ დაუბრუნებია გადაცემული თანხა და არც ბინა გამოუთავისუფლებია.

მოპასუხის მეუღლემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საქმის განხილვაში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირად ჩაბმა. მან მოითხოვა 2001 წლის 27 ივნისს მის მეუღლესა და მოსარჩელეს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ საფუძვლით, რომ სადავო ბინა წარმოადგენს მეუღლეების საერთო საკუთრებას. მესამე პირი 1989 წლის 25 ნოემბრიდან იმყოფება მოპასუხესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში. 1995 წლის 28 დეკემბერს მათ შეიძინეს სადავო ბინა. მესამე პირის განმარტებით, მან მხოლოდ სარჩელის წარდგენის შემდეგ გაიგო ბინის გასხვისების შესახებ. მეუღლეს მისი თანხმობის გარეშე არ ჰქონდა ბინის გასხვისების უფლება. ნასყიდობის ხელშეკრულება კი, როგორც კანონის დარღვევით დადებული, ბათილია სკ-ს 1160-ე მუხლის შესაბამისად.

თბილისის . . . რაიონული სასამართლოს 2001 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი მოპასუხის მიმართ, უკანონო

---

ამასთან, მესამე პირის მტკიცებულება არასაკმარისად იყო ჩამოყალიბებული (შეადარე №5 შემთხვევის პირველ ნაწილს, აღწერილობითი ტვირთი). ამდენად, ეს საკასაციო სასამართლოს მიერ არც უნდა მიჩნეულიყო ახალ ფაქტობრივ გარემოებად.

იმ შემთხვევაში, თუ გადაცემა სინამდვილეში მიზნად ისახავდა მხოლოდ და მხოლოდ სესხის უზრუნველყოფას, ნასყიდობის ხელშეკრულებები, როგორც მოჩვენებითი გარიგებები, ბათილი უნდა იყოს (სკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად). ის ხელშეკრულებები კი, რომელთა დადებაც მხარეებს მართლა განეზრახათ, კერძოდ კი, სესხი და გადაცემა უზრუნველყოფის მიზნით, ბათილი უნდა იყოს სკ-ის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 323-ე და 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ვინაიდან ისინი ნახსენებიც კი არ ყოფილა ნოტარიულ აქტში. ამდენად, ნოტარიულად გაფორმებაც არასრულყოფილი იქნებოდა. ნაწილობრივი ბათილობის შედეგია (სკ-ის 62-ე მუხლით) მთლიანი შეთანხმებებისა და გადაცემის ბათილობა.

ამ რთულ და გლობალურ პრობლემას მხოლოდ ირიბად თუ შევხებით. ცალკეულ დეტალებსა და მოსაზრებებს ამ საკითხის დაკავშირებით გაეცნობით **ჰაინ ბოელინგის სტატიაში „უძრავი ქონებით საკუთრების უზრუნველყოფა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე“**. თენგიზ ლილუაშვილის საიუბილეო გამოცემა, 2003.

მფლობელობიდან ნივთის უკან გამოთხოვის შესახებ, არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

დაკმაყოფილდა მესამე პირის სარჩელი მოპასუხისა და მოსარჩელის მიმართ. ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის 2001 წლის 27 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულება ნასყიდობის თაობაზე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს:

მოპასუხე და მესამე პირი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 1989 წლიდან. სადაო ბინა შეძენილია 1995 წელს და სკ-ის 1158-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას. მოპასუხემ მეუღლის თანხმობის გარეშე 2001 წლის 27 ივნისს მიჰყიდა სადავო ბინა მოსარჩელეს.

სკ-ს 185-ე და 1160-ე მუხლებს შორის არსებობს კოლიზია, ამიტომ, სკ-ს მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გამოყენებულ უნდა იქნეს სპეციალური ნორმა.

მოპასუხეს მეუღლისაგან არ ჰქონდა მიღებული თანასაკუთრების განკარგვის უფლებამოსილება. მოპასუხემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მას ასეთი უფლება არ ჰქონდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არ დაუმაღავდა არც ნოტარიუსს და არც მოსარჩელეს მეუღლის არსებობის ფაქტს და იმ გარემოებას, რომ გასხვისებულ ბინაში ცხოვრობდა მისი მეუღლე ორ შვილთან ერთად.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ. მან მოითხოვა რაიონული სასამართლოს 2001 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება იმ საფუძვლით, რომ მან მოსარჩელესთან ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა კანონით დადგენილი წესით. ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელს მეუღლე ჰყავდა, მისთვის ცნობილი გახდა მაშინ, როცა ამ უკანასკნელმა მესამე პირად ჩართვა მოითხოვა. აპელანტის განმარტებით, მან ბინა შეიძინა სკ-ის 183-ე, 477-ე, 479-ე მუხლების შესაბამისად. მესამე პირს კი უფლება აქვს, პრეტენზია მხოლოდ მის მეუღლეს, მოპასუხეს, წაუყენოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 5 აპრილის გადაწყვე-

ტილებით დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი. გაუქმდა თბილისის . . . რაიონული სასამართლოს 2002 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება. მესამე პირის სარჩელს უარი ეთქვა და ის გამოსახლებული იქნა სადავო ბინიდან თანმხლებ პირებთან ერთად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს:

სკ-ის 477-ე მუხლის თანახმად, გამყიდველი მყიდველს საკუთრების უფლებით გადასცემს ქონებას, ხოლო მყიდველი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს აღნიშნული ქონების შეთანხმებული ფასი. სკ-ის 509-ე მუხლის მიხედვით, თუ გამყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულებით ნივთის გამოსყიდვის უფლება აქვს, მას შეუძლია ეს უფლება განახორციელოს თავისი ნებით. მხარეთა მიერ დათქმულ ერთთვიან ვადაში ეს უფლება არ იქნა გამოყენებული.

სასამართლო პროცესზე მოპასუხემ არ უარყო, რომ არც მოსარჩელისათვის და არც ნოტარიუსისათვის არ უთქვამს, რომ მეუღლე ჰყავდა. ამდენად, მყიდველის მიერ ვერ იქნებოდა გათვალისწინებული ბინის თანამესაკუთრის არსებობის ფაქტი. სკ-ის 185-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელე კეთილსინდისიერ შემძენად ითვლება, რის გამოც ვერ იქნება გაზიარებული მოთხოვნა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

სკ-ის 172-ე მუხლის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება.

მესამე პირმა საკასაციო საჩივარი შეიტანა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლითაც მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ საფუძვლებს:

სადავო ბინა შეძენილია მესამე პირისა და მისი მეუღლის ერთად ცხოვრების პერიოდში 1995 წელს და სკ-ის 1158-ე მუხლის თანახმად, ითვლება მეუღლეთა თანასაკუთრებად. ის გარემოება, რომ საცხოვრებელი ბინის, საერთო თანასაკუთრების, ერთადერთ მესაკუთრედ მხოლოდ მოპასუხე იყო რეგისტრირებული, მესამე პირისათვის უცნობი იყო.

მყიდველმა იცოდა, რომ მოპასუხეს ჰყავდა თანამესაკუთრე, კერძოდ,



მეუღლე. ის ერთხელაც არ ყოფილა მისული შესაძენი ბინის სანახავად.<sup>3</sup>

უკანონო სააპელაციო პალატის მითითება სკ-ის 172-ე მუხლზე, ვინაიდან ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია სხვა გარიგების, კერძოდ, სესხის ხელშეკრულების, დაფარვის მიზნით.<sup>4</sup>

ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ კასატორმა არაფერი იცოდა, ვინაიდან მოპასუხესთან ფაქტობრივი ცოლ-ქმრული ურთიერთობა შეწყვეტილი ჰქონდა. მოპასუხე ნასული იყო სახლიდან ხელშეკრულების გაფორმებამდე ერთი წლით ადრე.

ბინის ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული ფასი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსარჩელემ არ იცოდა, რომ ბინის მესაკუთრეს თანამესაკუთრე ჰყავდა, ვერ გააბათილებს იმ გარემოებას, რომ იგი გასხვისებული ბინის თანამესაკუთრე იყო, ვინაიდან ასეთი უფლება კონსტიტუციით და სამოქალაქო კოდექსით აქვს მინიჭებული.

### ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი:

დიდმა პალატამ განიხილა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები, მოუსმინა მხარეებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადასტურებულია და მხარეები სადავოდ არ ხდიან, რომ სამოთახიანი ბინა შექმნილია მოპასუხისა და მესამე პირის ერთად ცხოვრების პერიოდში და წარმოადგენს მათ თანასაკუთრებას.

მოპასუხის განმარტებით, 2001 წლის 27 ივნისს სანოტარო წესით ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას მან განაცხადა, რომ მეუღლე არ ჰყავდა. მყიდველმა მისი მეუღლის არსებობის შესახებ არაფერი იცოდა.<sup>5</sup>

<sup>3</sup> შეად. ასევე მე-5 სქოლიოს.

<sup>4</sup> შეად. ზემოთ, მე-2 სქოლიოს.

<sup>5</sup> მართალია, მესამე პირი ამტკიცებდა, რომ მოსარჩელემ იცოდა მოპასუხის მეუღლის არსებობის შესახებ, მაგრამ არ უცდია ამის დანვრილებით დასაბუთება. აქ საქმე გვაქვს მხარის არასაკმარის მტკიცებულებასთან და ამიტომ იგი არ უნდა იქნეს გათვალისწინებული (შეადარე ზემოთ, ნაწილი I, 5, აღწერილობითი ნაწილი). იმავდროულად, ახალი ფაქტობრივი გარემოებები მესამე პირის მიერ პირველად წარმოდგენილი იყო სწორედ საკასაციო ინსტანციაში და ამიტომაც არ იქნა გაზიარებული. სხვათა შორის, ქორწინების ფაქტის ცოდნა სრულებითაც არ ნიშნავს იმის ცოდნას, რომ რეესტრის ჩანაწერი არასწორია (იხ. ქვემოთ, მე-9 სქოლიო).

ბინაშიც მარტო მოპასუხე იყო ჩანერილი. მასვე ჰქონდა ბინის გასაღებიც. მყიდველი ბინის სანახავად მიიყვანა ზაფხულში, როცა შინ არავინ იყო. მოპასუხის განმარტებითვე, ის მეუღლეს ბინის გაყიდვაზე არ შეუთანხმდა, ვინაიდან ბინა მისი საკუთრება იყო და არ თვლიდა საჭიროდ მეუღლის თანხმობას. ბინის გაყიდვის თაობაზე კი მაინც აცნობა მას და მისგან უარის მიღების შემდეგ გაასხვისა ბინა. მოპასუხემ მოსარჩელისაგან მიღებული თანხა, რომელიც სჭირდებოდა ბიზნესისათვის, მეუღლეს მიუტანა<sup>6</sup>.

სკ-ის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე კოდექსის 1159-ე მუხლის თანახმად კი, თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები. ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.

მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ ბინა წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას.

მესამე პირი სადავო ბინის თანამესაკუთრე გახდა მისი შეძენის მომენტში მეუღლესთან ერთად და მას სრული უფლება ჰქონდა, განეხორციელებინა საკუთრების უფლების აღრიცხვა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, რაც არ გაუკეთებია. მესამე პირს არც ბინის აღრიცხვის მომენტში და არც შემდეგ გამოუთქვამს პრეტენზია ბინის ტექალრიცხვის ბიუროში მეუღლის სახელზე რეგისტრაციის გამო. უფრო მეტიც, მას სადავო ბინის შესაძლო გასხვისების შესახებ მეუღლისგან ინფორმაციის მიღების შემდეგაც კი არ შეუტანია საჩივარი რეესტრის მონაცემების უზუსტობისა და ჩანაწერის შეცვლის შესახებ.<sup>7</sup> მოცემულ შემთხვევაში მესამე პირმა მისი უფლება, აღრიცხულიყო საჯარო რეესტრში და ესარგებლა მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით, კერძოდ, განეკარგა ქონება, დაუთმო

<sup>6</sup> მართალია, სახეზეა მოპასუხის მეუღლის შემდგომი თანხმობა (სკ-ის 101-ე და 102-ე მუხლები), მაგრამ ამის დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან ცნობილი არაა, იცოდა თუ არა მოპასუხის მეუღლემ ფულის მიღების წყაროს (ანუ გაყიდვის ფაქტის) შესახებ. ძირითადად, ასეთი თანხმობა იქნებოდა კონკლუდენტური და არ დასჭირდებოდა დადგენილი ფორმის დაცვა (სკ-ის 99-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, იხ. ასევე მე-8 სქოლიოც).

<sup>7</sup> შეადარე სკ-ის 313-ე მუხლის მე-2 ნაწილს.

მეუღლეს.<sup>8</sup>

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მესამე პირის საკუთრების შექმნას წინ ვერ აღუდგება ის ფაქტი, რომ იგი რეგისტრირებული არ ყოფილა საჯარო რეესტრში მესაკუთრედ. სამოქალაქო სამართალში ცნობილია შემთხვევები, როდესაც საკუთრების შექმნა ხდება საჯარო რეესტრის გარეშე. სკ-ის 1513-ე და 1433-ე მუხლების მიხედვით, პირი მესაკუთრედ ითვლება, ერთ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების, ხოლო, მეორე შემთხვევაში, სამკვიდროს გახსნის მომენტიდან, მაგრამ კანონი ორივე შემთხვევაში იმპერატიულად მოითხოვს სანივთო სამართლებრივი უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას (სკ-ის 183-ე მუხლი).

აღნიშნული მუხლების შესაბამისად, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გაფორმება საბოლოოდ წარმოებს სწორედ სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესებით.

პალატა თვლის, რომ შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში ერთად შექმნილ უძრავ ქონებაზე (თანსაკუთრებაზე) მეუღლეთა საკუთრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ საჯარო რეესტრში ორივე მათგანის რეგისტრაციის შემდეგ (სკ-ის 1158-ე მუხლით). წინააღმდეგ შემთხვევაში, მესამე პირების მიმართ რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად.

ვერ იქნება გაზიარებული კასატორის პრეტენზია, რომ სკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმა ზოგადია, ხოლო ამავე კოდექსის 1160-ე მუხლში მოცემული ნორმა სპეციალურ ნორმას წარმოადგენს. სსკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოქმედებს სპეციალური ნორმა.

სკ-ის 185-ე მუხლის მიხედვით, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტ-

---

<sup>8</sup> ეს საქციელიც ძალზე წაგავს მოპასუხის მეუღლის ზემოთ აღნიშნულ კონკლუდენტურ წინასწარ თანხმობას სკ-ის 99-ე და მე-100 მუხლების მიხედვით (იხ. მე-6 სქოლიო). საკასაციო სასამართლოს არ შეეძლო მსგავსი თანხმობის გათვალისწინება, ვინაიდან წინა ორი ინსტანციის სასამართლობის მიერ არ იყო დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. შესაძლებელია, მოპასუხის მეუღლის საქციელი დაუდევრობით იყო გამოწვეული და არ წარმოადგენდა თანხმობის სახით ნების გამოვლენას.

რირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე<sup>9</sup> სკ-ის 1160-ე მუხლის მიხედვით კი, იმ ქონების განკარგვა, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაში შედის, ხორციელდება მეუღლეთა შეთანხმებით, იმისდა მიუხედავად, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას. ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქონების განკარგვასთან დაკავშირებით დადებული გარიგება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი მეორე მეუღლის მოთხოვნით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქონების განმკარგავ მეუღლეს არ ჰქონდა ამის უფლებამოსილება და დამტკიცებული იქნება, რომ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მას ასეთი უფლება არ ჰქონდა.<sup>10</sup>

სკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას უპირატესობა ენიჭება სპეციალურ ნორმებს.

პალატა გამომდინარეობს იქიდან, რომ სკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებული სანივთო-სამართლებრივი ნორმა არ შეიძლება ჩაითვალოს ზოგად ნორმად ამავე კოდექსის 1160-ე მუხლით გათვალისწინებულ საოჯახო სამართლის ნორმასთან მიმართებაში. სკ-ის 185-ე მუხლი იძლევა კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვის სამართლებრივ გარანტიებს, ხოლო 1160-ე მუხლი აწესებს თანამესაკუთრე მეუღლის ინტერე-

---

<sup>9</sup> მოძრავი ნივთებისაგან განსხვავებით (სკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 ნინადადება), უძრავ ქონებასთან მიმართებაში (სკ-ის 185-ე და 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი) არაკეთილსინდისიერების საფუძველს ჰქმნის არა შემძენის გაუფრთხილებლობა, არამედ რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის ცოდნა. შეუძლებელია იმის დადგენა, იცოდა თუ არა მოსარჩელემ ამის შესახებ (იხ. მე-5 სქოლიო). საკმარისი არ არის ის, რომ მოსარჩელემ, მოქმედებდა რა თითქოსდა გაუფრთხილებად, არ შეამოწმა საქორწინო რეესტრში ჩანაწერი. სხვათა შორის, თუ შემძენმა იცის, რომ გამსხვისებელი დაქორწინებულია, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მან იცის ასევე რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის შესახებ. შესაძლებელია, არსებობდეს სხვადასხვა სახის საქორწინო ხელშეკრულება და შეძენაც ერგებოდეს სკ-ის 1161-ე მუხლის ნორმების წინაპირობებს, რომლის თანახმადაც საკუთრება 1158-ე მუხლის საწინააღმდეგოდ მართლაც მხოლოდ ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის. სკ-ის 1161-ე მუხლის გამო-საყენებლად საკმარისია, რომ სადავო ნივთის შეძენა ხდებოდეს სხვა ნივთის სანაცვლოდ ან სახსრებიდან (სუროგატი), რომლებიც შეესაბამებოდა 1161-ე მუხლს.

<sup>10</sup> აქ კეთილსინდისიერი შემძენისაგან განსხვავებით (შეად. მე-9 სქოლიოს), გაუფრთხილებლობა საკმარისი არგუმენტია გამსხვისებლის სასარგებლოდ! ყოველი მეუღლე ვალდებულია, გაერკვეს ქონებრივ ურთიერთობებში და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს სერიოზული გადაწყვეტილება უძრავი ქონების შეძენასა ან გაყიდვასთან მიმართებაში.

სების დაცვის იურიდიულ მექანიზმს.

პალატა თვლის, რომ ზემოთ მოყვანილი ორივე ნორმა სპეციალურია. განსახილველ შემთხვევაში პრიორიტეტი კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვას უნდა მიენიჭოს, ვინაიდან თანამესაკუთრე მეუღლემ არაფერი იღონა იმისათვის, რომ მისი საკუთრების უფლება კანონით დადგენილი წესით ყოფილიყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

მოსარჩელე კეთილსინდისიერი შემძენია. ის ვარაუდობდა, რომ მოპასუხე სადავო ბინის საჯარო რეესტრში აღრიცხული ერთადერთი მესაკუთრე იყო. ამავე დროს, ამ უკანასკნელის მიერ ნოტარიუსთან გაკეთებული განცხადების შემდეგ, რომ მეუღლე არ ჰყავდა, ვარაუდობდა, რომ მოპასუხეც კეთილსინდისიერად ახორციელებდა თავის მოვალეობას. ამით დასტურდება, რომ შემძენმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო ბინის ერთადერთი მესაკუთრე. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, შემძენი არაკეთილსინდისიერად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა დადასტურებულია, რომ მან იცოდა,<sup>11</sup> რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

სკ-ის 312-ე მუხლის შესაბამისად, რეესტრის ჩანაწერების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეგისტრირებული რეესტრში, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტო იყო.

საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სიზუსტის პრეზუმფცია მნიშვნელოვანი გარანტიაა სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვისათვის. იგი ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას. რეესტრის ჩანაწერი კანონის მიხედვით მხოლოდ მაშინ ითვლება არასწორად, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი

---

<sup>11</sup> შეადარე ზემოთ, მე-9 სქოლიოს.

უზუსტო იყო. განსახილველ შემთხვევაში საჩივარი რეესტრის ჩანაწერის უზუსტობაზე არ ყოფილა წარდგენილი და დადასტურებულია, რომ შემძენი კეთილსინდისიერია.

პალატა ითვალისწინებს კეთილსინდისიერი მეუღლის, როგორც თანამესაკუთრის, ინტერესების დაცვის საჭიროებას, მაგრამ მიაჩნია, რომ, კეთილსინდისიერი შემძენისაგან განსხვავებით, მას კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს სამართლებრივი საშუალება, საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით დაიცვას თავისი უფლება ხელყოფისაგან, რასაც ვერ ვიტყვით კეთილსინდისიერ შემძენზე.

სკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მტკიცების ტვირთი მესამე პირს აწევს.<sup>12</sup>

კასატორმა ვერ დაამტკიცა გარემოებანი, რომლებიც შემძენის არაკეთილსინდისიერებასა და მეუღლის სახელზე სადაო ბინის რეგისტრაციის ფაქტის არცოდნას დაადასტურებდა.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოტივაციას, რომ სადავო გარიგება ბათილია იმ საფუძველით, რომ დაირღვა სკ-ის 489-ე მუხლის მოთხოვნა მყიდველისათვის უფლებრივად უნაკლო ნივთის მიყიდვის შესახებ, ვინაიდან აღნიშნული პრეტენზიის წარდგენის უფლება აქვს თვით მყიდველს და არა – სხვა პირებს.

სკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. პალატა თვლის, რომ კასატორს არ წამოუყენებია არც დასაბუთებული და არც დამატებითი საკასაციო პრეტენზია.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებისას კანონი არ დაურღვევია და არ

---

<sup>12</sup> ეს გამომდინარეობს ასევე კანონის ფორმულირებიდან (სკ-ის 185-ე და 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რომლის თანახმადაც თუ შემძენმა არაფერი იცის რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის შესახებ, ეს წარმოადგენს საქმის საგამონაკლისო ვითარებას.

არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

### ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი:

დიდმა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### და ა დ გ ი ნ ა:

მესამე პირის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის ... აპრილის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.